ევროკავშირი საქართველოსთვის

საქართველოს ეროვნული საინტელექტუალო საკუთრების ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.gov.ge

EUIPO
EUROPEAN UNION INTELLECTUAL PROPERTY OFFICE

EUGIPP

ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

ევროკავშირის მართლმსაჯულებისა და საერთო იურისდიქციის სასამართლოების გადაწყვეტილებების კრებული

საავტორო და მომიჯნავე უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებული სასამართლო საქმეები

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მას ახორციელებს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO)

სარჩევი

C-753/18 Stim და SAMI 2
C-402/85 Basset 10
C-494/15 Tommy Hilfiger 16
C-476/17 Pelham 24
C-147/19 Atresmedia 42
C-52/97 Kanal 5 and TV 4 53
C-682/18 Peterson 76
C-160/15 GS Media 113

C-753/18 Stim და SAMI

სასამართლოს გადაწყვეტილება (მეხუთე პალატა)

2020 წლის 2 აპრილი (*1)

(მიმართვა წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად – ინტელექტუალური საკუთრება – საავტორო და მომიჯნავე უფლებები – დირექტივა 2001/29/EC – მუხლი 3(1) – დირექტივა 2006/115/EC – მუხლი 8(2) – ცნება „საჯარო გადაცემა“ – მანქანების გაქირავება, რომელთაგან თითოეულს აქვს რადიომიმღები, როგორც სტანდარტული აღჭურვილობა)

საქმეში C 753/18,

TFEU-ს 267-ე მუხლის საფუძველზე, მოთხოვნა წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანაზე Högsta domstolen-ისგან (უზენაესი სასამართლო, შვედეთი), მიღებული 2018 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით, რომელიც სასამართლომ მიიღო 2018 წლის 30 ნოემბერს, საქმეში

Föreningen Svenska Tonsättares Internationalella Musikbyrå u.p.a. (Stim),

Svenska Artisters och musikers, intertresseorganisation ek. för. (SAMI)

v

Fleetmanager Sweden AB,

Nordisk Biluthyrning AB,

სასამართლო (მეხუთე პალატა),

შემადგენლობა: ე. რეგანი, პალატის პრეზიდენტი, ი. იარუკაიტისი, ე. იუჰასი, მ. ილეშიჩი (მომხსენებელი) და კ. ლიკურგოსი, მოსამართლეები,

გენერალური ადვოკატი: მ. სზპუნარი,

რეგისტრატორი: კ. სტრომჰოლმი, ადმინისტრატორი,

წერილობითი პროცედურის გათვალისწინებით და 2019 წლის 6 ნოემბრის მოსმენის შემდგომ,

შემდეგი პირების პოზიციის მოსმენის შემდეგ:

- Föreningen Svenska Tonsättares Internationalella Musikbyrå u.p.a. (Stim) და Svenska Artists och musikers, intertresseorganisation ek. för (SAMI), პ. სანდეს და დ. ეკლოფის, ადვოკატის მიერ,
- Fleetmanager Sweden AB, წარმოდგენილი ადვოკატების, ს. ჰალბეკის, ს. ვენდენის, ჯ. არბერგის და უ. დალბერგის, მიერ S
- Nordisk Biluthyrning AB, წარმოდგენილი ადვოკატების ჯ. აბერგის, კ. ნოტნაგელის და მ. ბრუდერის მიერ
- ევროკომისია, წარმოდგენილი კ. სიმონსონის, ჯ. სამნადას, ე. ლუნგ რასმუსენისა და გ. ტოლსტოის მიერ,

2020 წლის 15 იანვარს გამართულ სხდომაზე გენერალური ადვოკატის აზრის მოსმენის შემდეგ,

გამოაქვს შემდეგი

გადაწყვეტილება

1. წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის ეს მოთხოვნა ეხება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის 2001/29/EC ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ დირექტივის 3(1) მუხლისა (OJ 2001 L 167, გვ. 10) და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 12 დეკემბრის 2006/115/EC ქირავნობისა და თხოვების უფლებისა და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული გარკვეული უფლებების შესახებ დირექტივის 8(2) მუხლის ინტერპრეტაციას. (OJ 2006 L 376, გვ. 28).

2. მოთხოვნა დაყენებულია ორ მიმდინარე დავასთან დაკავშირებით, რომელიც მიმდინარეობს ერთი მხრივ Föreningen Svenska Tonsättares Internationella Musikbyrå u.p.a-სა (Stim) (შვედური საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია) და Fleetmanager Sweden AB („Fleetmanager“) და and Fleetmanager Sweden AB ('Fleetmanager')-ს შორის; და მეორე მხრივ Svenska artisters och musikers intresseorganisation ek. för. (SAMI) (შვედეთის მომიჯნავე უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია) და Nordisk Biluthyrning AB ('NB') -ს შორის. დავის საგანს წარმოადგენს რადიომოწყობილობით აღჭურვილი ავტომანქანების გაქირავების სერვისის კლასიფიკაცია საავტორო უფლების კუთხით.

სამართლებრივი კონტექსტი

საერთაშორისო კანონმდებლობა

3. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ (WIPO) მიიღო ისმო-ს საავტორო უფლებების შესახებ ხელშეკრულება („WCT“) ჟენევაში 1996 წლის 20 დეკემბერს, ხელშეკრულება, რომელიც დამტკიცდა ევროპის თანამეგობრობის სახელით საბჭოს 2000 წლის 16 მარტის 2000/278/EC გადაწყვეტილებით (OJ 2000 L 89, გვ. 6) და რომელიც ძალაში შევიდა ევროკავშირთან მიმართებაში 2010 წლის 14 მარტს (OJ 2010 L 32, გვ. 1).

4. WCT-ის მე-8 მუხლი, „საჯარო გადაცემის უფლება“:

5. შეთანხმებული განცხადებები WCT-თან დაკავშირებით მიღებულ იქნეს დიპლომატიური კონფერენციის მიერ 1996 წლის 20 დეკემბერს.

6. შეთანხმებული განცხადება ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლთან დაკავშირებით შემდეგია:

„მხოლოდ ფიზიკური საშუალებების უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ან რომლითაც ხორციელდება გადაცემა, ამ ხელშეკრულებიდან ან ბერნის კონვენციიდან გამომდინარე, არ მიიჩნევა საჯარო გადაცემად . . .“

ევროკავშირის კანონმდებლობა

დირექტივა 2001/29

7. 2001/29 დირექტივის 27-ე პუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

„მხოლოდ ფიზიკური საშუალებების უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ან რომლითაც ხორციელდება გადაცემა, თავისთავად არ წარმოადგენს საჯარო გადაცემას ამ დირექტივის მნიშვნელობით“.

8. ამ დირექტივის მე-3 მუხლი, „ნაწარმოების საჯარო გადაცემა და სხვა ობიექტების საჯაროდ გაცნობა“, ადგენს:

1. წევრი სახელმწიფოები ანიჭებენ ავტორებს განსაკუთრებულ უფლებას, ნება დართონ ან აკრძალონ თავიანთი ნაწარმოებების ნებისმიერი საჯარო გადაცემა სადენით ან უსადენო კავშირგაბმულობის საშუალებებით, მათ შორის, მათი ნაწარმოებების საჯარო გაცნობის ჩათვლით იმგვარად, რომ საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ წვდომა ამ ნაწარმოებებზე მათ მიერ ინდივიდუალურად შერჩეული ადგილიდან და შერჩეულ დროს“.

...

3. პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული უფლებები არ ამოიწურება ამ მუხლით გათვალისწინებული ფორმით განხორციელებული საჯარო გადაცემით ან საჯაროდ გაცნობით“.

დირექტივა 2006/115

9. 2006/115 დირექტივის მე-8 მუხლი, „ეთერში გადაცემა და საჯარო გადაცემა“, მე-2 პუნქტის შესაბამისად:

„თუ ხდება კომერციული მიზნებისთვის გამოქვეყნებული ფონოგრამის ან მისი ასლის უსადენო ან ნებისმიერი სხვა სახის საჯარო გადაცემა, მოსარგებლის მიერ სამართლიანი ანაზღაურების გადახდის, და ამ ანაზღაურების შესაბამის შემსრულებელსა და ფონოგრამის მწარმოებელს შორის განაწილების უზრუნველსაყოფად, წევრი ქვეყნები ვალდებული არიან გაითვალისწინონ შესაბამისი უფლება. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, შემსრულებლებსა და ფონოგრამის მწარმოებლებს შორის შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, დააწესონ პირობები ამ ანაზღაურების მათ შორის განაწილების შესახებ“.

შვედეთის კანონმდებლობა

10. upphovrättslagen (1960:279) (კანონი (1960:279) საავტორო უფლებების შესახებ; „UL“) 2001/29 დირექტივა გადატანილ იქნეს შვედეთის კანონმდებლობაში. UL-ის მე-2 პუნქტი არეგულირებს ავტორების განსაკუთრებულ უფლებას, მოახდინონ თავიანთი ნაწარმოებების რეპოდუცირება და საჯარო გაცნობა საჯარო გადაცემის (მესამე ქვეპუნქტი, პუნქტი 1) ან მისი საჯარო ჩვენების გზით (მესამე ქვეპუნქტი, პუნქტი 2).

11. UL-ის 45-ე და 46-ე პუნქტები არეგულირებს ხმოვანი ჩანაწერებისა და ფილმების შემსრულებლებისა და ფონოგრამის დამამზადებლების უფლებებს.

12. ამ კანონის 47-ე პუნქტის თანახმად, რომელიც ახორციელებს 2006/115 დირექტივის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის იმპლემენტაციას, ხმოვანი ჩანაწერები შეიძლება იყოს საჯარო შესრულების ან საჯარო გადაცემის საგანი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჯარო გადაცემა ხორციელდება ისე, რომ პირებს ჰქონდეთ წვდომა ხმოვან ჩანაწერზე მათ მიერ შერჩეული ადგილიდან და დროიდან. ასეთ შემთხვევაში ჩანაწერის დამამზადებელსა და შემსრულებლებს, რომელთა შესრულებაც ჩანაწერზეა, უფლება აქვთ მიიღონ სამართლიანი ანაზღაურება.

მთავარ სამართალწარმოებაში არსებული დავა და წინასწარი გადაწყვეტილებისთვის დასმული კითხვები

13. Fleetmanager და NB არის ავტომობილების გაქირავების კომპანიები, რომლებიც დაფუძნებულია შვედეთში. ისინი პირდაპირ ან შუამავლების მეშვეობით სთავაზობენ სატრანსპორტო საშუალებების გაქირავებას, არა უმეტეს 29 დღის ვადით, რაც ეროვნული კანონმდებლობით განიხილება, როგორც მოკლევადიანი გაქირავება. სატრანსპორტო საშუალებები აღჭურვილია რადიომიმღებებით.

14. Stim-სა და Fleetmanager-ს შორის დავაში, tingsrätt-ის (რაიონული სასამართლო, შვედეთი) წინაშე Stim-მა მოითხოვა, რომ Fleetmanager-ს გადაეხადა 369450 შვედური კრონა (დაახლოებით 34500 ევრო), საურავთან ერთად, საავტორო უფლებების დარღვევისთვის. Stim-მა განაცხადა, რომ Fleetmanager-მა მესამე პირებისთვის, კერძოდ, ავტომობილების გაქირავების კომპანიებისთვის, კერძო კლიენტებისთვის რადიომიმღებებით აღჭურვილი მანქანების ხელმისაწვდომობით, ხელი შეუწყო იმ კომპანიების მიერ ჩადენილ დარღვევებს, რომლებმაც განახორციელეს მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო გაცნობა, შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე.

15. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ რადიომიმღებებით აღჭურვილი მანქანების გაქირავება მოიცავდა მუსიკალური ნაწარმოებების „საჯარო გადაცემას“ UL-ის მიზნებისთვის, და რომ ამ ნაწარმოებების ავტორებს უფლება ჰქონდათ მიეღოთ კომპენსაცია. თუმცა, მან, ასევე, დაადგინა, რომ Fleetmanager-ს არ მიუღია მონაწილეობა საავტორო უფლებების ამ დარღვევაში, რის შედეგადაც Stim-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ეს გადაწყვეტილება ძალაში დარჩა გასაჩივრებისას. Stim-მა გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება Högsta domstolen-ში (უზენაესი სასამართლო, შვედეთი).

16. SAMI-სა და NB-ს შორის დავაში, NB-მ შეიტანა სარჩელი Patent-och marknadsdomstolen-ის (პატენტებისა და ბაზრის სასამართლო, შვედეთი) წინაშე და მოითხოვა იმის დადგენა, რომ იმის საფუძველზე, რომ მანქანები, რომლებსაც იგი აქირავებს ფიზიკურ პირებსა და მეწარმეებზე, აღჭურვილნი არიან რადიომიმღებებით და CD წამკითხველებით, NB-ს არ მოეთხოვებოდა, 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში, SAMI-სთვის ხმოვანი ჩანაწერების გამოყენებისთვის საფასურის გადახდა.

17. Patent-och marknadsdomstolen-მა (პატენტებისა და ბაზრის სასამართლო) დაადგინა, რომ UL უნდა იყოს ინტერპრეტირებული 2001/29 დირექტივის შესაბამისად და რომ, მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, ფონოგრამის გამოყენება, რომელიც დაფარულია 2006/115 დირექტივის 8(2) მუხლით, წარმოადგენს „საჯარო გადაცემას“ 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლის მიზნებისთვის. სასამართლომ, ასევე, დაადგინა, რომ NB-ს მიერ გაქირავებული მანქანების რადიომიმღებებით უზრუნველყოფამ შესაძლებელი გახადა ამ მანქანების მგზავრებს მოესმინათ ხმოვანი ჩანაწერები და, შესაბამისად, ეს ქმედება უნდა ჩაითვალოს „გადაცემად“. გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობდა სხვა კრიტერიუმები, რომლითაც დგინდებოდა „საჯარო გადაცემა“. შესაბამისად, მან დაადგინა, რომ NB-ს ევალებოდა SAMI-სთვის კომპენსაციის გადახდა და არ დაკმაყოფილა NB-ს სარჩელი. ეს გადაწყვეტილება გააუქმა გასაჩივრებისას Svea hovrätt, Patent- och marknadsöverdomstolen (Svea სააპელაციო სასამართლო, პატენტებისა და ბაზრის სააპელაციო სასამართლო, სტოკჰოლმი, შვედეთი). SAMI-მ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება Högsta domstolen-ის (უზენაესი სასამართლო) წინაშე.

18. ამ გარემოებებში, Högsta domstolen-მა (უზენაესმა სასამართლომ) გადაწყვიტა შეეჩერებინა საქმის წარმოება და შემდეგი კითხვებით მიემართა მართლმსაჯულების სასამართლოსთვის წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად:

(1) ნიშნავს თუ არა მანქანების გაქირავება, რომლებიც აღჭურვილია სტანდარტულად რადიო-მიმღებებით, რომ პირი, რომელიც აქირავებს მანქანებს, არის მოსარგებლე, რომელიც ახორციელებს „საჯარო გადაცემას“ 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლის და 2006/115 დირექტივის 8(2) მუხლის მნიშვნელობით?

(2) რა მნიშვნელობა აქვს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მანქანის გაქირავებების რაოდენობას და გაქირავების ხანგრძლივობას?

მოთხოვნა ზეპირი განხილვის პროცედურის ხელახლა გახსნის შესახებ

19. გენერალური ადვოკატის მოსაზრების მიწოდების შემდეგ, Stim-მა და SAMI-მ, 2020 წლის 6 თებერვალს სასამართლოში შეტანილი განცხადებით მოითხოვეს ზეპირი მოსმენის ხელახლა ჩანიშვნა.

20. მათი განცხადების გასამყარებლად, ისინი აცხადებდნენ, რომ, როგორც გენერალური ადვოკატის მოსაზრების 39, 52 და 53 პუნქტებიდან ჩანს, არასწორად იქნეს გაგებული გარკვეული ფაქტორები, რომლებიც არსებითად ეხება კერძო სფეროსა და საჯარო სფეროს შორის განსხვავებას, რაც მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, მოხდა თუ არა „საჯარო გადაცემა“. შედეგად, სასამართლოს შეიძლება არ ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით.

21. უნდა გავითვალისწინოთ, რომ TFEU-ს 252-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, გენერალური ადვოკატის, რომელიც მოქმედებს სრულიად მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად, მოვალეობაა, ღია სასამართლოში წარმოადგინოს დასაბუთებული არგუმენტები საქმეებზე, რომლებშიც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს დებულება ითხოვს მის ჩართულობას. სასამართლო არ არის შებოჭილი არც გენერალური ადვოკატის მოსაზრებებით და არც იმ დასაბუთებით, რომელსაც იგი ეფუძნება (2020 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება, Köln-Aktienfonds Deka, C-156/17, EU:C:2020:51, პუნქტი 31 და ციტირებული პრაქტიკა).

22. გარდა ამისა, დადგენილი პრაქტიკაა, რომ სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით, გენერალური ადვოკატის წინადადებით ან მხარეთა მოთხოვნით, განაცხადოს ზეპირი მოსმენის ხელახლა ჩატარების შესახებ, შიდა საპროცესო წესების 83-ე მუხლის შესაბამისად, თუ მიიჩნევს, რომ მას აკლია საკმარისი ინფორმაცია ან რომ საქმე უნდა გადაწყდეს ისეთი გარემოების გათვალისწინებით, რომელიც არ განხილულა მხარეთა მიერ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს დებულება და რეგლამენტი არ ითვალისწინებს მხარეების მიერ შენიშვნების წარდგენას გენერალური ადვოკატის მოსაზრების პასუხად (2020 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება, Köln-Aktienfonds Deka, C-156/17, EU:C:2020:51, პუნქტი 32 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

23. წინამდებარე საქმეში, Stim-ის და SAMI-ს მოთხოვნა, რომ ზეპირი მოსმენა ხელახლა ჩანიშნულიყო, მიზნად ისახავს იმას, რომ მათ საშუალება მიეცეთ უპასუხონ გენერალური ადვოკატის მიერ თავის დასკვნაში წარმოდგენილ მიგნებებს.

24. უფრო მეტიც, სასამართლო თვლის, რომ მას შემდეგ, რაც მოუსმინა გენერალურ ადვოკატს, მას აქვს ყველა საჭირო ინფორმაცია, რათა შეძლოს უპასუხოს მომხსენებელი სასამართლოს მიერ

დასმულ კითხვებს და რომ ამ საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა არგუმენტი განხილულ იქნეს სასამართლოსა და მხარეების მიერ.

25. შესაბამისად, არ არის საჭირო ზეპირი მოსმენის ხელახლა ჩატარება.

დასმული შეკითხვების განხილვა

პირველი შეკითხვა

26. პირველი კითხვით, სასამართლო კითხულობს, უნდა იქნეს თუ არა განმარტებული 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლი და 2006/115 დირექტივის 8(2) მუხლი, ისე, რომ ავტომობილების გაქირავება, რომლებიც აღჭურვილია რადიომიმღებებით, წარმოადგენს საჯარო გადაცემას აღნიშნული ნორმების მიზნებისთვის.

27. ეს კითხვა ჩნდება დავების კონტექსტში, რომელიც ეხება, ერთ შემთხვევაში, მუსიკალური ნაწარმოებების უნებართვო საჯარო გადაცემას 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლის მიზნებისთვის. კერძოდ, როცა ხდება მანქანების გაქირავება კომპანიების მიერ, რომლებიც ქირაობენ რადიომიმღებებით აღჭურვილ სატრანსპორტო საშუალებებს, და მეორე შემთხვევაში, როცა დავა ეხება შემსრულებლების მომიჯნავე უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის უფლებას, მოითხოვოს სამართლიანი ანაზღაურება იმ კომპანიებისგან, სადაც ამ მანქანების გაქირავებით ხდება საჯარო გადაცემა 2006/115 დირექტივის მე-8 (2) მუხლის მნიშვნელობით.

28. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, რადგან ევროკავშირის კანონმდებელმა არ გამოიყენა განსხვავებული ტერმინი, გამოთქმა „საჯარო გადაცემა“ ზემოაღნიშნულ ორივე შემთხვევაში, განმარტებული უნდა იყოს ერთი და იგივე მნიშვნელობით (იხილეთ, ამ თვალსაზრისით, 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება, ფონოგრამული შესრულება (ირლანდია),C-162/10, EU:C:2012:141, პუნქტები 49 და 50, და 2017 წლის 16 თებერვალი, Verwertungsgesellschaft Rundfunk, C-641/15, EU:C:2017:131, პუნქტი 19 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

29. გარდა ამისა, ეს ტერმინი უნდა იქნეს განმარტებული საერთაშორისო სამართლის ტექსტებში მოცემული ეკვივალენტური ცნებების გათვალისწინებით და ისე, რომ იგი შეესაბამებოდეს მათ. აგრეთვე, იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც გვხვდება ეს ცნებები და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისი დებულებების მიზნები (იხ., ამასთან დაკავშირებით, 2011 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილებები, ფეხბურთის ასოციაციის პრემიერ ლიგა და სხვა, C-403/08 and C-429/08, EU:C:2011:631, პუნქტი 189, და 2012 წლის 15 მარტის, SCF, C-135/10, EU:C:2012:140, პუნქტები 51-დან 56-მდე).

30. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, „საჯარო გადაცემის“ კონცეფცია მოიცავს ორ კუმულაციურ კრიტერიუმს, კერძოდ, ნაწარმოების „გადაცემის აქტს“ და ამ ნაწარმოების „საზოგადოებისთვის“ გადაცემას (2017 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებები), AKM, C 138/16, EU:C:2017:218, პუნქტი 22; 2018 წლის 7 აგვისტოს, Renckhoff, C 161/17, EU:C:2018:634, პუნქტი 19 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა; და 2019 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება, Nederlands Uitgeversverbond და Groep Algemene Uitgevers, C 263/18, EU:C:2019:1111, პუნქტი 61 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

31. იმისთვის, რომ დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა რადიომიმღებებით აღჭურვილი მანქანების გაქირავება საჯარო გადაცემას 2001/29 და 2006/115 დირექტივების მნიშვნელობით, აუცილებელია გარემოებების ინდივიდუალური შეფასება, რიგი დამატებითი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც არ არის ავტონომიური და არიან ურთიერთდამოკიდებულნი. გარდა ამისა, ეს კრიტერიუმები უნდა იქნეს გამოყენებული როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთმანეთთან ურთიერთქმედებისას, რამდენადაც ისინი სხვადასხვა სიტუაციებში შეიძლება იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა ხარისხით (იხ. ამის შესახებ, 2017 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება, Stichting Brein, C 610/15, EU:C:2017:456, პუნქტი 25 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

32. ამ კრიტერიუმებიდან სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი მოსარგებლის შეუცვლელ როლს და მისი მონაწილეობის მიზანმიმართულ ხასიათს. მოსარგებლე ახორციელებს საჯარო გადაცემას, როდესაც ის ერევა, თავისი ქმედების შედეგების სრული გაცნობიერებით, რათა მისცეს თავის მომხმარებელს წვდომა დაცულ ნაწარმოებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც, ამ ჩარევის არარსებობის შემთხვევაში, ეს მომხმარებლები ვერ შეძლებენ ნაწარმოებზე წვდომას ან შეძლებდნენ მხოლოდ გაჭირვებით (იხ., inter alia, 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება, SCF, C 135/10, EU:C:2012:140, პუნქტი 82 და ციტირებული პრეცედენტული სამართალი; 2012 წლის 15 მარტის, ფონოგრაფიული შესრულება (ირლანდია), C 162/10, EU:C:2012:141, პარაგრაფი 31; და 2017 წლის 14 ივნისის, Stichting Brein, C 610/15, EU:C:2017:456, 26-ე პუნქტი და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

33. 2001/29 დირექტივის 27-ე პუნქტიდან, რომელიც არსებითად ასახავს WCT-ის შეთანხმებულ განცხადებას მე-8 მუხლთან დაკავშირებით, ირკვევა, რომ „უბრალოდ ფიზიკური საშუალებების უზრუნველყოფა საჯარო გადაცემის უზრუნველსაყოფად ან განსახორციელებლად თავისთავად არ წარმოადგენს საჯარო გადაცემას ამ დირექტივის მიზნებისთვის“.

34. ეს ასეა რადიომიმღების მიწოდების შემთხვევაში, რომელიც წარმოადგენს დაქირავებული სატრანსპორტო საშუალების განუყოფელ ნაწილს, და რომელიც შესაძლებელს ხდის სალიზინგო კომპანიის ყოველგვარი დამატებითი ჩარევის გარეშე მიიღოს მიწისზედა რადიომაუწყებლობა, რომელიც ხელმისაწვდომია იმ ტერიტორიაზე, სადაც მანქანა მდებარეობს. ეს აღინიშნა, ასევე, გენერალური ადვოკატის მიერ დასკვნის 32-ე პუნქტში.

35. ისეთი მიწოდება, როგორიც წინა პუნქტშია მითითებული, განსხვავდება საჯარო გადაცემისგან, რომლის მეშვეობითაც სერვისის პროვაიდერები განზრახ ავრცელებენ დაცულ ნაწარმოებებს თავიანთ კლიენტებში მიმღებების საშუალებით სიგნალის გავრცელებით, რომლებიც მათ დაყენებული აქვთ დაწესებულებაში (განჩინება 2016 წლის 31 მაისი, Reha Training, C 117/15, EU:C:2016:379, პუნქტები 47 და 54 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

36. შესაბამისად, უნდა დადგინდეს, რომ რადიომიმღებებით აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალებების ხელმისაწვდომობით, მანქანების გაქირავების კომპანიები არ ახორციელებენ დაცული ნაწარმოებების საჯარო გადაცემას.

37. ეს ინტერპრეტაცია არ შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს იმ არგუმენტით, რომ მანქანების გაქირავების კომპანიები ხელმისაწვდომს ხდიან თავიანთი მომხმარებლებისთვის იმ ადგილებს, რომლებსაც Stim და SAMI განიხილავენ როგორც „საჯაროს“, კერძოდ, დაქირავებული მანქანების სამგზავრო განყოფილებები, რომლებშიც შესაძლებელია რადიომიმღებების საშუალებით დაცული ნაწარმოებებით სარგებლობა. ასეთი სივრცის უზრუნველყოფა, ისევე როგორც თავად რადიომიმღებების უზრუნველყოფა, არ წარმოადგენს „გადაცემის“ აქტს. დადგენილი სასამართლო პრაქტიკით, ასევე, ირკვევა, რომ გადაცემის ადგილის კერძო ან საჯარო სტატუსი არ არის

რელევანტური (იხ., ამასთან დაკავშირებით, 2006 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება, SGAE, C 306/05, EU: C:2006:764, პუნქტი 50).

38. ამ გარემოებებში, არ არის საჭირო იმის შემოწმება, უნდა ჩაითვალოს თუ არა ასეთი საჯარო გაცნობა „საჯარო“ გადაცემად.

39. ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრების ფონზე, პირველ კითხვაზე პასუხი არის ის, რომ 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლი და 2006/115 დირექტივის 8(2) მუხლი ისე უნდა იქნეს განმარტებული, რომ ავტომანქანის გაქირავება, რომელიც აღჭურვილია რადიომიმღებით, არ წარმოადგენს საჯარო გადაცემას ამ დებულებების მნიშვნელობით.

მეორე შეკითხვა

40. პირველ კითხვაზე გაცემული პასუხის გათვალისწინებით, მეორე კითხვაზე პასუხის გაცემა საჭირო არ არის.

ხარჯები

41. ვინაიდან ეს პროცესი ძირითადი პროცესის მხარეებისთვის ეროვნული სასამართლოს ფარგლებში მიმდინარე დავის ნაწილია, ხარჯებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ამ სასამართლოს ეკუთვნის. სასამართლოსთვის მოსაზრების წარდგენისთვის გაწეული ხარჯები, გარდა ამ მხარეების ხარჯებისა, არ ანაზღაურდება.

ამ საფუძვლებზე დაყრდნობით სასამართლო (მეხუთე პალატა) ადგენს:

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის 2001/29/EC ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ დირექტივის 3(1) მუხლი და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 12 დეკემბრის 2006/115/EC ქირავნობისა და თხოვების უფლებისა და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული გარკვეული უფლებების შესახებ დირექტივის 8(2) მუხლი განიმარტოს ისე, რომ რადიომიმღებებით აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალებების გაქირავება არ წარმოადგენს საჯარო გადაცემას ამ დებულებების მნიშვნელობით.

C-402/85 Basset

სასამართლოს 1987 წლის 9 აპრილის გადაწყვეტილება. - G. Basset v Société des auteurs, compositeurs et éditeurs de musique (SACEM). - მიმართვა წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად: Cour d'appel de Versailles - საფრანგეთი. - საავტორო უფლებების მართვა - შეუსაბამობა ეროვნულ კანონებს შორის. - საქმე 402/85.

ევროპული სასამართლოს მოხსენებები 1987 გვერდი 01747

საკვანძო სიტყვები

1. საქონლის თავისუფალი გადაადგილება – სამრეწველო და კომერციული საკუთრება – საავტორო უფლება – ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც იძლევა იმპორტირებული ხმის ჩანაწერების საჯარო სარგებლობისთვის გადასახადის დაწესების შესაძლებლობას, შესრულების ჰონორარზე დამატებით, როდესაც ასეთი ჰონორარი არ არის გათვალისწინებული წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობით – დასაშვებობა

(EEC ხელშეკრულება, მუხლები 30 და 36)

2. კონკურენცია – დომინანტური პოზიცია – საავტორო უფლებების მართვის საზოგადოება, რომელიც სარგებლობს DE FACTO მონოპოლიით – გადასახადი, იმპორტირებული ხმის ჩანაწერების საჯარო გამოყენებაზე, როცა ასეთი გადასახადი არ არის გათვალისწინებული წარმოშობის ქვეყნის კანონმდებლობით – უფლებების ბოროტად სარგებლობის არარსებობა

(EEC ხელშეკრულება, მუხლი 86)

საქმის მოკლე მიმოხილვა

1. EEC ხელშეკრულების 30-ე და 36-ე მუხლები, თავისი ნამდვილი შინაარსით, არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ეროვნული კანონმდებლობით საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას მიეცეს უფლება დააწესოს ჰონორარი – „დამატებითი მექანიკური რეპროდუცირების საფასური“ ხმის ჩანაწერების საჯარო შესრულების ჰონორართან ერთად, მაშინაც კი, როდესაც ასეთი დამატებითი საფასური არ არის გათვალისწინებული წევრ სახელმწიფოში, სადაც ეს ხმოვანი ჩანაწერები კანონიერად განთავსდა ბაზარზე.

2. EEC-ის ხელშეკრულების 86-ე მუხლში მითითებული აკრძალვები არ ვრცელდება საავტორო უფლებების მართვის ეროვნული ორგანიზაციების საქმიანობაზე, უბრალოდ იმიტომ, რომ იგი ადგენს საფასურს „მექანიკური რეპროდუცირების დამატებით საფასურს“ ხმოვანი ჩანაწერების საჯარო შესრულების საფასურთან ერთად, მაშინაც კი, როდესაც ასეთი დამატებითი საფასური არ არის გათვალისწინებული იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც ეს ხმის ჩანაწერები კანონიერად განთავსდა ბაზარზე.

მხარეები

402/85 საქმეში

მიმართვა სასამართლოზე EEC ხელშეკრულების 177-ე მუხლის მიხედვით, COUR d'APPEL (სააპელაციო სასამართლო),

G. BASSET, ადგილსამყოფელი FREJUS (საფრანგეთი),

და

SOCIETE DES AUTEURS, COMPOSITEURS ET EDITEURS DE MUSIQUE (SACEM), პარიზი,

EEC ხელშეკრულების 30-ე, 36-ე და 86-ე მუხლების ინტერპრეტაციის შესახებ,

სასამართლო:

შემადგენლობა: ლორდი მაკენზი სტიუარტი, თავმჯდომარე, ტ.*ფ. ო'ჰიგინსი და ფ. შოკვეილერი (პალატების თავმჯდომარეები), გ . ბოსკო, ტ. კუპმანსი, ო. კუთვნილი, კ. ბაჰლმანი, რ. ჯოლიეტა და გ.*სი. როდრიგეს იგლესიასი, მოსამართლეები,

გენერალური ადვოკატი: კ.*ო. ლენცი

რეგისტრატორი: ბ. პასტორი, ადმინისტრატორი

იმ პოზიციების განხილვის შემდეგ, რომლებიც წარმოდგენილია:

G. BASSET, მომჩივანი მთავარ წარმოებაში, წარმოდგენილი: პ. მონტიე, პარიზის ადვოკატთა ასოციაციიდან,

SACEM, მოპასუხე მთავარ წარმოებაში, წარმოდგენილი: ო. კარმეტი და გ. კიჟმანი, პარიზის ადვოკატთა ასოციაციიდან,

საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც წარმოადგენს ე. ბელიარდი და ჯ. მიარდი, აგენტის როლი,

იტალიის რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც წარმოადგენს ლ. ფერარი ბრავო, SERVIZIO DEL CONTENZIOSO DIPLOMATICO-ს ხელმძღვანელი, აგენტის მოვალეობის შემსრულებელი, დამხმარე ო. ფიუმარა, ავვოკატო დელო შტატი,

ევროპული საზოგადოებების კომისია, რომელსაც წარმოადგენს გ. მარენკო, მისი იურიდიული დეპარტამენტის წევრი, რომელიც მოქმედებს როგორც აგენტი,

1986 წლის 17 დეკემბრის მოსმენის ანგარიშის გათვალისწინებით

1987 წლის 24 თებერვალს სხდომაზე წარმოდგენილი გენერალური ადვოკატის აზრის მოსმენის შემდეგ,

იღებს შემდეგ

გადაწყვეტილებას:

საფუძვლები

1. 1985 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით, რომელიც წარდგენილ იქნეს სასამართლოში 1985 წლის 5 დეკემბერს, ვერსალის სააპელაციო სასამართლომ (სააპელაციო სასამართლო), მიმართა წინასწარი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე ხელშეკრულების 30-ე, 36-ე და 86-ე მუხლების ინტერპრეტაციის თაობაზე. კერძოდ, რამდენად თავსებადია ისინი საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოების გამოყენებისას „მექანიკური რეპროდუცირების დამატებითი საფასურის“ დაწესებასთან.

2. ეს კითხვები წამოიჭრა ბატონ ბასეტს, რომელიც ფლობს დისკოთეკას ფრეჟუსში, და SACEM-ს შორის მიმდინარე დავაში. SACEM-ის მტკიცებით, ბატონი ბასეტის დისკოთეკაზე ჟღერდა SACEM-ის რეპერტუარში შემავალი ნაწარმოებები მასთან შეთანხმებული ჰონორარის გადახდის გარეშე. Sacem-მა ბასეტის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა ტრიბუნალ დე გრანდეს წინაშე (რეგიონული სასამართლო). სასამართლომ ბატონ ბასეტს დაავალა ჰონორარის გადახდა. ბატონმა ბასეტმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა იმ საფუძვლით, რომ კონტრაქტები, რომლებზეც დაფუძნებული იყო პრეტენზია, ბათილი იყო კონკურენციის შესახებ ეროვნულ და რეგიონულ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობის გამო.

3. ვერსალის სააპელაციო სასამართლომ, რომელსაც ეს საკითხი გადაეგზავნა AIX-EN-PROVENCE-ის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ, დაადგინა, რომ ბ-ნი ბასეტის სარჩელის საფუძველს წარმოადგენდა „დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება“ და „არაკანონიერი შეთანხმება“ და რომ აუცილებელი იყო ამ პრეტენზიების განხილვა არა მხოლოდ საფრანგეთის სამართლის, არამედ ევროკავშირის სამართლის, კერძოდ, ხელშეკრულების 85-ე და 86-ე მუხლების ჭრილში.

4. 85-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ Sacem-მა გააფორმა ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებები უცხოური საავტორო უფლებების მართვის საზოგადოებების უმეტესობასთან, რომლის თანახმად, თითოეული საზოგადოება უფლებამოსილია შეაგროვოს ჰონორარი ერთმანეთის რეპერტუარში შემავალ ნაწარმოებებზე. ამგვარი ჰონორარი უნდა შეგროვდეს თითოეულ ქვეყანაში ამ ქვეყნის ნორმალური პირობების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კონტრაქტები შეიძლება ჩაითვალოს როგორც „შეთანხმებები საწარმოებს შორის“ 85-ე მუხლის მიზნებისთვის, ისინი გავლენას ვერ ახდენენ ევროკავშირის ბაზარზე კონკურენციის დამახინჯების კუთხით. ურთიერთწარმომადგენლობის სისტემა ვერ იმოქმედებს საავტორო უფლებების ჰონორარის ოდენობაზე თითოეულ ქვეყანაში და, სავარაუდოდ, თავისი ბუნებით, შეამცირებს ჰონორარის შეგროვებისა და დაცული ნაწარმოებების გამოყენების მონიტორინგის ხარჯებს, ავტორებისა და მოსარგებლეების სასარგებლოდ.

5. 86-ე მუხლთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ SACEM-ს აქვს დე ფაქტო მონოპოლია და, შესაბამისად, იკავებს დომინანტურ პოზიციას ბაზარზე. ბატონი ბასეტი ამტკიცებს, რომ SACEM-მა ბოროტად გამოიყენა ეს დომინანტური პოზიცია ორ ასპექტში: უპირველეს ყოვლისა, ჰონორარის ტარიფი, დისკოთეკის მთლიანი ბრუნვის 8,25% არის ზედმეტად დიდი. მეორეც, ეს მაჩვენებელი - 8.25% - მოიცავს „დამატებითი მექანიკური გამრავლების საფასურს“ - 1.65%-ს, რომელიც დარიცხულია იმავე საფუძველზე, როგორც დანარჩენი ჰონორარი, ნაწარმოების საჯაროდ გამოყენებისთვის.

6. პირველ პუნქტში, სააპელაციო სასამართლო არ იზიარებს პრეტენზიას, რომ ჰონორარის განაკვეთი 8.25% არის უსამართლო ფასი. მას მიაჩნია, რომ, მართალია, ეს გადასახადი მაღალია სხვა ქვეყნებში არსებულ ტარიფებთან შედარებით, მაგრამ არ არის გადაჭარბებული იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დისკოთეკები იყენებენ უამრავ მუსიკას. მუსიკის გამოუყენებლობის შემთხვევაში ისინი ავტომატურად დაიხურებიან.

7. მეორე საკითხზე, სააპელაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, აცხადებს, რომ, საფრანგეთის კანონმდებლობის თანახმად, ავტორის უფლებები მისი ნაწარმოების გამოყენებაზე მოიცავს შესრულების უფლებას და რეპროდუცირების უფლებას. შესრულება განისაზღვრება, როგორც ნაწარმოების საზოგადოებასთან კომუნიკაცია, კერძოდ, მისი გავრცელება ნებისმიერი საშუალებით; რეპროდუცირება არის ნაწარმოების მატერიალური ფორმით დაფიქსირება ნებისმიერი მეთოდით, რომელიც საზოგადოებასთან მისი არაპირდაპირი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა. მაგალითად,

მექანიკური ჩაწერით. მუსიკის შემთხვევაში, რეპროდუცირების უფლება ჩვეულებრივ ენიჭება ხმოვანი ჩანაწერების მწარმოებელს, ხოლო ჰონორარი გაიცემა, როდესაც ჩანაწერები განთავსდება ბაზარზე. თუმცა, SACEM-ის მიერ დისკოთეკებზე დარიცხული ჰონორარის 8,25% შეადგენს შესრულების უფლების ფასს, 6,60%-ის ოდენობით და „დამატებითი“ რეპროდუცირების ჰონორარს 1,5%-ის ოდენობით.

8. სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ერთდროულად შესრულების და რეპროდუცირების დამატებითი საფასურის გადახდევინება გამართლებულია საფრანგეთის კანონმდებლობით, რომელიც ავტორს უფლებას ანიჭებს, გადასცეს ხმოვანი ჩანაწერის მწარმოებელს რეპროდუცირების უფლება მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის ასლების დასამზადებლად და გადაახდევინოს დამატებითი მექანიკური რეპროდუცირების საფასური იმ პირებს, ვინც შეიძინა ნაწარმოების ასლი და ახდენს მის საჯარო გამოყენებას, რისი საფასურიც არ ყოფილა გადახდილი რეპროდუცირების ჰონორართან ერთად. თუმცა, სააპელაციო სასამართლო არ არის გარკვეული, არის თუ არა დამატებითი მექანიკური რეპროდუცირების საფასურის დაწესება შესაბამისობაში ევროკავშირის კანონმდებლობასთან. კერძოდ, როცა ხმოვანი ჩანაწერები იმპორტირებულია სხვა წევრი სახელმწიფოსგან, სადაც ისინი კანონიერად იყო განთავსებული ბაზარზე და როცა ამ ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ ერთჯერადი შესრულების ჰონორარს, საფრანგეთში დამატებითი გადასახადის დაწესება შესაძლოა წინააღმდეგობაში იყოს საქონლის თავისუფალი გადაადგილების პრინციპთან.

9. ამ პრობლემების გადაჭრის მიზნით, სააპელაციო სასამართლომ მიმართა სასამართლოს ორ შეკითხვაზე წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად, რათა განესაზღვრა, არის თუ არა 30-ე და 36-ე მუხლები ან 86-ე მუხლი განმარტებული ისე, რომ: კოლექტიური მართვის ორგანიზაცია, რომელიც სარგებლობს დე ფაქტო მონოპოლიით მისი რეპერტუარის დასაცავად და დაკავშირებულია უცხოურ ორგანიზაციებთან ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებებით, არ არის უფლებამოსილი, დააკისროს მოსარგებლეს დამატებითი ჰონორარი (ე.წ. მექანიკური რეპრო-დუცირების დამატებითი საფასური) ნაწარმოებების საჯარო შესრულებისთვის იმ უცხოური საზოგადოებების რეპერტუარებიდან ხმოვანი ჩანაწერების შესრულებისას, რომლებიც თავისუფალ მიმოქცევაშია იმ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

10. მითითება გაკეთებულია მოსმენის მოხსენებაზე, რომელშიც განხილული იყო ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებთან დაკავშირებით საფრანგეთის კანონმდებლობა, და პოზიციებზე, რომლებიც წარდგენილია სასამართლოში და რელევანტურია სასამართლოსთვის.

11. პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას, რომ ხმოვანი ჩანაწერები არის პროდუქტი, რომლებიც ექცევა საქონლის თავისუფალი გადაადგილების პრინციპის ქვეშ და ხელშეკრულების 30-ე მუხლი, შესაბამისად, კრძალავს ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებას, რომელიც საშუალებას აძლევს საავტორო უფლებების მმართველ ორგანიზაციებს, საავტორო უფლებების მფლობელს აუკრძალოს ჩანაწერების იმპორტი. ამასთან, ხელშეკრულების 36 -ე მუხლი ითვალისწინებს, რომ 30-ე მუხლი არ გამორიცხავს იმპორტის შეზღუდვას სამრეწველო და კომერციული საკუთრების დაცვის საფუძ-ველზე. გამოხატულება, რომელიც დაცულია საავტორო უფლებებით, 36-ე მუხლის მეორე წინადადების თანახმად, ასეთი შეზღუდვები არ უნდა წარმოადგენდეს თვითნებური დისკრი-მინაციის საშუალებას ან წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის შენიღბულ შეზღუდვას.

12. ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ „დამატებითი მექანიკური რეპრო-დუცირების საფასური“, რომელსაც ეხება წინასწარი გადაწყვეტილების კითხვები, არ არის დაკისრებული იმპორტის გამო, არამედ დაწესებულია ნაწარმოებების საჯარო გამოყენებისთვის, მაგალითად, რადიოსადგურების, დისკოთეკების ან ისეთი მოწყობილობის მეშვეობით, როგორიც

არის ჯუკბოქსი, რომელიც დამონტაჟებულია საჯარო ადგილას. ეროვნული სასამართლოს მიერ წამოჭრილი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ასეთ ვითარებაში ჰონორარი ეკისრება შესრულების ჰონორართან ერთად.

13. ეროვნული სასამართლო კითხულობს, კრძალავს თუ არა ხელშეკრულების 30-ე, 36-ე ან 86-ე მუხლი საერთო საფასურის დაკისრებას, როცა ხმის ჩანაწერები წარმოებული და ბაზარზე განთავსებული იყო წევრ სახელმწიფოში, სადაც არ არსებობს ასეთი საერთო საფასური ნაწარმოების საჯარო გამოყენებისთვის. ეს შესამოწმებელი საკითხია.

14. უდავოა, რომ, ჩვეულებრივ, საავტორო უფლებების მართვის კუთხით, მექანიკური რეპრო-დუცირების დამატებითი საფასურისა და შესრულების გაერთიანებული ჰონორარი დაწესებულია ყველა ნაწარმოებისთვის, მიუხედავად იმისა, ეს ჩანაწერები ფრანგული წარმოშობისაა თუ დამზადებულია სხვა წევრ სახელმწიფოში. მართალია, რომ საჯარო გამოყენებამ სხვა წევრ სახელმწიფოში შეიძლება წარმოშვას მხოლოდ შესრულების ჰონორარის შეგროვების უფლება ავტორისა და ჩანაწერის მწარმოებლის სასარგებლოდ, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ჰონორარის განაკვეთი ან მისი ფუნქცია საფრანგეთში განსხვავებულია.

15. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საფრანგეთის კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიერ გამოყენებული ცნებების მიუხედავად, დამატებითი მექანიკური რეპროდუცირების საფასური შეიძლება გაანალიზდეს, როგორც ნაწარმოების საჯარო შესრულებისთვის დადგენილი ჰონორარის ნაწილი. მით უმეტეს, რომ ამ ჰონორარის ოდენობა, ისევე როგორც შესრულების საფასურის ოდენობა, მკაცრად განისაზღვრება დისკოთეკის ბრუნვის საფუძველზე და არა ნაყიდი ჩანაწერების რაოდენობის მიხედვით.

16. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საფასურის დაწესებას შეეძლო შეეზღუდა იმპორტი, ის არ არის ზომა, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების 30-ე მუხლით. ის საავტორო უფლებების ჩვეულებრივი გამოყენებაა და არა თვითნებური დისკრიმინაციის საშუალება ან ვაჭრობის ფარულად შეზღუდვა წევრ სახელმწიფოებს შორის ხელშეკრულების 36-ე მუხლის მიზნებისთვის.

17. მაშასადამე, პირველ კითხვაზე პასუხი უნდა იყოს ის, რომ EEC ხელშეკრულების 30-ე და 36-ე მუხლები არ გამორიცხავენ ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებას, რომელიც საშუალებას იძლევა, გარდა შესრულების ჰონორარისა, კოლექტიური მართვის ორგანიზაციებმა დააწესონ მექანიკური რეპროდუცირების დამატებითი საფასური ხმოვანი ჩანაწერების საჯარო შესრულებაზე, მაშინაც კი, როდესაც ასეთი დამატებითი საფასური არ არის გათვალისწინებული იმ წევრ სახელმწიფოში, რომელშიც ისინი კანონიერად განთავსდა ბაზარზე.

18. მეორე კითხვასთან დაკავშირებით, გამომდინარეობს, რომ საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის მიერ მისთვის ეროვნული კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით ბოროტად არ სარგებლობს დომინანტური პოზიციით ხელშეკრულების 86-ე მუხლის მნიშვნელობით.

19. თუმცა, შეუძლებელი არ არის, რომ ჰონორარის ან გაერთიანებული ჰონორარის ოდენობა, რომელსაც მმართველი ორგანიზაცია აწესებს საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე, შეიძლება იყოს ისეთი, რომ მოექცეს 86-ე მუხლის მოქმედების ფარგლებში. ეროვნულმა სასამართლომ, რომელსაც აქვს ექსკლუზიური იურისდიქცია, დაადგინოს საქმის ფაქტები ხელშეკრულების მე-17 მუხლის მიხედვით ინტერპრეტაციული გადაწყვეტილების პროცედურების ფარგლებში, დაადგინა, რომ ხელშეკრულების მე-17 მუხლის მიხედვით უნდა დადგინდეს საქმის

ფაქტები. შესაბამისად, თუ ეს ორგანიზაცია ბოროტად გამოიყენებდა დომინანტურ პოზიციას ბაზარზე, მისი საქმიანობა წინააღმდეგობაში მოვიდოდა 86-ე მუხლთან.

20. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში ეროვნულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ საფრანგეთის დისკოთეკებისთვის SACEM-ის მიერ დადგენილი ჰონორარის ოდენობა უსამართლო არ იყო. თავის წერილობით პოზიციაში კომისიამ მიუთითა, რომ იგი აწარმოებდა ზოგად მოძიებას SACEM-ის მიერ ფრანგული დისკოთეკებისთვის დადგენილი ჰონორარის ოდენობისა და შეფასების საფუძველთან დაკავშირებით. თუმცა, ჰონორარის ოდენობა არ იყო ეროვნული სასამართლოსთვის მიმართვის ფარგლებში განსახილველი საკითხი.

21. მეორე კითხვაზე პასუხი უნდა იყოს, რომ EEC ხელშეკრულების 86-ე მუხლში მითითებული, სათანადოდ ჩამოყალიბებული აკრძალვები, არ ვრცელდება საავტორო უფლებების დაცვის კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის საქმიანობაზე, როცა ის ადგენს მექანიკური რეპროდუცირების დამატებით საფასურს შესრულების ჰონორართან ერთად, ხმოვანი ჩანაწერების საჯარო შესრულებისთვის მაშინაც კი, როდესაც ასეთი დამატებითი საფასური არ არის გათვალისწინებული იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც ეს ჩანაწერები კანონიერად განთავსდა ბაზარზე.

გადაწყვეტილება ხარჯების შესახებ

ხარჯები

22. საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის, იტალიის რესპუბლიკის მთავრობისა და კომისიის მიერ გაწეული ხარჯები, რომლებმაც მოსაზრებები წარუდგინეს სასამართლოს, არ არის ანაზღაურებადი. რადგან საქმის წარმოება ეხება მხარეებს ძირითად სამართალწარმოებაში, ხარჯების საკითხი ეროვნული სასამართლოს გადასაწყვეტია.

საოპერაციო ნაწილი

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე

სასამართლომ

1985 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ვერსალის სასამართლოს მიერ მითითებულ კითხვებზე პასუხად, გადაწყვიტა:

(1) EEC ხელშეკრულების 30-ე და 36-ე მუხლები, თავისი შინაარსით, არ გამორიცხავენ ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებას, რომელიც უფლებას აძლევს ეროვნულ საავტორო უფლებათა კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას დაადგინოს მექანიკური რეპროდუცირების დამატებითი საფასური შესრულების ჰონორართან ერთად ხმოვანი ჩანაწერების საჯარო შესრულებისთვის, მაშინაც კი, როდესაც ასეთი დამატებითი საფასური არ არის გათვალისწინებული იმ წევრ სახელმწიფოში, რომელშიც ეს ხმოვანი ჩანაწერები კანონიერად განთავსდა ბაზარზე.

(2) EEC ხელშეკრულების 86-ე მუხლში მითითებული აკრძალვები არ ვრცელდება საავტორო უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ეროვნული ორგანიზაციების საქმიანობაზე მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ადგენს, შესრულების ჰონორარის გარდა, მექანიკური რეპროდუცირების დამატებით საფასურს ხმოვანი ჩანაწერების საჯარო შესრულებისთვის მაშინაც კი, როდესაც ასეთი დამატებითი საფასური არ არის გათვალისწინებული იმ წევრ სახელმწიფოში, რომელშიც ეს ხმოვანი ჩანაწერები კანონიერად განთავსდა ბაზარზე.

C-494/15 Tommy Hilfiger

სასამართლოს გადაწყვეტილება (მეორე პალატა)

2016 წლის 7 ივლისი

„მიმართვა წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად – კანონების დაახლოება – დირექტივა 2004/48/EC – ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულება – ცნება „შუამავალი, რომლის მომსახურებაც გამოიყენება მესამე პირების მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლების დასარღვევად“ – სავაჭრო სივრცის მოიჯარე, სავაჭრო სივრცის ქვეიჯარით გადაცემა – აკრძალვის შესაძლებლობა მეიჯარის მიმართ - მუხლი 11.

საქმეში C 494/15,

მოთხოვნა წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანისთვის TFEU-ს 267-ე მუხლის საფუძველზე Nejvyšší soud-ისგან (უზენაესი სასამართლო, ჩეხეთის რესპუბლიკა), მიღებული 2015 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებით, წარმოდგენილი სასამართლოში 2015 წლის 21 სექტემბერს.

Tommy Hilfiger Licensing LLC,

Urban Trends Trading BV,

Rado Uhren AG,

Facton Kft.,

Lacoste S.A.,

Burberry Ltd

დელტა ცენტრი ა. ს.-ს წინააღმდეგ

სასამართლო (მეორე პალატა),

შემადგენლობა: მ. ილეშიჩი (მომხსენებელი), პალატის პრეზიდენტი, კ. ტოადერი, ა. როსასი, ა. პრეჩალი და ე. იარაშიუნასი - მოსამართლეები,

გენერალური ადვოკატი: მ. ვატელეტი,

რეგისტრატორი: ა. კალოტ ესკობარი,

წერილობითი პროცედურის გათვალისწინებით, შემდეგი პირების სახელით წარდგენილი პოზიციების განხილვის საფუძველზე:

- Tommy Hilfiger Licensing LLC, Urban Trends Trading BV, Rado Uhren AG, Facton Kft., Lacoste SA და Burberry Ltd, წარმომადგენელი: ლ. ნეუსტუპნა, ადვოკატი,
- ჩეხეთის მთავრობა, წარმომადგენლები: მ. სმოლეკი და ი. ვლაჩილი, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები,
- საფრანგეთის მთავრობა, წარმოდგენილი დ. კოლასისა და დ. სეგოინის მიერ, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები,
- ევროკომისია, წარმოდგენილი ფ. ვილმანისა და პ. ნემეჩკოვას მიერ, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები,

გადაწყვიტა რა, ადვოკატის მოსმენის შემდეგ გადაწყვეტილება გამოეტანა მისი წერილობითი პოზიციის გარეშე,

მიიღო შემდეგი

გადაწყვეტილება

1. ეს მოთხოვნა წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/48/EC დირექტივის მე-11 მუხლის ინტერპრეტაციას (OJ 2004 L 157, გვ. 45, და corrigendum OJ 2004 L 195, გვ.16).

2. მოთხოვნა განხორციელდა სამართალწარმოებაში, რომელიც მიმდინარეობდა (i) Tommy Hilfiger Licensing LLC, Urban Trends Trading BV, Rado Uhren AG, Facton Kft., Lacoste SA და Burberry Ltd-სა და (ii) Delta Center a.s. შორის მათი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის თაობაზე.

სამართლებრივი კონტექსტი

ევროკავშირის კანონმდებლობა

2004/48 დირექტივის მე-10 და 23-ე პუნქტები ადგენს:

(10) ამ დირექტივის მიზანია [წევრი სახელმწიფოების] საკანონმდებლო სისტემების დაახლოება ისე, რომ უზრუნველყოს მაღალი, ეკვივალენტური და ერთგვაროვანი დაცვის დონე შიდა ბაზარზე.

…

(23) …უფლებათა მფლობელებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მოითხოვონ შუამავლის წინააღმდეგ აკრძალვის გამოყენება, რომლის მომსახურებასაც მესამე მხარე იყენებს უფლების მფლობელის სამრეწველო საკუთრების უფლების დასარღვევად. ასეთი აკრძალვის გამოყენების პირობები და პროცედურები უნდა მოწესრიგდეს წევრი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობებით. რაც შეეხება საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევას, ჰარმონიზაციის მაღალი ხარისხი უკვე გათვალისწინებულია ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის 2001/29/EC ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ დირექტივით. შესაბამისად, 2001/29/EC დირექტივის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტს ეს დირექტივა არ უნდა შეეხოს“.

4. 2004/48 დირექტივის მე-2 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს დირექტივის მოქმედების სფეროს, პირველ პუნქტში ადგენს:

[ევროკავშირის] ან ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ საშუალებებთან წინააღმდეგობის გარეშე, რამდენადაც ეს საშუალებები შეიძლება იყოს უფრო ხელსაყრელი უფლების მფლობელებისთვის, ამ დირექტივით გათვალისწინებული ზომები, პროცედურები და დაცვის საშუალებები გამოიყენება... ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ნებისმიერი დარღვევისას, როგორც ეს გათვალისწინებულია [ევროკავშირის] კანონმდებლობით და/ან შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით“.

5. 2004/48 დირექტივის II თავი, „ზომები, პროცედურები და დაცვის საშუალებები“, შეიცავს ექვს ნაწილს, რომელთაგან პირველი, „ზოგადი დებულებები“, მოიცავს მე-3 მუხლს, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

„1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ზომებს, პროცედურებსა და დაცვის საშუალებებს, რომლებიც აუცილებელია ამ დირექტივით გათვალისწინებული ინტელექტუალური საკუთრების

უფლებების აღსრულების უზრუნველსაყოფად. ეს ზომები, პროცედურები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები უნდა იყოს სამართლიანი და პროპორციული, არ უნდა იყოს ზედმეტად რთული ან ძვირი, არაგონივრულად არ უნდა იწელებოდეს დროში და არ უნდა მოჰყვეს არაგონივრული დაგვიანებები.

2. ეს ზომები, პროცედურები და საშუალებები... უნდა იყოს ეფექტიანი, პროპორციული და დამაბრკოლებელი და გამოყენებული უნდა იქნეს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული ლეგიტიმური ვაჭრობისთვის ბარიერების შექმნა...“

6. 2004/48 დირექტივის II თავის მე-5 ნაწილის სათაურია „საქმის არსებითად გადაწყვეტის შედეგად მიღებული ზომები“. იგი მოიცავს მე-10-მე-12 მუხლებს სახელწოდებით, „მაკორექტირებელი ზომები“, „აკრძალვები“ და „ალტერნატიული ზომები“.

7. 2004/48 დირექტივის მე-11 მუხლის მიხედვით:

„წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ როდესაც სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის შესახებ, სასამართლომ შეიძლება გამოსცეს დამრღვევის წინააღმდეგ განკარგულება, რომელიც მიზნად ისახავს დარღვევის გაგრძელების აკრძალვას. ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ბრძანების შეუსრულებლობა, საჭიროების შემთხვევაში, ექვემდებარება განმეორებით ჯარიმას, აკრძალვის შესრულების უზრუნველსაყოფად. წევრმა სახელმწიფოებმა, ასევე, უნდა უზრუნველყონ, რომ უფლებების მფლობელებს შეეძლოთ აკრძალვას მიმართონ შუამავლების წინააღმდეგ, რომელთა მომსახურებასაც მესამე მხარე იყენებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დასარღვევად, 2001/29/EC დირექტივის 8(3) მუხლის შელახვის გარეშე“.

8. 2001/29 დირექტივის 8(3) მუხლი ადგენს:

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ უფლებების მფლობელებს შეეძლოთ მოითხოვონ დამრღვევი ქმედების აკრძალვა შუამავლების მიმართ, რომელთა მომსახურებას მესამე მხარე იყენებს საავტორო ან მომიჯნავე უფლების დასარღვევად.

ჩეხეთის კანონმდებლობა

9. სასამართლოს წინაშე არსებული დოკუმენტების მიხედვით, 2004/48 დირექტივის მე-11 მუხლი გადატანილ იქნეს ჩეხეთის კანონმდებლობაში კანონის მე-4 მუხლით. 221/2006 (კანონი № 221/2006 ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან შესაბამისობის შესახებ; „კანონი №221/2006“).

10. 221/2006 კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს:

[ინტელექტუალური საკუთრების] უფლებების დაუსაბუთებელი დარღვევის შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, რათა აიძულოს დამრღვევი, თავი შეიკავოს უფლების დამრღვევი ან დარღვევაზე ზეგავლენის მქონე ქმედებებისგან და მოითხოვოს ასეთი ქმედებების შედეგების აღმოფხვრა...“

11. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაზარალებულ მხარეებს, ასევე, შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს მინიჭებული უფლებების აღსრულების მოთხოვნით, ასევე, „ნებისმიერი პირის მიმართ, რომლის საშუალებებს ან მომსახურებას მესამე მხარე იყენებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დასარღვევად“.

ძირითადი დავის საგანი და წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად დასმული კითხვები

12. დელტა ცენტრი არის სავაჭრო სივრცის სახელწოდებით "Pražská tržnice" (პრაღის ბაზრობის დარბაზები, ჩეხეთი) მეიჯარე. ის ბაზრის მოვაჭრეებს ქვეიჯარით აძლევს ამ სივრცეში მდებარე სხვადასხვა გაყიდვების ზონებს. ამ ბაზრის მოვაჭრეებთან დადებული ქირავნობის ხელშეკრულებები ამ უკანასკნელთ აკისრებს ვალდებულებას, დაიცვან წესები, რომელსაც ექვემდებარება მათი საქმიანობა. გარდა ამისა, მათ ურიგდებათ ბროშურა, რომელიც დაწერილია ჩეხურ და ვიეტნამურ ენებზე, რომელშიც არის სიტყვები „გაფრთხილება მოვაჭრეებისთვის“. ამ ბროშურაში ნათქვამია, რომ კონტრაფაქციული საქონლის გაყიდვა აკრძალულია და შეიძლება გამოიწვიოს სავაჭრო ფართის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა.

13. მთავარ სამართალწარმოებაში განმცხადებლები აწარმოებენ და ავრცელებენ ბრენდის პროდუქტებს. დაადგინეს, რომ მათი საქონლის კონტრაფაქცია იყიდებოდა „პრაღის ბაზრობის დარბაზებში“, მათ საქმე მიიტანეს Městský soud v Praze-ში (საქალაქო სასამართლო, პრაღა) და სთხოვეს მას, inter alia, Delta Center-ისთვის დაევალებინა შემდეგი:

– თავი შეიკავონ ამ დარბაზებში გასაყიდი ფართის ქირავნობის შესახებ კონტრაქტის დადებისა და გაგრძელებისგან იმ პირებთან, რომელთა საქმიანობაც სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიჩნეული იყო განცხადებაში მითითებულ სასაქონლო ნიშნებზე უფლებების დარღვევად ან ქმნიდა დარღვევის რისკს.
– თავი შეიკავონ ისეთი კონტრაქტების გაფორმებისგან ან გახანგრძლივებისგან, რომელშიც კონტრაქტების პირობები არ მოიცავს ბაზრის მოვაჭრეების ვალდებულებას, თავი შეიკავონ განმცხადებლების ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევისგან ან პუნქტისგან, რომლის მიხედვითაც დელტა ცენტრმა შეიძლება შეწყვიტოს ხელშეკრულება ამ უფლებების დარღვევის ან რისკის გამოვლენის შემთხვევაში.
– განმცხადებლების მიერ აღწერილ ზოგიერთ სიტუაციაში წერილობით წარადგინოს აღიარება და გამოაქვეყნოს ანგარიში, საკუთარი ხარჯებით, Hospodářské noviny ჟურნალში.

14. 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით, Městský soud v Praze-მ (საქალაქო სასამართლო, პრაღა) არ დააკმაყოფილა ეს განცხადება აკრძალვის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დელტა ცენტრი არის „პირი, რომლის საშუალებებს ან მომსახურებას იყენებს მესამე მხარე“ 221/2006 კანონის 4(3) მუხლის მნიშვნელობით, სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა განმცხადებლების უფლებების ხელყოფა ან დარღვევის რისკი, იმის გათვალისწინებით, რომ მყიდველებისთვის აშკარა იყო, რომ საქონელი იყო კონტრაფაქციული და, შესაბამისად, მისი არც წარმოება და არც დისტრიბუცია არ ხდებოდა მოსარჩელეების მიერ.

15. განმცხადებლებმა გაასაჩივრეს ეს გადაწყვეტილება პრაღის უმაღლეს სასამართლოში.

16. 2012 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით, პირველი სასამართლოსგან განსხვავებული საფუძვლებით, უმაღლესმა სასამართლომ ძალაში დატოვა აკრძალვის გამოყენებაზე უარი. ამ სასამართლოს აზრით, 221/2006 კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული სიტყვების „საშუალების ან მომსახურების… გამოყენებული მესამე მხარის მიერ დარღვევის მიზნით“ და სიტყვების „მომსახურება… გამოყენებული მესამე მხარის მიერ“ ფართო ინტერპრეტაცია. 2004/48 დირექტივის მე-11 მუხლში მოხსენიებული ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევისას გამოიწვევს აბსურდულ სიტუაციებს, როდესაც, inter alia, ელექტროენერგიის მიწოდება ან კომერციული ლიცენზიის მინიჭება ბაზრის მოვაჭრეებისთვის ჩაითვლება, როგორც საშუალება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევისთვის.

17. მოსარჩელეებმა საჩივარი შეიტანეს Nejvyšší soud-ში (უზენაეს სასამართლოში).

18. ეს უკანასკნელი სასამართლო აღნიშნავს, რომ №221/2006 კანონის მე-4(3) მუხლის ფორმულირება შეესაბამება 2004/48 დირექტივის მე-11 მუხლის მესამე წინადადებას და აღნიშნავს, რომ ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ახორციელებს დირექტივის ტრანსფორმაციას, რამდენად შესაძლებელია, ინტერპრეტირებული იყოს ამ ტექსტის ფორმულირებისა და მიზნის გათვალისწინებით.

19. მაშასადამე, იმის გათვალისწინებით, რომ მის წინაშე არსებული დავა უნდა გადაწყდეს 2004/48 დირექტივის მე-11 მუხლის მესამე წინადადების ინტერპრეტაციის გათვალისწინებით, რომელიც მოცემულია სასამართლოს მიერ 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებაში L'Oréal და სხვები (C 324/09, EU:C:2011:474), Nejvyšší soud (უზენაესი სასამართლო) ადგენს, რომ დავა, რამაც გამოიწვია ეს ინტერპრეტაცია, ეხებოდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევას ონლაინ ბაზარზე. ჩნდება კითხვა, საჭიროა თუ არა ამ ინტერპრეტაციის დაცვა, როდესაც ინტელექტუალური საკუთრების უფლებები დაირღვა ფიზიკურ ბაზარზე.

20. ამ გარემოებებში, Nejvyšší soud-მა (უზენაესმა სასამართლომ) გადაწყვიტა შეჩერებულიყო საქმის წარმოება და მართლმსაჯულების სასამართლოსთვის მიემართა შემდეგი კითხვებით წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად:

(1) არის თუ არა პირი შუამავალი, რომელიც ბაზრობის ტერიტორიაზე იჯარით გასცემს სივრცეს, აწვდის ბაზრობის ცალკეულ მოვაჭრეებს სადგომებსა და დახლებს, რომლებზეც სადგომები შეიძლება განთავსდეს, რომლის მომსახურებასაც მესამე მხარე იყენებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევისთვის 2004/48 დირექტივის მე-11 მუხლის მნიშვნელობით?

(2) შეიძლება თუ არა იმ პირის მიმართ, რომელიც ბაზრობაზე იჯარით გასცემს სივრცეს, აწვდის ბაზრობის ცალკეულ მოვაჭრეებს სადგომებსა და დახლებს, რომლებზეც სადგომები შეიძლება განთავსდეს, გამოყენებულ იქნეს 2004/48 დირექტივის მე-11 მუხლით გათვალისწინებული ზომები იგივე პირობებით, როგორც ეს ჩამოყალიბებულია მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ [2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებაში L'Oréal and Others, C 324/09, EU:C:2011:474] ზომების დაწესებასთან დაკავშირებით ონლაინ ბაზრის ოპერატორებზე?

დასმული კითხვების განხილვა

პირველი შეკითხვა

21. პირველი კითხვით, მომმართველი სასამართლო არსებითად სვამს კითხვას, უნდა იქნეს თუ არა განმარტებული 2004/48 დირექტივის მე-11 მუხლის მესამე წინადადება, ისე, რომ ბაზრობის სივრცის მოიჯარე, რომელიც ამ სივრცეს ქვეიჯარით გასცემს მოვაჭრეებზე, რომლებიც სხვადასხვა სივრცეში ყიდიან ბრენდირებული პროდუქციის კონტრაფაქციას, არის „შუამავალი, რომლის მომსახურებასაც მესამე მხარე იყენებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დასარღვევად“.

22. დადგენილი სასამართლო პრაქტიკაა, რომ 2004/48 დირექტივის მე-11 მუხლის მესამე წინადადება, ისევე როგორც 2001/29 დირექტივის 8(3) მუხლი, რომელზეც იგი მიუთითებს, ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ, რომ შუამავალი, რომლის მომსახურებაც გამოიყენება მესამე პირების მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის მიზნით, კონკრეტულ გარემოებებთან მიმართებაში მისი პასუხისმგებლობის მიუხედავად, დაექვემდებარონ ზომების მიღებას, რომელიც მას დაავალდებულებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის აღკვეთას და პრევენციული ზომების მიღებას (იხ. L'Oréal and Others, C 324/09, EU:C:2011:474, პუნქტები 127-დან 134-მდე და 2011 წლის 24 ნოემბრის Scarlet Extended, C 70/10, EU. :C:2011:771, პარაგრაფები 30 და 31).

23. იმისთვის, რომ ეკონომიკური ოპერატორი მოხვდეს „შუამავლის“ კლასიფიკაციაში ამ დებულებების მნიშვნელობით, უნდა დადგინდეს, რომ ის უზრუნველყოფს სერვისს, რომელიც შეუძლია გამოიყენოს ერთმა ან რამდენიმე პირმა ერთი ან მეტი ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის მიზნით, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ მან შეინარჩუნოს კონკრეტული ურთიერთობა ამ პირებთან (იხილეთ, ამ მიზნით, 2014 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება UPC Telekabel Wien, C 314/12, EU:C:2014:192, პუნქტები 32 და 35).

24. ასეთი კლასიფიკაცია, ასევე, არ ექვემდებარება იმ პირობას, რომ ეკონომიკური ოპერატორი უზრუნველყოფს სხვა მომსახურებას, გარდა იმისა, რომელიც გამოიყენება მესამე მხარის მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის მიზნით.

25. რაც შეეხება ელექტრონულ კომერციას, სასამართლომ დაადგინა, რომ წვდომის პროვაიდერი, რომელიც უბრალოდ უშვებს ინტერნეტზე წვდომას სხვა სერვისების შეთავაზების ან მონიტორინგის განხორციელების გარეშე, უზრუნველყოფს სერვისს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირის მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევისთვის და უნდა შეფასდეს, როგორც „შუამავალი“ (იხ., ამასთან დაკავშირებით, 2009 წლის 19 თებერვლის ბრძანება LSG-Gesellschaft zur Wahrnehmung von Leistungsschutzrechten, C 557/07, EU:C:2009:107, პუნქტი 4202 და 4202 მარტის გადაწყვეტილება. UPC Telekabel Wien-ში, C 314/12, EU:C:2014:192, პარაგრაფი 32).

26. წინამდებარე საქმეში სადავო არ არის, რომ დელტა ცენტრი არის „Pražská tržnice“ ბაზრობის დარბაზების დამქირავებელი და ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც მოიცავს ამ ბაზრის დარბაზებში განთავსებული გაყიდვების პუნქტების ქვეიჯარას. ანაზღაურების სანაცვლოდ ასეთი საქმიანობა წარმოადგენს მომსახურების მიწოდებას.

27. არც ის არის სადავო, რომ ბაზრობის ზოგიერთი მოვაჭრე, რომელსაც დელტა ცენტრი ქვეიჯარით აძლევს გაყიდვების პუნქტებს, იყენებს მათ, რათა შესთავაზოს ვიზიტორებს ბრენდირებული პროდუქტების კონტრაფაქცია.

28. იმის დადგენის აუცილებლობის გარეშე, ხვდებიან თუ არა 2004/48 დირექტივის მე-11 მუხლის მესამე წინადადების მოქმედების სფეროში სხვა სერვისის პროვაიდერები, რომლებიც ჰიპოთეზურად არიან ნახსენები მითითებულ გადაწყვეტილებაში (მაგალითად: ელექტროენერგიის მიწოდება დამრღვევებისთვის), უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ოპერატორი, რომელიც მესამე პირებს უწევს მომსახურებას, რომელიც ეხება ბაზრობაზე სავაჭრო ფართის იჯარას ან ქვეიჯარას, სავაჭრო დახლებისა და სადგამების გაქირავებას, რომლის წყალობითაც მოვაჭრეებს აქვთ წვდომა ამ ბაზრობაზე და გასაყიდად სთავაზობენ ბრენდირებული საქონლის კონტრაფაქციას, უნდა შეფასდეს, როგორც „შუამავალი, რომლის მომსახურებასაც მესამე პირი იყენებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დასარღვევად“ ამ დებულების მნიშვნელობით.

29. ის ფაქტი, რომ გაყიდვების პუნქტებით უზრუნველყოფა ეხება ონლაინ ბაზარს ან ფიზიკურ ბაზარს, როგორიცაა ბაზრობა, ამ კუთხით არ არის რელევანტური. 2004/48 დირექტივიდან არ ჩანს, რომ დირექტივის მოქმედების სფერო შემოიფარგლება ელექტრონული კომერციით. გარდა ამისა, ამ დირექტივის მე-10 პუნქტში მითითებული მიზანი - შიდა ბაზარზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მაღალი, ეკვივალენტური და ერთგვაროვანი ხარისხის უზრუნველყოფა - არსებითად შესუსტდება, თუ ოპერატორი, რომელიც უზრუნველყოფს მესამე პირების წვდომას ფიზიკურ ბაზარზე, არ დაექვემდებარება დირექტივის მე-11 მუხლის მესამე წინადადებაში მითითებულ აკრძალვებს (რაც ძირითადი სამართალწარმოების საკითხია).

30. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ კითხვაზე პასუხი არის ის, რომ 2004/48 დირექტივის მე-11 მუხლის მესამე წინადადება უნდა იქნეს განმარტებული ისე, რომ ბაზრობის სივრცის

დამქირავებელი, რომელიც ამ სივრცეში განლაგებულ სხვადასხვა გაყიდვის პუნქტს გასცემს ქვეიჯარით მოვაჭრეებზე, რომელთაგან ზოგიერთი საკუთარ სივრცეს იყენებს კონტრაფაქციული საქონლის გასაყიდად, არის „შუამავალი, რომლის მომსახურებასაც მესამე პირი იყენებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დასარღვევად“.

მეორე შეკითხვა

31. მეორე კითხვით მომმართველი სასამართლო არსებითად სვამს კითხვას, უნდა იქნეს თუ არა განმარტებული 2004/48 დირექტივის მე-11 მუხლის მესამე წინადადება ისე, რომ შუამავალი, რომელიც ახორციელებს სავაჭრო სივრცის იჯარით გაცემის მომსახურებას, ექვემდებარება იგივე აკრძალვებს, რომელიც განსაზღვრულია სასამართლოს მიერ 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებაში L'Oréal and სხვები (C 324/09). , EU:C:2011:474).

32. იმ გადაწყვეტილების 135-ე პარაგრაფში, სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნა, რომ 2004/48 დირექტივის 23-ე პუნქტზე მითითებით, დირექტივის მე-11 მუხლის მესამე წინადადებით გათვალისწინებული წესები, რომლებიც უნდა უზრუნველყონ წევრმა სახელმწიფოებმა, როგორიც არის აკრძალვის მიღების პირობები და პროცედურა, ეროვნული კანონმდებლობის საკითხია.

33. შემდეგ სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული სამართლის ეს წესები უნდა იყოს შესაბამისობაში 2004/48 დირექტივის მიზნებთან. ამ მიზნით და ამ დირექტივის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ინსტრუქციები უნდა იყოს ეფექტური და ეფექტიანი (2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება L'Oréal and Others, C 324/09, EU:C:2011:474, პუნქტი. 136).

34. დაბოლოს, სასამართლომ დაადგინა, რომ აკრძალვები უნდა იყოს სამართლიანი და პროპორციული. ამიტომ ისინი არ უნდა იყოს ზედმეტად ძვირი და არ უნდა შექმნან ბარიერები ლეგიტიმური ვაჭრობისთვის. არ შეიძლება შუამავალს მოეთხოვოს, ასევე,ზოგადი და მუდმივი ზედამხედველობა თავის მომხმარებლებზე. ამის საპირისპიროდ, შუამავალს შეიძლება დაევალოს, მიიღოს ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს ერთი და იმავე ბაზრის მოვაჭრეების მიერ იმავე ხასიათის ახალი დარღვევების თავიდან აცილებას (იხ. 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება L'Oréal and Others, C. 324/09, EU:C:2011:474, პუნქტები 138-დან 141-მდე).

35. ამგვარად, სასამართლომ მიიჩნია, რომ 2004/48 დირექტივის მე-11 მუხლის მესამე წინადადების მიზნებისთვის ნებისმიერი აკრძალვა შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის უზრუნველყოფს სამართლიან ბალანსს ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და ლეგიტიმური ვაჭრობისთვის დაბრკოლებების არარსებობას შორის (იხ. 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება L'Oréal and Others, C 324/09, EU:C:2011:474, პუნქტი 143).

36. მართალია, საქმეში, რომელმაც განაპირობა 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება L'Oréal and Others-ში (C 324/09, EU:C:2011:474), სასამართლოს უნდა განემარტა 2004/48 დირექტივის მე-11 მუხლის მესამე წინადადება, კერძოდ, რომელი აკრძალვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს შუამავლის მიმართ ონლაინ სივრცეში, მან განმარტა ეს მუხლი ამ დირექტივის მე-3 მუხლში ჩამოყალიბებული ზოგადი დებულებების გათვალისწინებით, კონკრეტული სავაჭრო სივრცის სახეობის გათვალისწინების გარეშე. არც დირექტივის მე-3 მუხლიდან ჩანს, რომ ის შემოიფარგლება იმ სიტუაციებით, რომლებიც გვხვდება ონლაინ სივრცეში. უფრო მეტიც, დირექტივის მე-3 მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარეობს, რომ ის ვრცელდება ამ დირექტივით გათვალისწინებულ ნებისმიერ ღონისძიებაზე, მათ შორის, დირექტივის მე-11 მუხლის მესამე წინადადებით გათვალისწინებული ზომებზე.

37. მაშასადამე, მეორე კითხვის პასუხი: 2004/48 დირექტივის მესამე წინადადება უნდა განიმარტოს ისე, რომ აკრძალვის გამოყენების პირობები შუამავლის წინააღმდეგ, რომელიც სავაჭრო სივრცეს იჯარით გასცემს ბაზრობებზე, სასამართლოს მიერ 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით, L'Oréal და სხვები (C 324/09, EU:C:2011:) ონლაინ სივრცეში არსებული შუამავლებისთვის განსაზღვრული პირობების იდენტურია.

ხარჯები

38. ვინაიდან ეს პროცესი, ძირითადი პროცესის მხარეებისთვის, ეროვნული სასამართლოს წინაშე მიმდინარე დავის ნაწილია, გადაწყვეტილება ხარჯებთან დაკავშირებით ამ სასამართლოს კომპეტენციაა. სასამართლოსთვის მოსაზრების წარდგენისთვის გაწეული ხარჯები, ამ მხარეების ხარჯების გარდა, არ ანაზღაურდება.

ამ საფუძვლებიდან გამომდინარე, სასამართლო (მეორე პალატა) ადგენს:

1. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ 2004/48/EC დირექტივის მე-11 მუხლის მესამე წინადადება უნდა განიმარტოს ისე, რომ ბაზრობის დარბაზების მოიჯარე, რომელიც ქვეიჯარით გასცემს სავაჭრო სივრცეს ცალკეულ მოვაჭრეებზე, რომლებიც ამ სივრცეს იყენებენ კონტრაფაქციული საქონლის გასაყიდად, არის „შუამავალი“, რომლის მომსახურებას მესამე პირი იყენებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დასარღვევად.

2. 2004/48 დირექტივის მე-11 მუხლის მესამე წინადადება უნდა განიმარტოს ისე, რომ შუამავლის წინააღმდეგ, რომელიც სარეალიზაციო პუნქტებს აქირავებს ბაზრობის ტერიტორიაზე, აკრძალვის გამოყენების პირობები სასამართლოს მიერ 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებაში L'Oréal and Others (C 324/09, EU:C:2011:474) ონლაინ სივრცეში არსებული შუამავლების წინააღმდეგ აკრძალვის გამოყენებისთვის განსაზღვრული პირობების იდენტურია.

C-476/17 Pelham

სასამართლოს გადაწყვეტილება (დიდი პალატა)

2019 წლის 29 ივლისი

(მიმართვა წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად – საავტორო და მომიჯნავე უფლებები – დირექტივა 2001/29/EC – საინფორმაციო საზოგადოება – საავტორო და მომიჯნავე უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაცია - ნიმუშის აღება – მუხლი 2(გ) - ფონოგრამის დამამზადებელი – რეპროდუცირების უფლება – „ნაწილობრივი“ რეპროდუცირება – მუხლი 5(2) და (3) – გამონაკლისები და შეზღუდვები – სფერო – მუხლი 5(3)(დ) – ციტატები – დირექტივა 2006/115/EC – მუხლი 9(1)(ბ) – გავრცელების უფლება – ძირითადი უფლებები – ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტია – მუხლი 13 – ხელოვნების თავისუფლება)

საქმეში C 476/17,

მოთხოვნა წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანა TFEU-ს 267-ე მუხლის საფუძველზე Bundesgerichtshof-ისგან (მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლო, გერმანია), 2017 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებაზე, წარდგენილი სასამართლოში 2017 წლის 4 აგვისტოს, პროცესის მიმდინარეობის ფარგლებში

Pelham GmbH,

მოსე პელჰემი,

მარტინ ჰასი

v

რალფ ჰატერი,

ფლორიან შნაიდერ ესლებენი,

სასამართლო (დიდი პალატა),

შემადგენლობა: კ. ლენაერტსი, თავმჯდომარე, ა. არაბაჯიევი, მ. ვილარასი, ტ. ფონ დანვიტცი, კ. ტოადერი, ფ, ბილტგენი და კ. ლიცურგოსი - პალატების თავმჯდომარეები. ლ. ბეი ლარსენი და ს. როდენი, მოსამართლეები,

გენერალური ადვოკატი: მ. სზპუნარი,

რეგისტრატორი: რ. შერესი, ადმინისტრატორი,

წერილობითი პროცედურის და შემდგომ 2018 წლის 3 ივლისის მოსმენის გათვალისწინებით,

შემდეგი მხარეების მიერ წარმოდგენილი დაკვირვებების განხილვის შემდეგ:

- Pelham GmbH, ბატონი პელჰამი და ბატონი ჰაასი წარმომადგენელი: ა. ვალტერი, ადვოკატი,
- ბატონი ჰუტერი და ბ-ნი შნაიდერ ესლებენი, წარმომადგენელი უ. ჰუნდტ-ნოიმანი და ჰ. ლინჰორსტი, ადვოკატები
- გერმანიის მთავრობა, წარმოდგენილი თ. ჰენცის, მ. ჰელმანის და ჯ. ტეჰერტის მიერ, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები,
- საფრანგეთის მთავრობა, წარმოდგენილი დ. კოლასის, დ. სეგოინის და ე. არმოეტის მიერ, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები,

- გაერთიანებული სამეფოს მთავრობა, წარმოდგენილი ზ. ლავერის და დ. რობერტსონის მიერ, აგენტების მოვალეობის შემსრულებელი, და ნ. სონდერსი, ბარისტერი,
- ევროკომისია, წარმოდგენილი ტ. შარფისა და ჯ. სამნადას მიერ, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები,

2018 წლის 12 დეკემბერს გამართულ სხდომაზე გენერალური ადვოკატის აზრის მოსმენის შემდეგ, გამოაქვს შემდეგი

გადაწყვეტილება:

1. ეს მოთხოვნა წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ ეხება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების ცალკეული ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ 2001/29/EC დირექტივის მე-2(გ) და5(3)(დ) მუხლების (OJ 2001 L 167, გვ. 10) და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 12 დეკემბრის ქირავნობის, თხოვების და ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცალკეული საავტორო უფლებების შესახებ 2006/115/EC დირექტივის 9(1)(ბ) და მე-10(2) მუხლების პირველი პუნქტის (OJ 2006 L 376, გვ. 28) განმარტებას.

2. მოთხოვნა წარმოდგენილ იქნეს Pelham GmbH-ს, ბ-ნ მ. პელჰამისა და მ. ჰაასის („Pelham“), ერთი მხრივ, და ბ-ნი რ. ჰუტერისა და ფ. შნაიდერ ესლებენის („Hütter and other“) შორის მიმდინარე დავის ფარგლებში, რომელიც შეეხება სიმღერის "Nur mir" ჩანაწერში, რომელიც შექმნილია მისტერ პელემის და ბატონი ჰაასის მიერ და პროდიუსერია Pelham GmbH, დაახლოებით ორწამიანი რიტმის თანამიმდევრობის გამოყენებას ჯგუფ „Kraftwerk“-ის ფონოგრამიდან, რომლის წევრებიც არიან ჰუტერი და სხვები.

სამართლებრივი კონტექსტი

საერთაშორისო კანონმდებლობა

3. 1971 წლის 29 ოქტომბერს ჟენევაში ხელმოწერილი ფონოგრამების დამამზადებელთა უნებართვო რეპროდუცირებიდან დაცვის კონვენციის პირველი მუხლი („ჟენევის კონვენცია“) ადგენს:

„ამ კონვენციის მიზნებისთვის:

ა) „ფონოგრამა“ ნიშნავს შესრულების ბგერების ან სხვა ბგერების მხოლოდ ხმოვან ფიქსაციას;

ბ) „ფონოგრამების დამამზადებელი“ ნიშნავს პირს, ან იურიდიულ პირს, რომელიც პირველად აფიქსირებს შესრულების ხმებს ან სხვა ხმებს;

გ) „ასლი“ ნიშნავს საგანს, რომელიც შეიცავს ფონოგრამიდან პირდაპირ ან ირიბად აღებულ ბგერებს და რომელიც განასახიერებს ამ ფონოგრამაში დაფიქსირებულ ბგერათა მთლიან ან მნიშვნელოვან ნაწილს;

(დ) „საჯარო გავრცელება“ ნიშნავს ნებისმიერ აქტს, რომლითაც ფონოგრამის ასლებს პირდაპირ ან ირიბად სთავაზობენ ფართო საზოგადოებას ან მის ნებისმიერ ნაწილს.

4. ჟენევის კონვენციის მე-2 მუხლი ადგენს:

„ხელშეკრულებაზე ხელმომწერი თითოეული სახელმწიფო იცავს ფონოგრამების მწარმოებლებს (რომლებიც სხვა ხელშეკრულებაზე ხელმომწერი სახელმწიფოების მოქალაქეები არიან)

მწარმოებლის თანხმობის გარეშე ასლების დამზადებისგან და ასეთი ასლების იმპორტისგან, იმ პირობით, რომ ნებისმიერი ასეთი დამზადება ან იმპორტი ხდება საჯარო გავრცელების მიზნით.

ევროკავშირის კანონმდებლობა

დირექტივა 2001/29

5. 2001/29 დირექტივის მე-3, მე-4, მე-6, მე-7, მე-9, მე-10, 31-ე და 32-ე პუნქტებში ნათქვამია:

(3) შემოთავაზებული ჰარმონიზაცია ხელს შეუწყობს შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლების განხორციელებას და ეხება კანონის ფუნდამენტურ პრინციპებთან და განსაკუთრებით საკუთრების, მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების, გამოხატვის თავისუფლებისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას.

(4) საავტორო და მომიჯნავე უფლებების ჰარმონიზებული საკანონმდებლო ბაზა, გაზრდილი სამართლებრივი სიცხადისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მაღალი დონის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს არსებით ინვესტიციებს კრეატიულობასა და ინოვაციებში, მათ შორის ქსელის ინფრასტრუქტურაში და, თავის მხრივ, განაპირობებს ზრდას და გაზრდილი ევროპული ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობას, როგორც კონტენტის მიწოდებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, ისე ზოგადად სამრეწველო და კულტურული სექტორების ფართო სპექტრში. ეს უზრუნველყოფს დასაქმებას და ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

…

(6) [ევროკავშირის] დონეზე ჰარმონიზაციის გარეშე, ეროვნულ დონეზე საკანონმდებლო საქმიანობა, რომელიც უკვე დაწყებულია რიგ წევრ სახელმწიფოებში ტექნოლოგიურ სიახლეებზე რეაგირების მიზნით, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი განსხვავებები დაცვაში და, შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების ან მასზე დაფუძნებული საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა. ეს კი იწვევს შიდა ბაზრის რეფრაგმენტაციას, ასევე, საკანონმდებლო შეუსაბამობას და ბუნდოვანებას. ამგვარი საკანონმდებლო განსხვავებებისა და გაურკვევლობის გავლენა უფრო მნიშვნელოვანი გახდება ინფორმაციული საზოგადოების განვითარების შემდეგ, რამაც უკვე მნიშვნელოვნად გაზარდა ინტელექტუალური საკუთრების ტრანს სასაზღვრო ექსპლუატაცია. ეს განვითარება კიდევ უფრო გაიზრდება და უნდა გაიზარდოს. მნიშვნელოვანმა სამართლებრივმა განსხვავებებმა და გაურკვევლობამ დაცვაში შეიძლება შეაფერხოს ისეთი პროდუქტისა და სერვისის ღირებულების ზრდა, რომლებიც შეიცავს საავტორო და მომიჯნავე უფლებებს.

(7) საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის [ევროკავშირის] სამართლებრივი ჩარჩო, შესაბამისად, უნდა იყოს ადაპტირებული და შევსებული იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია შიდა ბაზრის გამართული ფუნქციონირებისთვის. ამ მიზნით, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ ეროვნული დებულებები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში, ან რომლებიც იწვევს სამართლებრივ გაურკვევლობას, რომელიც აფერხებს შიდა ბაზრის გამართულ ფუნქციონირებას და ევროპაში ინფორმაციული საზოგადოების სათანადო განვითარებას, უნდა დარეგულირდეს და თავიდან უნდა იქნეს არიდებული ეროვნულ დონეზე შეუსაბამობები ტექნოლოგიურ განვითარებასთან კავშირში. ამასთან, საჭირო არ არის ისეთი განსხვავებებისა და შეუსაბამობების რეგულირება, რომელიც ხელს არ უშლის შიდა ბაზრის გამართულად ფუნქციონირებას.

…

(9) საავტორო და მომიჯნავე უფლებების ნებისმიერ ჰარმონიზაციას უნდა ჰქონდეს დაცვის მაღალი დონე, ვინაიდან ასეთი უფლებები გადამწყვეტია ინტელექტუალური შემოქმედებისთვის. მათი დაცვა ხელს უწყობს კრეატიულობის შენარჩუნებას და განვითარებას ავტორების, შემსრულებლების, პროდიუსერების, მომხმარებლების, კულტურის, ინდუსტრიისა და საერთოდ საზოგადოების ინტერესების დაცვას...

(10) თუ ავტორებმა ან შემსრულებლებმა უნდა გააგრძელონ თავიანთი შემოქმედებითი და სახელოვნებო მოღვაწეობა, მათ უნდა მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება თავიანთი ნაწარმოებების გამოყენებისთვის, ისევე როგორც პროდიუსერებმა, რათა შეძლონ ამ ნაწარმოების დაფინანსება. ინვესტიცია, რომელიც საჭიროა ისეთი პროდუქტების წარმოებისთვის, როგორიცაა ფონოგრამები, ფილმები ან მულტიმედიური პროდუქტები, და ისეთი სერვისები, როგორიცაა „on-demand“ სერვისები, მნიშვნელოვანია. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ადეკვატური სამართლებრივი დაცვა აუცილებელია, რათა გარანტირებული იყოს ასეთი ანაზღაურების ხელმისაწვდომობა და უზრუნველყოს ამ ინვესტიციიდან დამაკმაყოფილებელი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

...

(31) დაცული უნდა იყოს უფლებებისა და ინტერესების სამართლიანი ბალანსი უფლებათა სხვადასხვა კატეგორიის მფლობელებს შორის, ასევე, სხვადასხვა კატეგორიის უფლებათა მფლობელებსა და დაცული ობიექტის მოსარგებლეებს შორის. წევრი სახელმწიფოების მიერ დადგენილი უფლებების არსებული გამონაკლისები და შეზღუდვები ხელახლა უნდა შეფასდეს ახალი ელექტრონული გარემოს ფონზე. შიდა ბაზრის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ასეთი გამონაკლისები და შეზღუდვები უფრო ჰარმონიულად უნდა განისაზღვროს. მათი ჰარმონიზაციის ხარისხი უნდა ეფუძნებოდეს მათ გავლენას შიდა ბაზრის გამართულ ფუნქციონირებაზე.

(32) ეს დირექტივა ითვალისწინებს გამონაკლისებისა და შეზღუდვების ამომწურავ ჩამონათვალს რეპროდუცირების უფლებისა და საჯარო გადაცემის უფლების შესახებ. ზოგიერთი გამონაკლისი ან შეზღუდვა ეხება მხოლოდ რეპროდუცირების უფლებას, საჭიროების შემთხვევაში. ეს სია სათანადოდ ითვალისწინებს წევრ სახელმწიფოებში განსხვავებულ სამართლებრივ ტრადიციებს და, ამავე დროს, მიზნად ისახავს ფუნქციონირებადი შიდა ბაზრის უზრუნველყოფას. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიაღწიონ ამ გამონაკლისებისა და შეზღუდვების თანამიმდევრულ გამოყენებას, რაც შეფასდება სამომავლოდ იმპლემენტაციის კანონმდებლობის განხილვისას“.

6. სათაურით „რეპროდუცირების უფლება“, 2001/29 დირექტივის მე-2 მუხლი ადგენს:

„წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ განსაკუთრებულ უფლებას დაუშვან ან აკრძალონ პირდაპირი ან არაპირდაპირი, დროებითი ან მუდმივი რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებით და ნებისმიერი ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ:

…

(გ) ფონოგრამის მწარმოებლებისთვის, მათი ფონოგრამების;

…

7. 2001/29 დირექტივის მე-5 მუხლი ადგენს გამონაკლისებსა და შეზღუდვებს მის მე-2-მე-4 მუხლებში მითითებულ უფლებებზე. მუხლი 5(3) და (5) ადგენს:

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ გამონაკლისი ან შეზღუდვა მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების მიმართ შემდეგ შემთხვევებში:

…

(დ) ნაწარმოების ნაწყვეტის ციტირება ისეთი მიზნებისთვის, როგორიცაა კრიტიკა ან მიმოხილვა, იმ პირობით, რომ ისინი ეხება ნაწარმოებს ან სხვა ობიექტს, რომლის საჯარო გაცნობა მოხდა კანონიერად, და რომ, თუ ეს შეუძლებელი არ აღმოჩნდება, წყაროს, მათ შორის ავტორის სახელის მითითებით, ციტირება ხდება სამართლიანი პრაქტიკის შესაბამისად და იმ მოცულობით, რაც გამართლებულია კონკრეტული მიზნით.

…

5. პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისები და შეზღუდვები გამოიყენება მხოლოდ ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, რომელიც არ ეწინააღმდეგება ნაწარმოების ან სხვა ობიექტის ჩვეულებრივ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ აზიანებს უფლების მფლობელის კანონიერ ინტერესებს.

დირექტივა 2006/115

8. 2006/115 დირექტივის მე-2, მე-5 და მე-7 პუნქტებით დადგენილია:

(2) საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების და მომიჯნავე უფლებების ობიექტის გაქირავება და თხოვება სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს, განსაკუთრებით ფონოგრამებისა და ფილმების ავტორებისთვის, შემსრულებლებისთვის და პროდიუსერებისთვის. მეკობრეობა მზარდი საფრთხე ხდება.

…

(5) ავტორებისა და შემსრულებლების შემოქმედება და ხელოვნების ნაწარმოები საჭიროებს ადეკვატური შემოსავლის მიღების შესაძლებლობას შემდგომი შემოქმედებითი და ხელოვნების ნაწარმოებების შექმნისთვის. ამასთან, ფონოგრამებისა და ფილმების წარმოებისთვის საჭიროა დიდი მოცულობის ინვესტიციები, რომელიც შეიცავს მაღალ რისკებს. ამ შემოსავლის უზრუნველყოფისა და ამ ინვესტიციის დაბრუნების შესაძლებლობა შეიძლება იყოს ეფექტიანი და გარანტირებული მხოლოდ შესაბამისი უფლებების მფლობელების ადეკვატური სამართლებრივი დაცვის გზით.

…

(7) წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა ისე უნდა იყოს დაახლოებული, რომ არ შეეწინააღმდეგოს საერთაშორისო კონვენციებს, რომლებზეც დაფუძნებულია მრავალი წევრი სახელმწიფოს კანონები საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“.

9. სათაურით „ჰარმონიზაციის ობიექტი“, ამ დირექტივის 1(1) მუხლი ადგენს:

„ამ თავის დებულებების შესაბამისად, წევრი სახელმწიფოები, მე-6 მუხლის საფუძველზე, უზრუნველყოფენ უფლებას ნება დართონ ან აკრძალონ საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების და სხვა ობიექტების ორიგინალებისა და ასლების გაქირავება და თხოვება, როგორც ეს მითითებულია მე-3(1) მუხლში.

10. დირექტივის 9(1) მუხლის სათაურით „გავრცელების უფლება“ ადგენს:

„წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ განსაკუთრებულ უფლებას, გაყიდონ ან სხვაგვარად გახადონ საჯაროდ ხელმისაწვდომი (ა)-(დ) პუნქტებში მითითებული ობიექტები, მათი ასლების ჩათვლით, შემდგომში „გავრცელების უფლება“:

…

ბ) ფონოგრამის მწარმოებლებისთვის, მათი ფონოგრამების მიმართ;

…

11. 2006/115 დირექტივის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი პუნქტი ადგენს:

ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია დააწესოს იგივე სახის შეზღუდვები შემსრულებლების, ფონოგრამების მწარმოებლების, სამაუწყებლო ორგანიზაციებისა და ფილმების პირველი ფიქსაციის მწარმოებლების უფლებებთან დაკავშირებით, როგორც ეს გათვალისწინებულია ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე საავტორო უფლებებთან დაკავშირებით.

გერმანული კანონმდებლობა

12. 1965 წლის 9 სექტემბრის კანონის „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ 24-ე პუნქტი (BGBl. 1965 I, გვ. 1273; „UrhG“) ადგენს:

1. დამოუკიდებელი ნაწარმოები, რომელიც შექმნილია სხვა პირის ნაწარმოების თავისუფლად გამოყენების ფარგლებში, შეიძლება გამოქვეყნდეს და გამოყენებულ იქნეს გამოყენებული ნაწარმოების ავტორის თანხმობის გარეშე.

2. პირველი ქვეპუნქტი არ ვრცელდება იმ მუსიკალური ნაწარმოების გამოყენებაზე, რომელშიც მელოდია აღიქმება, როგორც სხვა ნაწარმოებიდან აღებული და გამოიყენება ახალი ნაწარმოების საფუძვლად.

13. UrhG-ის 85(1) პუნქტი, რომელსაც ეროვნულ კანონმდებლობაში გადააქვს 2001/29 დირექტივის 2(გ) და 2006/115 დირექტივის მე-9 მუხლი, თავის პირველ წინადადებაში, პირველ და მეორე შემთხვევაში, ადგენს, რომ ფონოგრამის მწარმოებელს აქვს ფონოგრამის რეპროდუცირებისა და გავრცელების განსაკუთრებული უფლება.

მთავარი სამართალწარმოების დავის საგანი და წინასწარი გადაწყვეტილების გამოსატანად დასმული კითხვები

14. ჰუტერი და კიდევ ერთი ჯგუფ „Kraftwerk“-ის წევრები არიან. 1977 წელს ამ ჯგუფმა გამოაქვეყნა ფონოგრამა, რომელშიც იყო სიმღერა "Metall auf Metall".

15. ბატონმა პელჰამმა და ჰაასმა შექმნეს სიმღერა "Nur mir", რომელიც გამოიცა Pelham GmbH-ის მიერ 1997 წელს ჩაწერილ ფონოგრამებზე.

16. ჰუტერი და სხვა აცხადებენ, რომ პელჰამმა ელექტრონულად შექმნა ასლი („სემპლი“) სიმღერიდან „Metall auf Metall“ რიტმის თანამიმდევრობის დაახლოებით 2 წამი და ეს ნიმუში გამოიყენა უწყვეტ ციკლში სიმღერაში „Nur mir“, თუმცა შესაძლებელია, რომ მათ თვითონ შეასრულეს/დაუკრეს რიტმის ეს თანამიმდევრობა.

17. როგორც ფონოგრამის მწარმოებლების, ჰუტერის და მეორე პირის მთავარი პრეტენზია არის, რომ პელჰამმა დაარღვია მათი საავტორო და მომიჯნავე უფლება. ალტერნატიულად, ისინი აცხადებენ, რომ დაირღვა მათი, როგორც შემსრულებლების უფლება და ბ-ნი ჰუტერის საავტორო უფლებები მუსიკალურ ნაწარმოებზე. შემდგომ ალტერნატივაში ისინი აცხადებენ, რომ პელჰამმა დაარღვია კონკურენციის კანონი.

18. ჰუტერმა და სხვამ შეიტანეს სარჩელი Landgericht Hamburg-ში (რეგიონული სასამართლო, ჰამბურგი, გერმანია) აკრძალვის, ზიანის ანაზღაურების, ინფორმაციის მიწოდებისა და ფონოგრამების განადგურების მიზნით გადაცემის მოთხოვნით.

19. ამ სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და პელჰამის საჩივარი Oberlandesgericht Hamburg-ში (უმაღლესი რეგიონული სასამართლო, ჰამბურგი, გერმანია) არ დაკმაყოფილდა. პელჰამის მიერ გადაწყვეტილების რევიზიის შესახებ საჩივარი Bundesgerichtshof-ის (მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლო, გერმანია) მიერ დაკმაყოფილდა, Oberlandesgericht Hamburg-ის (უმაღლესი რეგიონული სასამართლო, ჰამბურგი) გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახალი განხილვისათვის კვლავ გადაეცა ამ სასამართლოს. ამ სასამართლომ არც მეორედ დააკმაყოფილა პელჰამის საჩივარი. 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით, Bundesgerichtshof-მა (მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ) კიდევ ერთხელ არ დააკმაყოფილა პელჰამის საჩივარი კანონის საკითხზე. ეს გადაწყვეტილება გააუქმა Bundesverfassungsgericht-მა (მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლო, გერმანია), რომელმაც საქმე დაუბრუნა კითხვით მომმართველ სასამართლოს.

20. მომხსენებელი სასამართლო აღნიშნავს, რომ რევიზიის პროცესის შედეგი ეყრდნობა 2001/29 დირექტივის მე-2 მუხლის „გ“, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტების და 2006/115 დირექტივის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-10(2) მუხლის ინტერპრეტაციას.

21. კითხვით მომმართველი სასამართლოს აზრით, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, ჰუტერისა და სხვისი ხმის ჩანაწერის გამოყენებით, პელჰამმა დაარღვია თუ არა ჰუტერისა და სხვისი ფონოგრამის რეპროდუცირებისა და გავრცელების განსაკუთრებული უფლება სიმღერის "Metall auf Metall" ფონოგრამის რეპროდუცირებით და საჯარო გავრცელებით, როგორც მითითებულია UrhG-ის 85(1) პუნქტში, რომელიც ასახავს 2001/29 დირექტივის 2(გ) მუხლს და 2006/115 დირექტივის მე-9 მუხლს. კერძოდ, უნდა დადგინდეს, არის თუ არა ასეთი დარღვევა, როდესაც, როგორც მოცემულ შემთხვევაში, რიტმის თანამიმდევრობის 2 წამი აღებულია ფონოგრამიდან, შემდეგ გადატანილია სხვა ფონოგრამაზე და არის თუ არა ეს ქმედება რეპროდუცირება 2006/115 დირექტივის 9(1)(ბ) მუხლის მნიშვნელობით.

22. შემდეგ, თუ დადგინდა, რომ დაირღვა ფონოგრამის მწარმოებლის უფლება, ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა პელჰამი დაეყრდნოს „თავისუფალი გამოყენების უფლებას“, რომელიც განსაზღვრულია UrhG-ის 24(1) პუნქტში, რომელიც გამოიყენება ანალოგიით ფონოგრამის მწარმოებლის უფლებაზე, რომლის მიხედვითაც, დამოუკიდებელი ნაწარმოები, რომელიც შექმნილია სხვა პირის ნაწარმოების თავისუფლად გამოყენებისას, შეიძლება გამოქვეყნდეს ან გამოყენებულ იქნეს გამოყენებული ნაწარმოების ავტორის თანხმობის გარეშე. კითხვით მომმართველი სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ კონტექსტში ამ დებულებას არ აქვს გამოხატული ეკვივალენტი ევროკავშირის კანონმდებლობაში და, შესაბამისად, სვამს კითხვას, შეესაბამება თუ არა ეს უფლება ევროკავშირის კანონმდებლობას იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ეს დებულება ზღუდავს ფონოგრამის მწარმოებლის განსაკუთრებული უფლების დაცვის ფარგლებს, გაამრავლოს და გაავრცელოს მისი ფონოგრამა.

23. მესამე, ეროვნული კანონით გათვალისწინებული გამონაკლისები და შეზღუდვები 2001/29 დირექტივის მე-2(გ) მუხლში მითითებული რეპროდუცირების უფლებისა და 2006/115 დირექტივის 9(1)(ბ) მუხლში მითითებული გავრცელების უფლების მიმართ, ეფუძნება 2001/29 დირექტივის 5(3) მუხლს და 2006/115 დირექტივის 10(2) მუხლის პირველ პუნქტს. თუმცა, კითხვით მომმართველ სასამართლოს აქვს ეჭვები ამ დებულებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით ისეთ გარემოებებში, რომლებიც მოცემულია ძირითად სამართალწარმოებაში.

24. მეოთხე, კითხვით მომმართველი სასამართლო აღნიშნავს, რომ ევროკავშირის კანონი უნდა იქნეს განმარტებული და გამოყენებული ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიაში („ქარტია“) გათვალისწინებული ფუნდამენტური უფლებების გათვალისწინებით. ამ კონტექსტში ის სვამს კითხვას, აქვთ თუ არა წევრ სახელმწიფოებს რაიმე დისკრეცია 2001/29 დირექტივის 2(გ), 5(2) და (3) მუხლების და 2006/115 დირექტივის 9(1)(ბ) მუხლისა და 10(2) მუხლის პირველი პუნქტის ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანის კუთხით. მომხსენებელი სასამართლო აღნიშნავს, რომ Bundesverfassungsgericht-ის (მართლმსაჯულების ფედერალური სასამართლო) დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ახორციელებს ევროკავშირის დირექტივის იმპლემენტაციას, როგორც წესი, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ფუნდამენტურ უფლებებს, რომლებიც გარანტირებულია გერმანიის ძირითადი კანონით (BGBl. 1949 I, გვ. 1), და უნდა შეფასდეს ევროკავშირის კანონმდებლობით გარანტირებული ფუნდამენტური უფლებების ჭრილში, სადაც ეს დირექტივა წევრ სახელმწიფოებს არ აძლევს რაიმე დისკრეციას ნორმების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციისას. სასამართლო, ასევე, გამოთქვამს ეჭვს ამ ძირითადი უფლებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით ისეთ გარემოებებში, რომელიც სახეზეა ძირითად სამართალწარმოებაში.

25. ამ გარემოებებში, Bundesgerichtshof-მა (მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ) გადაწყვიტა შეეჩერებინა საქმის წარმოება და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის მიემართა შემდეგი კითხვებით წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად:

(1) დარღვეულია თუ არა 2001/29 დირექტივის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფონოგრამის მწარმოებლის რეპროდუცირების განსაკუთრებული უფლება, თუ მისი ფონოგრამიდან ძალიან მოკლე აუდიოჩანაწერები აღებული და გადატანილია სხვა ფონოგრამაზე?

(2) არის თუ არა ფონოგრამა, რომელიც შეიცავს ძალიან მოკლე აუდიოჩანაწერებს სხვა ფონოგრამიდან, ამ ფონოგრამის ასლი 2006/115 დირექტივის 9(1)(ბ) მუხლის მნიშვნელობით?

(3) შეუძლიათ თუ არა წევრ სახელმწიფოებს ეროვნული კანონმდებლობით გაითვალისწინონ ნორმა, რომელიც - [UrhG] 24(1) პუნქტის მიხედვით - არსებითად ზღუდავს ფონოგრამის მწარმოებლის რეპროდუცირების განსაკუთრებული უფლების (2001/29 დირექტივის 2(გ) მუხლი) ფარგლებს და გავრცელების უფლების (2006/115 დირექტივის 9(1)(ბ) მუხლი) ფარგლებს. კერძოდ, ეს ნორმა უშვებს თუ არა, რომ ფონოგრამის თავისუფალი გამოყენებით შექმნილი დამოუკიდებელი ნაწარმოების რეპროდუცირება და გავრცელება შესაძლებელია ფონოგრამის მწარმოებლის თანხმობის გარეშე?

(4) შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ნაწარმოები ან სხვა საგანი გამოიყენება ციტირების მიზნებისთვის 2001/29 დირექტივის 5(3)(დ) მუხლის მნიშვნელობით, თუ აშკარა არ არის, რომ სხვა პირის ნაწარმოები ან სხვა ობიექტი გამოიყენება?

(5) იძლევა თუ არა ევროკავშირის კანონმდებლობა დისკრეციის საშუალებას ფონოგრამის რეპროდუცირების და გავრცელების უფლებების (2001/29 დირექტივის 2(გ) და 2006/115 დირექტივის 9(1)(ბ) მუხლები) და ამ უფლებების შეზღუდვისა და გამონაკლისების ნორმების (2001/29 დირექტივის 5(2) და (3) პუნქტები და 2006/115 დირექტივის 10(2) მუხლის პირველი აბზაცი) ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციისას?

(6) როგორ უნდა იქნეს გათვალისწინებული [ქარტიაში] ჩამოყალიბებული ძირითადი უფლებები ფონოგრამის მწარმოებლის რეპროდუცირების განსაკუთრებული უფლების (2001/29 დირექტივის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) და გავრცელების უფლების (2006/115 დირექტივის 9(1)(ბ) მუხლი) დაცვის ფარგლების დადგენისას. ასევე, ამ უფლებების შეზღუდვებისა და გამონაკლისების (2001/29

დირექტივის 5(2) და (3) პუნქტები და 2006/115 დირექტივის 10(2) მუხლის პირველი აბზაცი) განსაზღვრისას?

დასმული კითხვების განხილვა

პირველი და მეექვსე შეკითხვა

26. პირველი და მეექვსე კითხვით, რომლებიც მიზანშეწონილია ერთად განიხილოს, შეკითხვით მომმართავი სასამართლო არსებითად სვამს კითხვას, 2001/29 დირექტივის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტი უნდა განიმარტოს თუ არა ქარტიის ფონზე, ისე, რომ ფონოგრამის მწარმოებელს მისთვის მინიჭებული რეპროდუცირებისა და გავრცელების განსაკუთრებული უფლება საშუალებას აძლევს მას, აუკრძალოს სხვა პირს აიღოს მისი ფონოგრამის ნიმუში, თუნდაც ძალიან მოკლე, ამ ნიმუშის სხვა ფონოგრამაში ჩართვის მიზნით.

27. 2001/29 დირექტივის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ფონოგრამის მწარმოებლების განსაკუთრებული უფლება „ნება დართონ ან აკრძალონ მათი ფონოგრამების მთლიანად ან ნაწილობრივ, პირდაპირი ან ირიბი, დროებითი ან მუდმივი რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებით და ნებისმიერი ფორმით.

28. 2001/29 დირექტივა არ განმარტავს ამ დებულების მიზნებისთვის ტერმინის „ფონოგრამის გამრავლების… მთლიანად ან ნაწილობრივ“ მნიშვნელობის ფარგლებს. როგორც სასამართლომ დაადგინა, ამ ტერმინის მნიშვნელობა და ფარგლები უნდა განისაზღვროს მათი ჩვეული მნიშვნელობის გათვალისწინებით, როგორც ის გამოიყენება ყოველდღიურ ენაში. ასევე, იმ კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც ჩნდება განმარტების საჭიროება და იმ წესების მიზნების გათვალისწინებით, რომელთა ნაწილიც არიან (2014 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილება, Deckmyn and Vrijheidsfonds, C 201/13, EU:C:2014:2132, პუნქტი 19 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

29. 2001/29 დირექტივის მე-2(გ) მუხლის ფორმულირებიდან ნათლად ჩანს, რომ ფონოგრამის ხმის ნიმუშის, თუნდაც ძალიან მოკლე, რეპროდუცირება, პრინციპში, უნდა ჩაითვალოს მოსარგებლის მიერ ამ ფონოგრამის „ნაწილობრივ“ რეპროდუცირებად ამ დებულების მნიშვნელობით, და რომ ასეთი რეპროდუცირება ექვემდებარება ამ დებულების მიხედვით ფონოგრამის მწარმოებლისთვის მინიჭებულ განსაკუთრებულ უფლებას.

30. 2001/29 დირექტივის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის ეს სიტყვასიტყვითი ინტერპრეტაცია, პირველ რიგში, შეესაბამება ამ დირექტივის ზოგად მიზანს, უზრუნველყოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტი, რაც გამომდინარეობს მე-4, მე-9 და მე-10 პუნქტებიდან, ასევე, ფონოგრამის მწარმოებლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ მიზანს, უზრუნველყოს, ფონოგრამის მწარმოებლის ინვესტიციის დაცვა. როგორც ამ პუნქტშია ნათქვამი, ინვესტიცია, რომელიც საჭიროა ისეთი პროდუქტების წარმოებისთვის, როგორიცაა ფონოგრამები, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აუცილებელია ფონოგრამების მწარმოებლებს გარანტირებული ჰქონდეთ დამაკმაყოფილებელი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა.

31. თუმცა, როდესაც მოსარგებლე, ხელოვნების თავისუფლებით სარგებლობის პროცესში, იღებს ხმის ნიმუშს ფონოგრამიდან, რათა გამოიყენოს იგი შეცვლილი სახით, რომელიც ყურისთვის ამოუცნობია ახალ ნაწარმოებში, უნდა ჩაითვალოს, რომ ასეთი გამოყენება არ წარმოადგენს „რეპროდუცირებას“ 2001/29 დირექტივის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის მნიშვნელობით.

32. ამასთან დაკავშირებით გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ 2001/29 დირექტივის მე-3 და 31-ე პუნქტებიდან გამომდინარეობს, რომ ამ დირექტივით განხორციელებული ჰარმონიზაცია მიზნად ისახავს, სახელდობრ, ელექტრონულ გარემოში, უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსის დაცვა, ერთი მხრივ, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა ინტერესებსა, რომელიც უკვე გარანტირებულია ქარტიის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით და, მეორე მხრივ, მოსარგებლეთა ინტერესებსა და ძირითად უფლებებს შორის. (იხ. 2018 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილება, Renckhoff, C 161/17, EU:C:2018:634, პუნქტი 41).

33. ამგვარად, სასამართლომ ადრე დაადგინა, რომ ქარტიის 17(2) მუხლის ფორმულირებაში ან სასამართლოს დამკვიდრებულ პრაქტიკაში არაფერი მიანიშნებს, რომ ამ მუხლში გათვალის-წინებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებები ხელშეუხებელია და ამ მიზეზით დაცული უნდა იყოს, როგორც აბსოლუტური უფლება (2011 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებები, Scarlet Extended, C 70/10, EU:C:2011:771, პუნქტი 43; 2012 წლის 16 თებერვალი, SABAM, C 360/10, EU:C:2012:85, პუნქტი 41 და 2014 წლის 27 მარტის, UPC Telekabel Wien, C 314/12, EU:C:2014:192, პუნქტი 61).

34. ბალანსი უნდა იყოს დაცული ამ უფლებასა და სხვა ფუნდამენტურ უფლებებს, მათ შორის ხელოვნების თავისუფლებას შორის, რომელიც გათვალისწინებულია ქარტიის მე-13 მუხლში, რამდენადაც იგი ხვდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში და, შესაბამისად, გათვალის-წინებულია ქარტიის მე-11 მუხლში. ქარტია და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10(1) მუხლი, რომელიც ხელმოწერილია რომში 1950 წლის 4 ნოემბერს, იძლევა ყველა სახის კულტურული, პოლიტიკური და სოციალური ინფორმაციისა და იდეების საჯარო გაცვლაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას. (იხ. ECtHR, 24 მაისი 1988, Müller and Others v. Switzerland, CE:ECHR:1988:0524JUD001073784, § 27, და ECtHR, 8 ივლისი 1999, Karataş: ECHR v. :0708JUD002316894, § 49).

35. ამ კონტექსტში, უნდა აღინიშნოს, რომ „ნიმუშების აღების“ ტექნიკა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მომხმარებელი იღებს ნიმუშს ფონოგრამიდან, როგორც წესი, ელექტრონული აღჭურ-ვილობის საშუალებით და იყენებს ნიმუშს ახალი ნაწარმოების შესაქმნელად, არის მხატვრული გამოხატვის ფორმა, რაც გარანტირებულია ხელოვნების თავისუფლებით, რომელიც დაცულია ქარტიის მე-13 მუხლით.

36. ამ თავისუფლებით სარგებლობისას, ხმის ნიმუშის მოსარგებლემ, ახალი ნაწარმოების შექმნისას, შეიძლება ფონოგრამიდან აღებული ნიმუშის ისეთი მოდიფიკაცია განახორციელოს, რომ ეს ნიმუში ახალ ნაწარმოებში ყურისთვის ამოუცნობი იყოს.

37. ამგვარად, ფონოგრამიდან აღებული ნიმუშის ახალ ნაწარმოებში შეცვლილი ფორმით გამოყენება, ახალი, განსხვავებული მხატვრული ნაწარმოების შექმნის მიზნით, რომელიც ყუ-რისთვის ამოუცნობია, ფონოგრამის „რეპროდუცირებად“ ითვლება 2001/29 დირექტივის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით, არა მხოლოდ ეწინააღმდეგება ამ ტერმინის ჩვეულებრივ მნიშვნელობას ყოველდღიურ ენაში, არამედ, ასევე, ვერ დააკმაყოფილებს სამართლიანი ბალანსის მოთხოვნებს, რომელიც განხილულ იქნეს წინამდებარე გადაწყვეტილების 32-ე პუნქტში.

38. კერძოდ, ასეთი ინტერპრეტაცია საშუალებას მისცემს ფონოგრამის მწარმოებელს, აუკრძალოს სხვა პირებს თუნდაც ძალიან მოკლე ხმის ნიმუშის აღება მისი ფონოგრამიდან მხატვრული შემოქმედების მიზნებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში ხელი არ ეშლება მწარმოებლის მიერ განხორციელებული ინვესტიციიდან დამაკმაყოფილებელი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობას.

39. ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, პირველ და მეექვსე კითხვაზე პასუხი არის ის, რომ 2001/29 დირექტივის 2(გ) მუხლი, ქარტიის გათვალისწინებით, განმარტებული უნდა იქნეს, როგორც ფონოგრამის მწარმოებლის განსაკუთრებული უფლება, აუკრძალოს მესამე პირებს მისი ფონოგრამის რეპროდუცირება და გავრცელება, მათ შორის სხვა ფონოგრამაში გამოყენების მიზნით, ფონოგრამიდან თუნდაც ძალიან მოკლე ხმის ნიმუში აღება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ნიმუში ფონოგრამაში შედის შეცვლილი, ყურისთვის ამოუცნობი ფორმით.

მეორე შეკითხვა

40. მეორე კითხვით, სასამართლო, არსებითად, სვამს კითხვას, უნდა იქნეს თუ არა განმარტებული 2006/115 დირექტივის 9(1)(ბ) მუხლი ისე, რომ ფონოგრამა, რომელიც შეიცავს სხვა ფონოგრამიდან გადატანილ ხმის ნიმუშებს, წარმოადგენს ამ ფონოგრამის „ასლს“ ამ დებულების მნიშვნელობით.

41. 2006/115 დირექტივის 9(1)(ბ) მუხლის თანახმად, წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ფონოგრამის მწარმოებლების განსაკუთრებულ უფლებას, გაყიდონ ან სხვაგვარად გახადონ საჯაროდ ხელმისაწვდომი მათი ფონოგრამები ასლების ჩათვლით.

42. 2006/115 დირექტივის არც მე-9 მუხლი და არც ამ დირექტივის რომელიმე სხვა დებულება არ განსაზღვრავს „ასლის“ ცნებას ამ მუხლის მიზნებისთვის.

43. შესაბამისად, მისი შინაარსი უნდა იქნეს განმარტებული მოცემული დებულების საკანონმდებლო კონტექსტისა და შესაბამისი კანონმდებლობის მიზნების გათვალისწინებით.

44. გასათვალისწინებელია, რომ 2006/115 დირექტივის 9(1)(ბ) მუხლით გათვალისწინებული ფონოგრამის მწარმოებლის განსაკუთრებული უფლება გავრცელებაზე მიზნად ისახავს ფონოგრამის მწარმოებლისთვის, როგორც ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელისთვის, ადეკვატური სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის გზით, მის მიერ ფონოგრამების წარმოებისთვის განხორციელებული ინვესტიციებიდან სათანადო ანაზღაურების მიღების შესაძლებლობის მიცემას, ვინაიდან ეს ინვესტიციები არის დიდი მოცულობის და მაღალი რისკის მქონე, როგორც ეს აღნიშნულია 2006/115 დირექტივის პრეამბულის მე-2 და მე-5 პუნქტებში.

45. ამასთან დაკავშირებით, 2006/115 დირექტივის პრეამბულის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე ცხადია, რომ ამ დირექტივის მიხედვით ფონოგრამის მწარმოებელზე მინიჭებული დაცვა მიზნად ისახავს მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლას, ანუ, როგორც გენერალურმა ადვოკატმა განაცხადა თავისი მოსაზრების 45-ე პუნქტში, ფონოგრამების ყალბი ასლების წარმოება და საჯარო გავრცელება განსაკუთრებით სერიოზულ საფრთხეს უქმნის ასეთი ფონოგრამების მწარმოებელთა ინტერესებს, რადგან მას შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს შემოსავალი, რომელსაც ისინი იღებენ ფონოგრამების საჯარო გავრცელებიდან.

46. როგორც გენერალურმა ადვოკატმა განაცხადა თავისი მოსაზრების 46-ე პუნქტში, თავისი ბუნებით, 2006/115 დირექტივის 9(1) მუხლის მიზნებისთვის, ფონოგრამის ასლად ჩაითვლება ხმოვანი ჩანაწერის მხოლოდ ისეთი მონაკვეთი, რომელიც წარმოადგენს ფონოგრამაზე ჩაწერილ ხმას სრულად ან მის არსებით ნაწილს, რომელიც გამიზნულია ფონოგრამების კანონიერი ასლების ჩასანაცვლებლად.

47. ამის საპირისპიროდ, ეს არ ეხება ხმოვანი ჩანაწერის ისეთ ნაწილს, რომელიც ფონოგრამაში დაფიქსირებული ბგერების სრული ან მნიშვნელოვანი ნაწილის რეპროდუცირების გარეშე, მხოლოდ განასახიერებს ხმის ნიმუშებს, საჭიროების შემთხვევაში, მოდიფიცირებული ფორმით, რომელიც გადატანილია ამ ფონოგრამიდან ახალი და გამორჩეული ნაწარმოების შექმნის მიზნით.

48. 2006/115 დირექტივის 9(1)(ბ) მუხლის ეს ინტერპრეტაცია, მისი მიზნებიდან გამომდინარე, მყარდება საკანონმდებლო კონტექსტით, რომლის ნაწილიც ეს დებულებაა.

49. ამასთან დაკავშირებით, როგორც ეს აღნიშნულია 2006/115 დირექტივის მე-7 პუნქტში, დირექტივის მიზანია წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოება ისე, რომ ისინი წინააღმდეგობაში არ მოვიდნენ საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში მოქმედ საერთაშორისო კონვენციებთან, რომლებსაც ეფუძნება ბევრი წევრი ქვეყნის კანონმდებლობა.

50. ჟენევის კონვენცია ერთ-ერთია იმ კონვენციებიდან, რომელიც, მისი პრეამბულის თანახმად, მიზნად ისახავს, inter alia, აღკვეთოს ფონოგრამების ფართოდ გავრცელებული და მზარდი უნებართვო რეპროდუცირება და ზიანი, რომელსაც ის აყენებს ფონოგრამის მწარმოებელთა ინტერესებს.

51. ამ კონვენციის მე-2 მუხლი შეიცავს 2006/115 დირექტივის 9(1)(ბ) მუხლის ანალოგიურ დებულებას, რომელიც კონკრეტულად ითვალისწინებს, რომ ფონოგრამების მწარმოებლები დაცული უნდა იყვნენ მათი თანხმობის გარეშე ფონოგრამების „დუბლიკატების“ დამზადებისა და საჯარო გავრცელებისგან.

52. ჟენევის კონვენციის პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დუბლიკატი“ ნიშნავს საგანს, რომელიც შეიცავს ფონოგრამიდან პირდაპირ ან ირიბად აღებულ ბგერებს და რომელიც განასახიერებს ამ ფონოგრამაში დაფიქსირებული ბგერების „მთლიან ან მნიშვნელოვან ნაწილს“.

53. მართალია, რომ ჟენევის კონვენციის დებულებები არ წარმოადგენს ევროკავშირის სამართლებრივი წესრიგის ნაწილს, რადგან, ჯერ ერთი, ევროკავშირი არ არის ამ კონვენციის ხელშემკვრელი მხარე და, მეორე, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ევროკავშირმა დაიკავა მისი წევრი ქვეყნების ადგილი ამ კონვენციის წევრობასთან დაკავშირებით, რადგან ყველა წევრი სახელმწიფო არ არის ამ კონვენციის მხარე (იხ. ანალოგიით, 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება, SCF, C 135/10, EU:C:2012:140, პუნქტი 41). თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ეს არის ერთ-ერთი საერთაშორისო კონვენცია, რომელიც მოხსენიებულია ამ გადაწყვეტილების 49-ე პუნქტში და, შესაბამისად, 2006/115 დირექტივის დებულებები უნდა იქნეს განმარტებული, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ამ კონვენციის ფონზე (იხ., 2006 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებები, SGAE, C 306/05, EU:C:2006:764, პუნქტი 35; 2011 წლის 4 ოქტომბრის, ფეხბურთის ასოციაციის პრემიერ ლიგა და სხვა, C 403/08 და C 429/08, EU:C :2011:631, პარაგრაფი 189 და 2018 წლის 19 დეკემბრის, Syed, C 572/17, EU:C:2018:1033, პუნქტი 20).

54. აქედან გამომდინარეობს, რომ, ისევე როგორც გენერალურმა ადვოკატმა აღნიშნა თავისი მოსაზრების 46-ე და 47-ე პუნქტებში, უნდა ჩაითვალოს, რომ 2006/115 დირექტივის 9(1)(ბ) მუხლის მნიშვნელობით „ასლის“ ცნება უნდა იყოს განმარტებული თანამიმდევრულად, იგივე კონცეფციით, როგორც ეს მოცემულია ჟენევის კონვენციის პირველ და მე-2 მუხლებში.

55. ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მეორე კითხვაზე პასუხი არის ის, რომ 2006/115 დირექტივის 9(1)(ბ) მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ ფონოგრამა, რომელიც შეიცავს სხვა ფონოგრამიდან გადმოტანილ ხმის ნიმუშებს, ამ დებულების მნიშვნელობით არ არის ამ ფონოგრამის „ასლი“, თუ ის არ ასახავს ამ ფონოგრამას მთლიანად ან მის მნიშვნელოვან ნაწილს.

მესამე შეკითხვა

56. კითხვით მომმართველი სასამართლო აღნიშნავს, რომ UrhG-ის 24(1) პუნქტის მიხედვით, რომელიც ანალოგიით გამოიყენება ფონოგრამის მწარმოებლის უფლებებზე, დამოუკიდებელი

ნაწარმოები, რომელიც შექმნილია სხვა პირის ნაწარმოების გამოყენებით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაწარმოების ავტორის თანხმობის გარეშე. ეს ნორმა ადგენს, რომ ასეთი „თავისუფალი გამოყენების უფლება“ არ არის გამონაკლისი საავტორო უფლებებისგან, არამედ განსაზღვრავს, ადგენს დაცვის ფარგლების თანდაყოლილ შეზღუდვას, იმ იდეიდან გამომდინარე, რომ შეუძლებელია კულტურული ქმნილების შექმნა ისე, რომ იგი გარკვეულწილად არ ეფუძნებოდეს სხვა ავტორების ნაწარმოებებს.

57. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ვინაიდან მეორე კითხვაზე პასუხიდან ირკვევა, რომ რეპროდუცირება, როგორც ეს მოცემულია ძირითად დავაში, არ განეკუთვნება 2006/115 დირექტივის 9(1)(ბ) მუხლის მოქმედების სფეროს, ის უნდა შეფასდეს მესამე კითხვით. კერძოდ, სასამართლო კითხულობს, არსებითად, შეუძლია თუ არა წევრ სახელმწიფოს თავის ეროვნულ კანონმდებლობაში დააწესოს 2001/29 დირექტივის მე-2(გ) მუხლის გათვალისწინებული ფონოგრამის მწარმოებლის უფლების გამონაკლისი ან შეზღუდვა, გარდა 2001/29 დირექტივის მე-5 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

58. როგორც ეს განმარტებულია 1997 წლის 10 დეკემბრის ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივის შესახებ განმარტებითი ბარათის 2001/29 დირექტივის პრეამბულის განმარტებითი მემორანდუმიდან (COM(97) 628 საბოლოო), 2001/29 დირექტივის პრეამბულის 32-ე პუნქტიდან, ამ დირექტივის მე-5 მუხლში მოცემული გამონაკლისებისა და შეზღუდვების ჩამონათვალი ამომწურავია. ეს, ასევე, არაერთხელ აღნიშნა სასამართლომ (2016 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება, Soulier and Doke, C 301/15, EU: C:2016:878, პარაგრაფი 34, და 2018 წლის 7 აგვისტოს, Renckhoff, C 161/17, EU:C:2018:634, პუნქტი 16).

59. აღნიშნულთან დაკავშირებით, წინამდებარე გადაწყვეტილების 32-ე პუნქტში აღნიშნული იყო, რომ 2001/29 დირექტივით განხორციელებული ჰარმონიზაცია მიზნად ისახავს უზრუნველყოს, განსაკუთრებით ელექტრონულ გარემოში, სამართლიანი ბალანსის დაცვა, ერთი მხრივ, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა ინტერესებსა და, მეორე მხრივ, დაცული ობიექტების მოსარგებლეებისა და საერთოდ საზოგადოების ინტერესებსა და ფუნდამენტურ უფლებებს შორის.

60. მექანიზმები, რომლებიც ამ განსხვავებული უფლებებისა და ინტერესების დაბალანსების საშუალებას იძლევა, მოცემულია თავად 2001/29 დირექტივაში, რომელშიც, inter alia, პირველ რიგში, მე-2-მე-4 მუხლებით გათვალისწინებულია უფლების მფლობელების განსაკუთრებული უფლებები და, ასევე, მე-5 მუხლში მოცემულია ამ უფლებების შეზღუდვები და გამონაკლისები, რომელთა გადატანა სავალდებულოა წევრი ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობაში, რადგან ამ მექანიზმებმა სავალდებულოდ უნდა პოვოს ასახვა ამ დირექტივის გადატანის ეროვნულ ზომებში, რომელიც ხორციელდება ეროვნული ხელისუფლებების მიერ (იხ. 2008 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება, Promusicae, C 275/06, EU:C:2008:54, პუნქტი 66 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

61. სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ ქარტიაში გათვალისწინებული ძირითადი უფლებები, რომელთა დაცვასაც სასამართლო უზრუნველყოფს, შთაგონებულია წევრი სახელმწიფოებისთვის საერთო კონსტიტუციური ტრადიციებიდან და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტებით მოწოდებული სახელმძღვანელო პრინციპებიდან, რომლებზეც წევრი სახელმწიფოები თანამშრომლობდნენ ან რომლებზეც ისინი არიან ხელშემკვრელი მხარეები (იხ. 2006 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, პარლამენტი საბჭოს წინააღმდეგ, C 540/03, EU:C:2006:429, პუნქტი 35 და სასამართლო პრაქტიკა).

62. 2001/29 დირექტივის 5(5) მუხლი, ასევე, ხელს უწყობს სამართლიან ბალანსს, რომელიც აღნიშნულია წინამდებარე გადაწყვეტილების 32-ე პუნქტში, რადგან მოითხოვს, რომ დირექტივის

5(1)-(4) მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისები და შეზღუდვები გამოიყენებოდეს მხოლოდ გარკვეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ნაწარმოების ან სხვა ობიექტის ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ ლახავს უფლების მფლობელის კანონიერ ინტერესებს.

63. ამ კონტექსტში, წინამდებარე გადაწყვეტილების 58-ე პუნქტში აღნიშნული ევროკავშირის კანონმდებლობის გამოხატული განზრახვის საწინააღმდეგოდ, თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ 2001/29 დირექტივის მე-2-მე-4 მუხლებში მითითებული ავტორის განსაკუთრებული უფლებების მიმართ ისეთი შეზღუდვებისა და გამონაკლისების დაწესება, რომელიც ამომწურავად არის ჩამოყალიბებული ამავე დირექტივის მე-5 მუხლში, საფრთხეს უქმნის ამ დირექტივით განხორციელებული საავტორო და მომიჯნავე უფლებების ჰარმონიზაციის ეფექტიანობას, ისევე როგორც მის მიერ დასახული სამართლებრივი ერთგვაროვნების უზრუნველყოფის მიზანს (2014 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება, Svensson და სხვა, C 466/12, EU:C:2014:76, პუნქტები 34 და 35). დირექტივის პრეამბულის 31-ე პუნქტიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ განსხვავებები, რომლებიც არსებობდა გამონაკლისებსა და შეზღუდვებში, პირდაპირ უარყოფით გავლენას ახდენდა საავტორო და მომიჯნავე უფლებების შიდა ბაზრის ფუნქციონირებაზე და, ამდენად, 2001/29 დირექტივის მე-5 მუხლში გამონაკლისებისა და შეზღუდვების ამომწურავი ჩამონათვალის მითითება მიზნად ისახავს შიდა ბაზრის სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

64. გარდა ამისა, დირექტივის პრეამბულის 32-ე პუნქტიდან გამომდინარეობს, რომ წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გამოიყენონ ეს გამონაკლისები და შეზღუდვები თანამიმდევრულად. ამ გამონაკლისებისა და შეზღუდვების განხორციელების თანამიმდევრულობის მოთხოვნა ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი, თუ წევრ სახელმწიფოებს შეეძლებოდათ თავისუფლად დაეწესებინათ ისეთი გამონაკლისები და შეზღუდვები, რომლებიც პირდაპირ არ არის განსაზღვრული 2001/29 დირექტივით (იხ. ამის შესახებ 12 ნოემბრის გადაწყვეტილება. 2015, Hewlett-Packard Belgium, C 572/13, EU:C:2015:750, პუნქტები 38 და 39). ამის გამო სასამართლომ ადრე დამატებით დაადგინა, რომ 2001/29 დირექტივის არც ერთი დებულება არ ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების მიერ დამატებითი შეზღუდვებისა და გამონაკლისების დაწესების შესაძლებლობას, რომელიც გააფართოებს 2001/29 დირექტივით დადგენილ ფარგლებს (იხ. 2014 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, ACI Adam and Others, C 435/12, EU:C:2014:254, პუნქტი 27).

65. ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მესამე კითხვაზე პასუხი არის ის, რომ წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ეროვნული კანონმდებლობით დააწესოს ფონოგრამის მწარმოებლის 2001/29 დირექტივის მე-2 მუხლის „გ“ პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამონაკლისი ან შეზღუდვა, გარდა 2001/29 დირექტივის მე-5 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვებისა და გამონაკლისებისა.

მეოთხე შეკითხვა

66. თავისი მეოთხე კითხვით, რომელიც ეხება სიტუაციას, როდესაც დადგინდა, რომ დაირღვა 2001/29 დირექტივის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფონოგრამის მწარმოებლის განსაკუთრებული უფლება, სასამართლო არსებითად კითხულობს, ამ დირექტივის მუხლი 5(3)(დ) განმარტებული უნდა იქნეს თუ არა ისე, რომ ამ ნორმაში მოხსენიებული „ციტირების“ ცნება ვრცელდება სიტუაციაზე, როდესაც შეუძლებელია იმ ნაწარმოების იდენტიფიცირება, რომლის ციტირებაც ხდება.

67. 2001/29 დირექტივის 5(3)(დ) მუხლის მიხედვით, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დააწესონ გამონაკლისები ან შეზღუდვები ამ დირექტივის მე-2 და მე-3 მუხლებში მითითებულ რეპროდუცირებისა და საჯარო გადაცემის განსაკუთრებულ უფლებებზე, იმ შემთხვევაში, თუ ხდება ციტირება ისეთი მიზნებისთვის, როგორიცაა კრიტიკა ან მიმოხილვა, იმ პირობით, რომ ხდება ისეთი ნაწარმოების ან სხვა ობიექტის ციტირება, რომელიც უკვე კანონიერად ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის, რომ, თუ ეს შესაძლებელია, მითითებულია წყარო ავტორის სახელის ჩათვლით, და რომ მათი გამოყენება შეესაბამება სამართლიან პრაქტიკას და გამოყენებულია იმ მოცულობით, რაც გამართლებულია ზემოთ აღნიშნული მიზნით.

68. უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩაითვალოს, როგორც გენერალურმა ადვოკატმა თავისი მოსაზრების 62-ე და 63-ე პუნქტებში აღნიშნა, 2001/29 დირექტივის 5(3)(დ) მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე, რომელიც ეხება „ნაწარმოებს ან სხვა ობიექტს“, ამ მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი ან შეზღუდვა შეიძლება გავრცელდეს დაცული მუსიკალური ნაწარმოების გამოყენებაზე იმ პირობით, რომ დაკმაყოფილებულია ამ მუხლით გათვალისწინებული პირობები.

69. კერძოდ, 2001/29 დირექტივის 5(3)(დ) მუხლის გამოსაყენებლად, როგორც ზემოთ 67-ე პუნქტში აღინიშნა, ეს გამოყენება უნდა განხორციელდეს „სამართლიანი პრაქტიკის შესაბამისად და იმ მოცულობით, რაც გამართლებულია კონკრეტული მიზნით“. ასე რომ, სადავო გამოყენება ციტირების მიზნებისთვის არ უნდა გაფართოვდეს იმ საზღვრებს გარეთ, რაც აუცილებელია ამ კონკრეტული ციტატით საინფორმაციო მიზნის მისაღწევად.

70. ვინაიდან 2001/29 დირექტივა არ იძლევა ტერმინ „ციტატის“ განმარტებას, ამ ტერმინის მნიშვნელობა და ფარგლები, წინამდებარე გადაწყვეტილების 28-ე პუნქტით განსაზღვრული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, უნდა განისაზღვროს ყოველდღიურ ენაში მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იქნეს საკანონმდებლო კონტექსტი, რომელშიც ის ხდება და იმ წესებისა და მიზნების გათვალისწინებით, რომლის ნაწილიც ის არის.

71. რაც შეეხება სიტყვა „ციტატის“ ჩვეულებრივ მნიშვნელობას ყოველდღიურ ენაში, უნდა აღინიშნოს, რომ ციტატის არსებითი მახასიათებლებია, საავტორო უფლებების მფლობელის გარდა, სხვა მოსარგებლის მიერ ნაწარმოების, ან უფრო ხშირად, მისი ნაწილის გამოყენება საკუთარი აზრის საილუსტრაციოდ, აზრის დასაცავად ან ამ ნაწარმოებისა და მოსარგებლის აზრს შორის ინტელექტუალური შედარების განსახორციელებლად. რადგან დაცული ნაწარმოების მოსარგებლის სურვილია, დაეყრდნოს ციტატას, დაწესებულ გამონაკლისს, უნდა ჰქონდეს ამ ნაწარმოებთან „დიალოგში“ შესვლის განზრახვა, როგორც ეს გენერალურმა ადვოკატმა განაცხადა თავისი დასკვნის 64-ე პუნქტში.

72. კერძოდ, როდესაც ახალი მუსიკალური ნაწარმოების შემქმნელი იყენებს ფონოგრამიდან აღებულ ხმის ნიმუშს, რომელიც ყურისთვის ცნობადია ამ ახალ ნაწარმოებში, ამ ნიმუშის გამოყენება, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც „ციტირება“, 2001/29 დირექტივის მე-5(3)(დ) მუხლის საფუძველზე და ქარტიის მე-13 მუხლის გათვალისწინებით, იმ პირობით, რომ ეს გამოყენება გულისხმობს ზემოთ, 71-ე პუნქტში მითითებული მნიშვნელობით „დიალოგში“ შესვლას იმ ნაწარმოებთან, საიდანაც იყო ნიმუში აღებული, და რომ დაკმაყოფილებულია მე-5(3)(დ) მუხლით დადგენილი პირობები.

73. თუმცა, როგორც გენერალურმა ადვოკატმა განაცხადა თავისი მოსაზრების 65-ე პუნქტში, ასეთი დიალოგი არ შეიძლება იყოს სახეზე, თუ შეუძლებელი იქნება იმ ნაწარმოების იდენტიფიცირება, რომელსაც ეხება სადავო ციტატა.

74. ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მეოთხე კითხვაზე პასუხი არის: 2001/29 დირექტივის 5(3)(დ) მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ ამ დებულებაში მოხსენიებული „ციტატის“ ცნება არ ვრცელდება იმ სიტუაციაზე, როცა შეუძლებელია იმ ნაწარმოების იდენტიფიცირება, რომელსაც ეხება მოცემული ციტატა.

მეხუთე შეკითხვა

75. როგორც წინასწარი საკითხი, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ეს ზემოთ 24-ე პუნქტიდან ირკვევა, მეხუთე შეკითხვა ეხება მომმართველი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის მიზნებისთვის, ძირითად სამართალწარმოებაში, 2001/29 დირექტივის მე-2 მუხლის „გ“ და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტებისა და 2006/115 დირექტივის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენებას.

76. ამ კონტექსტში, მომმართველი სასამართლო სვამს კითხვას, აძლევს თუ არა ევროკავშირის კანონმდებლობის ეს დებულებები წევრ სახელმწიფოებს დისკრეციას მათი ტრანსფორმაციისას, ვინაიდან, Bundesverfassungsgericht-ის (ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს) დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ახორციელებს დირექტივის იმპლემენტაციას, როგორც წესი, უნდა შეფასდეს არა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონით გარანტირებულ ფუნდამენტურ უფლებებთან მიმართებაში, არამედ მხოლოდ ევროკავშირის კანონმდებლობით გარანტირებულ ფუნდამენტურ უფლებებთან შედარებით, სადაც ეს დირექტივა წევრ სახელმწიფოებს მისი იმპლემენტირებისას არანაირ დისკრეციას არ ანიჭებს.

77. რაც შეეხება მეორე და მეოთხე კითხვზე პასუხს, უნდა დადგინდეს, რომ მეხუთე კითხვით მომმართველი სასამართლო არსებითად სვამს კითხვას, უნდა განიმარტოს თუ არა 2001/29 დირექტივის 2(გ) მუხლი, როგორც სრული ჰარმონიზაციის ქვემდებარე ნორმა.

78. ამასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ ევროკავშირის სამართლის უპირატესობის პრინციპის საფუძველზე, რომელიც ევროკავშირის სამართლებრივი წესრიგის არსებითი მახასიათებელია, ეროვნული სამართლის ნორმებმა, თუნდაც კონსტიტუციურმა წესრიგმა, არ შეიძლება დაუშვას ევროკავშირის კანონის ეფექტიანობის შელახვა ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე (2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება, Melloni, C 399/11, EU:C:2013:107, პუნქტი 59).

79. უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან წევრი სახელმწიფოების მიერ დირექტივის იმპლემენტაცია, ნებისმიერ შემთხვევაში, დაფარულია ქარტიის 51-ე მუხლში მითითებული სიტუაციით, რომელშიც წევრი სახელმწიფოები ახორციელებენ კავშირის კანონის გადატანას, ასეთი ტრანსპოზიციისას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქარტიით გათვალისწინებული ფუნდამენტური უფლებების დაცვის დონე, დირექტივის ტრანსპოზიციისას წევრი სახელმწიფოების დისკრეციის მიუხედავად.

80. ამის გათვალისწინებით, იმ სიტუაციაში, როდესაც წევრი სახელმწიფოების ქმედება მთლიანად არ არის განსაზღვრული ევროკავშირის კანონმდებლობით, ქარტიის 51(1) მუხლის მიზნებისთვის, ეროვნულ ორგანოებს და სასამართლოებს აქვთ თავისუფლება, გამოიყენონ ფუნდამენტური უფლებების დაცვის ეროვნული სტანდარტები, იმ პირობით, რომ ქარტიით გათვალისწინებული დაცვის დონე, სასამართლოს პრაქტიკით განსაზღვრული ევროკავშირის სამართლის პრიმატი, ერთიანობა და ეფექტიანობა არ დაირღვევა (2013 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებები, Melloni, C 399/11, EU:C:2013:107, პუნქტი 60, და 2013 წლის 26 თებერვალი, Åkerberg Fransson, C 617/10, EU:C:2013:105, პუნქტი 29).

81. ამდენად, ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა და ორგანოებმა ზემოთ აღნიშნული განახორციელონ იმ პირობით, რომ დირექტივის დებულებები „იძლევიან [გარკვეულ] დისკრეციას ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის თვალსაზრისით“. ეს პირობა გაგებული უნდა იქნეს, როგორც ამ დებულებებით უზრუნველყოფილი ჰარმონიზაციის შენარჩუნება და ამ დისკრეციამ გავლენა არ უნდა მოახდინოს დირექტივის სრულ ჰარმონიზაციაზე.

82. მოცემულ შემთხვევაში, 2001/29 დირექტივის მიზანია საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მხოლოდ გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაცია, რომელთა რიგი დებულებები, ასევე, ადგენს ევროკავშირის კანონმდებლის განზრახვას, მიანიჭოს გარკვეული დისკრეცია წევრ სახელმწიფოებს დირექტივის იმპლემენტაციის პროცესში (იხ. 2015 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება, Copydan Båndkopi, C 463/12, EU:C:2015:144, პუნქტი 57).

83. რაც შეეხება მფლობელთა განსაკუთრებულ უფლებას, რომელიც მითითებულია 2001/29 დირექტივის მე-2(გ) მუხლში, წინამდებარე გადაწყვეტილების 27-ე პუნქტში აღინიშნა, რომ, ამ დებულების თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ფონოგრამის მწარმოებელთა განსაკუთრებული უფლება „ნება დართონ ან აკრძალონ მათი ფონოგრამების პირდაპირი ან არაპირდაპირი, დროებითი ან მუდმივი რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებით და ნებისმიერი ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ“.

84. შესაბამისად, ეს დებულება ცალსახად განსაზღვრავს ფონოგრამის მწარმოებლის რეპროდუცირების განსაკუთრებულ უფლებას ევროკავშირში. უფრო მეტიც, ეს დებულება არ ექვემდებარება არავითარ პირობას და რაიმე ფორმით ღონისძიებას იმპლემენტაციისას.

85. აქედან გამომდინარეობს, რომ 2001/29 დირექტივის 2(გ) მუხლი წარმოადგენს შესაბამისი მატერიალური სამართლის სრული ჰარმონიზაციის ზომას (იხ. ანალოგიით, ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებასთან დაკავშირებით, 2001 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებები, Zino. Davidoff and Levi Strauss, C 414/99 to C 416/99, EU:C:2001:617, პარაგრაფი 39, და 2002 წლის 12 ნოემბრის, არსენალი საფეხბურთო კლუბი, C 206/01, EU:C:2002:651, პუნქტი 43).

86. ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მეხუთე კითხვაზე პასუხი არის ის, რომ 2001/29 დირექტივის მე-2(გ) მუხლის ქვეპუნქტი უნდა განიმარტოს, როგორც შესაბამისი მატერიალური სამართლის სრული ჰარმონიზაციის ღონისძიება.

ხარჯები

87. ვინაიდან ეს პროცესი ძირითადი დავის მხარეებისთვის არის ეროვნული სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოების ნაწილი, ხარჯებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ამ სასამართლოს ეკუთვნის. სასამართლოსთვის შენიშვნების წარდგენისას გაწეული ხარჯები, გარდა ამ მხარეების ხარჯებისა, არ ანაზღაურდება.

ამ საფუძვლებიდან გამომდინარე, სასამართლო (დიდი პალატა) ადგენს:

1. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ 2001/29/EC დირექტივის 2(გ) მუხლი ქარტიის გათვალისწინებით, განმარტებული უნდა იქნეს, როგორც ფონოგრამის მწარმოებლის განსაკუთრებული უფლება აუკრძალოს მესამე პირებს მისი ფონოგრამის რეპროდუცირება და გავრცელება, მათ შორის სხვა ფონოგრამაში გამოყენების მიზნით, ფონოგრამიდან

თუნდაც ძალიან მოკლე ხმის ნიმუში აღება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ნიმუში ფონოგრამაში შედის შეცვლილი, ყურისთვის ამოუცნობი ფორმით.

2. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 12 დეკემბრის გაქირავების, თხოვების და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული გარკვეული უფლებების შესახებ 2006/115/EC დირექტივის 9(1)(ბ) მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ ფონოგრამა, რომელიც შეიცავს სხვა ფონოგრამიდან გადმოტანილ ხმის ნიმუშებს, არ არის ამ დებულების მნიშვნელობით ამ ფონოგრამის „ასლი“, თუ ის არ ასახავს ამ ფონოგრამას მთლიანად ან მის მნიშვნელოვან ნაწილს.

3. წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ეროვნული კანონმდებლობით დააწესოს ფონოგრამის მწარმოებლის 2001/29 დირექტივის მე-2(გ) მუხლის პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამონაკლისი ან შეზღუდვა, გარდა 2001/29 დირექტივის მე-5 მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვებისა და გამონაკლისებისა.

4. 2001/29 დირექტივის 5(3)(დ) მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ ამ დებულებაში მოხსენიებული „ციტატის“ ცნება არ ვრცელდება იმ სიტუაციაზე, როცა შეუძლებელია იმ ნაწარმოების იდენტიფიცირება, რომელსაც ეხება მოცემული ციტატა.

5. 2001/29 დირექტივის მე-2 მუხლის (გ) ქვეპუნქტი უნდა განიმარტოს, როგორც შესაბამისი მატერიალური სამართლის სრული ჰარმონიზაციის ღონისძიება.

C-147/19 Atresmedia

სასამართლოს გადაწყვეტილება (მეხუთე პალატა)

2020 წლის 18 ნოემბერი

(მიმართვა წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად – ინტელექტუალური საკუთრება – მომიჯნავე უფლებები – დირექტივა 92/100/EEC – მუხლი 8(2) – დირექტივა 2006/115/EC – მუხლი 8(2) – ფონოგრამის ან ფონოგრამის ასლის შემცველი აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო გადაცემა - ერთჯერადი სამართლიანი ანაზღაურება)

საქმეში C 147/19,

მოთხოვნა წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანისთვის TFEU-ს 267-ე მუხლის საფუძველზე Tribunal Supremo-დან (უზენაესი სასამართლო, ესპანეთი), მიღებული 2019 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით, წარმოდგენილი სასამართლოში 2019 წლის 20 თებერვალს.

Atresmedia Corporación de Medios de Comunicación SA

v

Asociación de Gestión de Derechos Intelectuales (AGEDI),

Artistas Intérpretes o Ejecutantes, Sociedad de Gestión de España (AIE),

სასამართლო (მეხუთე პალატა),

შემადგენლობა: პალატის პრეზიდენტი ე. რეგანი, მ. ილესიჩი (მომხსენებელი), ე. იუჰასზი, კ. ლიკურგოსი და ი. იარუკაიტისი (მოსამართლეები)

გენერალური ადვოკატი: ე. ტანჩევი,

რეგისტრატორი: კ. სტრომჰოლმი, ადმინისტრატორი,

წერილობითი პროცედურის და შემდგომ და 2020 წლის 30 იანვრის მოსმენის გათვალისწინებით,

შემდეგი პირების სახელით წარმოდგენილი პოზიციების განხილვის შემდეგ:

- Atresmedia Corporación de Medios de Comunicación SA, წარმომადგენლები კ. აგილარ ფერნანდესი, ლ.ჯ. ვიდალვ კალვო და მ. გონსალეზ გორდონი – ადვოკატები
- Asociación de Gestión de Derechos Intelectuales (AGEDI), წარმომადგენლები: ჯ. მარინ ლოპესი, ადვოკატი,
- Artistas Intérpretes o Ejecutantes, Sociedad de Gestión de España (AIE), წარმომადგენელი: ა. ლოპეს სანჩესი, ადვოკატი
- ესპანეთის მთავრობა, თავდაპირველად წარმოდგენილი ა. რუბიო გონსალესის და შემდგომ ს. ხიმენეს გარსიას მიერ, რომლებიც ასრულებდნენ წარმომადგენლის მოვალეობას,
- ევროკომისია, წარმოდგენილი ე. გიპინი ფურნიესა და ხ. სამნადას მიერ, რომლებიც ასრულებდნენ წარმომადგენლის მოვალეობას,

2020 წლის 16 ივლისის სხდომაზე გენერალური ადვოკატის აზრის მოსმენის შემდეგ,

ადგენს შემდეგს:

გადაწყვეტილება

1. წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ ეს მოთხოვნა ეხება საბჭოს 1992 წლის 19 ნოემბრის გაქირავების, თხოვებისა და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ზოგიერთი უფლების შესახებ 92/100/EEC დირექტივის (OJ 1992 წ. L 346, გვ. 61) მე-8(2) მუხლისა და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 12 დეკემბრის გაქირავების, თხოვებისა და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ზოგიერთი უფლების შესახებ 2006/115/EC დირექტივის (OJ 2006 L 376, გვ. 28) მე-8(2) მუხლის ინტერპრეტაციას.

2. მოთხოვნა წარმოდგენილ იქნეს სასამართლოში, ერთი მხრივ, Atresmedia Corporación de Medios de Comunicación SA („Atresmedia“), საწარმოს, რომელიც ფლობს უამრავ სატელევიზიო არხს, და, მეორე მხრივ - Asociación de Gestión de Derechos-ს შორის. Intelectuales (AGEDI) და Artistas Intérpretes o Ejecutantes, Sociedad de Gestión de España (AIE) - სუბიექტები, რომლებიც შესაბამისად კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ფონოგრამის მწარმოებლებისა და შემსრულებლების ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს - შორის მიმდინარე დავის ფარგლებში, რომელიც ეხება Atresmedia-ს მიერ ერთიანი სამართლიანი ანაზღაურების გადახდას მის კუთვნილ სატელევიზიო არხებზე ფონოგრამის შემცველი აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო გადაცემისთვის.

სამართლებრივი კონტექსტი

საერთაშორისო კანონმდებლობა

ვენის კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ

3. საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ 1969 წლის 23 მაისის ვენის კონვენციის 31(2)(ა) მუხლი (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულების სერია, ტ. 1155, გვ. 331) ადგენს:

„ხელშეკრულების ინტერპრეტაციის კონტექსტი, ტექსტის გარდა, უნდა შეიცავდეს მის პრეამბულას და დანართებს:

ა) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც დაიდო ყველა მხარეს შორის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით;

…

რომის კონვენცია

4. ყველა სხვა წევრი სახელმწიფოსგან განსხვავებით, მალტის რესპუბლიკის გარდა, ევროკავშირი არ არის შემსრულებელთა, ფონოგრამების მწარმოებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის საერთაშორისო კონვენციის მხარე, კონვენციისა, რომელიც დაიდო რომში 1961 წლის 26 ოქტომბერს („რომის კონვენცია“).

5. ამ კონვენციის მე-3 მუხლი ადგენს:

„ამ კონვენციის მიზნებისთვის:

…

ბ) „ფონოგრამა“ ნიშნავს შესრულების ხმების ან სხვა ხმების მხოლოდ ხმოვან ჩანაწერს;

…

(ე) „რეპროდუცირება“ ნიშნავს ჩანაწერის ასლის ან ასლების დამზადებას;

…

WPPT

6. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ (WIPO) 1996 წლის 20 დეკემბერს მიიღო ისმო-ს საავტორო უფლებების შესახებ ხელშეკრულება და ისმო-ს შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ ხელშეკრულება („WPPT“). ეს ხელშეკრულებები დამტკიცდა ევროპის თანამეგობრობის სახელით, საბჭოს 2000 წლის 16 მარტის 2000/278/EC გადაწყვეტილებით, „ევროპული თანამეგობრობის სახელით ისმო-ს საავტორო უფლებების შესახებ ხელშეკრულებისა და ისმო-ს შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ“ (OJ 2000 L 89)., გვ.6) და ძალაში შევიდა ევროკავშირთან მიმართებაში 2010 წლის 14 მარტს.

7. WPPT-ის მე-2 მუხლის ბ პუნქტი ადგენს:

„ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის:

…

ბ) „ფონოგრამა“ არის შესრულების ან სხვა ხმების ჩაწერა, ან ხმების გამოხატულება, გარდა იმ ხმებისა, რომლებიც ჩანაწერის სახითაა ჩართული კინემატოგრაფიულ ან სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში;

8. 1996 წლის 20 დეკემბრის დიპლომატიურმა კონფერენციამ ზოგიერთი საავტორო მომიჯნავე უფლებების საკითხის თაობაზე მიიღო შემდეგი შეთანხმებული განცხადება WPPT-ის მე-2(ბ) მუხლთან დაკავშირებით:

გაგებულია, რომ მე-2(ბ) მუხლში მოცემული ფონოგრამის განმარტება არ გულისხმობს, რომ მასზე არსებული უფლებები რამენაირად შელახულია მათი კინემატოგრაფიულ ან სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში ჩართვით.

ევროკავშირის კანონმდებლობა

დირექტივა 92/100

9. 92/100 დირექტივის პრეამბულის მე-7 და მე-10 პუნქტებში ნათქვამია:

ვინაიდან ავტორებისა და შემსრულებლების შემოქმედებით და მხატვრულ ნაწარმოებებს სჭირდება ადეკვატური შემოსავლის მიღების შესაძლებლობა შემდგომი შემოქმედებითი და მხატვრული ნაწარმოებების შექმნისთვის, და ფონოგრამისა და ფილმების წარმოებისთვის საჭიროა დიდი მოცულობისა და მაღალი რისკის შემცველი ინვესტიციების განხორციელება; ვინაიდან ამ შემოსავლის უზრუნველყოფა და ამ ინვესტიციის დაცვა შეიძლება გარანტირებული იყოს მხოლოდ შესაბამისი უფლებების მფლობელების ადეკვატური სამართლებრივი დაცვის გზით;

…

ვინაიდან წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა ისე უნდა იყოს დაახლოებული, რომ ის არ შეეწინააღმდეგოს საერთაშორისო კონვენციებს, რომლებზეც დაფუძნებულია მრავალი წევრი სახელმწიფოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების კანონები“.

10. ამ დირექტივის მე-8 მუხლის, სათაურით „ეთერში გადაცემა და საჯარო გადაცემა“, მე-2 პუნქტით გათვალისწინებულია შემდეგი:

„თუ ხდება კომერციული მიზნებისთვის გამოქვეყნებული ფონოგრამის ან მისი ასლის უსადენო ან ნებისმიერი სხვა სახის საჯარო გადაცემა, მოსარგებლის მიერ სამართლიანი ანაზღაურების გადახდის, და ამ ანაზღაურების შესაბამის შემსრულებელსა და ფონოგრამის მწარმოებელს შორის განაწილების უზრუნველსაყოფად, წევრი ქვეყნები ვალდებული არიან გაითვალისწინონ შესაბამისი უფლება. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, შემსრულებლებსა და ფონოგრამის მწარმოებლებს შორის შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, დააწესონ პირობები ამ ანაზღაურების მათ შორის განაწილების შესახებ“.

11. დირექტივა 92/100 კოდიფიცირებულ იქნეს და გაუქმდა 2006/115 დირექტივით.

დირექტივა 2001/29/EC

12. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ 2001/29/EC დირექტივის მე-2 მუხლი (OJ 2001 L 167, გვ. 10), სათაურით „რეპროდუცირების უფლება“, ითვალისწინებს:

„წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ექსკლუზიურ განსაკუთრებულ უფლებას დაუშვან ან აკრძალონ პირდაპირი ან არაპირდაპირი, დროებითი ან მუდმივი რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებით და ნებისმიერი ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ:

(ა) ავტორებისთვის, მათი ნაწარმოებების;

(ბ) შემსრულებლებისთვის, მათი შესრულების;

(გ) ფონოგრამის დამამზადებლებს, მათი ფონოგრამების;

…

დირექტივა 2006/115

13. 2006/115 დირექტივის პრეამბულის მე-5 და მე-7 პუნქტებში ნათქვამია:

(5) ავტორებისა და შემსრულებლების შემოქმედებით და მხატვრულ ნაწარმოებებს სჭირდება ადეკვატური შემოსავლის მიღების შესაძლებლობა შემდგომი შემოქმედებითი და მხატვრული ნაწარმოებების შექმნისთვის, ფონოგრამისა და ფილმების წარმოებისთვის საჭიროა დიდი მოცულობისა და მაღალი რისკის შემცველი ინვესტიციების განხორციელება; ამ შემოსავლის უზრუნველყოფა და ამ ინვესტიციის დაცვა შეიძლება გარანტირებული იყოს მხოლოდ შესაბამისი უფლებების მფლობელთა ადეკვატური სამართლებრივი დაცვის გზით;

…

(7) წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა ისე უნდა იყოს დაახლოებული, რომ არ შეეწინააღმდეგოს საერთაშორისო კონვენციებს, რომლებზეც დაფუძნებულია მრავალი წევრი სახელმწიფოს საავტორო და მომიჯნავე უფლებების კანონები“.

14. 2006/115 დირექტივის 8(2) მუხლის ფორმულირება 92/100 დირექტივის 8(2) მუხლის იდენტურია.

ესპანური კანონმდებლობა

15. Real Decreto Legislativo 1/1996, por el que se aprueba el texto refundido de la Ley de Propiedad Intelectual, regularizando, aclarando y armonizando las disposiciones legales vigentes sobre la materia (1/196

1996 წლის 12 აპრილის 1/196 სამეფო დადგენილება – ინტელექტუალური საკუთრების კანონის შესწორებული ტექსტი, რომელიც ადგენს, განმარტავს და ჰარმონიზაციას უწევს ამ სფეროში მოქმედ საკანონმდებლო დებულებებს (BOE №97, 1996 წლის 22 აპრილი, გვ. 14369), ძირითადი დავისთვის მოქმედი ვერსიით („LPI“)) 108(4) მუხლი ადგენს:

„კომერციული მიზნებისთვის გამოქვეყნებული ფონოგრამის ან ამ ფონოგრამის ასლის ნებისმიერი ფორმით საჯარო გადაცემის განმახორციელებელი მოსარგებლეები, ვალდებულნი არიან გადაიხადონ ერთიანი სამართლიანი ანაზღაურება შემსრულებლებისა და ფონოგრამის მწარმოებლების სასარგებლოდ, რომელთა შორისაც ეს ანაზღაურება განაწილდება. შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, ანაზღაურება განაწილდება თანაბრად...“

16. LPI-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს:

„ფონოგრამა“ ნიშნავს ნაწარმოების შესრულების ან სხვა ბგერების მხოლოდ ხმოვან ფიქსაციას.

17. LPI-ის 116(2) მუხლი, რომელიც წარმოდგენილია ფონოგრამების მწარმოებლების უფლებების მარეგულირებელი სათაურით, შეიცავს 108(4) მუხლის იდენტურ ფორმულირებას.

ძირითადი სამართალწარმოების დავის საგანი და წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად გადაცემული კითხვები

18. 2010 წლის 29 ივლისს, AGEDI-მ და AIE-მ შეიტანეს სარჩელი Juzgado de lo Mercantil de Madrid №4bis-ში (კომერციული სასამართლო, მადრიდი, ესპანეთი) Atresmedia-ს წინააღმდეგ, რითაც ითხოვენ კომპენსაციის გადახდას კომერციული მიზნით გამოქვეყნებული ფონოგრამების ან მათი ასლების საჯარო გადაცემისა და ამ გადაცემასთან დაკავშირებული უნებართვო რეპროდუცირების გამო, რომელიც განხორციელდა 2003 წლის 1 ივნისიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში Atresmedia-ს კუთვნილი სატელევიზიო არხების მეშვეობით.

19. მას შემდეგ, რაც მადრიდის კომერციულმა სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ეს სარჩელი, AGEDI-მ და AIE-მ სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს Audiencia Provincial de Madrid-ში (პროვინციული სასამართლო, მადრიდი, ესპანეთი), რომელმაც გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სრულად დააკმაყოფილა საჩივარი.

20. Atresmedia-მ მომმართველ სასამართლოში გაასაჩივრა Audiencia Provincial de Madrid-ის (პროვინციული სასამართლო, მადრიდი) გადაწყვეტილება.

21. მომმართველი სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივარი ეხება კონკრეტულ საკითხს, წარმოშობს თუ არა Atresmedia-ს მიერ მისი სატელევიზიო არხებით განხორციელებული აუდიოვიზუალური ნაწარმოებების საჯარო გადაცემა ესპანეთის კანონმდებლობით, კერძოდ, LPI-ის 108(4) და 116(2) მუხლებით გათვალისწინებულ სამართლიანი ანაზღაურების უფლებას, რომელიც ევროკავშირის კანონმდებლობაში შეესაბამება 92/100 დირექტივის 8(2) და 2006/115 დირექტივის 8(2) მუხლებს. კერძოდ, სასამართლო აცხადებს, რომ მას ევალება დაადგინოს, იმ მომენტიდან, როდესაც კომერციული მიზნებისთვის გამოქვეყნებული ფონოგრამა, ან ამ ფონოგრამის ასლი, ჩართული ან „სინქრონიზებულია“ აუდიოვიზუალურ ჩანაწერში, რომელიც აუდიოვიზუალური ნაწარმოებია, აქვთ თუ არა შესაბამის შემსრულებლებსა და ფონოგრამის მწარმოებლებს სამართლიანი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

22. მომმართველი სასამართლო დასძენს, რომ ვინაიდან AGEDI და AIE მოითხოვენ კომპენსაციას Atresmedia-სგან 2003 წლის 1 ივნისიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განხორციელებული

აუდიოვიზუალური ნაწარმოებების საჯარო გადაცემისთვის, ძირითად სამართალწარმოებაში ორივე, 92/100 და 2006/115 დირექტივა გამოყენებულ უნდა იქნეს rationae temporis.

23. ამ გარემოებების გათვალისწინებით, მადრიდის უზენაესმა სასამართლომ გადაწყვიტა შეეჩერებინა სამართალწარმოება და მართლმსაჯულების სასამართლოსთვის მიემართა შემდეგ კითხვებზე წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით:

(1) მოიცავს თუ არა 92/100 და 2006/115 დირექტივების 8(2) მუხლებში მოხსენიებული „კომერციული მიზნებისთვის გამოქვეყნებული ფონოგრამის რეპროდუცირების“ კონცეფცია კომერციული მიზნებისთვის გამოქვეყნებული ფონოგრამის რეპროდუცირებას აუდიოვიზუალურ ჩანაწერში, რომელიც შეიცავს აუდიოვიზუალური ნაწარმოებს?

(2) იმ შემთხვევაში, თუ წინა კითხვაზე პასუხი დადებითია, არის თუ არა ვალდებული სამაუწყებლო ორგანიზაცია, რომელიც ნებისმიერი ფორმით საჯარო გადაცემისთვის იყენებს აუდიოვიზუალურ ჩანაწერს, და ეს ჩანაწერი შეიცავს კინემატოგრაფიულ ან აუდიოვიზუალურ ნაწარმოებს, რომელშიც კომერციული მიზნებისთვის გამოქვეყნებული ფონოგრამა რეპროდუცირებულია, განახორციელოს ერთიანი სამართლიანი ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული დირექტივების 8(2) მუხლებით.

დასმული შეკითხვების განხილვა

24. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ძირითად დავაში დადგენილი გარემოებაა, რომ კომერციული მიზნებისთვის გამოქვეყნებული ფონოგრამები ან მათი ასლები ჩართული იყო აუდიოვიზუალურ ჩანაწერებში, რომლებიც შეიცავს აუდიოვიზუალური ნაწარმოებების ფიქსაციას და Atresmedia-ს კუთვნილი სატელევიზიო არხების მეშვეობით განხორციელდა ამ აუდიოვიზუალური ჩანაწერების საჯარო გადაცემა.

25. ამასთან დაკავშირებით, მომმართველი სასამართლოს კითხვები არ ეხება ამ ფონოგრამების რეპროდუცირებას, როდესაც მოხდა მათი აუდიოვიზუალურ ჩანაწერებში ჩართვა. სასამართლო აცხადებს, რომ ფონოგრამების აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში ჩართვა განხორციელდა შესაბამისი უფლებების მფლობელების ნებართვით და მათთვის გადახდილი ანაზღაურების სანაცვლოდ, მოქმედი სახელშეკრულებო შეთანხმების შესაბამისად.

26. მიუხედავად ამისა, მომმართველი სასამართლო ცდილობს გაარკვიოს, უნდა მიიღონ თუ არა შესაბამისმა შემსრულებლებმა და ფონოგრამის მწარმოებლებმა 92/100 დირექტივის 8(2) მუხლით და 2006/115 დირექტივის 8(2) მუხლით გათვალისწინებული ერთიანი სამართლიანი ანაზღაურება, როცა ხორციელდება ასეთი აუდიოვიზუალური ჩანაწერების საჯარო გადაცემა.

27. ამ გარემოებებში უნდა დადგინდეს, რომ თავისი კითხვებით, რომლებიც მიზანშეწონილია ერთად განიხილოს, მომმართველი სასამართლო არსებითად სვამს კითხვას, უნდა განიმარტოს თუ არა 92/100 დირექტივის 8(2) მუხლი და 2006/115 დირექტივის 8(2) მუხლი ისე, რომ ამ დებულებებში მითითებული ერთიანი სამართლიანი ანაზღაურება მოსარგებლემ უნდა გადაიხადოს, როდესაც ის ახდენს ისეთი აუდიოვიზუალური ჩანაწერის საჯარო გადაცემას, რომელიც შეიცავს აუდიოვიზუალური ნაწარმოების ფიქსაციას, რომელშიც ჩართულია ფონოგრამა ან მისი ასლი.

28. უნდა აღინიშნოს, რომ 92/100 დირექტივის 8(2) მუხლის და 2006/115 დირექტივის 8(2) მუხლის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მოსარგებლის მიერ ერთიანი სამართლი-

ანი ანაზღაურების გადახდის უფლება, თუ კომერციული მიზნებისთვის გამოქვეყნებული ფონოგრამა ან მისი ასლი გამოიყენება უსადენო საშუალებებით ნებისმიერი სხვა ფორმით საჯარო გადაცემაში.

29. როგორც სასამართლომ უკვე აღნიშნა, ეს ანაზღაურება არის კომერციული ფონოგრამის საჯარო გადაცემის ან ეთერში გადაცემის სახით გამოყენებისთვის ანაზღაურება (იხ. 2003 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება, SENA, C 245/00, EU:C:2003:68, პარაგრაფი 37, და 2005 წლის 14 ივლისი, Lagardère Active Broadcast, C 192/04, EU:C:2005:475, პარაგრაფი 50).

30. ეს დებულებები შესაბამის პირებს ანიჭებენ უფლებას, რომელიც კომპენსაციური ხასიათისაა, და რომელიც წარმოიშობა კომერციული მიზნებისთვის გამოქვეყნებულ ფონოგრამის ან მისი ასლის საჯარო გადაცემის გამო (იხილეთ, ამ მიზნით, 2020 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება, Recorded Artists Actors Performers, C 265/19, EU:C:2020:677, პარაგრაფი 54 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

31. ამ გარემოებებში აუცილებელია განისაზღვროს, უნდა მოხდეს თუ არა ზემოთ, 27-ე პუნქტში მითითებული აუდიოვიზუალური ჩანაწერის, რომელიც შეიცავს აუდიოვიზუალური ნაწარმოების ფიქსაციას, როგორც „ფონოგრამის“ ან მისი ასლის კლასიფიცირება 92/100 დირექტივის 8(2) მუხლის ან 2006/115 დირექტივის 8(2) მუხლის მიზნებისთვის.

32. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ არც 92/100 და 2006/115 დირექტივები და არც ევროკავშირის სხვა დირექტივები საავტორო უფლებების სფეროში არ განსაზღვრავს „ფონოგრამის“ ცნებას და არ შეიცავს გამოხატულ მითითებას წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაზე ამ ცნების ფარგლების განსაზღვრის მიზნით.

33. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ევროკავშირის სამართლის დებულების ტერმინებს, რომლებთან დაკავშირებითაც არ არის მითითება წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაზე მისი მნიშვნელობისა და ფარგლების განსაზღვრის მიზნით, ჩვეულებრივ უნდა მიეცეს ავტონომიური და ერთიანი ინტერპრეტაცია მთელ ევროკავშირში; ინტერპრეტაციამ უნდა გაითვალისწინოს ამ დებულების ფორმულირება და მისი კონტექსტი, კერძოდ, მისი წარმოშობის საფუძვლები და საერთაშორისო კანონმდებლობა, ისევე როგორც იმ წესების მიზნები, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს (2020 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება, Recorded Artists Actors Performers, C 265/19, EU:C:2020:677, პუნქტი 46 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

34. ამასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ 92/100 და 2006/115 დირექტივების დებულებები უნდა იქნეს განმარტებული საერთაშორისო სამართლის, კერძოდ, საერთაშორისო ხელშეკრულებების სამართლის ფონზე, რომლის იმპლემენტაციაც სპეციალურად არის გამიზნული, როგორც ეს პირდაპირ არის აღნიშნული 92/100 დირექტივის პრეამბულის მე-10 პუნქტსა და 2006/115 დირექტივის პრეამბულის მე-7 პუნქტში (იხ. ამასთან დაკავშირებით, 2020 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება, Recorded Artists Actors Performers, C 265/19, EU:C: 2020:677, პუნქტი 51 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

35. როგორც გენერალურმა ადვოკატმა აღნიშნა თავისი მოსაზრების 36-ე პუნქტში, ქირავნობის, თხოვებისა და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ზოგიერთი უფლებების შესახებ საბჭოს დირექტივის COM(90) 586 საბოლოო, რომელიც წინ უძღოდა დირექტივის 92/100 მიღებას, განმარტებითი მემორანდუმიდან აშკარაა, რომ ამ დირექტივის მიზნებისთვის საჭირო იყო inter alia რომის კონვენციაში მოცემულ ტერმინებზე მითითება, ვინაიდან ამ დირექტივაში გამოყენებული

ტერმინები ფუნდამენტური იყო საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში და მათი განმარტება უკვე მნიშვნელოვნად იყო ჰარმონიზებული არაპირდაპირი გზით საერთაშორისო ხელშეკრულებების სამართლით.

36. მართალია, ამ კონვენციის დებულებები არ წარმოადგენს ევროკავშირის სამართლებრივი წესრიგის ნაწილს, ვინაიდან ევროკავშირი არ არის ამ კონვენციის მხარე, თუმცა, სასამართლომ უკვე აღნიშნა, რომ რომის კონვენციას აქვს არაპირდაპირი გავლენა ევროკავშირის ფარგლებში (იხ. 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება, SCF, C 135/10, EU:C:2012:140, პუნქტები 42 და 50).

37. რომის კონვენციის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის ფორმულირებით, „ფონოგრამის“ ცნება განისაზღვრება, როგორც შესრულების ხმების ან სხვა ბგერების „ექსკლუზიურად ხმოვანი“ ჩანაწერი. აქედან გამომდინარეობს, რომ გამოსახულებისა და ბგერების ფიქსაციას ეს კონცეფცია არ მოიცავს, რადგან ასეთი ფიქსაცია არ შეიძლება აღიწეროს, როგორც "მხოლოდ ხმოვანი".

38. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ 2006/115 დირექტივის 8(2) მუხლში „ფონოგრამის“ ცნება, რომელმაც შესწორების გარეშე ჩაანაცვლა 92/100 დირექტივის 8(2) მუხლი, უნდა იყოს განმარტებული WPPT-ს ეკვივალენტური შინაარსით (იხილეთ, ამ მიზნით, 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება, ფონოგრამაზე შესრულება (ირლანდია), C 162/10, EU:C:2012:141, 58 პუნქტი და 2020 წლის 8 სექტემბერი, Recorded Artists Actors Performers, C 265/19, EU:C:2020:677, პუნქტი 62), რადგან ამ ხელშეკრულების დებულებები ევროკავშირის სამართლებრივი წესრიგის განუყოფელი ნაწილია და, შესაბამისად, გამოიყენება ევროკავშირში (იხ. ეფექტი, 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება, SCF, C 135/10, EU:C:2012:140, პუნქტები 38 და 39).

39. WPPT-ის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ფონოგრამა“ არის შესრულების ან სხვა ხმების ჩანაწერი, ან ხმების გამოხატულება, გარდა იმ ხმებისა, რომლებიც ჩანაწერის სახითაა ჩართული კინემატოგრაფიულ ან სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში;

40. ისმო-ს მიერ ადმინისტრირებული საავტორო და მომიჯნავე უფლებების ხელშეკრულებების სახელმძღვანელოდან, WIPO-ს მიერ შემუშავებული ინტერპრეტაციული დოკუმენტიდან, რომელიც იურიდიულად სავალდებულო არ არის, მაგრამ მაინც ეხმარება WPPT-ს ინტერპრეტაციას (იხ. ანალოგიით, ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით (პარიზის აქტი 24 ივლისი 1971), გადახედილი 1979 წლის 28 სექტემბრის შესწორების შედეგად, 2011 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ფეხბურთის ასოციაციის პრემიერ ლიგა და სხვა, C. 403/08 და C 429/08, EU:C:2011:631, პუნქტი 201 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა), გამომდინარეობს, რომ WPPT-მ განაახლა რომის კონვენციის მე-3(ბ) მუხლში მოცემული „ფონოგრამის“ განმარტება „იმ მნიშვნელობით... რომ, იმ შემთხვევაში, როდესაც აუდიოვიზუალური ჩანაწერი არ კვალიფიცირდება როგორც ნაწარმოები, შესრულების ან სხვა ხმების ჩანაწერი, ან ხმების გამოხატულება, რომელიც ჩართულია ასეთ აუდიოვიზუალურ ჩანაწერში, განიხილება როგორც „ფონოგრამა“. იგივე აღნიშნულია გენერალური ადვოკატის მოსაზრების 50-ე პუნქტში.

41. აქედან გამომდინარე, უნდა დადგინდეს, რომ როგორც WPPT-ს მე-2(ბ) მუხლის პუნქტის ფორმულირება, ისე წინა პუნქტში მოხსენიებული დოკუმენტი გამორიცხავს კინემატოგრაფიულ ან სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში ჩართული ხმოვანი ჩანაწერის „ფონოგრამის“ ცნების ქვეშ განმარტებას.

42. როგორც AGEDI-მ, AIE-მ და ესპანეთის მთავრობამ აღნიშნეს, WPPT-ს მე-2(ბ) მუხლის შესახებ შეთანხმებული განცხადება, მიღებული 1996 წლის 20 დეკემბრის საავტორო და მომიჯნავე უფლებების გარკვეული საკითხების შესახებ დიპლომატიური კონფერენციის მიერ - რომელიც

საერთაშორისო ხელშეკრულებების კანონის შესახებ ვენის კონვენციის 31(2)(ა) მუხლის მიხედვით წარმოადგენს ზემოაღნიშნული დებულების ინტერპრეტაციის არსებით ელემენტს – ადგენს, რომ „ფონოგრამის განმარტება, რომელიც მოცემულია მე-2(ბ) მუხლში, არ მიუთითებს იმაზე, რომ უფლებები ფონოგრამაზე რაიმე ფორმით ილახება კინემატოგრაფიულ ან სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში მათი ჩართვით“.

43. თუმცა, ეს შეთანხმებული განცხადება არ შეიძლება ეჭვქვეშ აყენებდეს ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს.

44. ამ შეთანხმებული განცხადებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კინემატოგრაფიულ ან სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში ჩართული ფონოგრამა კარგავს „ფონოგრამის“ სტატუსს იმდენად, რამდენადაც ის ამ ნაწარმოების ნაწილია. თუმცა, ეს არ ახდენს გავლენას ამ ფონოგრამის უფლებებზე, როცა ის გამოიყენება ასეთი აუდიოვიზუალური ნაწარმოებისგან დამოუკიდებლად.

45. ამ ინტერპრეტაციას კიდევ უფრო ამყარებს ზემოთ, მე-40 პუნქტში მოხსენიებული დოკუმენტი, საიდანაც აშკარაა, რომ ეს შეთანხმებული განცხადება მიზნად ისახავს, დააზუსტოს, რომ „ფონოგრამები შეიძლება გამოყენებულ იქნეს [კინემატოგრაფიულ ან სხვა აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში] მხოლოდ შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე, [WPPT-ით] განსაზღვრული ფონოგრამის მწარმოებელთა უფლებების გათვალისწინებით. თუ ისინი კვლავ გამოიყენება აუდიოვიზუალური ნაწარმოებისგან დამოუკიდებლად, მაშინ ჩაითვლება „ფონოგრამებად“.

46. წინამდებარე საქმეში, პირველ რიგში, ზემოთ, 25-ე პუნქტში, უკვე აღინიშნა, რომ ფონოგრამები, რომლებიც განხილვის საგანია ძირითად დავაში, ჩართული იყო აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებში შესაბამისი უფლებების მფლობელთა ნებართვით და მათთვის გადახდილი გასამრჯელოს სანაცვლოდ. მეორე, უდავოა, რომ ეს ფონოგრამები არ გამოიყენებოდა იმ აუდიოვიზუალური ნაწარმოებისგან დამოუკიდებლად, რომელშიც ისინი იყო ჩართული.

47. ამ გარემოებებში უნდა დადგინდეს, რომ აუდიოვიზუალური ჩანაწერი, რომელიც შეიცავს აუდიოვიზუალური ნაწარმოების ფიქსაციას, არ შეიძლება კლასიფიცირებული იყოს როგორც „ფონოგრამა“ 92/100 დირექტივის 8(2) მუხლის ან 2006/115 დირექტივის 8(2) მუხლის მნიშვნელობით.

48. მეორე ადგილზე, რაც შეეხება „ფონოგრამის რეპროდუცირების“ ცნებას, რომელიც არ არის განმარტებული დირექტივებით და რომლებიც, ასევე, არ შეიცავს რაიმე გამოხატულ მითითებას წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაზე ამ ცნების მნიშვნელობის განმარტების კუთხით - უნდა აღინიშნოს, რომ რომის კონვენციის მე-3 მუხლის „ე“ პუნქტი, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზემოთ, 34-ე და 36-ე პუნქტებში მითითებული მიზეზების გამო, „რეპროდუცირებას“ განსაზღვრავს, როგორც „ჩანაწერის ასლის ან ასლების დამზადებას“.

49. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს განმარტება ეხება განსახილველი ჩანაწერის რეპროდუცირებას, როგორც ეს აღნიშნა გენერალურმა ადვოკატმა თავისი მოსაზრების 71-ე პუნქტში.

50. ასეთი ქმედება, რომელიც ექცევა 2001/29 დირექტივის მე-2 მუხლში მითითებული პრევენციული უფლების ქვეშ, არ ჯდება 92/100 დირექტივის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტისა და 2006/115 დირექტივის 8(2) მუხლის ფარგლებში, რომლებიც ითვალისწინებს არა ასეთ პრევენციულ, არამედ კომპენსაციური ხასიათის უფლებას; ამ უკანასკნელი უფლების წარმომშობი ელემენტია, როგორც ზემოთ, 30-ე პუნქტში აღინიშნა, ფონოგრამაზე ან მის ასლზე ჩაწერილი ნაწარმოების შესრულების საჯარო გადაცემა. ამ დებულების კონტექსტში ასეთი რეპროდუცირება გაგებული უნდა იყოს როგორც ფონოგრამის ასლი, რომელიც წარმოიქმნება ასეთი რეპროდუცირების შედეგად.

51. რამდენადაც ზემოთ, 34-ე – 41-ე პუნქტებში ჩამოთვლილი მიზეზების გამო აუდიოვიზუალური ჩანაწერი, რომელიც შეიცავს აუდიოვიზუალური ნაწარმოების ფიქსაციას, არ შეიძლება შეფასდეს როგორც „ფონოგრამა“ 92/100 დირექტივის 8(2) მუხლის ან 2006/115 დირექტივის 8(2) მუხლის მნიშვნელობით, ასეთი ჩანაწერი იმავე საფუძვლით არ შეიძლება იყოს ამ ფონოგრამის ასლი და, შესაბამისად, იგი არ მოექცევა ამ მუხლებით გათვალისწინებული „ფონოგრამის რეპროდუცირების“ განმარტების ფარგლებში.

52. ამ გარემოებებში უნდა დადგინდეს, რომ აუდიოვიზუალური ჩანაწერი, რომელიც შეიცავს აუდიოვიზუალური ნაწარმოების ფიქსაციას, არ შეიძლება შეფასდეს როგორც „ფონოგრამა“ ან „ამ ფონოგრამის ასლი“ 92/100 დირექტივის 8(2) მუხლის ან 2006/115 დირექტივის 8(2) მუხლის მნიშვნელობით.

53. აქედან გამომდინარეობს, რომ ასეთი ჩანაწერის საჯარო გადაცემა არ წარმოშობს ამ დებულებებით გათვალისწინებულ ანაზღაურების მიღების უფლებას.

54. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ინტერპრეტაცია არ უგულებელყოფს 92/100 ან 2006/115 დირექტივის მიზნებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია შესაბამისად 92/100 დირექტივის პრეამბულის მე-7 პუნქტსა და 2006/115 დირექტივის მე-5 პუნქტში; ეს მიზნებია ავტორებისა და შემსრულებლების შემოქმედებითი და მხატვრული ნაწარმოებების უწყვეტობის უზრუნველყოფა, ჰარმონიზებული სამართლებრივი დაცვის სისტემის შექმნის გზით, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი შემოსავლის მიღებისა და ინვესტიციების ანაზღაურების შესაძლებლობას და, შესაბამისად, შესაძლებელს გახდის სათანადო ბალანსის მიღწევას შემსრულებელთა ინტერესებსა და ფონოგრამის მწარმოებელთა ინტერესებს შორის, რაც გამოიხატება შემსრულებლებისა და ფონოგრამის მწარმოებლების შესაძლებლობაში, მიიღონ ანაზღაურება კონკრეტული ფონოგრამის საჯარო გადაცემისთვის და მესამე პირების შესაძლებლობაში, მიიღონ ამ ფონოგრამის საჯარო გადაცემის უფლება გონივრული პირობებით (იხ. 2003 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება, SENA, C 245/00, EU:C:2003:68, პარაგრაფი 36).

55. ძირითად დავაში არსებული გარემოებების შემთხვევაში, ეს მიზნები მიღწეული უნდა იყოს ფონოგრამის ან მისი ასლის აუდიოვიზუალურ ნაწარმოებში ჩართვის დროს. კერძოდ, ფონოგრამაზე მომიჯნავე უფლებების მფლობელებმა შესაბამისი ანაზღაურება უნდა მიიღონ აუდიოვიზუალურ ნაწარმოებზე უფლებების მფლობელებსა და ფონოგრამის მწარმოებლებს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

56. ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრების ფონზე, მითითებულ კითხვებზე პასუხია ის, რომ 92/100 დირექტივის 8(2) მუხლი და 2006/115 დირექტივის 8(2) მუხლი განმარტებული უნდა იქნეს ისე, რომ მოსარგებლეს არ ევალება ამ ნორმებით განსაზღვრული ერთიანი სამართლიანი ანაზღაურების გადახდა, როდესაც ის ახორციელებს აუდიოვიზუალური ნაწარმოების ჩანაწერის საჯარო გადაცემას, რომელშიც ჩართულია ფონოგრამა ან მისი ასლი.

ხარჯები

57. ვინაიდან ეს პროცესი ძირითადი დავის მხარეებისთვის ეროვნული სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოების ნაწილია, ხარჯებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ამ სასამართლოს ეკუთვნის. სასამართლოსთვის შენიშვნების წარდგენისას გაწეული ხარჯები, გარდა ამ მხარეების ხარჯებისა, არ ანაზღაურდება.

ამ გარემოებების საფუძველზე, სასამართლო (მეხუთე პალატა) ადგენს:

ევროპარლამენტისა და საბჭოს 1992 წლის 19 ნოემბრის გაქირავების, თხოვების და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული გარკვეული უფლებების შესახებ 92/100EC დირექტივის 8(2) მუხლი და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 12 დეკემბრის გაქირავების, თხოვებისა და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული გარკვეული უფლებების შესახებ 2006/115/EC დირექტივის 8(2) მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ მოსარგებლეს არ ევალება ამ ნორმებით განსაზღვრული ერთიანი სამართლიანი ანაზღაურების გადახდა, როდესაც ის ახორციელებს აუდიოვიზუალური ნაწარმოების ჩანაწერის საჯარო გადაცემას, რომელშიც ჩართულია ფონოგრამა ან მისი ასლი.

C-52/97 Kanal 5 and TV 4

Kanal 5 Ltd and TV 4 AB

v

Föreningen Svenska Tonsättares Internationella Musikbyrå (STIM) upa

(Marknadsdomstolen-ის მიმართვა წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად)

(საავტორო უფლებები – საავტორო უფლებების მართვის ორგანიზაცია, რომელიც სარგებლობს დე ფაქტო მონოპოლიით – მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო გადაცემასთან დაკავშირებული ჰონორარების შეგროვება – ამ ჰონორარების გამოთვლის მეთოდი – დომინანტური პოზიცია – ბოროტად გამოყენება)

გადაწყვეტილების მოკლე შეჯამება

1. კონკურენცია – დომინანტური პოზიცია – საავტორო უფლებების მართვის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს დე ფაქტო მონოპოლია - ჰონორარის შეგროვება, რომელიც შეესაბამება კომერციული ტელეარხების შემოსავლის ნაწილს, რომელიც მთლიანობაში პროპორციულია საჯაროდ გადაცემული მუსიკალური ნაწარმოებების რაოდენობისა, იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს სხვა მეთოდი, რომელიც უფრო ზუსტად გაზომავდა ამ ნაწარმოებების გამოყენებასა და აუდიტორიას.

(მუხ. 82 EC)

2. კონკურენცია – დომინანტური პოზიცია – საავტორო უფლებების მართვის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს დე ფაქტო მონოპოლია – ჰონორარების შეგროვება გამოთვლის მეთოდით იმის მიხედვით, კომპანია კომერციულია თუ საჯარო დაწესებულება.

(მუხ. 82 EC)

1. EC-ის 82-ე მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ საავტორო უფლებების მართვის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს დომინანტური პოზიცია საერთო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე, ბოროტად არ იყენებს ამ პოზიციას, როდესაც საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო გადაცემისთვის გადახდილ ანაზღაურებასთან დაკავშირებით, იგი კომერციულ სატელევიზიო არხებზე ავრცელებს ანაზღაურების მოდელს, რომლის მიხედვითაც ჰონორარის ოდენობა ნაწილობრივ შეესაბამება ამ არხების შემოსავალს, იმ პირობით, რომ ეს ნაწილი მთლიანობაში პროპორციულია საჯაროდ გადაცემული ან შესაძლო გადაცემული მუსიკალური ნაწარმოებების რაოდენობისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, კონტრაქტების მართვისა და მუსიკალური ნაწარმოებების მონიტორინგისთვის საჭირო ხარჯების არაპროპორციული ზრდის გარეშე, შესაძლებელია სხვა მეთოდის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს ნაწარმოებების გამოყენებისა და აუდიტორიის უფრო ზუსტ იდენტიფიცირებას (იხ. პუნქტი 41, სარეზოლუციო ნაწილი 1).

2. EC-ის 82-ე მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ საავტორო უფლებების მმართველი ორგანიზაციის მიერ საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო გადაცემისთვის ჰონორარის კერძო და საჯარო დაწესებულებებისთვის სხვადასხვაგვარად გაანგარიშება დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებაა. ამ მუხლის მნიშვნელობით, თუ ის ამ კომპანიებთან მიმართებაში ადგენს განსხვავებულ პირობებს ეკვივალენტური სერვისების მიმართ, ამის შედეგად

არახელსაყრელ კონკურენტულ მდგომარეობაში აყენებს მათ, თუ ასეთი პრაქტიკა ობიექტურად არ არის გამართლებული/დასაბუთებული.

ასეთი პრაქტიკის არსებობის შეფასებისას, საჭიროების შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ, კომერციული სატელევიზიო კომპანიებისგან განსხვავებით, საზოგადოებრივ ტელევიზიებს არ აქვთ არც სარეკლამო და არც სააბონენტო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავალი, და ასევე, საზოგადოებრივი ტელევიზიების მიერ გადახდილი ჰონორარი გროვდება რეალურად ეთერში გადაცემული საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების რაოდენობის გათვალისწინების გარეშე. გარდა ამისა, ასევე, უნდა დადგინდეს, არიან თუ არა კომერციული სატელევიზიო კომპანიები საზოგადოებრივი ტელევიზიების კონკურენტები იმავე ბაზარზე,

რაც შეეხება რაიმე ობიექტური დასაბუთების შემოწმებას, ასეთი დასაბუთება შეიძლება წარმოიშვას, კერძოდ, საზოგადოებრივი ტელევიზიების დაფინანსების მეთოდისა და ამოცანების საფუძველზე.

(იხ. პუნქტები 44-48, სარეზოლუციო ნაწილი 2)

სასამართლოს გადაწყვეტილება (მეოთხე პალატა)

2008 წლის 11 დეკემბერი

(საავტორო უფლებები – საავტორო უფლებების მართვის ორგანიზაცია, რომელიც სარგებლობს დე ფაქტო მონოპოლიით – მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო გადაცემასთან დაკავშირებული ჰონორარების შეგროვება – ამ ჰონორარების გამოთვლის მეთოდი – დომინანტური პოზიცია – ბოროტად გამოყენება)

საქმეში C 52/07,

მითითება EC 234-ე მუხლის საფუძველზე წინასწარი გადაწყვეტილების შესახებ, Marknadsdomstolen-ის (შვედეთი), მიღებული 2007 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით, წარმოდგენილი სასამართლოში 2007 წლის 6 თებერვალს.

Kanal 5 Ltd and TV 4 AB

v

Föreningen Svenska Tonsättares Internationella Musikbyrå (STIM) upa

სასამართლო (მეოთხე პალატა),

შემადგენლობა: კ. ლენაერტსი, პალატის პრეზიდენტი, რ. სილვა დე ლაპუერტა (მომხსენებელი), ე. იუჰასზი, გ. არესტისი და ჯ. მალენოვსკი - მოსამართლეები

გენერალური ადვოკატი: ვ. ტრსტენიაკი,

რეგისტრატორი: კ. სტრომჰოლმი, ადმინისტრატორი,

წერილობითი პროცედურისა და შემდგომი, 2008 წლის 12 ივნისის მოსმენის გათვალისწინებით,

შემდეგი პირების სახელით წარმოდგენილი პოზიციების განხილვის შემდეგ:

– Kanal 5 Ltd and TV 4 AB წარმომადგენელი: კ. ვეტერი, პ. კარლსონი - ადვოკატები და მ. იოჰანსონი იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.
– Föreningen Svenska Tonsättares Internationella Musikbyrå (STIM) upa, A. წარმომადგენელი: ა. კალისენდორფი, ლ. იოჰანსონი, ე. არბრანდტი და შემდეგ კ. კედერლუნდი და მ. ჯონსონი - ადვოკატები
– პოლონეთის მთავრობა, წარმოდგენილი ე. ოსნიეცკა-ტამეჩკას მიერ, რომელიც მოქმედებს როგორც აგენტი,
– დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობა, წარმოდგენილი თ. ჰარისის, აგენტის მოვალეობის შემსრულებელი და მ. გრეის, ადვოკატის მიერ,

ევროკომისია, წარმოდგენილი ფ. არბოს, აგენტის მოვალეობის შემსრულებელი, და უ. ობერგის, ადვოკატის მიერ,

2008 წლის 11 სექტემბერს გამართულ სხდომაზე გენერალური ადვოკატის აზრის მოსმენის შემდეგ,

იღებს შემდეგ

გადაწყვეტილებას

1. წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ ეს მოთხოვნა ეხება EC 82-ე მუხლის განმარტებას.

2. მოთხოვნა გაკეთდა Kanal 5 Ltd და TV 4 AB-სა და Föreningen Svenska Tonsättares Internationella Musikbyrå (STIM) upa (შვედეთის საავტორო უფლებების მართვის ორგანიზაცია) („STIM“)-ს შორის მიმდინარე დავის ფარგლებში, რომელიც ეხება ანაზღაურების მოდელს, რომელსაც STIM იყენებს საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო გადაცემისთვის.

სამართლებრივი კონტექსტი

3. შვედეთში საავტორო უფლებები რეგულირდება 1960:729 კანონით ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების შესახებ (lagen (1960:729) om upphovsrätt till litterära och konstnärliga verk).

4. ამ კანონის 42-ე მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების თანახმად, სამაუწყებლო კომპანიებს, რომლებიც იყენებენ საავტორო უფლებებით დაცულ ნაწარმოებებს, შეუძლიათ გააფორმონ გაფართოებული სალიცენზიო ხელშეკრულება საავტორო უფლებების მმართველ ორგანიზაციასთან და შემდეგ მიიღონ ამ ნაწარმოებების საჯარო გადაცემის ზოგადი უფლება.

5. 1993:20 კანონის 23-ე მუხლი კონკურენციის შესახებ (konkurrenslagen (1993:20), „KL“) ადგენს:

„შვედეთის კონკურენციის სააგენტოს შეუძლია დაავალოს საწარმოს, შეწყვიტოს ამ კანონის მე-6 და მე-19 მუხლებით ან EC-ს 81-ე და 82-ე მუხლებით გათვალისწინებული აკრძალვის დარღვევა.

თუ Konkurrensverket-ი გადაწყვეტს არ გამოიყენოს ასეთი ღონისძიება, ნებისმიერ საწარმოს, რომელიც ზიანდება დარღვევით, შეუძლია აღძრას საჩივარი Marknadsdomstolen-ის წინაშე...“

ძირითადი დავის საგანი და წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად გადაცემული კითხვები

6. Kanal 5 და TV 4 კომერციული სამაუწყებლო კომპანიებია.

7. STIM არის ასოციაცია, რომელიც სარგებლობს დე ფაქტო მონოპოლიით შვედეთში საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების ტელევიზიით საჯარო გადაცემასთან დაკავშირებული ნებართვის გაცემაზე.

8. STIM-ის წევრები არიან კომპოზიტორები და მუსიკის გამომცემლები.

9. ისინი ხელს აწერენ თანამშრომლობის ხელშეკრულებას STIM-თან, რომლითაც ამ უკანასკნელს გადასცემენ ანაზღაურების უფლებას თავიანთი ნაწარმოებების საჯარო შესრულებისთვის (საშემსრულებლო უფლებები) და ჩაწერისა და რეპროდუცირებისთვის (მექანიკური უფლებები).

10. რაც შეეხება საშემსრულებლო უფლებების ჰონორარის შეგროვებას, STIM აკისრებს Kanal 5-სა და TV 4-ს ანაზღაურების გადახდას მათი იმ შემოსავლის პროცენტული ოდენობით, რომელიც მიღებულია ფართო საზოგადოებისთვის განკუთვნილი სატელევიზიო მაუწყებლობიდან და/ან სააბონენტო გაყიდვებით.

11. პროცენტის ოდენობა იცვლება საჯაროდ გადაცემული მუსიკის რაოდენობის გათვალისწინებით.

12. რაც შეეხება საზოგადოებრივი ტელევიზიის არხს Sveriges Television („SVT“), ის STIM-ს უხდის ერთჯერად თანხას, რომლის ოდენობა წინასწარ არის შეთანხმებული.

13. 2004 წლის ოქტომბერში, Kanal 5-მა და TV 4-მა Konkurrenverket-ში შეიტანეს საჩივარი KL-ის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იმ მოტივით, რომ, მათი აზრით, STIM ბოროტად იყენებდა თავის დომინანტურ პოზიციას.

14. 2005 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით, Konkurrensverket-მა არ დააკმაყოფილა ეს საჩივარი იმ მოტივით, რომ არ არსებობდა საკმარისი საფუძველი გამოძიების დასაწყებად.

15. Kanal 5-მა და TV 4-მა მიმართა სასამართლოს STIM-ის წინააღმდეგ KL-ის 23-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე.

16. სწორედ ამ კონტექსტში, Marknadsdomstolen-მა (ბაზრის სასამართლომ) გადაწყვიტა შეაჩეროს საქმის წარმოება და წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად მიმართოს სასამართლოს შემდეგი კითხვებით:

(1) უნდა იქნეს თუ არა EC-ს 82-ე განმარტებული ისე, რომ საქმე გვაქვს დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებასთან, როდესაც საავტორო უფლებების მართვის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს დე ფაქტო მონოპოლიური პოზიცია წევრ სახელმწიფოში, კომერციული ტელევიზიებისთვის სატელევიზიო გადაცემებში, რომლებიც განკუთვნილია ფართო საზოგადოებისთვის, მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო გაცნობისთვის იყენებს ანაზღაურების გამოთვლის ისეთ მოდელს, რომელიც ითვალისწინებს სატელევიზიო არხის მიერ მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლის პროცენტს?

(2) უნდა განიმარტოს თუ არა EC-ს 82-ე მუხლი ისე, რომ საქმე გვაქვს დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებასთან, როდესაც საავტორო უფლებების მართვის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს დე ფაქტო მონოპოლიური პოზიცია წევრ სახელმწიფოში, კომერციული ტელევიზიებისთვის სატელევიზიო გადაცემებში, რომლებიც განკუთვნილია ფართო საზოგადოებისთვის, მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო გაცნობისთვის იყენებს ანაზღაურების გამოთვლის ისეთ მოდელს, რომელიც ითვალისწინებს სატელევიზიო არხის მიერ მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლის პროცენტს იმ შემთხვევაში, როცა არ არის მკაფიო კავშირი შემოსავალსა და საავტორო უფლებების მართვის

ორგანიზაციის რეპერტუარით დაფარულ ობიექტებს შორის? კერძოდ, საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების შესრულების ნებართვა, როგორც ეს ხშირად ხდება, გაცემულია, მაგალითად, ახალი ამბებისა და სპორტული გადაცემებისთვის, სადაც შემოსავალი იზრდება პროგრამული სქემების განვითარების, ტექნოლოგიებში ინვესტირებისა და მორგებული გადაწყვეტილებების შედეგად?

(3) A ან B კითხვის პასუხზე გავლენას ახდენს თუ არა ის ფაქტი, რომ შესაძლებელია როგორც გამოყენებული მუსიკის, ისე ნახვების იდენტიფიცირება და რაოდენობის დადგენა?

(4) A ან B კითხვის პასუხზე გავლენას ახდენს თუ არა ის ფაქტი, რომ ანაზღაურების მოდელი (შემოსავლების მოდელი) ანალოგიურად არ გამოიყენება საზოგადოებრივი ტელევიზიების მიმართ?

წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად გაგზავნილი კითხვები

პირველი, მეორე და მესამე შეკითხვა

17. პირველი სამი კითხვით, რომლებიც მიზანშეწონილია ერთად იქნეს განხილული, მომმართველი სასამართლო არსებითად სვამს კითხვას, პირველ რიგში, არის თუ არა სახეზე EC-ის 82-ე მუხლით აკრძალული დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება, როცა საავტორო უფლებების მართვის ორგანიზაცია, რომელიც სარგებლობს დე ფაქტო მონოპოლიით წევრ სახელმწიფოში, საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების ტელევიზიით საჯარო გადაცემის ნებართვის მინიჭების კუთხით, იყენებს ანაზღაურების ისეთ მოდელს, რომლის მიხედვითაც ჰონორარის ოდენობა გამოითვლება მაუწყებელი კომპანიების შემოსავლისა და გამოყენებული მუსიკალური ნაწარმოებების რაოდენობის საფუძველზე, და მეორე – შეიძლება თუ არა ზემოაღნიშნულის კვალიფიკაციაზე გავლენა იქონიოს იმ ფაქტმა, რომ შესაძლებელია გამოთვლის სხვა მეთოდის გამოყენება, რომელიც მეტი სიზუსტით უზრუნველყოფს გამოყენებული ნაწარმოებებისა და აუდიტორიის იდენტიფიცირებასა და რაოდენობის განსაზღვრას.

18. EC-ის 82-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთიან საბაზრო სივრცესთან შეუთავსებელია და აკრძალულია (რადგან მას შეუძლია გავლენა მოახდინოს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე), ერთმა ან მეტმა საწარმომ ბოროტად გამოიყენოს დომინანტური პოზიცია ერთიან ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე.

19. EC 82-ე მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით საწარმოს დომინანტური პოზიციის შემოწმებისას, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს განსახილველი ბაზრისა და საერთო ბაზრის არსებითი ნაწილის განსაზღვრას, რომელშიც საწარმოს შეუძლია ბოროტად გამოიყენოს დომინანტური პოზიცია, რაც აფერხებს ეფექტიან კონკურენციას (საქმე C 7/97 Bronner [1997] ECR I 7791, პუნქტი 32).

20. რაც შეეხება ძირითად დავაში განსახილველ ბაზარს, მომმართველი სასამართლო მიუთითებს, რომ ეს არის საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების სატელევიზიო გადაცემის მეშვეობით საჯარო გაცნობის შვედეთის საბაზრო სივრცე.

21. მომმართველი სასამართლო, ასევე, აცხადებს, რომ STIM სარგებლობს დე ფაქტო მონოპოლიით ამ ბაზარზე.

22. აქედან გამომდინარეობს, რომ STIM-ს აქვს დომინანტური პოზიცია ძირითად დავაში განსახილველ ბაზარზე (იხ., შესაბამისად, Bronner, პუნქტი 35). და რადგან ეს დომინანტური პოზიცია ვრცელდება წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მას შეუძლია შექმნას საერთო ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი (იხ. საქმე C 203/96 Dusseldorp and Others [1998] ECR I 4075, პუნქტი 60;

ბრონერი, პუნქტი 36; საქმე C 340/99 TNT Traco [2001] ECR I 4109, პუნქტი 43 და საქმე C 462/99 Connect Austria [2003] ECR I 5197, პუნქტი 79).

23. დაბოლოს, მომმართველი სასამართლო აცხადებს, რომ წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაზე გავლენას ახდენს ის ფაქტი, რომ ძირითად დავაში განსახილველი ანაზღაურების მოდელი ეხება მუსიკალური ნაწარმოებების გამოყენებას, რომელთა ავტორები არიან როგორც შვედეთის მოქალაქეები, ისე უცხოელები. ასევე, Kanal 5-ისა და TV 4-ის სარეკლამო სივრცეში რეკლამის ზოგი-ერთი შემსყიდველი კომპანია დაფუძნებულია, შვედეთის სამეფოს გარდა, სხვა წევრ სახელმწიფოში. ამასთან, Kanal 5 მაუწყებლობს გაერთიანებული სამეფოდან.

24. ამ გარემოებებში აუცილებელია შემოწმდეს, არის თუ არა STIM-ის მიერ განსახილველი ანაზღაურების მოდელის გამოყენება Kanal 5-სა და TV 4-ზე მისი დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება EC-ს 82-ე მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით.

25. ბოროტად გამოყენების ცნება ობიექტური ცნებაა და დაკავშირებულია დომინანტურ მდგომარეობაში მყოფი საწარმოს ქცევასთან, რომელიც გავლენას ახდენს ბაზრის სტრუქტურაზე, სადაც ამ საწარმოს არსებობის შედეგად, კონკურენციის ხარისხი დასუსტებულია და რომელიც, იმ მეთოდებისგან განსხვავებული მეთოდების გამოყენებით, რომლებიც განაპირობებს ნორმალურ კონკურენციას პროდუქტების ან მომსახურებასთან დაკავშირებით კომერციული ოპერატორების ტრანზაქციების საფუძველზე, აფერხებს ბაზარზე ჯერ კიდევ არსებული კონკურენციის ხარისხის შენარჩუნებას ან ზრდას (საქმე 85/76 Hoffman La Roche v Commission [1979] ECR 461, პუნქტი 91, და Case C 62/86 AKZO v Commission [1991] ECR I 3359, პუნქტი 69).

26. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოს დომინანტურ მდგომარეობაში ყოფნის ფაქტი არ ართმევს მას უფლებას, დაიცვას საკუთარი კომერციული ინტერესები, თუ მას თავს დაესხნენ, და ასეთ საწარმოს უნდა მიენიჭოს უფლება გადადგას ისეთი გონივრული ნაბიჯები, როგორსაც იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს საკუთარი ინტერესების დასაცავად, ასეთი ქმედება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კანონიერად, თუ მისი პირდაპირი მიზანია ამ დომინანტური პოზიციის გაძლიერება და მისი ბოროტად გამოყენება (იხ. საქმე 27/76 United Brands and United Brands Continental v Commission [1978] ECR 207, პუნქტი 189, და გაერთიანებული საქმეები C 468/ 06-დან C 478/06 *Sot. Lélos kai Sia and Others* [2008] ECR I-0000, პუნქტი 50).

27. ამიტომ ამ კონტექსტში მიზანშეწონილია იმის დადგენა, გამოიყენა თუ არა დომინანტურმა საწარმომ მისი დომინანტური პოზიციიდან წარმოშობილი შესაძლებლობები ისე, რომ მიეღო სავაჭრო სარგებელი, რომელსაც ის ვერ მიიღებდა, რომ ყოფილიყო ნორმალური და საკმარისად ეფექტიანი კონკურენცია (United Brands and United Brands Continentaal v Commission, პუნქტი 249).

28. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ასეთი ბოროტად გამოყენების მაგალითი შეიძლება იყოს ისეთი ფასის დაწესება, რომელიც აჭარბებს მიწოდებული მომსახურების ეკონო-მიკურ ღირებულებას (იხ. საქმე 26/75 General Motors Continental v Commission [1975] ECR. 1367, პუნქტი 12, და United Brands and United Brands Continentaal v Commission, პუნქტი 250).

29. ამდენად, ძირითად დავაში მიზანშეწონილია დადგინდეს, არის თუ არა STIM-ის მიერ დაწესებული ჰონორარი გონივრული ამ ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურების ეკონომიკურ ღირებულებასთან მიმართებაში, რომელიც მოიცავს მის მიერ მართული საავტორო უფლებებით დაცული მუსიკის რეპერტუარის შექმნას, რომელსაც იგი საჯაროდ ხელმისაწვდომს ხდის იმ სამაუწყებლო კომპანიებისთვის, რომლებმაც დადეს შესაბამისი სალიცენზიო ხელშეკრულებები.

30. რამდენადაც ეს ჰონორარი გამიზნულია საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების კომპოზიტორებისთვის ანაზღაურების გადასახდელად ამ ნაწარმოებების ტელევიზიით საჯარო გადაცემისთვის, აუცილებელია ამ უფლების სპეციფიკური ხასიათის გათვალისწინება.

31. ამ კონტექსტში, მიზანშეწონილია მოიძებნოს შესაბამისი ბალანსი საავტორო უფლებებით დაცული მუსიკის კომპოზიტორთა ინტერესებსა - მიიღონ ანაზღაურება ამ ნაწარმოებების ტელევიზიით საჯარო გადაცემისთვის - და სატელევიზიო სამაუწყებლო კომპანიების ინტერესებს შორის - შეძლონ ამ ნაწარმოებების საჯარო გადაცემა გონივრული პირობებით.

32. რაც შეეხება მუსიკალური ნაწარმოებების დისკოთეკაზე საჯაროდ შესრულებისთვის ავტორებისა და შემსრულებლებისთვის გადასახდელი ჰონორარის გამოთვლის წესს, რომლის ოდენობა განისაზღვრება დისკოთეკის შემოსავლის საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი ჰონორარი უნდა ჩაითვალოს საავტორო უფლებების ნორმალურ გამოყენებად და რომ ამ ჰონორარების შეგროვება, თავისთავად, არ წარმოადგენდა დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებას EC-ის 82-ე მუხლის მნიშვნელობით (იხ. საქმე 402/87 Basset [1987] ECR 1747, პუნქტები 15, 16, 18. და 21).

33. რაც შეეხება ჰონორარის მსგავსი განაკვეთების დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების ხასიათს, რომლის ოდენობა, ასევე, შეესაბამებოდა დისკოთეკის ბრუნვის პროცენტს, სასამართლომ დაადგინა: ის ფაქტი, რომ ხდება ერთჯერადი/ერთგვაროვანი ოდენობის ჰონორარის დაწესება, შესაძლებელია მოექცეს EC-ს 82-ე მუხლის აკრძალვის ქვეშ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა მეთოდებით შესაძლებელია იგივე ლეგიტიმური მიზნის მიღწევა, კერძოდ, მუსიკის ავტორების, კომპოზიტორებისა და გამომცემლების ინტერესების დაცვა, კონტრაქტების მართვისა და საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების მონიტორინგის ხარჯების გაზრდის გარეშე (იხ. საქმე 395/87 Tournier [1989] ECR 2521, პუნქტი 45).

34. ანალოგიურად, STIM-ის მიერ ანაზღაურების მოდელის გამოყენება ძირითად დავაში არ არის თავისთავად დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება EC-ს 82-ე მუხლის მნიშვნელობით და, პრინციპში, უნდა ჩაითვალოს საავტორო უფლებების ნორმალურ გამოყენებად.

35. არ შეიძლება უარვყოთ, რომ საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების ტელევიზიით საჯარო გადაცემისთვის გადახდილი ჰონორარის შეგროვებით, STIM ესწრაფვის ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ, დაიცვას თავისი წევრების უფლებები და ინტერესები მათი ნაწარმოებების მოსარგებლეების წინაშე (იხ. ამ თვალსაზრისით, Tournier, პუნქტი 31).

36. გარდა ამისა, ის ჰონორარი, რომელიც საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების ტელევიზიით საჯარო გადაცემისთვის გადახდილი ანაზღაურებაა, უნდა გაანალიზდეს სწორედ ასეთი გამოყენების საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით.

37. ამასთან დაკავშირებით, რამდენადაც ასეთი ჰონორარი გამოითვლება სატელევიზიო მაუწყებლობის კომპანიების შემოსავლების საფუძველზე, ის, პრინციპში, გონივრულია STIM-ის მიერ მოწოდებულ, მომსახურების ეკონომიკურ ღირებულებასთან მიმართებაში.

38. გარდა ამისა, საავტორო უფლებების მფლობელს და მის წარმომადგენელს აქვს ლეგიტიმური ინტერესი, ფილმის ჩვენების ნებართვის გაცემის ჰონორარი გამოიანგარიშოს მისი რეალური ან სავარაუდო ჩვენების რაოდენობის საფუძველზე (იხ. საქმე 62/79 Coditel and Others [1980] ECR 881, პუნქტი 13, და Tournier, პუნქტი 12).

39. STIM-ის მიერ გამოყენებული ანაზღაურების მოდელი ითვალისწინებს საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების რეალურად გადაცემის რაოდენობას, რადგან, როგორც

მომართვის ბრძანებიდან ჩანს, ამ ჰონორარის ოდენობა იცვლება არა მხოლოდ ტელემაუწყებლობის კომპანიების შემოსავლების, არამედ საჯაროდ გადაცემული მუსიკის მოცულობის შესაბამისად.

40. თუმცა, საფიქრებელია, რომ გარკვეულ გარემოებებში ასეთი ანაზღაურების მოდელის გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს სხვა მეთოდი, რომელიც იძლევა ამ ნაწარმოებებისა და აუდიტორიის უფრო ზუსტად იდენტიფიცირების შესაძლებლობას, და ამ მეთოდს შეუძლია მიაღწიოს იმავე ლეგიტიმურ მიზანს, რაც არის კომპოზიტორებისა და გამომცემლების ინტერესების დაცვა, ისე რომ არ გამოიწვიოს კონტრაქტების მართვისა და დაცული მუსიკალური ნაწარმოებების გამოყენების მონიტორინგის ხარჯების არაპროპორციული ზრდა.

41. შესაბამისად, პირველ, მეორე და მესამე კითხვაზე პასუხი ასეთია: EC-ს 82-ე მუხლი უნდა იქნეს განმარტებული ისე, რომ საავტორო უფლებების მართვის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს დომინანტური პოზიცია საერთო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე, ბოროტად არ იყენებს ამ პოზიციას, როდესაც საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების ტელევიზიით საჯარო გადაცემისთვის გადახდილ ანაზღაურებასთან დაკავშირებით, კომერციულ სატელევიზიო არხებზე ავრცელებს ანაზღაურების მოდელს, რომლის მიხედვითაც ჰონორარის ოდენობა ნაწილობრივ შეესაბამება ამ არხების შემოსავალს, იმ პირობით, რომ ეს ნაწილი მთლიანობაში პროპორციულია საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების რეალური ან სავარაუდო საჯარო გადაცემების რაოდენობისა. ეს მსჯელობა არ ვრცელდება შემთხვევებზე, როდესაც სხვა მეთოდი იძლევა ამ ნაწარმოებებისა და აუდიტორიის უფრო ზუსტად იდენტიფიცირების საშუალებას, ისე რომ არ იწვევს კონტრაქტების მართვისა და გამოყენებული ნაწარმოებების მონიტორინგის ხარჯების არაპროპორციულ ზრდას.

მეოთხე შეკითხვა

42. მეოთხე კითხვით მომმართველი სასამართლო არსებითად სვამს კითხვას, არის თუ არა დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება EC 82-ე მუხლის მნიშვნელობით ის ფაქტი, რომ საავტორო უფლებების მართვის ორგანიზაცია საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების ტელევიზიით საჯარო გადაცემისთვის გადასახდელი ჰონორარის გამოთვლისთვის იყენებს განსხვავებულ მეთოდებს იმის მიხედვით, სამაუწყებლო კომპანია კომერციულია თუ საზოგადოებრივი.

43. EC-ის 82-ე მუხლის მეორე პუნქტის (გ) პუნქტის თანახმად, ბოროტად გამოყენება შეიძლება მოიცავდეს, inter alia, ეკვივალენტური ტრანზაქციებისთვის სხვადასხვა ბიზნეს სუბიექტების მიმართ განსხვავებული პირობების გამოყენებას, რითაც მათ კონკურენციის არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს.

44. რაც შეეხება ასეთი პრაქტიკის არსებობას ძირითად დავაში, მომმართველ სასამართლოს ევალება, პირველ რიგში, განიხილოს საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების ტელევიზიით საჯარო გადაცემისთვის გადასახდელი ჰონორარის სხვადასხვა მეთოდით გამოთვლით, ერთი მხრივ, Canal 5-ის და TV 4-ის და, მეორე მხრივ, SVT-ს შემთხვევაში, იყენებს თუ არა STIM მათ მიმართ განსხვავებულ პირობებს ეკვივალენტურ სერვისებზე და, ასევე, ხვდებიან თუ არა ეს კომპანიები ამის გამო არათანაბარ კონკურენტულ პირობებში.

45. ამ შემოწმების დროს, მომმართველმა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ, Kanal 5-ისა და TV 4-ისგან განსხვავებით, SVT-ს არ აქვს არც სარეკლამო შემოსავალი და არც შემოსავალი

სააბონენტო კონტრაქტებიდან, და ის ფაქტი, რომ SVT-ს მიერ გადახდილი ჰონორარი გროვდება საჯაროდ გადაცემული საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების რეალური რაოდენობის გათვალისწინების გარეშე.

46. გარდა ამისა, ეროვნულმა სასამართლომ ასევე უნდა დაადგინოს, არის თუ არა Kanal 5 და TV 4, ან რომელიმე ამ ორი კომპანიიდან, SVT-ს კონკურენტი იმავე ბაზარზე.

47. დაბოლოს, იმის დასადგენად, არის თუ არა დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება EC 82-ე მუხლის მნიშვნელობით ის ფაქტი, რომ საავტორო უფლებების მართვის ორგანიზაცია საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების ტელევიზიით საჯარო გადაცემისთვის გადასახდელი ჰონორარის გამოთვლისთვის იყენებს განსხვავებულ მეთოდებს იმის მიხედვით, სამაუწყებლო კომპანია კომერციულია თუ საზოგადოებრივი, მომხსენებელმა სასამართლომ უნდა განიხილოს, შეიძლება თუ არა ასეთი პრაქტიკა ობიექტურად იყოს გამართლებული (იხ., ამასთან დაკავშირებით United Brands and United Brands Continental v Commission, პუნქტი 184; Tournier, პუნქტები 38 და 46; საქმე C 95. /04P British Airways v Commission [2007] ECR I 2331, პუნქტი 69; და *Sot. Lélos kai Sia and Others*, paragraph 39). ასეთი დასაბუთება შეიძლება წარმოიშვას, კერძოდ, საზოგადოებრივი ტელევიზიების დაფინანსების ამოცანისა და მეთოდის საფუძველზე.

48. შესაბამისად, მეოთხე კითხვაზე პასუხი უნდა იყოს ასეთი: EC-ს 82-ე მუხლი უნდა იქნეს განმარტებული ისე, რომ საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების ტელევიზიით საჯარო გადაცემისთვის საავტორო უფლებების ორგანიზაციის მიერ ჰონორარის გამოანგარიშების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, დიდი ალბათობით, ამ ორგანიზაციის მხრიდან დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებაა ამ მუხლის მნიშვნელობით, თუ ის ამ კომპანიებთან დაკავშირებით მიმართავს განსხვავებულ პირობებს ეკვივალენტური სერვისების მიმართ და უქმნის მათ კონკურენციის არახელსაყრელ პირობებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი პრაქტიკა ობიექტურად შეიძლება იყოს გამართლებული.

ხარჯები

49. ვინაიდან ეს პროცესი ძირითადი დავის მხარეებისთვის ეროვნული სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოების ნაწილია, ხარჯებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ამ სასამართლოს ეკუთვნის. სასამართლოსთვის შენიშვნების წარდგენისას გაწეული ხარჯები, გარდა ამ მხარეების ხარჯებისა, არ ანაზღაურდება.

ამის საფუძველზე, სასამართლო (მეოთხე პალატა) ადგენს:

1. EC-ს 82-ე მუხლი ისე უნდა იქნეს განმარტებული, რომ საავტორო უფლებების მართვის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს დომინანტური პოზიცია საერთო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე, ბოროტად არ იყენებს ამ პოზიციას, როდესაც საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების ტელევიზიით საჯარო გადაცემისთვის გადახდილ ანაზღაურებასთან დაკავშირებით, კომერციულ სატელევიზიო არხებზე ავრცელებს ანაზღაურების მოდელს, რომლის მიხედვითაც ჰონორარის ოდენობა ნაწილობრივ შეესაბამება ამ არხების შემოსავალს, იმ პირობით, რომ ეს ნაწილი მთლიანობაში პროპორციულია საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების რეალური ან სავარაუდო საჯარო გადაცემების რაოდენობისა. ეს მსჯელობა არ ვრცელდება შემთხვევებზე, როდესაც სხვა მეთოდი იძლევა ამ ნაწარმოებებისა და აუდიტორიის უფრო ზუსტად იდენტიფიცირების საშუალებას, ისე რომ არ იწვევს კონტრაქტების მართვისა და გამოყენებული ნაწარმოებების მონიტორინგის ხარჯების არაპროპორციულ ზრდას.

2. EC-ს 82-ე მუხლი ისე უნდა იქნეს განმარტებული, რომ საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებების ტელევიზიით საჯარო გადაცემისთვის საავტორო უფლებების ორგანიზაციის მიერ ჰონორარის გამოანგარიშების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, დიდი ალბათობით, ამ ორგანიზაციის მხრიდან დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებაა ამ მუხლის მნიშვნელობით, თუ ის ამ კომპანიებთან დაკავშირებით მიმართავს განსხვავებულ პირობებს ეკვივალენტური სერვისების მიმართ და უქმნის მათ კონკურენციის არახელსაყრელ პირობებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი პრაქტიკა ობიექტურად შეიძლება იყოს გამართლებული.

[Signatures]

C-510/10 DR and TV2 Danmark

სასამართლოს გადაწყვეტილება (მესამე პალატა)

2012 წლის 26 აპრილი

კანონების დაახლოება – საავტორო და მომიჯნავე უფლებები – დირექტივა 2001/29/EC – მუხლი 5(2)(დ) – ნაწარმოებების საჯარო გადაცემის უფლება – გამონაკლისი რეპროდუცირების უფლებიდან – სამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ გაკეთებული ნაწარმოებების დროებითი ჩანაწერები საკუთარი ობიექტისთვის და საკუთარი მაუწყებლობისთვის – მესამე პირის საშუალებებით გაკეთებული ჩანაწერები – სამაუწყებლო ორგანიზაციის ვალდებულება გადაიხადოს კომპენსაცია მესამე პირის მოქმედებისა და უმოქმედობის ნებისმიერი უარყოფითი შედეგისთვის.

საქმეში C-510/10,

მიმართვა წინასწარი გადაწყვეტილების შესახებ 267-ე მუხლით TFEU Østre Landsret-ისგან (დანია), მიღებული 2010 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, წარმოდგენილი სასამართლოში 2010 წლის 25 ოქტომბერს.

DR,

TV2 Danmark A/S

v

NCB - Nordisk Copyright Bureau,

სასამართლო (მესამე პალატა),

შემადგენლობა: კ. ლენაერტსი პალატის პრეზიდენტი, ჯ. მალენოვსკი (მომხსენებელი), რ. სილვა დე ლაპუერტა, ე, იუჰასზი და დ. შვაბი - მოსამართლეები

გენერალური ადვოკატი: ვ. ტრსტენიაკი,

რეგისტრატორი: კ. სტრომჰოლმი, ადმინისტრატორი,

წერილობითი პროცედურის და შემდგომ 2011 წლის 24 ნოემბრის მოსმენის გათვალისწინებით

შემდეგი მხარეების სახელით წარმოდგენილი პოზიციების განხილვის შემდეგ:

- DR და TV2 Danmark A/S, წარმომადგენელი: ჰ. სამუელსენი, ადვოკატი,
- NCB - Nordisk Copyright Bureau, წარმომადგენელი პ. ჰ. შმიდტი, ადვოკატი,
- ესპანეთის მთავრობა, წარმომადგენელი: ნ. დიაზ აბადი, აგენტის მოვალეობის შემსრულებელი,
- ევროკომისია, წარმოდგენილი ჯ. სამნადასა და ჰ. სტოვლბეკის მიერ, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები,

2012 წლის 17 იანვარს გამართულ სხდომაზე გენერალური ადვოკატის აზრის მოსმენის შემდეგ, იღებს შემდეგ

გადაწყვეტილებას

1. ეს მიმართვა წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად ეხება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების ზოგიერთი ასპექტის ჰარმონიზაციის შესახებ 2001/29/EC დირექტივის (OJ 2001 L 167, გვ. 10) პრეამბულის 41-ე პუნქტისა და მე-5(2)(დ) მუხლის ინტერპრეტაციას, რომელიც ითვალისწინებს გამონაკლისს ნაწარმოების რეპროდუცირების ავტორის განსაკუთრებული უფლებიდან „მაუწყებლობის ორგანიზაციების მიერ საკუთარი საშუალებებითა და საკუთარი მაუწყებლობისთვის გაკეთებული ნაწარმოებების დროებით ჩანაწერებთან დაკავშირებით“.

2. მიმართვა გაკეთდა DR და TV2 Danmark A/S („TV Danmark“), დანიის ორ სამაუწყებლო ორგანიზაციასა და, NCB - Nordisk Copyright Bureau („NCB“) საავტორო უფლებების მართვის ორგანიზაციას შორის მიმდინარე დავის ფარგლებში. დავის საგანია ჩანაწერები, რომლებიც გაკეთდა მესამე პირის მიერ სამაუწყებლო ორგანიზაციების დაკვეთით საკუთარ გადაცემებში გამოყენების მიზნით.

სამართლებრივი კონტექსტი

საერთაშორისო კანონმდებლობა

საავტორო უფლებების შესახებ ისმო-ს შეთანხმება

3. 1996 წლის 20 დეკემბერს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ (WIPO) ჟენევაში მიიღო ისმო-ს საავტორო უფლებების შესახებ ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება დამტკიცდა ევროპის თანამეგობრობის სახელით საბჭოს 2000 წლის 16 მარტის 2000/278/EC გადაწყვეტილებით (OJ 2000 L 89, გვ. 6).

4. საავტორო უფლებების შესახებ ისმო-ს შეთანხმების 1(4) მუხლი ადგენს, რომ ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა დაიცვან ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის (პარიზის აქტი 1971 წლის 24 ივლისი), 1979 წლის 28 სექტემბერს („ბერნის კონვენცია“) შესწორებული 1-21 მუხლები.

ბერნის კონვენცია

5. ბერნის კონვენციის პირველი მუხლი ადგენს:

„ქვეყნები, რომლებზეც ვრცელდება ეს კონვენცია, ქმნიან კავშირს ლიტერატურული და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორების უფლებების დასაცავად“.

6. ბერნის კონვენციის 11^{bis} მუხლი ადგენს:

(1) ლიტერატურული და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორები სარგებლობენ განსაკუთრებული უფლებით ნება დართონ ან აკრძალონ:

(i) მათი ნაწარმოებების ეთერით ან საჯარო გადაცემა ნიშნების, ბგერების ან გამოსახულების უსადენო გავრცელების ნებისმიერი საშუალებით;

…

(3) თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ მუხლის (1) პუნქტის შესაბამისად გაცემული ნებართვა არ გულისხმობს ეთერით გადაცემული ნაწარმოების ჩაწერის ნებართვას ბგერების ან

გამოსახულებების ჩამწერი ხელსაწყოების მეშვეობით. თუმცა, კავშირის ქვეყნების კანონმდებლობას რჩება უფლება, განსაზღვროს ხანმოკლე გამოყენების ჩანაწერების შესრულების წესები, რასაც ახორციელებს სამაუწყებლო ორგანიზაცია საკუთარი მოწყობილობებით და იყენებს საკუთარი საეთერო გადაცემებისთვის. ამგვარი კანონმდებლობით, შესაძლებელია ნებადართული იყოს ოფიციალურ არქივებში ასეთი ჩანაწერების შენახვა მათი განსაკუთრებული დოკუმენტური ხასიათის გამო“.

ევროკავშირის სამართალი

7. 2001/29 დირექტივის პრეამბულის 41-ე პუნქტში ნათქვამია:

„სამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ დროებით ჩანაწერებთან დაკავშირებით გამონაკლისის ან შეზღუდვის გამოყენებისას იგულისხმება, რომ მაუწყებლის საშუალებებში ივარაუდება პირი, რომელიც მოქმედებს მაუწყებლის სახელით და მაუწყებლის პასუხისმგებლობით“.

8. ამ დირექტივის მე-2 მუხლი, სახელწოდებით „რეპროდუცირების უფლება“, ადგენს:

„წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ განსაკუთრებულ უფლებას დაუშვან ან აკრძალონ პირდაპირი ან არაპირდაპირი, დროებითი ან მუდმივი რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებით და ნებისმიერი ფორმით, მთლიანად ან ნაწილობრივ:

(ა) ავტორებისთვის, მათ ნაწარმოებებზე

…

9. 2001/29 დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი, სახელწოდებით „ნაწარმოების საჯარო გადაცემის უფლება და სხვა ობიექტების საჯარო გაცნობა“ ადგენს:

„წევრი სახელმწიფოები ავტორებს ანიჭებენ განსაკუთრებულ უფლებას, ნება დართონ ან აკრძალონ თავიანთი ნაწარმოებების ნებისმიერი საჯარო გადაცემა სადენიანი ან უსადენო საშუალებებით, მათ შორის, მათი ნაწარმოებების საჯაროდ გაცნობა, ისე, რომ საზოგადოების წევრებს შეეძლოთ ნაწარმოებზე წვდომა მათ მიერ ინდივიდუალურად არჩეული ადგილიდან და მათ მიერ შერჩეულ დროს“.

10. 2001/29 დირექტივის მე-5 მუხლი, სახელწოდებით „გამონაკლისები და შეზღუდვები“, მე-2 და მე-5 პუნქტებში ადგენს:

2. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დააწესონ მე-2 მუხლით გათვალისწინებული რეპროდუცირების უფლების გამონაკლისები ან შეზღუდვები შემდეგ შემთხვევებში:

…

დ) სამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ საკუთარი საშუალებებით და საკუთარი მაუწყებლობისთვის გაკეთებულ ნაწარმოების დროებით ჩანაწერებთან დაკავშირებით; ამ ჩანაწერების ოფიციალურ არქივებში შენახვა შეიძლება დაშვებული იყოს მათი განსაკუთრებული დოკუმენტური ხასიათის გამო;

…

5. პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისები და შეზღუდვები გამოიყენება მხოლოდ გარკვეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ნაწარმოების ან სხვა ობიექტის ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ ლახავს უფლების მფლობელის ლეგიტიმურ ინტერესებს“.

ეროვნული კანონმდებლობა

11. საავტორო უფლებათა შესახებ დანიის კანონის (Ophavsretslov) 31-ე პუნქტი, რომელიც შესწორებულია 2010 წლის 27 თებერვლის №202 (lovbekendtgørelse №202) კონსოლიდირებული კანონით („კანონი საავტორო უფლებების შესახებ“), ადგენს:

„მაუწყებელ ორგანიზაციებს შეუძლიათ თავიანთი მაუწყებლობის მიზნით ჩაწერონ ნაწარმოებები ფირზე, ფილმზე ან ნებისმიერ სხვა მოწყობილობაზე, რომელსაც შეუძლია მათი რეპროდუცირება, იმ პირობით, რომ მათ აქვთ მოცემული ნაწარმოებების საჯარო გადაცემის ეთერში გაშვების უფლება. ასეთი ჩაწერილი ნაწარმოებების საჯარო გაცნობის უფლება ექვემდებარება სხვაგვარად მოქმედ დებულებებს. კულტურის მინისტრს შეუძლია დაადგინოს უფრო დეტალური წესები, რომლებიც არეგულირებს ასეთი ჩანაწერების მომზადების, გამოყენებისა და შენახვის პირობებს.

ძირითადი დავის საგანი და წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად გადაცემული კითხვები

12. ძირითად დავაში მოსარჩელეები არიან DR, საზოგადოებრივი რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს ვალდებულება უზრუნველყოს საზოგადოებრივი პროგრამები, როგორც დამოუკიდებელი საჯარო დაწესებულება, დაფინანსებული აუდიო-ვიზუალური ლიცენზიის საფასურით, და TV2 Danmark, კომერციული საზოგადოებრივი ტელე-მაუწყებლობის ორგანიზაცია, დაფინანსებული რეკლამით, რომელსაც ასევე აქვს ვალდებულება უზრუნველყოს საზოგადოებრივი პროგრამები.

13. DR და TV2 Danmark-ის მიერ გადაცემული რადიო და სატელევიზიო გადაცემები შეიძლება იყოს შიგნით შექმნილი პროგრამები ან გადაცემები, რომლებიც დამზადებულია მესამე პირის მიერ კონკრეტული შეთანხმებების საფუძველზე, რათა პირველად გადაიცეს DR ან TV2 Danmark-ის მიერ.

14. ძირითად დავაში მოპასუხე, NCB, არის ორგანიზაცია, რომელიც მართავს კომპოზიტორების, სიმღერების ავტორებისა და მუსიკის გამომცემლების ჩაწერისა და რეპროდუცირების უფლებებს სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის რიგ ქვეყნებში.

15. ძირითადი დავის საგანს წარმოადგენს, მოიცავს თუ არა დროებითი ჩანაწერების გაკეთების შესახებ გამონაკლისი ჩანაწერებს, რომლებიც გაკეთდა კანონიერად, დამოუკიდებელი გარე სატელევიზიო გადაცემის მწარმოებელი კომპანიების მიერ, იმ შემთხვევებში, როდესაც ეს ჩანა-წერები შეკვეთილი იყო DR ან TV2 Danmark-ის მიერ DR ან TV2 Danmark-ზე მათი პირველადი გადაცემისთვის.

16. DR და TV2 Danmark ამტკიცებენ, რომ საავტორო უფლებების მფლობელებისთვის არარელე-ვანტურია, გადაცემის მიზნით გაკეთებული ჩანაწერები მზადდება თავად სამაუწყებლო ორგანი-ზაციის თანამშრომლების მიერ საკუთარი აღჭურვილობით, თუ მესამე კომპანიის თანამშრომლის მიერ, რომელსაც სამაუწყებლო ორგანიზაციამ შეუკვეთა წარმოება, მესამე კომპანიის აღჭურ-ვილობით. DR და TV2 Danmark ასევე ამტკიცებენ, რომ საავტორო უფლებების შესახებ დანიის კანონის 31-ე პუნქტით არ არსებობს ჩანაწერი, რომელიც ავალდებულებს სამაუწყებლო

ორგანიზაციებს „საკუთარი მოწყობილობების საშუალებით“ ჩანაწერების გაკეთებას. ამრიგად, დანიის კანონმდებლობით, გადაცემის მიზნით ჩანაწერებთან დაკავშირებული გამონაკლისის გამოყენებისას არარელევანტურია ის გარემოება, ეს ჩანაწერები გაკეთებულია სამაუწყებლო ორგანიზაციის თუ მესამე პირის თანამშრომლების მიერ.

17. ამის საპირისპიროდ, NCB აცხადებს, რომ ევროკავშირის კანონმდებლობა აწესებს პირობას, რომელიც გულისხმობს „საკუთარი საშუალებების მეშვეობით“ წარმოებას და რომ ეს პირობა, ასევე, გამოიყენება საავტორო უფლებების შესახებ დანიის კანონის მიხედვით. გარდა ამისა, იგი ამტკიცებს, რომ „საკუთარი საშუალებების მეშვეობით“ წარმოებასთან დაკავშირებული პირობა შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამოუკიდებელი გარე მწარმოებელი მოქმედებს სატელევიზიო მაუწყებლობის ორგანიზაციის სახელით და მისი პასუხისმგებლობით. NCB ასევე ამტკიცებს, რომ გამოთქმა „მოქმედებს სატელევიზიო მაუწყებლობის ორგანიზაციის სახელით და პასუხისმგებლობით“ უნდა განიმარტოს ისე, რომ სატელევიზიო მაუწყებლობის ორგანიზაცია პასუხისმგებელია მესამე პირის წინაშე მწარმოებლის ქმედებებისთვის, იმ მოცულობით, როგორც იგი იქნებოდა პასუხისმგებელი, თვითონ რომ გაეკეთებინა ჩანაწერები.

18. ამ გარემოებებში Østre Landsret-მა (აღმოსავლეთის რეგიონულმა სასამართლომ) გადაწყვიტა შეეჩერებინა საქმის წარმოება და შემდეგი კითხვებით მიემართა მართლმსაჯულების სასამართლოსთვის წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად:

„1. ტერმინები „საკუთარი საშუალებებით“ [დირექტივა 2001/29] მოცემული 5(2)(დ) მუხლში და „მაუწყებლობის ორგანიზაციის სახელით და პასუხისმგებლობით“ მოცემული დირექტივის პრეამბულის 41-ე პუნქტში, უნდა განიმარტოს ეროვნული თუ ევროკავშირის კანონმდებლობის გათვალისწინებით?

2. უნდა ვივარაუდოთ, რომ [დირექტივის 2001/29] მე-5(2)(დ) მუხლის ფორმულირება, როგორც ეს ამ დებულების დანიურ, ინგლისურ და ფრანგულ ვერსიებშია მოცემული, ნიშნავს „სამაუწყებლო ორგანიზაციის სახელით და პასუხისმგებლობით“, თუ როგორც გერმანულ ვერსიაშია - „მაუწყებლობის ორგანიზაციის სახელით ან პასუხისმგებლობით?“

3. იმ ვარაუდით, რომ პირველ შეკითხვაში მოყვანილი ტერმინები უნდა იქნეს განმარტებული ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, დასმულია შემდეგი კითხვა: რა კრიტერიუმები უნდა გამოიყენონ ეროვნულმა სასამართლოებმა იმის შეფასებისას, არის თუ არა მესამე პირის („მწარმოებელი“) მიერ სამაუწყებლო ორგანიზაციის გადაცემაში გამოსაყენებლად გაკეთებული ჩანაწერი „საკუთარი საშუალებების მეშვეობით“ და „სამაუწყებლო ორგანიზაციის სახელით [და/ან] პასუხისმგებლობით“ გაკეთებული და შესაბამისად ექცევა თუ არა [დირექტივა 2001/29] მე-5(2)(დ) მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისში?

მე-3 კითხვაზე პასუხთან დაკავშირებით, პასუხი მოითხოვება შემდეგ საკითხებზე:

(ა) [დირექტივის 2001/29] 5(2)(დ) მუხლით გათვალისწინებული „საკუთარი საშუალებების“ ცნება უნდა იყოს თუ არა გაგებული ისე, რომ მწარმოებლის მიერ სამაუწყებლო ორგანიზაციის გადაცემებში გამოსაყენებლად გაკეთებული ჩანაწერი, ექცევა მე-5(2)(დ) მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამაუწყებლო ორგანიზაცია, გაკეთებულ ჩანაწერთან დაკავშირებით, პასუხისმგებელია მესამე პირების წინაშე მწარმოებლის ქმედებებისთვის ისე, თითქოს ეს ქმედება განხორციელებულია თავად ამ ორგანიზაციის მიერ?

(ბ) დაკმაყოფილებულია თუ არა პირობა, რომ ჩანაწერი უნდა გაკეთდეს „სამაუწყებლო ორგანიზაციის სახელით [და/ან] პასუხისმგებლობით“, თუ სამაუწყებლო ორგანიზაციამ დაავალა

მწარმოებელს ჩანაწერის გაკეთება, განსახილველი ჩანაწერის გადაცემის განხორციელების მიზნით, იმ ვარაუდით, რომ შესაბამის სამაუწყებლო ორგანიზაციას აქვს უფლება გადასცეს აღნიშნული ჩანაწერი?

Østre Landsret ცდილობს დაადგინოს, 3(ბ) კითხვაზე პასუხის გაცემისას, შეიძლება ან უნდა იყოს თუ არა მხედველობაში მიღებული შემდეგი გარემოებები და თუ უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, რა დატვირთვა აქვს მათ:

(i) ამ მხარეებს შორის შეთანხმებით, საბოლოო მხატვრული/სარედაქციო გადაწყვეტილება შეკვეთილი პროგრამის შინაარსზე ეკუთვნის სამაუწყებლო კომპანიას თუ ჩანაწერის მწარმოებელს.

(ii) არის თუ არა სამაუწყებლო ორგანიზაცია, გაკეთებულ ჩანაწერთან დაკავშირებით, პასუხისმგებელი მესამე პირების წინაშე მწარმოებლის ქმედებებისთვის ისე, თითქოს ეს ქმედება განხორციელებულია თავად ამ ორგანიზაციის მიერ?

(iii) სამაუწყებლო ორგანიზაციასთან შეთანხმების საფუძველზე, არის თუ არა მწარმოებელი ვალდებული გადასცეს სამაუწყებლო ორგანიზაციას განსახილველი პროგრამა განსაზღვრულ ფასად და უნდა გაიღოს თუ არა ამ ფასიდან ყველა ხარჯი, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ჩანაწერთან;

(iv) იქნება ეს სამაუწყებლო ორგანიზაცია თუ ჩანაწერის დამამზადებელი, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს განსახილველ ჩანაწერზე მესამე პირის წინაშე.

გ) დაკმაყოფილებულია თუ არა პირობა, რომ ჩანაწერი უნდა გაკეთდეს „სამაუწყებლო ორგანიზაციის სახელით [და/ან] პასუხისმგებლობით“ იმ შემთხვევაში, როდესაც სამაუწყებლო ორგანიზაციამ მწარმოებელს დაავალა ჩანაწერის გაკეთება, განსახილველი ჩანაწერის გადაცემის განხორციელების მიზნით, იმ ვარაუდით, რომ შესაბამის სამაუწყებლო ორგანიზაციას აქვს უფლება გადასცეს აღნიშნული ჩანაწერი, როდესაც მწარმოებელმა ჩანაწერთან დაკავშირებულ მაუწყებელ ორგანიზაციასთან შეთანხმებით, აიღო ფინანსური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა (i) ჩაწერასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის დაფარვაზე წინასწარ განსაზღვრული თანხის გადახდის სანაცვლოდ; (ii) უფლებების შეძენაზე; და (iii) გაუთვალისწინებელ გარემოებებზე, მათ შორის ჩაწერის შეფერხებასა და ხელშეკრულების დარღვევაზე, ისე რომ მაუწყებლობის ორგანიზაცია არ არის მესამე პირების წინაშე პასუხისმგებელი ჩანაწერის მწარმოებლის ვალდებულებებზე?

მიმართული კითხვების განხილვა

დასაშვებობა

19. DR და TV2 Danmark, სამაუწყებლო ორგანიზაციების რანგში, სადავოდ ხდიან მითითებული კითხვების დასაშვებობას და აცხადებენ, რომ პასუხი, რომელიც შეიძლება გაცემული იყოს ამ კითხვებზე, არავითარ შემთხვევაში არ დაეხმარება დავის გადაწყვეტას ძირითად სამართალწარმოებაში.

20. ისინი სადავოდ ხდიან თვით 2001/29 დირექტივის, რომლის ინტერპრეტაციაც წარმოადგენს მოცემული კითხვების საგანს, შესაბამისობას ძირითადი დავის საგანთან. კერძოდ, ისინი ამტკიცებენ, რომ 2001/29 დირექტივის მე-5(2)(დ) მუხლის დანიურ ვერსიაში გამოთქმა „საკუთარი საშუალებების მეშვეობით და საკუთარი მაუწყებლობისთვის“ არ არის გათვალისწინებული საავტორო უფლებების შესახებ დანიის კანონის 31-ე პუნქტში და ის არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძირითადი დავის გადასაწყვეტად.

21. ამასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ მართლმსაჯულების სასამართლოსა და ეროვნულ სასამართლოებს შორის თანამშრომლობის კონტექსტში, რომელიც გათვალისწინებულია TFEU-ს 267-ე მუხლით, მხოლოდ იმ ეროვნული სასამართლოს კომპეტენციაა, რომელიც იხილავს დავას და რომელმაც უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება ძირითად დავაში, შესაბამისი გარემოებების საფუძველზე, დაადგინოს წინასწარი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება და იმ კითხვების რელევანტურობა, რომლითაც ის მიმართავს მართლმსაჯულების სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით (Case C-217/05 Confederación Española de Empresarios de Estaciones de Servicio [2006] ECR I-11987, პუნქტი 16 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

22. როდესაც ეროვნული სასამართლოების მიერ წარდგენილი კითხვები ეხება ევროკავშირის სამართლის დებულებების ინტერპრეტაციას, სასამართლო, პრინციპში, ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვეტილება, თუ აშკარა არ არის, რომ წინასწარი გადაწყვეტილების მოთხოვნა რეალურად მიზნად ისახავს სასამართლოს უბიძგოს გამოიტანოს გადაწყვეტილება ფიქციურ დავის საგანზე, ან გამოიტანოს საკონსულტაციო ხასიათის მოსაზრება ზოგად ან ჰიპოთეზურ საკითხებზე, ან ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნილი ინტერპრეტაცია არ არის დაკავშირებული ძირითადი საქმის რეალურ ფაქტებთან ან მის მიზანთან, ან სასამართლოს არ აქვს საკმარისი ფაქტობრივი ან იურიდიული მასალა, რომელიც აუცილებელია მისთვის წარდგენილ კითხვებზე პასუხის გასაცემად (Confederación Española de Empresarios de Estaciones de Servicio, პუნქტი 17 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

23. თუმცა, ზემოაღნიშნული არ არის სახეზე წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად წინამდებარე მომართვისას. ამ საქმეში არ არის არცერთი ზემოაღნიშნული გარემოება, რომელიც საშუალებას მისცემს სასამართლოს უარი თქვას ამ მომართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაზე. კერძოდ, მომართვის შინაარსიდან ირკვევა, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ მითითებულ კითხვებზე პასუხი, რომლებიც ეხება ევროკავშირის სამართლის რამდენიმე დებულების ინტერპრეტაციას, მოითხოვება იმ მიზნით, რომ დადგინდეს იმ ჩანაწერების სამართლებრივი კლასიფიკაცია, რომლებიც შეკვეთილია DR ან TV2 Danmark-ის მიერ სამართლებრივად დამოუკიდებელი გარე სატელევიზიო მწარმოებელი კომპანიებისთვის.

24. აქედან გამომდინარეობს, რომ მოცემული კითხვები უნდა ჩაითვალოს დასაშვებად და, შესაბამისად, უნდა გაეცეს პასუხი.

პირველი შეკითხვა

25. თავისი პირველი კითხვით, ეროვნული სასამართლო არსებითად სვამს კითხვას, 2001/29 დირექტივის მე-5(2)(დ) მუხლში მოცემული ტერმინის „საკუთარი საშუალებების გამოყენებით“, როგორც ეს განმარტებულია ამ დირექტივის პრეამბულის 41-ე პუნქტში, უნდა განიმარტოს ეროვნული თუ ევროკავშირის კანონმდებლობის გათვალისწინებით.

26. პირველ რიგში, უნდა გვახსოვდეს, რომ, 2001/29 დირექტივის მე-2 მუხლის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა, პრინციპში, უნდა მიანიჭონ ავტორებს განსაკუთრებული უფლება, ნება დართონ ან აკრძალონ თავიანთი ნაწარმოებების მთლიანი ან ნაწილობრივი, პირდაპირი ან არაპირდაპირი, დროებითი ან მუდმივი რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებით ან ფორმით.

27. ამ დირექტივის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტის თანახმად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ გამონაკლისი ან შეზღუდვა ნაწარმოების რეპროდუცირების ავტორის განსაკუთრებული უფლებიდან ამ ნაწარმოების სამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ საკუთარი

საშუალებებით და საკუთარი მაუწყებლობისთვის გაკეთებულ ნაწარმოების დროებით ჩანაწერებთან დაკავშირებით;

28. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელი დებულების ფორმულირება პირდაპირ შთაგონებულია ბერნის კონვენციის 11bis(3) მუხლით.

29. რაც შეეხება ბერნის კონვენციას, მართალია, ევროკავშირი არ არის მისი მონაწილე, მაგრამ, ისმოს საავტორო უფლებების შესახებ ხელშეკრულების 1(4) მუხლის თანახმად, რომლის მხარეც ის არის, რომელიც წარმოადგენს მისი სამართლებრივი წესრიგის ნაწილს და რომლის განხორციელებასაც მიზნად ისახავს 2001/29 დირექტივა, მაინც ვალდებულია, დაიცვას ბერნის კონვენციის 1-21 მუხლების მოთხოვნები (იხ. ამ მიზნით გაერთიანებული საქმეები C-403/08 და C-429/08 ფეხბურთის ასოციაციის პრემიერ ლიგა და სხვა [2011] ECR I-9083, პუნქტი 189 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა). შესაბამისად, ევროკავშირი ვალდებულია შეასრულოს, inter alia, ბერნის კონვენციის 11bis მუხლი (იხ. ანალოგიით, 2012 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე C-277/10 Luksan, პუნქტი 59).

30. ამ კონვენციის 11bis(3) მუხლი პირდაპირ ადგენს, რომ ბერნის კავშირის ქვეყნების კანონმდებლობის საკითხია სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ საკუთარი საშუალებებით გაკეთებული და საკუთარი მაუწყებლობისთვის გამოყენებული დროებითი ჩანაწერების რეგულირება.

31. ამგვარად, ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების ზოგიერთი ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ 2001/29/EC დირექტივის მიღებით ითვლება, რომ ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანომ განახორციელა კომპეტენცია ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, რომელიც ადრე დელეგირებული იყო წევრ სახელმწიფოებზე. ამ დირექტივის ფარგლებში, უნდა ჩაითვალოს, რომ ევროკავშირმა დაიკავა წევრი ქვეყნების ადგილი, რომლებიც აღარ არიან კომპეტენტურნი განახორციელონ ბერნის კონვენციის შესაბამისი დებულებების იმპლემენტაცია თავისი შეხედულებების მიხედვით (იხ. ლუქსანი, პუნქტი 64).

32. სწორედ ამის საფუძველზე ევროკავშირის კანონმდებელმა დაუშვა შესაძლებლობა შეეტანათ წევრ სახელმწიფოებს თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში გამონაკლისი დროებით ჩანაწერებთან დაკავშირებით, როგორც ეს მითითებულია 2001/29 დირექტივის 5(2)(დ) მუხლში, და ამ გამონაკლისის ფარგლები განმარტა ამ დირექტივის პრეამბულის 41-ე პუნქტში, რომლის მიხედვითაც მაუწყებლის საკუთარი საშუალებები მოიცავს პირს, რომელიც მოქმედებს „მაუწყებლობის ორგანიზაციის სახელით [და/ან] პასუხისმგებლობით“.

33. მეორე, გასათვალისწინებელია, რომ დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ევროკავშირის სამართლის ერთგვაროვანი გამოყენების საჭიროება და თანასწორობის პრინციპი მოითხოვს, რომ ევროკავშირის სამართლის დებულების შინაარსი, რომელიც მისი მნიშვნელობისა და ფარგლების განსაზღვრისთვის პირდაპირ არ მიუთითებს წევრი სახელმწიფოების კანონზე, ჩვეულებრივ, უნდა განიმარტოს დამოუკიდებლად და ერთგვაროვნად მთლიანი ევროკავშირის ფარგლებში (იხ., inter alia, საქმე 327/82 Ekro [1984] ECR 107, პუნქტი 11; საქმე C. -287/98 Linster [2000] ECR I-6917, პუნქტი 43; საქმე C-5/08 Infopaq International [2009] ECR I-6569, პუნქტი 27; და საქმე C-34/10 Brüstle [2011] ECR I-9821, პუნქტი 25).

34. 2001/29 დირექტივის ფორმულირება არ მიუთითებს ეროვნულ კანონმდებლობაზე ამ დირექტივის მე-5(2)(დ) მუხლში მოცემული გამოთქმის „საკუთარი საშუალებებით“ მნიშვნელობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარეობს, რომ ეს გამოთქმა, ამ დირექტივის გამოყენების მიზნებისთვის, უნდა ჩაითვალოს ევროკავშირის სამართლის ავტონომიურ ცნებად, რომელიც ერთგვაროვნად უნდა იქნეს განმარტებული ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე.

35. ამ დასკვნას ამყარებს 2001/29 დირექტივის საგანი და მიზანი, 2001/29 დირექტივის მიზანი, რომელიც ეფუძნება EC-ს 95-ე მუხლს და მიზნად ისახავს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაციას ინფორმაციულ საზოგადოებაში და უზრუნველყოფს, რომ წევრი ქვეყნების კანონმდებლობების განსხვავებების შედეგად არ მოხდეს კონკურენციის დარღვევა შიდა ბაზარზე (C-479/04 Laserdisken [2006] ECR I-8089, პუნქტები 26 და 31-დან 34-მდე). ეს მოითხოვს ევროკავშირის სამართლის ავტონომიური კონცეფციების შემუშავებას. ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანოს მიზანი, მიაღწიოს 2001/29 დირექტივაში მოცემული ცნებების ერთგვაროვან ინტერპრეტაციას, განსაკუთრებით აშკარაა მისი პრეამბულის 32-ე პუნქტიდან, რომელიც მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს მიაღწიონ რეპროდუცირების უფლების გამონაკლისებისა და შეზღუდვების თანამიმდევრულ გამოყენებას შიდა ბაზრის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

36. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღინიშნა ამ გადაწყვეტილების 32-ე პუნქტში, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, თავიანთი შიდა კანონმდებლობით გაითვალისწინონ გამონაკლისი დროებით ჩანაწერებთან დაკავშირებით, ტერმინის „საკუთარი საშუალებებით“ არაჰარმონიზებული ინტერპრეტაცია, იმ წევრი სახელმწიფოების მიერ, რომლებიც იყენებენ ევროკავშირის მიერ მინიჭებულ ამ შესაძლებლობას, ეწინააღმდეგება ამ დირექტივის მიზანს, როგორც ეს მოცემულია წინა პუნქტში, რამდენადაც ამ გამონაკლისის საზღვრები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში და, შესაბამისად, წარმოშობს პოტენციურ შეუსაბამობებს (იხილეთ, ანალოგიით, მითითებულ „სამართლიანი კომპენსაციის“ კონცეფციასთან დაკავშირებით 2001/29 დირექტივის მე-5(2)(ბ) მუხლის, საქმე C-467/08 Padawan [2010] ECR I-10055, პუნქტები 34-დან 36-მდე).

37. ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, პირველ კითხვაზე პასუხი არის ის, რომ 2001/29 დირექტივის მე-5(2)(დ) მუხლის გამოთქმას „საკუთარი საშუალებებით“ უნდა მიეცეს დამოუკიდებელი და ერთიანი ინტერპრეტაცია ევროკავშირის სამართლის ჩარჩოში.

მეორე შეკითხვა

38. მეორე კითხვით ეროვნული სასამართლო სვამს კითხვას, 2001/29 დირექტივის 5(2)(დ) მუხლი, პრეამბულის 41-ე პუნქტის ფონზე, უნდა განიმარტოს თუ არა ისე, რომ სამაუწყებლო ორგანიზაციის საკუთარი საშუალებები მოიცავს პირის საშუალებებს, რომლებიც მოქმედებს „მაუწყებლობის ორგანიზაციის სახელით და პასუხისმგებლობით“ ან „მაუწყებლობის ორგანიზაციის სახელით ან პასუხისმგებლობით“.

39. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ არსებობს განსხვავება 2001/29 დირექტივის პრეამბულის 41-ე პუნქტის სხვადასხვა ენობრივ ვერსიებს შორის.

40. ზოგიერთ ენობრივ ვერსიაში (ჩეხური, გერმანული და მალტური ვერსიები) პრეამბულის ეს პუნქტი ადგენს, რომ სამაუწყებლო ორგანიზაციის საკუთარი საშუალებები მოიცავს იმ პირის საშუალებებს, რომელიც მოქმედებს „მაუწყებლობის ორგანიზაციის სახელით ან პასუხისმგებლობით“. Prima facie, ასეთი ფორმულირებიდან გამომდინარეობს, რომ, იმისთვის, რომ მესამე პირის საშუალებებით, სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ საკუთარი მაუწყებლობისთვის გაკეთებული დროებითი ჩანაწერები მოექცეს 2001/29 დირექტივის მე-5(2)(დ) მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისში, საკმარისია, მესამე მხარე მოქმედებდეს „მაუწყებლობის ორგანიზაციის სახელით“ ან „მაუწყებლობის ორგანიზაციის პასუხისმგებლობით“.

41. ამის საპირისპიროდ, სხვა, მნიშვნელოვნად უფრო მრავალრიცხოვან ენობრივ ვერსიებში (ბულგარული, ესპანური, დანიური, ესტონური, ბერძნული, ინგლისური, ფრანგული, ლატვიური, ლიეტუვური, უნგრული, ჰოლანდიური, პოლონური, რუმინული, სლოვაკური, სლოვენიური, ფინური და შვედური) 2001/29 დირექტივის 41-ე პრეამბულაში ნათქვამია, რომ მაუწყებლის საკუთარ საშუალებებში შედის პირი, რომელიც მოქმედებს „მაუწყებლობის ორგანიზაციის სახელით და პასუხისმგებლობით“. ამ ვერსიიდან თავიდანვე გამომდინარეობს, რომ მესამე პირის საშუალებით სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ საკუთარი მაუწყებლობისთვის გაკეთებულ დროებით ჩანაწერებზე 2001/29 დირექტივის 5(2)(დ) მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისის გავრცელებისათვის, აუცილებელია, რომ მესამე პირმა დააკმაყოფილოს ზემოთ მითითებული ორივე პირობა.

42. შესაბამისად, მეორე კითხვით ეროვნული სასამართლო არსებითად სვამს კითხვას, 2001/29 დირექტივის პრეამბულის 41-ე პუნქტში მითითებული ორი პირობა როგორ უნდა იქნეს გაგებული: როგორც ალტერნატიული თუ როგორც კუმულაციური?

43. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი წინადადების წმინდა ლიტერატურული ინტერპრეტაცია, თავისთავად, არ იძლევა პასუხს მითითებულ კითხვაზე, რადგან ის აუცილებლად იწვევს contra legem-ს ზემოაღნიშნული ენობრივი ვარიანტებიდან ერთი ან მეორე ფორმულირების საფუძველზე.

44. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ევროკავშირის სამართლის დებულების ერთ ენობრივ ვერსიაში გამოყენებული ფორმულირება არ შეიძლება იყოს ამ დებულების ინტერპრეტაციის ერთადერთი საფუძველი, ან ამ კუთხით სხვა ენობრივი ვერსიების გადალახვის წინაპირობა. ასეთი მიდგომა შეუთავსებელი იქნება ევროკავშირის სამართლის ერთიანი გამოყენების მოთხოვნასთან (იხ. საქმე C-149/97 საავტომობილო ინდუსტრიის ინსტიტუტი [1998] ECR I-7053, პუნქტი 16, და საქმე C-187/07 Endendijk [2008] ECR I-2115, პუნქტი 23).

45. იმ გარემოებებში, როდესაც არსებობს განსხვავება ევროკავშირის სამართლებრივი ტექსტის ორ ენობრივ ვერსიას შორის, ეს დებულება უნდა იქნეს განმარტებული იმ წესების მიზნისა და ზოგადი სქემის მიხედვით, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს (იხ. საქმე 30/77 Bouchereau [1977] ECR 1999, პუნქტი 14; საქმე C-482/98 იტალია კომისიის წინააღმდეგ [2000] ECR I-10861, პუნქტი 49; და საქმე C-1/02 Borgmann [2004] ECR I-3219, პუნქტი 25).

46. რაც შეეხება ზოგად სქემას, რომლის ნაწილიცაა 2001/29 დირექტივის პრეამბულის 41-ე პუნქტი, უნდა გავითვალისწინოთ, რომ, პრინციპში, ამ დირექტივის მე-2 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ დაცული ნაწარმოების რეპროდუცირება ექვემდებარება ავტორის მხრიდან ნებართვას.

47. თუმცა, ამ დირექტივის მე-5(2)(დ) მუხლიდან გამომდინარეობს, რომ, გამონაკლისის სახით, წევრ სახელმწიფოებში, რომლებმაც მიიღეს ამგვარი გადაწყვეტილება, სამაუწყებლო ორგანიზაციებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განახორციელონ დაცული ნაწარმოების საჯარო გადაცემა, უფლება აქვთ, როგორც გამონაკლისი, გააკეთონ ამ ნაწარმოების „დროებითი“ ჩანაწერები, ავტორისგან რეპროდუცირების უფლების მიღების ვალდებულების გარეშე.

48. ამასთან დაკავშირებით, როგორც ბერნის კონვენციის 11^{bis}(3) მუხლი, ასევე 2001/29 დირექტივის 5(2)(დ) მუხლი, რომელიც მიზნად ისახავს კონვენციის ამ დებულების ასახვას, მოითხოვს, რომ ამ „დროებითი ჩანაწერების“ გაკეთებისას გამოყენებულ იქნეს მაუწყებლობის ორგანიზაციების „საკუთარი საშუალებები“.

49. 2001/29 დირექტივის 5(2)(დ) მუხლის შესაბამისად, ამ დირექტივის პრეამბულის 41-ე პუნქტის გათვალისწინებით, დროებით ჩანაწერთან დაკავშირებით გამონაკლისის გამოყენებისას, ტერმინი მაუწყებლობის ორგანიზაციის „საკუთარი საშუალებები“ მოიცავს სამაუწყებლო ორგანიზაციის სახელით და/ან პასუხისმგებლობით მოქმედი პირის საშუალებებს.

50. შესაბამისად, ეს დებულება, პრეამბულის ამ პუნქტის გათვალისწინებით, არ მოითხოვს დროებითი ჩანაწერების გაკეთებას თავად სამაუწყებლო ორგანიზაციის მიერ, არამედ აცხადებს, რომ თუ მესამე პირი აკეთებს ამ ჩანაწერებს, ჩაითვლება, რომ ეს უკანასკნელი გაკეთებულია სამაუწყებლო ორგანიზაციის „საკუთარი საშუალებებით“.

51. ამ მოთხოვნით, ევროკავშირის კანონმდებელი შეეცადა შეენარჩუნებინა მჭიდრო კავშირი ამ მესამე პირსა და სამაუწყებლო ორგანიზაციას შორის, რაც უზრუნველყოფს, რომ მესამე პირი დამოუკიდებლად ვერ მიიღებს სარგებელს დროებითი ჩანაწერების გამონაკლისისგან, რომლის ერთადერთი ბენეფიციარია სამაუწყებლო ორგანიზაცია.

52. სწორედ ამ მიზნით, ევროკავშირის კანონმდებელი 2001/29 დირექტივის პრეამბულის 41-ე პუნქტში აკონკრეტებს ორ შემთხვევას, რომელთაგან თითოეული ემყარება კონკრეტულ ურთიერთობას სამაუწყებლო ორგანიზაციასა და მესამე პირს შორის, რომელსაც მინდობილი აქვს დროებითი ჩანაწერის დამზადება.

53. პირველი შემთხვევა, კერძოდ, როდესაც მესამე პირი მოქმედებს სამაუწყებლო ორგანიზაციის სახელით, გულისხმობს პირდაპირ და უშუალო კავშირს ორ მხარეს შორის, რის საფუძველზეც მესამე პირს, როგორც წესი, არ აქვს რაიმე ხარისხის დამოუკიდებლობა. ეს კავშირი ცალსახაა სხვა პირებთან მიმართებაში, ვინაიდან, განსაზღვრებით, მესამე პირის ყველა ქმედება აუცილებლად მიეკუთვნება განსახილველ ორგანიზაციას.

54. მეორე შემთხვევა, როდესაც მესამე მხარე მოქმედებს სამაუწყებლო ორგანიზაციის „პასუხისმგებლობით“, გულისხმობს ორ მხარეს შორის უფრო რთულ, შუამავალ კავშირს, რაც მესამე მხარეს აძლევს გარკვეულ თავისუფლებას მისი საშუალებების გამოყენებაში. რაც შეეხება სხვა პირთა ინტერესების დაცვას, პასუხისმგებელია განსახილველი ორგანიზაცია, რომელიც იხდის კომპენსაციას ავტორების სასარგებლოდ.

55. აქედან გამომდინარეობს, რომ 2001/29 დირექტივის პრეამბულის 41-ე პუნქტში მოცემული ორი პირობიდან თითოეულს შეუძლია, თავისთავად და მეორისგან დამოუკიდებლად, შეასრულოს ამ დირექტივის მე-5 მუხლის მე-2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზანი პრეამბულის ამ პუნქტის ფონზე, როგორც ეს აღნიშნულია წინამდებარე გადაწყვეტილების 51-ე პუნქტში.

56. შესაბამისად, ეს ორი პირობა უნდა იქნეს გაგებული, როგორც ეკვივალენტური და, შესაბამისად, ალტერნატიული ხასიათის.

57. გარდა ამისა, სასამართლოსთვის ხელმისაწვდომი ინტერპრეტაციის არჩევანის შეფასებისას, ეს მიდგომა გამყარებულია იმ ფაქტით, რომ ის უზრუნველყოფს ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიის მე-16 მუხლით განსაზღვრული ბიზნეს საქმიანობის განხორციელების თავისუფლების უფრო ფართო ფარგლებს სამაუწყებლო ორგანიზაციებისთვის და, ამავდროულად, უარყოფითად არ მოქმედებს საავტორო უფლებების არსზე.

58. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეორე კითხვაზე პასუხი არის ის, რომ 2001/29 დირექტივის 5(2)(დ) მუხლი, ამ დირექტივის პრეამბულის 41-ე პუნქტის გათვალისწინებით, უნდა განიმარტოს ისე, რომ სამაუწყებლო ორგანიზაციის საკუთარი საშუალებები მოიცავს ნებისმიერი მესამე პირის საშუალებებს, რომელიც მოქმედებს ამ ორგანიზაციის სახელით ან პასუხისმგებლობით.

მესამე კითხვა

59. მესამე კითხვით ეროვნული სასამართლო კითხულობს, არსებითად რა კრიტერიუმები უნდა გამოიყენონ ეროვნულმა სასამართლოებმა იმის შეფასებისას, ექცევა თუ არა მესამე პირის საშუალებების გამოყენებით, სამაუწყებლო ორგანიზაციის გადაცემაში გამოსაყენებლად გაკეთებული ჩანაწერი 2001/29 დირექტივის მე-5(2)(დ) მუხლით გათვალისწინებულ დროებითი ჩანაწერების შესახებ გამონაკლისში.

60. 2001/29 დირექტივის მე-5(2)(დ) მუხლის და ამ დირექტივის პრეამბულის 41-ე პუნქტის კომბინირებული წაკითხვით ირკვევა, როგორც ეს განმარტებულია წინამდებარე გადაწყვეტილების 58-ე პუნქტში, რომ ასეთი ჩანაწერი ექცევა დროებითი ჩანაწერების გამონაკლისში, თუ ეს პირი შეიძლება ჩაითვალოს მაუწყებლობის ორგანიზაციის „სახელით“ ან „პასუხისმგებლობით“ მოქმედად.

61. აქედან გამომდინარეობს, რომ თავდაპირველად აუცილებელია განისაზღვროს, შეიძლება თუ არა განსახილველი მესამე მხარე ჩაითვალოს მაუწყებლობის ორგანიზაციის „სახელით“ მოქმედად. იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც აღნიშნულია წინამდებარე გადაწყვეტილების 53-ე პუნქტში, ამ ურთიერთობის – ზოგადად – ცალსახა ბუნებიდან გამომდინარე, ასეთი შეფასება, როგორც წესი, აშკარა იქნება და, შესაბამისად, არ არის საჭირო კონკრეტული შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება.

62. თუ მესამე მხარე არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოქმედებს სამაუწყებლო ორგანიზაციის სახელით, მაშინ საჭირო იქნება იმის დადგენა, შეიძლება თუ არა ეს მესამე მხარე, სულ მცირე, მაუწყებლობის ორგანიზაციის „პასუხისმგებლობით“ მოქმედად ჩაითვალოს.

63. ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამაუწყებლო ორგანიზაცია პასუხისმგებელია ასეთი პირის ყოველ ქმედებაზე, რომელიც დაკავშირებულია დაცული ნაწარმოების რეპროდუცირებასთან, მათ შორის, განსახილველ ნაწარმოებზე უფლების მფლობელი ავტორების წინაშე.

64. კერძოდ, ამ შეფასების კონტექსტში, არსებითია, რომ მაუწყებლობის ორგანიზაციას მოეთხოვება კომპენსაციის გადახდა სხვა პირების, მათ შორის იმ ავტორებისთვის, რომლებიც შეიძლება დაზარალდნენ მათი ნაწარმოებების უკანონო ჩაწერით, რაც განხორციელდა იურიდიულად დამოუკიდებელი გარე სატელევიზიო მწარმოებელი კომპანიის მიერ.

65. ამის საპირისპიროდ, როგორც გენერალურმა ადვოკატმა აღნიშნა თავისი დასკვნის 87-ე პუნქტში, საკითხი, თუ ვინ მიიღო საბოლოო მხატვრული ან სარედაქციო გადაწყვეტილება სამაუწყებლო ორგანიზაციის დაკვეთით რეპროდუცირებული პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით, შეუსაბამოა. 2001/29 დირექტივის 5(2)(დ) მუხლის გამონაკლისის მიხედვით, ტექნიკური რეპროდუცირების საშუალებად გათვალისწინებული „ჩაწერის“ ცნება ერთადერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

66. ზემოაღნიშნული მითითებების გათვალისწინებით, ეროვნულმა სასამართლომ ძირითადი პროცესის დავის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს, განსახილველი ჩანაწერები გაკეთებულია თუ არა პირის მიერ, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოქმედებდა კონკრეტულად „მაუწყებლობის“ ორგანიზაციის სახელით ან, სულ მცირე, ამ ორგანიზაციის „პასუხისმგებლობით“.

67. ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, მესამე შეკითხვაზე პასუხი არის ის, რომ იმის დასადგენად, ვრცელდება თუ არა 2001/29 დირექტივის 5(2)(დ) მუხლით დადგენილი გამონაკლისი დროებით ჩანაწერებზე, ეროვნულმა სასამართლომ ძირითადი პროცესის დავის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს, განსახილველი ჩანაწერები გაკეთებულია თუ არა პირის მიერ, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოქმედებდა

კონკრეტულად „მაუწყებლობის“ ორგანიზაციის სახელით ან, სულ მცირე, ამ ორგანიზაციის „პასუხისმგებლობით“. რაც შეეხება იმას, შეიძლება თუ არა ეს მხარე ჩაითვალოს სამაუწყებლო ორგანიზაციის „პასუხისმგებლობით“ მოქმედად, მნიშვნელოვანია, რომ სხვა პირებთან მიმართებაში, მათ შორის იმ ავტორებთან, რომლებიც შეიძლება დაზარალდნენ მათი ნაწარმოებების უკანონო ჩაწერით, სამაუწყებლო ორგანიზაცია ვალდებული უნდა იყოს გადაიხადოს კომპენსაცია მესამე მხარის, როგორიცაა იურიდიულად დამოუკიდებელი გარე სატელევიზიო მწარმოებელი კომპანიის, ქმედებების ნებისმიერი უარყოფითი ეფექტისთვის, თითქოს სამაუწყებლო ორგანიზაციამ თავად განახორციელა ეს ქმედებები.

ხარჯები

68. ვინაიდან ეს პროცესი, ძირითადი დავის მხარეებისთვის, ეროვნული სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოების ნაწილია, ხარჯებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ამ სასამართლოს ეკუთვნის. სასამართლოსთვის შენიშვნების წარდგენისას გაწეული ხარჯები, გარდა ამ მხარეების ხარჯებისა, არ ანაზღაურდება.

ამის საფუძველზე სასამართლო (მესამე პალატა) ადგენს:

1. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების ჰარმონიზაციის 2001/29/EC დირექტივის მე-5(2)(დ) მუხლის ტერმინს „საკუთარი საშუალებებით“ უნდა მიეცეს დამოუკიდებელი და ერთიანი ინტერპრეტაცია ევროკავშირის სამართლის ფარგლებში.

2. 2001/29 დირექტივის 5(2)(დ) მუხლი, ამ დირექტივის პრეამბულის 41-ე პუნქტის გათვალისწინებით, უნდა განიმარტოს ისე, რომ სამაუწყებლო ორგანიზაციის „საკუთარი საშუალებები“ მოიცავს ნებისმიერი მესამე პირის მოქმედებას ამ ორგანიზაციის სახელით ან პასუხისმგებლობით.

3. იმის დასადგენად, ვრცელდება თუ არა 2001/29 დირექტივის 5(2)(დ) მუხლით დადგენილი გამონაკლისი დროებით ჩანაწერებზე, ეროვნულმა სასამართლომ ძირითადი პროცესის დავის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს, განსახილველი ჩანაწერები გაკეთებულია თუ არა პირის მიერ, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოქმედებდა კონკრეტულად „მაუწყებლობის“ ორგანიზაციის სახელით ან, სულ მცირე, ამ ორგანიზაციის „პასუხისმგებლობით“. რაც შეეხება იმას, შეიძლება თუ არა ეს მხარე ჩაითვალოს სამაუწყებლო ორგანიზაციის „პასუხისმგებლობით“ მოქმედად, მნიშვნელოვანია, რომ სხვა პირებთან მიმართებაში, მათ შორის იმ ავტორებთან, რომლებიც შეიძლება დაზარალდნენ მათი ნაწარმოებების უკანონო ჩაწერით, სამაუწყებლო ორგანიზაცია ვალდებული უნდა იყოს გადაიხადოს კომპენსაცია მესამე მხარის, როგორიცაა იურიდიულად დამოუკიდებელი გარე სატელევიზიო მწარმოებელი კომპანიის, ქმედებების ნებისმიერი უარყოფითი ეფექტისთვის, თითქოს სამაუწყებლო ორგანიზაციამ თავად განახორციელა ეს ქმედებები.

C-682/18 Peterson

სასამართლოს გადაწყვეტილება (დიდი პალატა)

2021 წლის 22 ივნისი

(მიმართვა წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად - ინტელექტუალური საკუთრება - საავტორო და მომიჯნავე უფლებები - ვიდეოგაზიარების პლატფორმის ან ფაილების ჰოსტინგის და გაზიარების პლატფორმის ხელმისაწვდომობა და მართვა - ოპერატორის პასუხისმგებლობა მისი პლატფორმის მომხმარებლების მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევისთვის - დირექტივა 2001/29/EC – მუხლი 3 და მუხლი 8(3) – ცნება „საჯარო გადაცემა“ – დირექტივა 2000/31/EC – მუხლი 14 და 15 – პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების პირობები – კონკრეტული დარღვევების არცოდნა – ასეთი დარღვევების შესახებ შეტყობინება, როგორც აკრძალვის მიღების პირობა)

გაერთიანებულ საქმეებში C 682/18 და C 683/18,

მოთხოვნა წინასწარი გადაწყვეტილების მიღებაზე TFEU-ს 267-ე მუხლის საფუძველზე Bundesgerichtshof-ისგან (გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო), მიღებული 2018 წლის 13 სექტემბრის და 2018 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებებით, წარმოდგენილი სასამართლოში 2018 წლის 6 ნოემბერს,

ფრენკ პეტერსონი

v

YouTube Inc.,

YouTube LLC,

Google Germany GmbH (C-682/18),

და

Elsevier Inc.

v

Cyando AG (C-683/18),

THE COURT (Grand Chamber),

სასამართლო (დიდი პალატა),

შემადგენლობა: კ. ლენაერტსი, პრეზიდენტი, რ. სილვა დე ლაპუერტა, ვიცე-პრეზიდენტი, ჯ. კ. ბონიშო, მ. ვილარასი, ე. რეგანი და მ. ილეშიჩი (მომხსენებლები), პალატის თავმჯდომარეები, ე. იუჰასზი, მ საფიანი, დ. შვაბი, ს. როდინი, ფ. ბილტგენი, კ. ჯურიმე და კ. ლიკურგოსი - მოსამართლეები

გენერალური ადვოკატი: ჰ. საუგმანდსგაარდ ოე,

რეგისტრატორი: მ. კრაუზენბოკი, ადმინისტრატორი,

წერილობითი პროცედურის და შემდგომ 2019 წლის 26 ნოემბრის მოსმენის გათვალისწინებით,

შემდეგი პირების სახელით წარმოდგენილი პოზიციების განხილვის შემდეგ:

- ფრენკ პეტერსონი, წარმოდგენილი პ. ვასერმანისა და ჯ. შიპმანის მიერ, ადვოკატები,
- Elsevier Inc., წარმომადგენლები: კ. ბეკერი, უ, ფეინდორ-შმიდტი და მ. ლაუსენი - ადვოკატები
- Google LLC, YouTube Inc., YouTube LLC და Google Germany GmbH, წარმომადგენლები: ჯ. ვიმერსი და მ. ბარუდი - ადვოკატები,
- Cyando AG, წარმომადგენლები: ჰ. ვალდჰაუზერი და მ. იუნკერი - ადვოკატები,
- გერმანიის მთავრობა, წარმოდგენილი ჯ. მიოლერის, მ. ჰელმანის და ე. ლანკენაუს მიერ, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები,
- საფრანგეთის მთავრობა, წარმოდგენილი ა. ი. დეჟონკერის, ა. დანიელისა და რ. კოსმეს მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ აგენტებად,
- ფინეთის მთავრობა, წარმოდგენილი ჯ. ჰელისკოსკის მიერ, აგენტის მოვალეობის შემსრულებელი,
- ევროკომისია, წარმოდგენილი ტ. შარფის, ს.ლ. კალედასა და ჯ. სამნადას მიერ, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები,

2020 წლის 16 ივლისის სხდომაზე გენერალური ადვოკატის აზრის მოსმენის შემდეგ, იღებს შემდეგ

გადაწყვეტილებას

1. ეს მოთხოვნები წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ ეხება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების ზოგიერთი ასპექტის ჰარმონიზაციის შესახებ 2001/29/EC დირექტივის (OJ 2001 L 167, გვ. 10; „საავტორო უფლებების შესახებ დირექტივა“) 3(1) და 8(3) მუხლების, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 8 ივნისის ინფორმაციულ საზოგადოებაში სერვისების, კერძოდ, შიდა ბაზარზე ელექტრონული კომერციის სამართლებრივი ასპექტების შესახებ 2000/31 დირექტივის („დირექტივა ელექტრონული კომერციის შესახებ“) (OJ 2000 L 178, გვ. 1; „დირექტივა ელექტრონული კომერციის შესახებ“) 14(1) მუხლის და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ 2004/48/EC დირექტივის (OJ 2004 L 157, გვ. 45, და კორეგენდი OJ 2004 L 195, გვ. 16) „აღსრულების დირექტივა“ მე-11 მუხლის პირველი წინადადების და მე-13 მუხლის ინტერპრეტაციას.

2. მოთხოვნები წარმოდგენილ იქნეს ბ-ნ ფრენკ პეტერსონსა და Google LLC-სა და YouTube LLC-ს შორის მიმდინარე დავის (საქმე C 682/18), და Elsevier Inc.-სა და Cyando AG-ს შორის (საქმე C 683/18) ფარგლებში, რომელიც ეხება ბატონი პეტერსონისა და Elsevier Inc-ის კუთვნილი ინტელექტუალური საკუთრების რამდენიმე უფლების დარღვევას, ჩადენილს ვიდეოს გაზიარების პლატფორმის მომხმარებლების მიერ, რომლებსაც მართავს YouTube, და ფაილების ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმის მიერ, რომელსაც მართავს, შესაბამისად, Cyando.

სამართლებრივი კონტექსტი

საერთაშორისო კანონმდებლობა

3. 1996 წლის 20 დეკემბერს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციამ (WIPO) ჟენევაში მიიღო ისმო-ს საავტორო უფლებების შესახებ ხელშეკრულება (WCT). ეს ხელშეკრულება დამტკიცდა ევროპის თანამეგობრობის სახელით საბჭოს 2000 წლის 16 მარტის 2000/278/EC გადაწყვეტილებით (OJ 2000 L 89, გვ. 6) და ძალაში შევიდა ევროკავშირთან მიმართებაში 2010 წლის 14 მარტს (OJ 2010 L 32, გვ. 1).

4. WCT-ის მე-8 მუხლი, სახელწოდებით „საჯარო გადაცემის უფლება“, ადგენს:

ბერნის კონვენციის მუხლების 11(1)(ii), 11bis(1)(i) და (ii), 11ter(1)(ii), 14(1)(ii) და 14bis(1) დებულებებისთვის ზიანის მიუყენებლად ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორები სარგებლობენ განსაკუთრებული უფლებებით დართონ თავისი ნაწარმოებების საყოველთაო გაცნობისთვის საჯარო გადაცემის ნება სადენებითა და კავშირგაბმულობის უსადენო საშუალებებით. მათ შორის ისე, რომ საზოგადოების წარმომადგენლებისთვის ასეთი ნაწარმოებები ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი ადგილიდან და ნებისმიერ დროს მათი არჩევანის მიხედვით“.

5. შეთანხმებული განცხადებები WCT-თან დაკავშირებით მიღებულ იქნეს დიპლომატიური კონფერენციის მიერ 1996 წლის 20 დეკემბერს.

6. შეთანხმებული განცხადება WCT-ის მე-8 მუხლთან დაკავშირებით ასეა ჩამოყალიბებული:

„მხოლოდ ფიზიკური საშუალებების უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ან რომლითაც ხორციელდება გადაცემა, ამ ხელშეკრულებიდან ან ბერნის კონვენციიდან გამომდინარე, არ ითვლება საჯარო გადაცემად...“

ევროკავშირის კანონმდებლობა

საავტორო უფლებების დირექტივა

საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის პრეამბულის მე-4, მე-5, მე-8-მე-10, მე-16, 23-ე, 27-ე, 31-ე და 59-ე პუნქტებში ნათქვამია:

(4) საავტორო და მომიჯნავე უფლებების ჰარმონიზებული საკანონმდებლო ბაზა, გაზრდილი სამართლებრივი სიცხადისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მაღალი დონის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს არსებით ინვესტიციებს კრეატიულობასა და ინოვაციებში, მათ შორის ქსელის ინფრასტრუქტურაში და, თავის მხრივ, განაპირობებს ზრდას და გაზრდილი ევროპული ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობას როგორც კონტენტის მიწოდებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, ისე ზოგადად სამრეწველო და კულტურული სექტორების ფართო სპექტრში. ეს უზრუნველყოფს დასაქმებას და ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

(5) ტექნოლოგიურმა განვითარებამ გაამრავლა შემოქმედების, წარმოებისა და ექსპლუატაციის ვექტორები და მოახდინა მათი დივერსიფიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ არ არის საჭირო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ახალი კონცეფციები, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ არსებული კანონი უნდა იყოს ადაპტირებული და შევსებული, რათა ადეკვატურად უპასუხოს ეკონომიკურ რეალობას, როგორიცაა ექსპლუატაციის ახალი ფორმები.

…

(8) ინფორმაციული საზოგადოების სხვადასხვა სოციალური, საზოგადოებრივი და კულტურული გავლენა მოითხოვს, რომ მხედველობაში იქნეს მიღებული პროდუქტებისა და სერვისების შინაარსის სპეციფიკური მახასიათებლები.

(9) საავტორო და მომიჯნავე უფლებების ნებისმიერ ჰარმონიზაციას უნდა ჰქონდეს დაცვის მაღალი დონე, ვინაიდან ასეთი უფლებები გადამწყვეტია ინტელექტუალური შემოქმედებისთვის. მათი დაცვა ხელს უწყობს კრეატიულობის შენარჩუნებას და განვითარებას, ავტორების, შემსრულებლების, მწარმოებლების, მომხმარებლების, კულტურის, ინდუსტრიისა და, საერთოდ,

საზოგადოების ინტერესების დაცვას. ამიტომ ინტელექტუალური საკუთრება აღიარებულია საკუთრების განუყოფელ ნაწილად.

(10) თუ ავტორებმა ან შემსრულებლებმა უნდა გააგრძელონ თავიანთი შემოქმედებითი და სახელოვნებო მოღვაწეობა, მათ უნდა მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება თავიანთი ნაწარმოებების გამოყენებისთვის, ისევე როგორც პროდიუსერებმა, რათა შეძლონ ამ ნაწარმოების დაფინანსება... ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ადეკვატური სამართლებრივი დაცვა აუცილებელია, რათა გარანტირებული იყოს ასეთი ანაზღაურების ხელმისაწვდომობა და უზრუნველყოს ამ ინვესტიციიდან დამაკმაყოფილებელი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

…

(16) …ეს დირექტივა უნდა განხორციელდეს [დირექტივის ელექტრონული ვაჭრობის შესახებ] განხორციელების მსგავს ვადებში, ვინაიდან ეს დირექტივა უზრუნველყოფს პრინციპებისა და დებულებების ჰარმონიზებულ ჩარჩოს, რომელიც ეხება, inter alia, ამ დირექტივის მნიშვნელოვან ნაწილებს. ეს დირექტივა ზიანს არ აყენებს ამ დირექტივის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ დებულებებს.

…

(23) ამ დირექტივამ უნდა უზრუნველყოს ავტორის საჯარო გადაცემის უფლების შემდგომი ჰარმონიზაცია. ეს უფლება გაგებული უნდა იქნეს ფართო მნიშვნელობით, რომელიც მოიცავს ყველა სახის საჯარო გადაცემას საზოგადოებისთვის, რომელიც არ იმყოფება იმ ადგილას, სადაც გადაცემა იწყება…

…

(27) მხოლოდ ფიზიკური საშუალებების მიწოდება, რომელიც იძლევა საშუალებას, ან რომლითაც ხორციელდება საჯარო გადაცემა, არ ითვლება საჯარო გადაცემად ამ დირექტივის მნიშვნელობით.

…

(31) დაცული უნდა იყოს უფლებებისა და ინტერესების სამართლიანი ბალანსი უფლებათა სხვადასხვა კატეგორიის მფლობელებს შორის, ასევე სხვადასხვა კატეგორიის უფლებათა მფლობელებსა და დაცული ობიექტის მოსარგებლეებს შორის. წევრი სახელმწიფოების მიერ დადგენილი უფლებების არსებული გამონაკლისები და შეზღუდვები ხელახლა უნდა შეფასდეს ახალი ელექტრონული გარემოს ფონზე...

…

(59) ციფრულ გარემოში, განსაკუთრებით შუამავლების სერვისები, შეიძლება უფრო მზარდად იქნეს გამოყენებული მესამე პირების მიერ დამრღვევი საქმიანობისთვის. ხშირ შემთხვევაში ასეთ შუამავლებს აქვთ საუკეთესო შესაძლებლობა, აღკვეთონ უფლებების დამრღვევი ქმედებები. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი სხვა სანქციებისა და დაცვის საშუალებების შეფერხების გარეშე, უფლებათა მფლობელებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოსთხოვონ შუამავალს, რომელიც ახორციელებს მესამე პირის მიერ დაცულ ნაწარმოებზე უფლებების დარღვევის ქსელში გატანას, ასეთი ქმედების აკრძალვა. ეს შესაძლებლობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს მაშინაც კი, როდესაც შუამავლის მიერ განხორციელებული ქმედებები, მე-5 მუხლის შესაბამისად, თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. ასეთი აკრძალვისთვის საჭირო პირობების განსაზღვრა უნდა დარჩეს წევრი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის კომპეტენციის ფარგლებში.

8. ამ დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი, სათაურით, „ნაწარმოების საჯარო გადაცემის უფლება და სხვა ობიექტების საჯარო გაცნობა“, ადგენს:

„წევრი სახელმწიფოები ანიჭებენ ავტორებს განსაკუთრებულ უფლებას ნება დართონ ან აკრძალონ თავიანთი ნაწარმოებების ნებისმიერი საჯარო გადაცემა სადენიანი ან უსადენო საშუალებებით, მათ შორის, მათი ნამუშევრების საჯარო გაცნობა ისე, რომ საზოგადოების წევრებს შეეძლოთ წვდომა მათ მიერ ინდივიდუალურად არჩეული ადგილიდან და მათთვის სასურველ დროს“.

9. ამ დირექტივის მე-8 მუხლი, სახელწოდებით, „სანქციები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები“, ადგენს:

„1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ შესაბამის სანქციებს და სამართლებრივი დაცვის საშუალებებს ამ დირექტივით განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების დარღვევასთან დაკავშირებით და მიიღებენ ყველა საჭირო ზომას ამ სანქციებისა და დაცვის საშუალებების გამოყენების უზრუნველსაყოფად. ამგვარად გათვალისწინებული სანქციები უნდა იყოს ეფექტიანი, პროპორციული და პრევენციული.

2. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ უფლებების მფლობელებს, რომელთა ინტერესებს აზიანებს მის ტერიტორიაზე განხორციელებული დამრღვევი ქმედებები, შეეძლოთ მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება და/ან მოითხოვონ დამრღვევი ქმედების აკრძალვა და, საჭიროების შემთხვევაში, დამრღვევი მასალის, ასევე, 6(2) მუხლით განსაზღვრული მოწყობილობების, პროდუქციის ან კომპონენტების ჩამორთმევა.

3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ უფლებების მფლობელებს შეეძლოთ დამრღვევი ქმედების აკრძალვა მოსთხოვონ შუამავლებს, რომელთა მომსახურებას მესამე პირი იყენებს საავტორო ან მომიჯნავე უფლებების დარღვევისთვის“.

დირექტივა ელექტრონული კომერციის შესახებ

ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის პრეამბულის 41-ე-46-ე, 48-ე და 52-ე პუნქტები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

(41) ეს დირექტივა ამყარებს ბალანსს სხვადასხვა ინტერესებს შორის და ადგენს პრინციპებს, რომლებზეც შეიძლება დაფუძნდეს სამრეწველო შეთანხმებები და სტანდარტები.

(42) ამ დირექტივით დადგენილი პასუხისმგებლობისგან გამონაკლისები მოიცავს მხოლოდ შემთხვევებს, როდესაც ინფორმაციული საზოგადოების სერვისის მიმწოდებლის საქმიანობა შემოიფარგლება კომუნიკაციის ქსელთან მუშაობისა და წვდომის ტექნიკური პროცესით, რომლითაც მესამე მხარის მიერ ხელმისაწვდომი ინფორმაცია გადადის ან დროებით ინახება მხოლოდ იმ მიზნით, რომ გადაცემა უფრო ეფექტიანი იყოს; ეს აქტივობა უბრალო ტექნიკური, ავტომატური და პასიური ხასიათისაა, რაც გულისხმობს, რომ ინფორმაციული საზოგადოების მომსახურების მიმწოდებელს არ აქვს არც ცოდნა და არც კონტროლი გადაცემული ან შენახული ინფორმაციის შესახებ.

(43) მომსახურების მიმწოდებელს შეუძლია ისარგებლოს შეღავათებით „უბრალო მიწოდებისთვის“ და „ქეშირებისთვის“, როდესაც ის არანაირად არ არის ჩართული გადაცემულ ინფორმაციაში; ეს მოითხოვს, სხვა საკითხებთან ერთად, რომ მან არ შეცვალოს ინფორმაცია, რომელსაც ის გადასცემს; ეს მოთხოვნა არ მოიცავს ტექნიკური ხასიათის მანიპულაციებს, რომლებიც ხდება გადაცემის პროცესში, რადგან ისინი არ ცვლიან გადაცემაში მოცემული ინფორმაციის მთლიანობას.

(44) მომსახურების მიმწოდებელი, რომელიც მიზანმიმართულად თანამშრომლობს მისი მომსახურების ერთ-ერთ მიმღებთან უკანონო ქმედებების განსახორციელებლად, სცილდება „უბრალო მიწოდების“ ან „ქეშირების“ საქმიანობას და შედეგად ვერ ისარგებლებს ამ საქმიანობისთვის დადგენილი პასუხისმგებლობის შეღავათებით.

(45) შუამავალი მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობის შეზღუდვები, რომლებიც დადგენილია ამ დირექტივაში, არ ახდენს გავლენას სხვადასხვა სახის აკრძალვის შესაძლებლობაზე; ასეთი განკარგულებები შეიძლება შედგებოდეს სასამართლოების ან ადმინისტრაციული ორგანოების ბრძანებებისგან, რომლებიც მოითხოვენ ნებისმიერი დარღვევის შეწყვეტას ან აღკვეთას, მათ შორის უკანონო ინფორმაციის ამოღებას ან მასზე წვდომის გაუქმებას.

(46) იმისთვის, რომ ინფორმაციული საზოგადოების სერვისის მიმწოდებელმა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის შენახვას, ისარგებლოს პასუხისმგებლობის შეზღუდვით, უკანონო ქმედებების შესახებ ფაქტობრივი ცოდნის ან ინფორმაციის მიღებისთანავე უნდა იმოქმედოს დაუყოვნებლივ და ამოიღოს ან გააუქმოს ინფორმაციაზე წვდომა. ხელმისაწვდომობის მოხსნა ან გაუქმება უნდა განხორციელდეს გამოხატვის თავისუფლების პრინციპისა და ამ მიზნით ეროვნულ დონეზე დადგენილი პროცედურების დაცვით; ეს დირექტივა არ მოქმედებს წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობაზე დააწესონ კონკრეტული მოთხოვნები, რომლებიც უნდა შესრულდეს დაჩქარებულად ინფორმაციის ამოღებამდე ან გამორთვამდე.

…

(48) ეს დირექტივა არ ახდენს გავლენას წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობაზე, მოსთხოვონ სერვისის პროვაიდერებს, რომლებიც ახორციელებენ მათი სერვისის მიმღებთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის ჰოსტინგს, გამოიყენონ ზრუნვის მოვალეობები, რაც გონივრულად შეიძლება მოსალოდნელი იყოს მათგან და რომელიც განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით, გარკვეული სახის უკანონო ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით.

(52) შიდა ბაზრის თავისუფლებების ეფექტიანი განხორციელება აუცილებელს ხდის დავების გადაწყვეტის საშუალებებზე ეფექტიანი ხელმისაწვდომობის გარანტიის უზრუნველყოფას მსხვერპლთათვის; ზიანი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საინფორმაციო საზოგადოების სერვისებთან დაკავშირებით, ხასიათდება როგორც მისი სისწრაფით, ასევე გეოგრაფიული მასშტაბით; ამ სპეციფიკური ხასიათისა და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეროვნულმა ხელისუფლებებმა საფრთხე არ შეუქმნან მათ ურთიერთნდობას, რომელიც ერთმანეთის მიმართ უნდა ჰქონდეთ, ეს დირექტივა წევრ სახელმწიფოებს სთხოვს უზრუნველყონ შესაბამისი სასამართლო პროცედურების არსებობა; წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეისწავლონ სასამართლო პროცედურებზე ელექტრონული საშუალებებით წვდომის უზრუნველყოფის საჭიროება.

11. ამ დირექტივის მე-14 მუხლი, სახელწოდებით „ჰოსტინგი“, ადგენს:

1. როდესაც ხდება ინფორმაციული საზოგადოების სერვისის მიწოდება, რომელიც მოიცავს სერვისის მიმღების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შენახვას, წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ მომსახურების მიმწოდებელი არ იყოს პასუხისმგებელი სერვისის მიმღების მოთხოვნით შენახულ ინფორმაციაზე, იმ პირობით, რომ:

(ა) პროვაიდერს არ აქვს რეალური ცოდნა ან ინფორმაცია უკანონო საქმიანობის შესახებ და, რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს, არ იცის ფაქტები ან გარემოებები, საიდანაც ჩანს უკანონო საქმიანობა ან ინფორმაცია;

ან

(ბ) პროვაიდერი, ასეთი ცოდნის ან ინფორმაციის მიღებისთანავე, მოქმედებს დაჩქარებულად, რომ ამოიღოს ან გააუქმოს ინფორმაციაზე წვდომა.

2. პირველი პუნქტი არ გამოიყენება, როდესაც მომსახურების მიმღები მოქმედებს მიმწოდებლის უფლებამოსილების ან კონტროლის ქვეშ.

3. ეს მუხლი გავლენას არ მოახდენს სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს შესაძლებლობაზე, წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემების შესაბამისად, მოსთხოვოს მომსახურების მიმწოდებელს შეწყვიტოს ან აღკვეთოს დარღვევა, და არც ზეგავლენას ახდენს წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობაზე, დააწესონ მარეგულირებელი პროცედურები ინფორმაციაზე წვდომასთან, წაშლასთან ან გამორთვასთან დაკავშირებით.

12. ამ დირექტივის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი, სათაურით „მონიტორინგის ზოგადი ვალდებულების არარსებობა“, ადგენს:

„წევრი სახელმწიფოები არ დააკისრებენ ზოგად ვალდებულებას პროვაიდერებს, მე-12, მე-13 და მე-14 მუხლებით გათვალისწინებული სერვისების მიწოდებისას, გააკონტროლონ ინფორმაცია, რომელსაც ისინი გადასცემენ ან ინახავენ, და არც ზოგად ვალდებულებას, აქტიურად მოიძიონ უკანონო ქმედების დამადასტურებელი ფაქტები ან გარემოებები.

13. ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი, სათაურით „სასამართლო პროცედურები“, ადგენს:

„წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ საინფორმაციო საზოგადოების სერვისებთან დაკავშირებით ეროვნული კანონმდებლობით ხელმისაწვდომი სასამართლო პროცედურები შესაძლებელს გახდის სწრაფი ზომების, მათ შორის დროებითი ზომების მიღებას, რომლებიც მიმართულია ნებისმიერი სავარაუდო დარღვევის შეწყვეტისა და ინტერესების შემდგომი შელახვის თავიდან ასაცილებლად.

აღსრულების დირექტივა

აღსრულების დირექტივის პრეამბულის მე-14, მე-17, 22-ე და 23-ე პუნქტებში ნათქვამია:

„(17) ამ დირექტივით გათვალისწინებული ზომები, პროცედურები და დაცვის საშუალებები უნდა განისაზღვროს თითოეულ შემთხვევაში ისე, რომ სათანადოდ იყოს გათვალისწინებული ამ შემთხვევის სპეციფიკური მახასიათებლები, მათ შორის თითოეული ინტელექტუალური საკუთრების უფლების სპეციფიკური მახასიათებლები და, სადაც ეს შესაძლებელია, დარღვევის განზრახი ან უნებლიე ხასიათი.

…

(22) ასევე აუცილებელია დროებითი ზომების გათვალისწინება დარღვევების დაუყოვნებლივ შეწყვეტისთვის, საქმეზე არსებითი გადაწყვეტილების დალოდების გარეშე, მაგრამ დაცვის მხარის უფლებებისა და დროებითი ზომების პროპორციულობის გათვალისწინებით და მოპასუხისადმი დაუსაბუთებელი მოთხოვნით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების გარანტიის უზრუნველყოფით. ასეთი ზომები განსაკუთრებით გამართლებულია, როდესაც ნებისმიერი შეფერხება გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელს.

(23) ნებისმიერი სხვა არსებული ზომების, პროცედურებისა და დაცვის საშუალებების შეფერხების გარეშე, უფლებათა მფლობელებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მოითხოვონ შუამავლისგან, რომლის მომსახურებასაც მესამე მხარე იყენებს უფლების მფლობელის სამრეწველო საკუთრების

უფლების დასარღვევად, დამრღვევი ქმედების აკრძალვა. ასეთ განკარგულებებთან დაკავშირებული პირობებისა და პროცედურების განსაზღვრა უნდა დარჩეს წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობის კომპეტენციაში. რაც შეეხება საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევას, ჰარმონიზაციის ყოვლისმომცველი დონე უკვე გათვალისწინებულია [საავტორო უფლებების დირექტივაში]. ამიტომ [საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის] 8(3) მუხლზე გავლენა არ უნდა იქონიოს ამ დირექტივამ“.

15. ამ დირექტივის მე-3 მუხლი, სახელწოდებით „ზოგადი ვალდებულება“, ადგენს:

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ზომებს, პროცედურებსა და დაცვის საშუალებებს, რომლებიც აუცილებელია ამ დირექტივით გათვალისწინებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების უზრუნველსაყოფად. ეს ზომები, პროცედურები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები უნდა იყოს სამართლიანი, პროპორციული და არ უნდა იყოს ზედმეტად რთული ან ძვირი, ან არ უნდა იყოს დროში არაგონივრულად გახანგრძლივებული.

2. ეს ზომები, პროცედურები და დაცვის საშუალებები ასევე უნდა იყოს ეფექტიანი, პროპორციული და პრევენციული და გამოყენებული უნდა იქნეს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული ლეგიტიმური ვაჭრობისთვის ბარიერების შექმნა და ამ ზომების ბოროტად გამოყენება.

16. ამ დირექტივის მე-11 მუხლი, სახელწოდებით „სანქციები“, ადგენს:

„წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ როდესაც სასამართლო გადაწყვეტილება მიიღება ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის შესახებ, [კომპეტენტურ] სასამართლო ორგანოებს შეუძლიათ დამრღვევის წინააღმდეგ გამოიტანონ გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად ისახავს დარღვევის გაგრძელების აკრძალვას. ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, საჭიროების შემთხვევაში, ექვემდებარება განმეორებით ჯარიმას, შესრულების უზრუნველსაყოფად. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ უფლებების მფლობელებს შეეძლოთ მოითხოვონ შუამავლებისგან, რომელთა მომსახურებასაც მესამე მხარე იყენებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დასარღვევად, დამრღვევი ქმედების აღკვეთა [საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის] მე-8(3) მუხლის შელახვის გარეშე“.

17. აღსრულების დირექტივის მე-13 მუხლი, სახელწოდებით „ზიანი“, ადგენს:

1. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ კომპეტენტურმა სასამართლო ორგანოებმა, დაზარალებული მხარის მოთხოვნით, დაავალონ დამრღვევს, რომელიც შეგნებულად ან გონივრული საფუძვლებით ეწევა დამრღვევ საქმიანობას, აუნაზღაუროს უფლების მფლობელს ზიანი, რომელიც შეესაბამება მის მიერ დარღვევის შედეგად მიყენებულ ფაქტობრივ ზიანს.

როდესაც სასამართლო ორგანოები განსაზღვრავენ ზიანის ოდენობას:

(ა) მათ უნდა გაითვალისწინონ ყველა შესაბამისი ასპექტი, როგორიცაა უარყოფითი ეკონომიკური შედეგები, მათ შორის მიუღებელი შემოსავალი, რომელიც განიცადა დაზარალებულმა მხარემ, დამრღვევის მიერ მიღებული ნებისმიერი უსამართლო მოგება და, შესაბამის შემთხვევებში, ეკონომიკური ფაქტორების გარდა სხვა ელემენტები, როგორიცაა მორალური ზიანი, რომელიც მიიღო უფლების მფლობელმა უფლების დამრღვევისგან;

ან

(ბ) როგორც (ა)-ს ალტერნატივა, მათ შეუძლიათ, შესაბამის შემთხვევებში, ზიანის ანაზღაურების სახედ, განსაზღვრონ ერთიანი ანაზღაურება ისეთი ელემენტების საფუძველზე, როგორიცაა სულ

მცირე ჰონორარის ან საფასურის ის ოდენობა, რომელიც გადასახდელი იქნებოდა დამრღვევის მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლებით კანონიერად სარგებლობის შემთხვევაში.

2. თუ დამრღვევმა უფლებები ისე დაარღვია, რომ მან არ იცოდა, ან არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ არღვევდა უფლებებს, ასეთ შემთხვევებში წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაადგინონ, რომ სასამართლო ორგანოებს შეუძლიათ დაავალონ დამრღვევს იმ შემოსავლის გადაცემა, რომელიც მან მიიღო უფლებების დარღვევით, ან მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომლის ოდენობაც წინასწარ არის განსაზღვრული.

ძირითადი დავის საგანი და წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად გადაცემული კითხვები

საქმე C 682/18

18. ბატონი პეტერსონი არის მუსიკალური პროდიუსერი და აცხადებს, რომ არის კომპანია Nemo Studios-ის მფლობელი.

19. YouTube ახორციელებს ამავე სახელწოდების ონლაინ პლატფორმის ოპერირებას, რომელზეც მომხმარებლებს შეუძლიათ ატვირთონ საკუთარი ვიდეოები უფასოდ და გახადონ ისინი ხელმისაწვდომი სხვა ინტერნეტ მომხმარებლებისთვის. Google არის YouTube-ის ერთადერთი აქციონერი და კანონიერი წარმომადგენელი. YouTube Inc. და Google Germany GmbH აღარ არიან მხარეები სამართალწარმოებაში.

20. 1996 წლის 20 მაისს კომპანია Nemo Studio Frank Peterson-მა დადო მსოფლიო ექსკლუზიური არტისტის კონტრაქტი შემსრულებელ სარა ბრაიტმანთან, რომელიც მოიცავს მისი შესრულების აუდიო და ვიდეოჩანაწერების გამოყენებას. 2005 წელს ეს ხელშეკრულება შეიცვალა შემდგომი შეთანხმებით. 2000 წლის 1 სექტემბერს ბატონმა პეტერსონმა გააფორმა სალიცენზიო ხელშეკრულება საკუთარი და Nemo Studios-ის სახელით Capitol Records Inc.-თან, რომელიც მოიცავს Capitol Records-ის მიერ სარა ბრაიტმანის ჩანაწერებისა და შესრულების ექსკლუზიურ დისტრიბუციას.

21. ალბომი A Winter Symphony, რომელიც შეიცავს სარა ბრაიტმანის ნაწარმოებებს, გამოვიდა 2008 წლის ნოემბერში. 2008 წლის 4 ნოემბერს სარა ბრაიტმანმა დაიწყო ტური სახელწოდებით "Symphony Tour", რომელშიც მან შეასრულა ალბომისთვის ჩაწერილი ნაწარმოებები.

22. 2008 წლის 6 და 7 ნოემბერს ამ ალბომიდან ამოღებულ ნაწარმოებებზე და ამ ტურის კონცერტების პირად ჩანაწერებზე შესაძლებელი იყო YouTube ონლაინ პლატფორმის მეშვეობით წვდომა, უძრავი და მოძრავი სურათების თანხლებით. 2008 წლის 7 ნოემბრის წერილით, ბ-ნი პეტერსონი, რომელმაც თავისი მოთხოვნის გასამყარებლად წარმოადგინა „სქრინშოტები“, რომლებიც განკუთვნილი იყო სავარაუდო ფაქტების დასადასტურებლად, დაუკავშირდა Google Germany-ს და მოითხოვა Google Germany-ისა და Google-ისგან გამაფრთხილებელი წერილების გაგზავნა, რომელშიც, გაფრთხილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იქნებოდა ჯარიმის მუქარა. შემდეგ Google Germany-მ მიმართა YouTube-ს, რომელმაც გამოიყენა მისტერ პეტერსონის მიერ გაგზავნილი „სქრინშოტები“ ამ ვიდეოების ინტერნეტ მისამართების (URL) ხელით მოსაძებნად და დაბლოკა მათზე წვდომა. მხარეები არ ეთანხმებიან იმას, თუ რამდენად დაიბლოკა წვდომა.

23. 2008 წლის 19 ნოემბერს სარა ბრაიტმანის შესულების აუდიოჩანაწერები, უძრავი და მოძრავი სურათების თანხლებით, კვლავ ხელმისაწვდომი გახდა YouTube-ის ონლაინ პლატფორმაზე.

24. შესაბამისად, ბ-ნმა პეტერსონმა შეიტანა სარჩელი Landgericht Hamburg-ში (რეგიონული სასამართლო, ჰამბურგი, გერმანია) Google-ისა და YouTube-ის („მთავარ სამართალწარმოებაში მოპასუხეები“) წინააღმდეგ. სარჩელით მოითხოვებოდა დარღვევის აკრძალვა, ინფორმაციის გახსნა და აღიარება, რომ მოპასუხეებს ევალებოდათ ზიანის ანაზღაურება. სასარჩელო მოთხოვნის დასასაბუთებლად, იგი ეყრდნობოდა საკუთარ, როგორც ალბომის „A Winter Symphony“-ის პროდიუსერის უფლებებს, ისევე როგორც საკუთარ უფლებებსა და უფლებებს, რომლებიც გამომდინარეობს სარა ბრაიტმანის უფლებებიდან, რაც დაკავშირებული იყო ამ ალბომში შესული ნაწარმოებების შესრულებასთან, რამდენადაც ეს ნაწარმოებები შექმნილი იყო მისი, როგორც პროდიუსერისა და ბექ ვოკალისტის შემოქმედებითი მონაწილეობით. „Symphony Tour“-ის კონცერტების ჩანაწერებთან დაკავშირებით ის ასევე აცხადებს, რომ თვითონ არის ალბომის სხვადასხვა ნაწარმოების ტექსტის ავტორი და კომპოზიტორი. გარდა ამისა, მას, როგორც გამომცემელს, აქვს ავტორებისგან მიღებული უფლებები სხვადასხვა მუსიკალურ ნაწარმოებებზე.

25. 2010 წლის 3 სექტემბრის გადაწყვეტილებით, საქმის განმხილველმა სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი სამ მუსიკალურ ნაწარმოებთან დაკავშირებით. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დააკმაყოფილა.

26. ბ-ნმა პეტერსონმა და ძირითად დავაში მოპასუხეებმა გაასაჩივრეს ეს გადაწყვეტილება Oberlandesgericht Hamburg-ში (უმაღლესი რეგიონული სასამართლო, ჰამბურგი, გერმანია). პეტერსონმა მოითხოვა, რომ ძირითად დავაში მოპასუხეებს აკრძალვოდათ ალბომში „A Winter Symphony“ შემავალი 12 აუდიოჩანაწერის, სარა ბრაიტმანის შესრულებისა და მის მიერ შექმნილი 12 მუსიკალური ნაწარმოების, რომელიც ამოღებული იყო „Symphony Tour“-ის კონცერტებიდან, იმ ვერსიების საჯარო ხელმისაწვდომად გახდომა, რომლებიც სინქრონიზებული ან სხვაგვარად დაკავშირებულია მესამე პირების კონტენტთან ან რეკლამებთან. ალტერნატივის სახით ბ-ნი პეტერსონი ითხოვდა დაევალებინათ მოპასუხეებისთვის მესამე პირებისთვის ამ ნაწარმოებების საჯარო გაცნობის აკრძალვა. მან ასევე მოითხოვა ინფორმაციის მიწოდება უკანონო ქმედებებთან და ამ საქმიანობით მიღებულ ბრუნვასთან ან მოგებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ის ითხოვდა, YouTube-ისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას და Google-ისგან იმ თანხის დაბრუნებას, რაც წარმოადგენდა უსაფუძვლო გამდიდრებას. პარალელურად, მან მოითხოვა ინფორმაცია YouTube ონლაინ პლატფორმის მომხმარებლების შესახებ, რომლებმაც ეს ნაწარმოებები ფსევდონიმებით ატვირთეს.

27. 2015 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით, Oberlandesgericht Hamburg-მა (უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ, ჰამბურგი) ნაწილობრივ გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და დაავალა ძირითად დავაში მოპასუხეებს, აეკრძალათ მესამე პირებისთვის ალბომიდან A Winter Symphony შვიდი მუსიკალური ნაწარმოების იმ ვერსიების გასაჯაროება და ხელმისაწვდომად ქცევა, რომელიც სინქრონიზებული ან სხვაგვარად დაკავშირებული იყო მესამე პირების კონტენტთან ან რეკლამასთან. გარდა ამისა, მან ძირითად დავაში მოპასუხეებს დაავალა, მიეწოდებინათ პლატფორმის იმ მომხმარებლების სახელები და საფოსტო მისამართები, ან, საფოსტო მისამართის არარსებობის შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის მისამართები, რომლებმაც ამ პლატფორმაზე ფსევდონიმით ატვირთეს მუსიკალური ნაწარმოებები. სააპელაციო სასამართლომ დანარჩენ ნაწილში არ დააკმაყოფილა სარჩელი ნაწილობრივ დაუსაბუთებლობის, ნაწილობრივ კი დაუშვებლობის გამო.

28. რაც შეეხება შვიდ მუსიკალურ ნაწარმოებს ალბომიდან A Winter Symphony, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბ-ნი პეტერსონის უფლებები დაირღვა იმ ფაქტით, რომ ეს ნაწარმოებები გამოქვეყნდა მისი ნებართვის გარეშე YouTube-ის ვიდეოს გაზიარების პლატფორმაზე და თან ახლდა მოძრავი სურათები, როგორიცაა სარა ბრაიტმანის სარეკლამო ვიდეოდან

ამოღებული კადრები. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ YouTube არ იყო პასუხისმგებელი ამ დარღვევებისთვის, როგორც დამრღვევი ან როგორც ხელშემწყობი, რადგან ის არ ასრულებდა რაიმე აქტიურ როლს სადავო კონტენტის შექმნასა და პლატფორმაზე გამოქვეყნებაში და, უფრო მეტიც, არ უღიარებია მესამე პირის კონტენტი როგორც საკუთარი. გარდა ამისა, არ დადასტურდა მისი განზრახვა, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ დადგეს მისი, როგორც მონაწილის პასუხისმგებლობა, რადგან არ იცოდა დარღვევის კონკრეტული ქმედებების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ YouTube მაინც იყო პასუხისმგებელი, როგორც „ჩარევის“ (Störerin) განმახორციელებელი, რადგან მან ვერ შეასრულა თავისი ვალდებულებები საკუთარი ქცევის მიმართ. ამრიგად, რაც შეეხება ამ ნაწარმოებებს, მიუხედავად იმისა, რომ მას ეცნობა ამ ნაწარმოებებთან დაკავშირებული უკანონო ქმედებების შესახებ, დაუყოვნებლივ ან სხვაგვარად არ დაბლოკა წვდომა სადავო კონტენტზე.

29. ამის საპირისპიროდ, YouTube არ არღვევდა რაიმე ქცევის ვალდებულებას Symphony Tour-ის კონცერტების ჩანაწერებთან დაკავშირებით. მართალია, ამ მუსიკალური ნაწარმოებების ამსახველი ვიდეოები უკანონოდ იყო განთავსებული მესამე მხარის მიერ ვიდეოს გაზიარების პლატფორმაზე, თუმცა, YouTube-ს ან არ ჰქონდა საკმარისი ინფორმაცია ამ დარღვევების შესახებ, ან დროულად დაბლოკა წვდომა განსახილველ კონტენტზე, ან, ზოგიერთ შემთხვევაში, არ შეიძლება დაბრალდეს ამ კონტენტის დაუყოვნებლივ დაბლოკვის ვალდებულების დარღვევა.

30. სააპელაციო სასამართლომ, inter alia, დაადგინა შემდეგი ფაქტი:

- YouTube ონლაინ პლატფორმაზე წუთში იტვირთება თითქმის 35 საათი ვიდეოჩანაწერი და ყოველდღიურად რამდენიმე ასეული ათასი ვიდეო. ვიდეოები იტვირთება Google-ის სერვერებზე ავტომატური პროცესის მეშვეობით ძირითადად დავაში მოპასუხეების მიერ წინასწარ ნახვის ან შემოწმების გარეშე.
- იმისთვის, რომ შეძლოთ ვიდეოების ატვირთვა YouTube ონლაინ პლატფორმაზე, საჭიროა შექმნათ ანგარიში მომხმარებლის სახელით და პაროლით და დაეთანხმოთ ამ პლატფორმის მომსახურების პირობებს. მომხმარებელს, რომელიც თავად დარეგისტრირდება, ატვირთავს ვიდეოს, შეუძლია აირჩიოს ან დატოვოს იგი „პირად“ რეჟიმში, ან გამოაქვეყნოს იგი პლატფორმაზე. მეორე შემთხვევაში, მოცემული ვიდეოს სტრიმინგი შეუძლია ნებისმიერ ინტერნეტ მომხმარებელს ამ პლატფორმიდან.
- YouTube-ის მომსახურების პირობების მიხედვით, თითოეული მომხმარებელი ანიჭებს YouTube-ს იმ ვიდეოების მიმართ, რომლებსაც ის ატვირთავს პლატფორმაზე და სანამ ისინი არ წაიშლება პლატფორმიდან, მთელ მსოფლიოში, არაექსკლუზიურ, ჰონორარის გარეშე გამოყენების, რეპროდუცირების, დისტრიბუციის, გადამუშავების, ჩვენებისა და შესრულების ლიცენზიას, YouTube-ის პლატფორმის უზრუნველყოფასთან და აქტივობებთან, მათ შორის რეკლამასთან დაკავშირებით.
- მომსახურების ამ პირობების მიღებისას, მომხმარებელი ადასტურებს, რომ მას აქვს ყველა საჭირო უფლება, შეთანხმება, თანხმობა და ლიცენზია იმ ვიდეოებისთვის, რომლებსაც ის ატვირთავს. გარდა ამისა, „საზოგადოების სახელმძღვანელოში“ YouTube სთხოვს თავისი პლატფორმის მომხმარებლებს, დაიცვან საავტორო უფლებები. ისინი, ასევე, მკაფიოდ არიან ინფორმირებული ყოველი ატვირთვისას, რომ პლატფორმაზე არ შეიძლება გამოქვეყნდეს საავტორო უფლებების დამრღვევი ვიდეო.
- YouTube-მა შემოიღო სხვადასხვა ტექნოლოგიური ზომები, რათა შეაჩეროს და თავიდან აიცილოს დარღვევები თავის პლატფორმაზე. ნებისმიერს შეუძლია წერილობით ან ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან ვებფორმით აცნობოს YouTube-ს უკანონო ვიდეოს შესახებ. შეიქმნა შეტყობინების ღილაკი, რომლითაც შესაძლებელია უხამსი ან უკანონო შინაარსის კონტენტის

დარეპორტება. სპეციალური გაფრთხილების პროცედურის საშუალებით, საავტორო უფლებების მფლობელებს ასევე შეუძლიათ პლატფორმიდან ამოიღონ 10-მდე კონკრეტულად სადავო ვიდეო, შესაბამისი ინტერნეტ მისამართების (URL-ების) მითითებით.

- YouTube-მა ასევე დააყენა „შინაარსის გადამოწმების პროგრამა“, რომელიც უფლების მფლობელს უადვილებს იმ ვიდეოების იდენტიფიცირებას, რომლებიც მიაჩნია, რომ არღვევს მის უფლებებს ვიდეოების სიაში მათი შემოწმებით. ეს პროგრამა ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ საწარმოებისთვის, რომლებიც დარეგისტრირდნენ სპეციალურად ამ მიზნით და არა ფიზიკური პირებისთვის. თუ ვიდეო დაბლოკილია, რადგან ის დროშით მონიშნულია უფლებების მფლობელის მიერ, მომხმარებელს, რომელმაც ის ატვირთა, ეცნობება, რომ დარღვევის გამეორების შემთხვევაში მისი ანგარიში დაიბლოკება.
- გარდა ამისა, უკანონო კონტენტის იდენტიფიცირების მიზნით, YouTube-მა შეიმუშავა კონტენტის ამოცნობის პროგრამული უზრუნველყოფა სახელწოდებით „Content ID“ ან „YouTube Audio ID“ და „YouTube Video ID“. ამ მიზნით, უფლების მფლობელმა უნდა მიაწოდოს აუდიო ან ვიდეო საცნობარო ფაილი, რომელიც საშუალებას მისცემს YouTube-ს, თავის პლატფორმაზე ამოიცნოს იგივე შინაარსის სხვა ვიდეოები მთლიანად ან ნაწილობრივ. თუ ასეთი ვიდეო იდენტიფიცირებულია, უფლების მფლობელს ამის შესახებ ეცნობება YouTube-ის მიერ. უფლების მფლობელს შეუძლია დაბლოკოს მოცემული კონტენტი, ან მისცეს ავტორიზაცია ამ კონტენტს და მიიღოს სარეკლამო შემოსავალი.
- YouTube სთავაზობს საძიებო ფუნქციას და აფასებს მთავარ გვერდზე შეჯამებული ძიების შედეგების გეოგრაფიულ შესაბამისობას „რეიტინგების“ სახით სათაურებით „ამჟამად ნანახი ვიდეოები“, „წახალისებული ვიდეოები“ და „ტენდენციები“. სხვა მიმოხილვები, თუ რა არის ხელმისაწვდომი, შეგიძლიათ იხილოთ კატეგორიებში „ვიდეოები“ და „არხები“ ქვეკატეგორიებში „გასართობი“, „მუსიკა“ ან „ფილმი და ანიმაცია“. თუ დარეგისტრირებული მომხმარებელი იყენებს პლატფორმას, მას მიეცემა მიმოხილვა „რეკომენდებული ვიდეოებისა“, რომელთა შინაარსი განსხვავდება იმ ვიდეოებისგან, რომლებიც მან უკვე ნახა.
- მთავარი გვერდის გარეთ არის მესამე მხარის პროვაიდერების სარეკლამო ბანერები, რომლებიც სპეციფიკურია მოცემული რეგიონისთვის. ასევე შესაძლებელია YouTube-ზე სარეკლამო შემოსავლის გამომუშავება ვიდეოშეტყობინებების საშუალებით, რომელიც შეიძლება ჩასმული იყოს, თუ ვიდეოს ატვირთვის მომხმარებელსა და YouTube-ს შორის ცალკე ხელშეკრულებაა გაფორმებული. რაც შეეხება წინამდებარე საქმეში განსახილველ ვიდეოებს, როგორც ჩანს, არ არსებობს რაიმე კავშირი რეკლამასთან.

31. Bundesgerichtshof-მა (იუსტიციის ფედერალურმა სასამართლომ, გერმანია) წარმოებაში მიიღო საჩივარი კანონის განმარტების საკითხზე (რევიზია), მაგრამ შემოიფარგლა მხოლოდ სააპელაციო საფუძვლებით, რომლებიც სააპელაციო სასამართლოს მიერ დასაშვებად იქნეს მიჩნეული. ბ-ნი პეტერსონი ინარჩუნებს სააპელაციო საფუძვლებს მისი საჩივრის კონტექსტში კანონის საკითხზე (რევიზია), მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ისინი უსაფუძვლო იყო. საკანონმდებლო საკითხთან დაკავშირებით საჩივარში (რევიზია), ძირითად დავაში მოპასუხეები აცხადებენ, რომ სარჩელს მთლიანად უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

32. მომმართველი სასამართლო აღნიშნავს, რომ ბ-ნი პეტერსონის საჩივრის წარმატება, პირველ რიგში, დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა YouTube-ის ქცევა ძირითად დავაში საჯარო გადაცემა საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით. იგი თვლის, რომ ეს შეიძლება იყოს მხოლოდ შვიდი მუსიკალური ნაწარმოების მიმართ ალბომიდან A Winter Symphony, რომლებიც YouTube-მა სწრაფად არ ამოიღო ან დაბლოკა, თუმცა ინფორმირებული იყო, რომ ეს ნაწარმოებები მისი პლატფორმის საშუალებით არალეგალურად ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისთვის.

33. ეს სასამართლო ადგენს, რომ თავისი პლატფორმის ოპერირებისას YouTube არ ასრულებს შეუცვლელ როლს, დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობით, რაც მისი ქმედების საჯარო გადაცემად კლასიფიცირების წინაპირობაა, თუ მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ საავტორო უფლებების დამრღვევი კონტენტი ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის, ის წაშლის ამ კონტენტს ან დაუყოვნებლივ დაბლოკავს მასზე წვდომას. იმისთვის, რომ YouTube ჩაითვალოს ამ როლის შემსრულებლად, აუცილებელია, მან სრულად იცოდეს მისი ქცევის შედეგები და, კერძოდ, ის, რომ არ არსებობს უფლების მფლობელის თანხმობა. იმის გამო, რომ ვიდეოები ავტომატურად იტვირთება, YouTube-მა არ იცის, რომ საავტორო უფლებების დამრღვევი კონტენტი ხელმი-საწვდომი ხდება საზოგადოებისთვის, სანამ ამის შესახებ არ იქნება ინფორმირებული უფლებების მფლობელის მიერ. მომმართველი სასამართლო აცხადებს, რომ YouTube აცნობებს მომხმარებლებს მომსახურების პირობებში და შემდეგ, ატვირთვის პროცესის დროს, რომ მათ ეკრძალებათ საავტორო უფლებების დარღვევა მისი პლატფორმის მეშვეობით და აძლევს უფლებათა მფლობელებს ინსტრუმენტებს, რომლებიც მათ შეუძლიათ გამოიყენონ ასეთი დარღვევების წინააღმდეგ.

34. მომმართველი სასამართლო აცხადებს, რომ თუ YouTube-ის ქცევა, რომელიც მთავარ საქმეში განსახილველია, არ შეიძლება იყოს კლასიფიცირებული, როგორც საჯარო გადაცემა საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით, მაშინ აუცილებელია, მეორე რიგში განისაზღვროს, შედის თუ არა ვიდეოს გაზიარების პლატფორმის ოპერატორის საქმიანობა, როგორიც არის YouTube, ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1) მუხლის ფარგლებში, რომ ამ ოპერატორს, რომლის პლატფორმაზეც ინახება ინფორმაცია, შეეძლოს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება. ეს სასამართლო აღნიშნავს, რომ, როგორც სააპელაციო სასამართლოს დასკვნებიდან ჩანს, YouTube არ აკავშირებდა ვიდეოებს, რომლებიც არღვევს ბ-ნი პეტერსონის საავტორო უფლებებს რეკლამასთან. თუმცა, ჩნდება კითხვა, შეასრულა თუ არა YouTube-მა აქტიური როლი, რომელიც გამორიცხავდა ამ დებულების გამოყენებას წინამდებარე საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, როგორც ეს შეჯამებულია წინამდებარე გადაწყვეტილების 30-ე პუნქტში.

35. იმ შემთხვევაში, თუ YouTube-ის როლი უნდა იყოს კლასიფიცირებული, როგორც ნეიტრალური და, შესაბამისად, მისი საქმიანობა ექვემდებარება ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1) მუხლის ფარგლებს, ჩნდება კითხვა, მესამე რიგში, უნდა ეხებოდეს თუ არა „უკანონო საქმიანობის ფაქტობრივი ცოდნა ან ინფორმაცია“ და „[ინფორმირებულობა] ფაქტების ან გარემოებების შესახებ, საიდანაც უკანონო საქმიანობა ან ინფორმაცია აშკარაა“, ამ დებულების მნიშვნელობით, კონკრეტულ უკანონო ქმედებებს ან ინფორმაციას. მომმართველი სასამართლოს აზრით, ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. ამ დებულების ფორმულირებიდან და სქემიდან გამომდინარეობს, რომ არ არის საკმარისი, რომ პროვაიდერმა ზოგადად იცოდა, რომ მისი სერვისები გამოიყენება ზოგიერთი უკანონო ქმედებებისთვის. შესაბამისად, დარღვევა უნდა ეცნობოს პროვაიდერს ისე, რომ იყოს მკაფიო და ზუსტი, რათა საშუალება მისცეს პროვაიდერს, დაადგინოს ეს დარღვევა დეტალური სამართლებრივი ან ფაქტობრივი ექსპერტიზის ჩატარების გარეშე.

36. მომმართველი სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ YouTube-ის ქცევა, რომელიც განსახილველია ძირითად დავაში, მიეკუთვნება ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1) მუხლის ფარგლებს, ასევე ჩნდება კითხვა, თუ რამდენად შეესაბამება ის საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის მიხედვითაც, უფლების მფლობელს არ უნდა ჰქონდეს უფლება გამოიყენოს აკრძალვა ვიდეოგაზიარების პლატფორმის ოპერატორის წინა-აღმდეგ, რომლის სერვისები მესამე პირმა გამოიყენა საავტორო ან მომიჯნავე უფლებების

დასარღვევად, თუ ოპერატორი, მას შემდეგ, რაც ეცნობა ასეთი უფლების აშკარა დარღვევის შესახებ, მოქმედებდა დაჩქარებულად, რათა წაეშალა სადავო კონტენტი ან დაებლოკა მასზე წვდომა და უზრუნველეყო, რომ ასეთი დარღვევები არ განმეორდეს. სასამართლოს აზრით, ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გაეცეს, რადგან ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1) და 15(1) მუხლებიდან გამომდინარეობს, რომ ასეთი ოპერატორის წინააღმდეგ აკრძალვა შეიძლება იყოს გათვალისწინებული წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობით მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ოპერატორს აქვს რეალური ცოდნა ან ინფორმაცია უკანონო საქმიანობის შესახებ.

37. იმ შემთხვევაში, თუ YouTube-ის ქცევა არ ექვემდებარება ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1) მუხლის ფარგლებს, ჩნდება კითხვა, მეხუთე ადგილზე, YouTube, თუნდაც საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით საჯარო გადაცემის არარსებობის შემთხვევაში, განიხილება თუ არა როგორც „დამრღვევი“, რომელიც, „შუამავლისგან“ განსხვავებით, აღსრულების დირექტივის მე-11 და მე-13 მუხლების მიხედვით, შეიძლება იყოს არა მხოლოდ აკრძალვის ობიექტი, არამედ დაეკისროს ზიანის ანაზღაურება ან შემოსავლის ჩამორთმევა.

38. კიდევ ერთხელ, წინა პუნქტში მითითებულ სიტუაციაში და იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ამ კუთხით დაეთანხმება მომმართველი სასამართლოს მოსაზრებას, რომ YouTube უნდა განიხილებოდეს როგორც დამრღვევი, ჩნდება კითხვა, მექვსე ადგილზე და ბოლოს, შეიძლება თუ არა ასეთი დამრღვევის ვალდებულება, აანაზღაუროს ზიანი, სააღსრულებო დირექტივის 13(1) მუხლის მიხედვით, დამოკიდებული იყოს იმ გარემოებაზე, რომ იგი განზრახ მოქმედებდა როგორც საკუთარ უკანონო საქმიანობასთან, ისე კონკრეტული მესამე პირის უკანონო საქმიანობასთან დაკავშირებით.

39. ამ გარემოებებში, Bundesgerichtshof-მა (იუსტიციის ფედერალურმა სასამართლომ) გადაწყვიტა შეეჩერებინა საქმის წარმოება და შემდეგი კითხვებით მიემართა მართლმსაჯულების სასამართლოსთვის წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად:

„(1) ახორციელებს თუ არა ვიდეოგაზიარების პლატფორმის ოპერატორი, რომელზეც საავტორო უფლებებით დაცული კონტენტის შემცველი ვიდეოები უფლებების მფლობელთა თანხმობის გარეშე საჯარო ხდება მომხმარებლებისთვის, გადაცემას 3(1) მუხლის მნიშვნელობით [საავტორო უფლებების შესახებ დირექტივა] თუ:

- ოპერატორი იღებს სარეკლამო შემოსავალს პლატფორმის საშუალებით,
- ატვირთვის პროცესი ავტომატურია, ოპერატორის მიერ მასალის წინასწარ ნახვის ან მონიტორინგის გარეშე,
- მომსახურების პირობების შესაბამისად, ოპერატორი იღებს მთელ მსოფლიოში, არაექსკლუზიურ და ჰონორარის გარეშე ლიცენზიას ვიდეოებისთვის იმ ხანგრძლივობით, რა ვადითაც განთავსებულია ვიდეოები,
- მომსახურების პირობებში და ატვირთვის პროცესში ოპერატორი აღნიშნავს, რომ საავტორო უფლებების დამრღვევი კონტენტი არ შეიძლება განთავსდეს,
- ოპერატორი უზრუნველყოფს ინსტრუმენტებს, რომლითაც უფლებათა მფლობელებს შეუძლიათ მიიღონ ზომები იმ ვიდეოების დაბლოკვისთვის, რომლებიც არღვევს მათ უფლებებს,
- პლატფორმაზე ოპერატორი ამზადებს ძიების შედეგებს რეიტინგებისა და კონტენტის კატეგორიების სახით და დარეგისტრირებულ მომხმარებლებს უჩვენებს ვიდეოების მიმოხილვას, რომლებიც რეკომენდებულია ამ მომხმარებლების მიერ ადრე ნანახი ვიდეოების საფუძველზე,

თუ ოპერატორმა კონკრეტულად არ იცის საავტორო უფლებების დამრღვევი კონტენტის ხელმისაწვდომობის შესახებ, ან მას შემდეგ, რაც შეიტყო, დაუყოვნებლივ წაშლის ამ შინაარსს ან სწრაფად აჩერებს მასზე წვდომას?

(2) თუ პირველ შეკითხვაზე გაცემულია უარყოფითი პასუხი:

ექცევა თუ არა ვიდეოგაზიარების პლატფორმის ოპერატორის პირველ კითხვაში აღწერილი პირობებით საქმიანობა [ელექტრონული ვაჭრობის შესახებ დირექტივის] მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში?

(3) თუ მე-2 კითხვაზე გაცემულია დადებითი პასუხი:

უნდა ეხებოდეს თუ არა უკანონო საქმიანობის შესახებ ფაქტობრივი ცოდნა ან ინფორმაცია და ფაქტების ან გარემოებების ცოდნა, საიდანაც უკანონო აქტივობა ან ინფორმაცია აშკარაა, კონკრეტულ უკანონო ქმედებებს ან ინფორმაციას [ელექტრონული ვაჭრობის შესახებ დირექტივის] 14(1) მუხლის შესაბამისად?

(4) ასევე, თუ მე-2 კითხვას დადებითი პასუხი გაეცემა:

არის თუ არა [საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის] მე-8(3) მუხლთან შესაბამისობაში, თუ უფლების მფლობელს სერვისის პროვაიდერის წინააღმდეგ, რომლის სერვისს წარმოადგენს მომსახურების მიმღების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შენახვა და რომლის სერვისი სერვისის მიმღებმა გამოიყენა საავტორო ან მომიჯნავე უფლებების დარღვევისთვის, აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს აკრძალვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დარღვევა განმეორდა აშკარა დარღვევის შესახებ შეტყობინების მიწოდების შემდეგ?

(5) თუ პირველ და მეორე კითხვაზე პასუხი უარყოფითია:

უნდა ჩაითვალოს თუ არა ვიდეოგაზიარების პლატფორმის ოპერატორი, პირველ კითხვაში აღწერილი პირობებით, დამრღვევად მე-11 მუხლის პირველი წინადადებისა და [აღსრულების დირექტივის] მე-13 მუხლის მნიშვნელობით?

(6) თუ მე-5 კითხვაზე გაცემულია დადებითი პასუხი:

შეიძლება თუ არა ასეთი დამრღვევის ვალდებულება, აანაზღაუროს ზიანი [აღსრულების დირექტივის] 13(1) მუხლის შესაბამისად, დამოკიდებული იყოს იმაზე, რომ დამრღვევი განზრახ მოქმედებდა როგორც საკუთარ უკანონო ქმედებებთან, ისე მესამე პირის უკანონო საქმიანობასთან დაკავშირებით, და ასევე, იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მომხმარებლები მის პლატფორმას იყენებდნენ უფლებების დამრღვევი კონკრეტული ქმედებებისთვის.

40. Elsevier არის საერთაშორისო სპეციალისტი გამომცემელი, რომელიც ფლობს ექსკლუზიურ უფლებებს გამოიყენოს ძირითად დავაში განსახილველი სადავო ნაწარმოებები.

41. Cyando ახორციელებს ფაილების ჰოსტინგისა და გაზიარების „ასატვირთ“ პლატფორმას, რომელზე წვდომა შესაძლებელია ვებგვერდების uploaded.net, uploaded.to და ul.to. მეშვეობით. ეს პლატფორმა ინტერნეტის ყველა მომხმარებელს სთავაზობს, უფასოდ, შესანახ ადგილს ფაილების ატვირთვისთვის, კონტენტის მიუხედავად. იმისთვის, რომ შეძლოთ ფაილების ატვირთვა ამ პლატფორმაზე, აუცილებელია ანგარიშის შექმნა მომხმარებლის სახელით და პაროლით, მათ შორის, ელექტრონული ფოსტის მისამართის მითითებით. მომხმარებლის მიერ ფაილის ატვირთვა ხდება ავტომატურად, Cyando-ს მიერ მასალის წინასწარ დანახვის ან მონიტორინგის გარეშე. ყოველ ჯერზე ფაილის ატვირთვისას, Cyando ავტომატურად ქმნის ჩამოტვირთვის ბმულს, რომელიც იძლევა პირდაპირ წვდომას შესაბამის ფაილზე და ავტომატურად უგზავნის ამ ბმულს იმ მომხმარებელს, ვინც ის ატვირთა.

42. Cyando არ სთავაზობს არც დირექტორიას და არც საძიებო ფუნქციას მის პლატფორმაზე შენახული ფაილებისთვის. მიუხედავად ამისა, მომხმარებლებს შეუძლიათ ინტერნეტში გააზიარონ Cyando-ს მიერ მათთვის გამოგზავნილი ჩამოტვირთვის ბმულები, განსაკუთრებით ბლოგებში, ფორუმებში ან თუნდაც „ბმულების კოლექციებში“. ეს კოლექციები, რომლებიც განთავსებულია მესამე პირების მიერ, ახდენს ამ ბმულების ინდექსირებას, აწვდის ინფორმაციას იმ ფაილების კონტენტზე, რომლებსაც ეს ბმულები ეხება და ამით საშუალებას აძლევს ინტერნეტ მომხმარებლებს მოძებნონ ფაილები, რომელთა ჩამოტვირთვაც სურთ. ამ გზით სხვა ინტერნეტ მომხმარებლებს შეუძლიათ წვდომა Cyando-ს პლატფორმაზე შენახულ ფაილებზე.

43. ფაილების ჩამოტვირთვა Cyando-ს პლატფორმიდან უფასოა. ჩამოტვირთვების რაოდენობა და ჩამოტვირთვის სიჩქარე მაინც შეზღუდულია დაურეგისტრირებელი მომხმარებლებისთვის და მათთვის, ვისაც აქვს უფასო გამოწერა. ფასიანი გამოწერის მქონე მომხმარებლებს აქვთ ყოველდღიური ჩამოტვირთვის მოცულობა 30 გბ, კუმულაციური, მაქსიმუმ, 500 გბ-მდე, ჩამოტვირთვის სიჩქარის შეზღუდვის გარეშე. მათ შეუძლიათ ჩამოტვირთონ შეუზღუდავი რაოდენობის ფაილები ერთდროულად, ჩამოტვირთვებს შორის ლოდინის გარეშე. ასეთი გამოწერის ფასი მერყეობს 4.99 ევროს - ორი დღის განმავლობაში და 99.99 ევროს შორის - ორი წლის განმავლობაში. Cyando უხდის ანაზღაურებას მომხმარებლებს, რომლებმაც ატვირთეს ფაილები იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ არის ეს ფაილები გადმოწერილი. მაგალითად, 1000 ჩამოტვირთვისთვის იხდიან 40 ევრომდე.

44. Cyando-ს ზოგადი წესებისა და პირობების მიხედვით, მისი პლატფორმის მომხმარებლებს ეკრძალებათ საავტორო უფლებების დარღვევა ამ პლატფორმის მეშვეობით.

45. მომმართველი სასამართლო აცხადებს, რომ ეს პლატფორმა გამოიყენება როგორც კანონიერად, ისე საავტორო უფლებების დარღვევისთვის. Cyando-ს აცნობეს, რომ მის პლატფორმაზე ატვირთული იყო 9500-ზე მეტი ნაწარმოები, რომლებზეც, საავტორო უფლებების დარღვევით, ჩამოტვირთვის ბმულები გაზიარებული იყო ინტერნეტში დაახლოებით 800 სხვადასხვა ვებგვერდზე (ბმულების კოლექცია, ბლოგები, ფორუმები).

46. კერძოდ, 2013 წლის 11-დან 19 დეკემბრამდე ჩატარებული ჩხრეკის საფუძველზე, Elsevier-მა აცნობა Cyando-ს 2014 წლის 10 იანვრით და 2014 წლის 17 იანვრით დათარიღებული ორი წერილით, რომ სამი ნაწარმოები, რომლებზეც მას აქვს გამოყენების განსაკუთრებული უფლება, კერძოდ, გრეის ანატომია სტუდენტებისთვის, ადამიანის ანატომიის ატლასი და კემპბელ-უოლშის უროლოგია

ხელმისაწვდომია ფაილის სახით ატვირთულ პლატფორმაზე, ბმულების rehabgate.com, avaxhome.ws და bookarchive.ws მეშვეობით.

47. Elsevier-მა სარჩელი შეიტანა Cyando-ს წინააღმდეგ Landgericht München I-ში (რეგიონული სასამართლო I, მიუნხენი, გერმანია). Elsevier-მა მოითხოვა, inter alia, გამოიცეს ამკრძალავი ბრძანება Cyando-ს წინააღმდეგ, ძირითადად, როგორც მხარის, რომელიც პასუხისმგებელია საავტორო უფლებების დარღვევაზე განსახილველ ნაწარმოებებთან დაკავშირებით. ალტერნატიულად, როგორც ამ დარღვევების მონაწილემ და, შემდგომ ალტერნატივაში, როგორც „ჩარევის“ (Störerin) განმახორციელებელმა Elsevier-მა ასევე მოითხოვა, რომ Cyando-ს აენაზღაურებინა ზიანი და მიეწოდებინა გარკვეული ინფორმაცია.

48. 2016 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით, Landgericht München I-მა (რეგიონული სასამართლო I, მიუნხენი) მიიღო გადაწყვეტილება და Cyando-ს, როგორც მონაწილეს, დაავალა შეეწყვიტა საავტორო უფლებების დარღვევა ძირითად დავაში განსახილველ სამ ნაწარმოებზე, კერძოდ, იმათზე, რომლებიც მითითებული იყო 2014 წლის 10 იანვრისა და 2014 წლის 17 იანვრის წერილებში.

49. Elsevier-მა და Cyando-მ გაასაჩივრეს ეს გადაწყვეტილება Oberlandesgericht München-ის (უმაღლესი რეგიონული სასამართლო, მიუნხენი, გერმანია) წინაშე.

50. 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება შეცვალა. ამ სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც Cyando-ს, როგორც „ჩარევის“ განმახორციელებელს, დაავალა, შეეწყვიტა საავტორო უფლებების დარღვევა 2014 წლის 10 იანვრისა და 2014 წლის 17 იანვრის წერილებში მითითებულ სამ ნაწარმოებზე და არ დააკმაყოფილა სარჩელი დანარჩენ ნაწილში.

51. სააპელაციო სასამართლომ, inter alia, დაადგინა, რომ Elsevier-ს არ შეეძლო სარჩელის აღძვრა Cyando-ს, როგორც მხარის წინააღმდეგ, რომელიც არღვევს სადავო საავტორო უფლებებს. Cyando-ს წვლილი შემოიფარგლებოდა ტექნიკური საშუალებების მიწოდებით, რომელიც შესაძლებელს ხდის განსახილველი ნაწარმოებების საჯარო გაცნობას. ვინაიდან მან არ იცოდა, რომ მისი პლატფორმის მომხმარებლები ახორციელებდნენ ასეთ დარღვევებს, Cyando ასევე არ შეიძლება ჩაითვალოს ამ დარღვევების მონაწილედ. თუმცა, როგორც ჩარევის განმახორციელებელს, Cyando-ს მოეთხოვებოდა, რომ აღეკვეთა საავტორო უფლებების დარღვევა 2014 წლის 10 იანვრისა და 2014 წლის 17 იანვრის წერილებში მითითებულ სამ ნაწარმოებზე. ამის საპირისპიროდ, რაც შეეხება სხვა ნაშრომს, სახელწოდებით Robbins Basic Pathology, რომელიც ასევე წარმოადგენს განხილვის საგანს ძირითად დავაში, Cyando-ს არ დაურღვევია მონიტორინგის ვალდებულებები, ვინაიდან ეს ნაშრომი ხელახლა არ გამოქვეყნებულა პირველი დარღვევის დადგენიდან, რამაც წარმოშვა მონიტორინგის ეს ვალდებულებები, ორწელიწად-ნახევრის გასვლამდე. გარდა ამისა, როგორც „ჩარევის“ მონაწილეს, Cyando-ს არ ეკისრებოდა ზიანის ანაზღაურება.

52. განხილვისას, სააპელაციო სასამართლომ, inter alia, დაადგინა, რომ Cyando-ს ანაზღაურების სისტემის სტრუქტურის, იმ გარემოების, რომ ის ხელმისაწვდომს ხდის ჩამოტვირთვის ბმულებს, რომლებიც ატვირთულ ფაილებზე იძლევა პირდაპირი წვდომის საშუალებას და იმ ფაქტის, რომ შესაძლებელია პლატფორმის ანონიმურად გამოყენება, გათვალისწინებით, Cyando მნიშვნელოვნად ახალისებს მისი პლატფორმის გამოყენებას უკანონო მიზნებისთვის. ფაილების ჩამოტვირთვით დაინტერესებული მომხმარებლები ამჯობინებენ ფასიან გამოწერას, რაც მათ აძლევთ შეღავათიან ანგარიშს, სადაც შეუძლიათ ამ პლატფორმის მეშვეობით ჩამოტვირთონ საავტორო უფლებებით დაცული სასურველი ნამუშევრები. Cyando მოუწოდებს თავის მომხმარებლებს ატვირთონ ფაილები, რომლებიც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხშირად ჩამოიტვირთება, უხდის მომხმარებელს ანაზღაურებას მათ მიერ ატვირთული ფაილების ჩამოტვირთვის სიხშირის მიხედვით და

საშუალებას აძლევს მათ ისარგებლონ ახალი მომხმარებლების შეძენისას მიღებული შემოსავლით. ვინაიდან ეს ანაზღაურება დამოკიდებულია ფაილის გადმოტვირთვის რაოდენობაზე და, შესაბამისად, იმაზე, თუ რამდენად მიმზიდველია ეს ფაილი საზოგადოებისთვის, მომხმარებლებს ახალისებენ ატვირთონ საავტორო უფლებებით დაცული კონტენტი, რომელზე წვდომაც სხვაგვარად შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი საფასურის გადახდით. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ ჩამოტვირთვის ბმულები პირდაპირ წვდომას იძლევა ატვირთულ ფაილებზე, საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, რომლებმაც ატვირთეს ფაილები, ადვილად გაუზიარონ ეს ფაილები მომხმარებლებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჩამოტვირთვით, განსაკუთრებით ბმულების კოლექციების საშუალებით. დაბოლოს, ის ფაქტი, რომ პლატფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანონიმურად, ამცირებს მომხმარებლების რისკს, დაექვემდებარონ საავტორო უფლებების დარღვევისთვის პასუხისმგებლობას.

53. მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ Elsevier აპელაციის ეტაპზე აცხადებდა, რომ საავტორო უფლებების დამრღვევი კონტენტი, რომელიც ხელმისაწვდომი იყო Cyando-ს პლატფორმაზე, წარმოადგენდა ფაილების 90-96%-ს, რასაც სადავოდ ხდიდა Cyando, სააპელაციო სასამართლომ არ დაადგინა პროპორცია პლატფორმაზე არსებულ ლეგალურ და არალეგალურ ფაილებს შორის.

54. თავისი საჩივრით კანონის ინტერპრეტაციის საკითხზე (რევიზია), რომელზეც საქმის წარმოება შეაჩერა Bundesgerichtshof-მა (იუსტიციის ფედერალური სასამართლო) და რომლის უარყოფას ცდილობს Cyando, Elsevier ინარჩუნებს თავის მოთხოვნებს.

55. მომმართველი სასამართლო აცხადებს, რომ საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა საჩივარი დასაბუთებული, პირველ რიგში, დამოკიდებულია იმაზე, ფაილების ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმის ოპერატორის, როგორიცაა Cyando, ქცევა წარმოადგენს თუ არა საჯარო გადაცემას საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის მე-3(1) მუხლის მნიშვნელობით. იგი მიიჩნევს, რომ Cyando შეიძლება ჩაითვალოს, როგორც შეუცვლელი როლის შემსრულებელი, დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობით, რაც მისი ქმედების საჯარო გადაცემად კლასიფიცირების წინაპირობაა. ამასთან დაკავშირებით, მომმართველი სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, Cyando-მ არ იცის, რომ დაცული კონტენტი უკანონოდ არის ხელმისაწვდომი, სანამ უფლების მფლობელი არ შეატყობინებს მას რა ხდება, რადგან ეს კონტენტი ატვირთულია მესამე მხარის მიერ. გარდა ამისა, Cyando აცნობებს მომხმარებლებს თავისი პლატფორმის გამოყენების პირობებში, რომ მათ ეკრძალებათ საავტორო უფლებების დარღვევა ამ პლატფორმის მეშვეობით. თუმცა, Cyando-მ იცის, რომ დაცული კონტენტის დიდი მოცულობის უკანონო საჯარო გადაცემა ხდება მისი პლატფორმის საშუალებით. უფრო მეტიც, Cyando მნიშვნელოვნად ზრდის რისკს, რომ მისი პლატფორმა უკანონო მიზნებისთვის გამოიყენებოდეს მისი ანაზღაურების სისტემის, იმ ფაქტის, რომ ის ხელმისაწვდომს ხდის ჩამოტვირთვის ბმულებს, რომლებიც ატვირთულ ფაილებზე იძლევა პირდაპირი წვდომის საშუალებას და იმ გარემოების, რომ შესაძლებელია მისი პლატფორმის ანონიმურად გამოყენება, გათვალისწინებით.

56. თუ სასამართლომ დაადგინა, რომ ფაილების ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმის ოპერატორის, როგორიცაა Cyando, ქცევა არ წარმოადგენს საჯარო გადაცემას საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით, მომმართველი სასამართლო არსებითად სვამს კითხვებს რომლებიც იგივეა, რაც C 682/18 საქმეში დასმული მეორე–მეექვსე კითხვა.

57. ამ გარემოებებში, Bundesgerichtshof-მა (იუსტიციის ფედერალური სასამართლო) გადაწყვიტა შეეჩერებინა საქმის წარმოება და სასამართლოსთვის მიემართა შემდეგი კითხვებით წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად:

(1) (ა) ახორციელებს თუ არა [ფაილის ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმის] ოპერატორი საჯარო გადაცემას [საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის] მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით, რომლის მეშვეობითაც საავტორო უფლებებით დაცული კონტენტის შემცველი ფაილების საჯარო გაცნობა ხდება მომხმარებლების მიერ უფლებების მფლობელების თანხმობის გარეშე, თუ:

- ატვირთვის პროცესი ხდება ავტომატურად და ოპერატორის მიერ წინასწარ ნახვის ან მონიტორინგის გარეშე,
- გამოყენების პირობებში, ოპერატორი მიუთითებს, რომ საავტორო უფლებების დამრღვევი კონტენტი არ შეიძლება განთავსდეს პლატფორმაზე,
- ის იღებს შემოსავალს სერვისის ფუნქციონირებით,
- [პლატფორმა] გამოიყენება კანონიერი აპლიკაციებისთვის, მაგრამ ოპერატორმა იცის, რომ საავტორო უფლებების დამრღვევი შინაარსის მნიშვნელოვანი რაოდენობა (9500-ზე მეტი ნაწარმოები) ასევე ხელმისაწვდომია,
- ოპერატორი არ სთავაზობს კონტენტის დირექტორიას ან საძიებო ფუნქციას, მაგრამ მის მიერ მოწოდებული შეუზღუდავი ჩამოტვირთვის ბმულები განთავსდება მესამე პირების მიერ ინტერნეტში ბმულების კოლექციებში, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ფაილების კონტენტთან დაკავშირებით და შესაძლებელს ხდის კონკრეტული კონტენტის ძიებას,
- ანაზღაურების სტრუქტურის მეშვეობით, რომელსაც პლატფორმა იხდის ჩამოტვირთვების რაოდენობის შესაბამისად, ოპერატორი ქმნის სტიმულს, ატვირთონ საავტორო უფლებებით დაცული კონტენტი, რომელიც სხვაგვარად ხელმისაწვდომია მხოლოდ შესაბამისი საფასურის გადახდის საფუძველზე,
  და
- ფაილების ანონიმურად ატვირთვის შესაძლებლობის უზრუნველყოფით, იზრდება იმის ალბათობა, რომ მომხმარებლებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა საავტორო უფლებების დარღვევისთვის?

(ბ) იცვლება თუ არა ეს შეფასება, თუ [ფაილის ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმის] მიერ განთავსებული საავტორო უფლებების დამრღვევი კონტენტი შეადგენს მთლიანი გამოყენების 90%-დან 96%-მდე?

(2) თუ მითითებულ პირველ კითხვაზე პასუხი უარყოფითია:

ექცევა თუ არა [ფაილის ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმის] ოპერატორის საქმიანობა პირველ კითხვაში აღწერილი პირობებით [ელექტრონული ვაჭრობის შესახებ დირექტივის] 14(1) მუხლის ფარგლებში?

(3) თუ მე-2 კითხვაზე გაცემულია დადებითი პასუხი:

უნდა ეხებოდეს თუ არა უკანონო საქმიანობის შესახებ ფაქტობრივი ცოდნა ან ინფორმაცია და ფაქტების ან გარემოებების ცოდნა, საიდანაც უკანონო აქტივობა ან ინფორმაცია აშკარაა, კონკრეტულ უკანონო ქმედებებს ან ინფორმაციას [ელექტრონული ვაჭრობის შესახებ დირექტივის] 14(1) მუხლის შესაბამისად?

(4) ასევე, თუ მე-2 კითხვას დადებითი პასუხი გაეცემა:

არის თუ არა [საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის] მე-8(3) მუხლთან შესაბამისობაში, თუ უფლების მფლობელს სერვისის პროვაიდერის წინააღმდეგ, რომლის სერვისს წარმოადგენს მომსახურების მიმღების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შენახვა და რომლის სერვისი სერვისის

მიმღებმა გამოიყენა საავტორო ან მომიჯნავე უფლებების დარღვევისთვის, აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს აკრძალვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დარღვევა განმეორდა აშკარა დარღვევის შესახებ შეტყობინების მიწოდების შემდეგ?

(5) თუ პირველ და მეორე კითხვაზე პასუხი უარყოფითია:

ჩაითვლება თუ არა [ფაილის ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმის] ოპერატორი პირველ კითხვაში აღწერილი პირობებით დამრღვევად მე-11 მუხლის პირველი წინადადებისა და [აღსრულების დირექტივის] მე-13 მუხლის მნიშვნელობით?

(6) თუ მე-5 კითხვას გაეცა დადებითი პასუხი:

შეიძლება თუ არა ასეთი დამრღვევის ვალდებულება, აანაზღაუროს ზიანი [აღსრულების დირექტივის] 13(1) მუხლის შესაბამისად, დამოკიდებული იყოს იმაზე, რომ დამრღვევი განზრახ მოქმედებდა როგორც საკუთარ უკანონო ქმედებებთან, ისე მესამე პირის უკანონო საქმიანობასთან დაკავშირებით და ასევე, იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მომხმარებლები მის პლატფორმას იყენებდნენ უფლებების დამრღვევი კონკრეტული ქმედებებისთვის?

58. სასამართლოს თავმჯდომარის 2018 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით, წერილობითი და ზეპირი პროცედურები, ასევე გადაწყვეტილების მიზნებისთვის მოხდა საქმეების C-682/18 და C-683/18 გაერთიანება.

მიმართული კითხვების განხილვა

59. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე საქმეებში მოცემული კითხვები ეხება საავტორო უფლებების შესახებ დირექტივას, დირექტივას ელექტრონული ვაჭრობის შესახებ და აღსრულების დირექტივას, როგორც ეს მოქმედი იყო ძირითადი დავის დროს. სასამართლოს მიერ ამ კითხვებზე პასუხის გაცემის ინტერპრეტაციები არ ეხება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 17 აპრილის ერთიან ციფრულ ბაზარზე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ 2019/790 დირექტივის მე-17 მუხლით და 96/9/EC და 2001/29 შესწორების დირექტივებით (OJ 2019 L 130, გვ. 92) დადგენილ წესებს, რომლებიც შემდგომში შევიდა ძალაში.

პირველი შეკითხვა C 682/18 და C 683/18 საქმეებში

60. პირველი კითხვით, რომელიც მითითებულია თითოეულ ორ საქმეში, მომმართველი სასა-მართლო არსებითად სვამს კითხვას, უნდა იქნეს თუ არა განმარტებული საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის 3(1) მუხლი, ისე, რომ ვიდეოგაზიარების პლატფორმა ან ფაილების ჰოსტინგის და გაზიარების ოპერატორი, რომელზეც მომხმარებლებს შეუძლიათ არალეგალურად მოახდინონ დაცული კონტენტის საჯარო გაცნობა, თავად ახორციელებს ამ კონტენტის საჯარო გადაცემას, ამ დებულების მნიშვნელობით, ისეთ პირობებში, როგორიც აღწერილია ძირითად დავებში.

61. საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მისცენ ავტორებს განსაკუთრებული უფლება, ნება დართონ ან აკრძალონ თავიანთი ნაწარმოებების ნებისმიერი საჯარო გადაცემა სადენიანი ან უსადენო საშუალებებით, მათ შორის მათი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომად ქცევა ისე, რომ საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მათზე წვდომა მათ მიერ ინდივიდუალურად არჩეული ადგილიდან, მათთვის სასურველ დროს.

62. ამ დებულების თანახმად, ავტორებს აქვთ უფლება, რომელიც პრევენციული ხასიათისაა და რაც მათ საშუალებას აძლევს ჩაერიონ თავიანთი ნაწარმოების შესაძლო მოსარგებლეებსა და საჯარო გადაცემას შორის, რომლის განხორციელებასაც ისინი ფიქრობენ, რათა აკრძალონ ასეთი გადაცემა (განჩინება 9 2021 წლის მარტი, VG Bild-Kunst, C 392/19, EU:C:2021:181, პუნქტი 21 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

63. როგორც სასამართლომ ადრე დაადგინა, ცნება „საჯარო გადაცემა“ საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის მე-3(1) მუხლის მნიშვნელობით, როგორც ხაზგასმულია ამ დირექტივის პრეამბულის 23-ე პუნქტში, აღქმული უნდა იყოს ფართო გაგებით, რომელიც მოიცავს ყველა გადაცემას და კომუნიკაციას საზოგადოებასთან, რომელიც არ იმყოფება იმ ადგილას, სადაც გადაცემა წარმოიშვა და, შესაბამისად, ნაწარმოების ნებისმიერ ასეთ გადაცემას ან ხელახალ გადაცემას საზოგადოებისთვის სადენიანი ან უსადენო საშუალებებით, საეთერო მაუწყებლობის ჩათვლით. მართლაც, ამ დირექტივის პრეამბულის მე-4, მე-9 და მე-10 პუნქტებიდან ირკვევა, რომ ამ დირექტივის მთავარი მიზანია ავტორების დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფა, რაც მათ საშუალებას მისცემს მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება მათი ნაწარმოების გამოყენებისთვის, მათ შორის, როდესაც ხდება ნაწარმოების საჯარო გადაცემა (2021 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება, VG Bild-Kunst, C 392/19, EU:C:2021:181, პუნქტები 26 და 27).

64. ამავე დროს, საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის მე-3 და 31-ე პუნქტებიდან გამომდინარეობს, რომ დირექტივის მიერ განხორციელებული ჰარმონიზაცია მიზნად ისახავს, განსაკუთრებით ელექტრონულ გარემოში, სამართლიანი ბალანსის შენარჩუნებას, ერთი მხრივ, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა ინტერესებს, რომელიც გარანტირებულია ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებათა ქარტიის („ქარტია“) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით და, მეორე მხრივ, დაცული ობიექტების მოსარგებლეების ინტერესებსა და ფუნდამენტურ უფლებებს, კერძოდ, ქარტიის მე-11 მუხლით გარანტირებული ინფორმაციის მიღების უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის (2016 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებები, GS Media, C 160/15, EU:C:2016:644, პუნქტი 31 და 2019 წლის 29 ივლისი, Pelham and Others, C 476/17, EU:C:2019:624, პუნქტი 32 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

65. ცხადია, რომ საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის, კერძოდ, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ინტერპრეტაციისა და გამოყენების მიზნებისთვის, ეს სამართლიანი ბალანსი უნდა მოიძებნოს ასევე ინტერნეტის განსაკუთრებული მნიშვნელობის, გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის თავისუფლების გათვალისწინებით, რომელიც დაცულია ქარტიის მე-11 მუხლით (ამასთან დაკავშირებით იხ.: 2016 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება, GS Media, C 160/15, EU:C:2016:644, პუნქტი 45).

66. როგორც სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, „საჯარო გადაცემის“ ცნება, ამ დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით, მოიცავს ორ კუმულაციურ კრიტერიუმს, კერძოდ, ნაწარმოების გადაცემის აქტს და საზოგადოებისთვის გადაცემას და მოითხოვს ინდივიდუალურ შეფასებას (2021 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება, VG Bild-Kunst, C 392/19, EU:C:2021:181, პუნქტები 29 და 33 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

67. ასეთი შეფასების მიზნებისთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რამდენიმე დამატებითი კრიტერიუმი, რომლებიც არ არის ავტონომიური და ურთიერთდამოკიდებულნი არიან. უფრო მეტიც, ეს კრიტერიუმები უნდა იქნეს გამოყენებული როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთმანეთთან ურთიერთობისას, რამდენადაც ისინი შეიძლება, სხვადასხვა კონკრეტულ სიტუაციებში, იყოს ფართოდ განსხვავებული ხარისხით (2021 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება, VG Bild-Kunst, C 392). /19, EU:C:2021:181, პუნქტი 34 და ციტირებული პრეცედენტული სამართალი).

68. ამ კრიტერიუმებს შორის სასამართლომ, პირველ რიგში, ხაზი გაუსვა პლატფორმის ოპერატორის შეუცვლელ როლს და მისი ჩარევის მიზანმიმართულ ხასიათს. ეს პლატფორმის ოპერატორი ახდენს „საჯარო გადაცემას“ თუ ის თავისი მოქმედების შედეგების სრული ცოდნით ახდენს ჩარევას, რათა მისცეს თავის მომხმარებლებს წვდომა დაცულ ნაწარმოებებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც, ამ ჩარევის არარსებობის შემთხვევაში, ეს მომხმარებლები ვერ ისარგებლებდნენ ამ ნაწარმეობებზე წვდომით (იხილეთ, ამ მიზნით, 2017 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება, Stichting Brein, C 610/15, EU:C:2017:456, პუნქტი 26 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

69. მეორე, სასამართლომ დააკონკრეტა, რომ ცნება „საჯარო“ ეხება პოტენციურ მიმღებთა განუსაზღვრელ რაოდენობას და, უფრო მეტიც, საკმაოდ დიდ რაოდენობას გულისხმობს (2020 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება, BY (ფოტოგრაფიული მტკიცებულება), C 637/19, EU:C:2020:863, პუნქტი 26 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

70. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ „საჯარო გადაცემად“ კვალიფიცირებისთვის, დაცული ნაწარმოების კომუნიკაცია უნდა მოხდეს კონკრეტული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რომლებიც განსხვავდება ადრე გამოყენებულისგან ან, თუ ასე არ არის, „ახალი საზოგადოებისთვის“, ანუ საზოგადოებისთვის, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საავტორო უფლებების მფლობელთა მიერ, როდესაც მათ გასცეს თანხმობა ნაწარმოების საზოგადოებისთვის გაცნობაზე (2019 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება, Nederlands Uitgeversverbond and Groep Algemene Uitgevers, C 263/18, EU:C:2019:1111, 70-ე პუნქტი და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

71. ამ შემთხვევაში, თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ პოტენციურად უკანონო კონტენტი განსახილველ პლატფორმაზე ატვირთულია არა ოპერატორის, არამედ მომხმარებლების მიერ, რომლებიც მოქმედებენ ავტონომიურად და პასუხისმგებელნი არიან საკუთარ ქმედებებზე.

72. გარდა ამისა, პლატფორმის მომხმარებლები განსაზღვრავენ, ხელმისაწვდომი იქნება თუ არა მათ მიერ ატვირთული კონტენტი ამ პლატფორმის საშუალებით სხვა ინტერნეტ მომხმარებლებისთვის, მათ მიერ არჩეული ადგილიდან და მათთვის სასურველ დროს.

73. რაც შეეხება ატვირთული ფაილების ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმას, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩამოტვირთვის ბმული, რომელიც ატვირთულ კონტენტზე წვდომის საშუალებას იძლევა, ეცნობება მხოლოდ მომხმარებელს, რომელმაც ატვირთა ფაილი, და რომ პლატფორმა არ იძლევა ამ ბმულის და, შესაბამისად, ატვირთული კონტენტის სხვა ინტერნეტ მომხმარებლებისთვის გაზიარების საშუალებას. ამგვარად, ამ კონტენტის გასაზიარებლად მომხმარებელმა ან უნდა გაუგზავნოს ჩამოტვირთვის ბმული პირდაპირ იმ პირებს, რომლებსაც სურთ ამ კონტენტზე წვდომა, ან უნდა გამოაქვეყნოს ეს ბმული ინტერნეტში, მაგალითად, ბლოგებში, ფორუმებში ან „ბმულების კოლექციებში“.

74. რაც შეეხება YouTube ვიდეოს გაზიარების პლატფორმას, როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ამ პლატფორმის ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ მის მომხმარებლებს საშუალებას აძლევს საჯაროდ გაუზიარონ ვიდეო ინტერნეტის ყველა მომხმარებელს, ის ასევე საშუალებას აძლევს თავის მომხმარებლებს ატვირთონ კონტენტი „პირადად“ და, შესაბამისად, აირჩიონ, ვისთვის სურთ ატვირთული კონტენტის გაზიარება.

75. შესაბამისად, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, რომ ძირითად დავაში განსახილველი პლატფორმების მომხმარებლები ახორციელებენ „საჯარო გადაცემას“ წინამდებარე გადაწყვეტილების 68-ე პუნქტში მითითებული სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობით, თუ უფლების მფლობელთა თანხმობის გარეშე, ისინი, ამ პლატფორმების მეშვეობით, აძლევენ ინტერნეტის სხვა მომხმარებლებს წვდომას დაცულ ნაწარმოებებზე, რომლებზეც სხვაგვარად სხვა ინტერნეტ

მომხმარებლებს არ ექნებოდათ წვდომა. მეორეც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მომხმარებლები ატვირთულ კონტენტს ხელმისაწვდომს გახდიან „საზოგადოებისთვის“, წინამდებარე გადაწყვეტილების 69-ე პუნქტში მითითებული სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობით, ამ კონტენტის გაზიარებით ნებისმიერ ინტერნეტ მომხმარებელთან YouTube პლატფორმაზე ან ატვირთული პლატფორმის ამ კონტენტზე წვდომის მიმცემი ბმულების გამოქვეყნებით, რომ ამ მომხმარებლებმა და, შესაბამისად, პლატფორმის ოპერატორმა, რომელიც გამოიყენება როგორც შუამავალი ამ შინაარსის ხელმისაწვდომობისთვის, შეუძლიათ განახორციელონ „საჯარო გადაცემა“ საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის მე-3(1) მუხლის მნიშვნელობით.

76. პირველი კითხვით ორივე საქმეში მომმართველი სასამართლო ცდილობს დაადგინოს, ახორციელებს თუ არა ვიდეოს გაზიარების პლატფორმის ოპერატორი ან თავად ფაილების ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმის ოპერატორი საჯარო გადაცემას, ამ პლატფორმების მომხმარებლის პარალელურად.

77. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პლატფორმის ოპერატორი ასრულებს როლს, რომელიც შეუცვლელია, როდესაც მისი მომხმარებლები პოტენციურად უკანონო კონტენტს ხელმისაწვდომს ხდიან. ეს პლატფორმა რომ არ ყოფილიყო ხელმისაწვდომი და მართული, შეუძლებელი ან, სულ მცირე, უფრო რთული იქნებოდა ამ კონტენტის თავისუფლად გაზიარება ინტერნეტში (იხ., ანალოგიით, 2017 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება, Stichting Brein, C 610/15, EU:C:2017:456, პუნქტები 36 და 37).

78. თუმცა, როგორც წინამდებარე გადაწყვეტილების 67-ე და 68-ე პუნქტებში მოყვანილი სასამართლო პრაქტიკიდან ირკვევა, შეუცვლელია თუ არა როლი, რომელსაც ასრულებს ვიდეოგაზიარების პლატფორმის ოპერატორი თუ ფაილების ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმა არ არის ერთადერთი კრიტერიუმი, რომელიც უნდა იქნეს გათვალისწინებული ინდივიდუალური შეფასების კონტექსტში, რომელიც უნდა გაკეთდეს; პირიქით, ის უნდა იქნეს გამოყენებული სხვა კრიტერიუმებთან ურთიერთქმედებისას, კერძოდ, კრიტერიუმი, რომელიც ეხება იმას, არის თუ არა ოპერატორის ასეთი ჩარევა მიზანმიმართული.

79. თუ მხოლოდ ის ფაქტი, რომ პლატფორმის გამოყენება აუცილებელია იმისთვის, რომ საზოგადოებამ შეძლოს ნაწარმოებზე წვდომა, ან ის ფაქტი, რომ ამან უბრალოდ ხელი შეუწყო ნაწარმოებზე წვდომას, ავტომატურად განაპირობებს პლატფორმის ოპერატორის ჩარევას და ფასდება, როგორც საჯარო გადაცემის აქტი, ნებისმიერი ფიზიკური საშუალების მიწოდება გადაცემის „განსახორციელებლად“ წარმოადგენს ასეთ აქტს, რაც, საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის პრეამბულის 27-ე პუნქტის მიხედვით – რომელიც არსებითად იმეორებს WCT-ის მე-8 მუხლთან დაკავშირებით შეთანხმებულ განცხადებას – პირდაპირ გამორიცხულია.

80. შესაბამისად, პლატფორმის მომხმარებლის მიერ განხორციელებულ გადაცემაში პლატფორმის ოპერატორის ასეთი ჩარევის როლის მნიშვნელობასთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იყოს ამ ინტერვენციის მიზანმიმართული ხასიათის მნიშვნელობა, როცა ხდება იმის შეფასება, არის თუ არა ასეთი ინტერვენცია საჯარო გადაცემა.

81. ამასთან დაკავშირებით, წინამდებარე გადაწყვეტილების 68-ე პუნქტში მოყვანილი სასამართლო პრაქტიკიდან ირკვევა, რომ inter alia, საჯარო გადაცემად შეიძლება დაკვალიფიცირდეს ჩარევა, შედეგების სრული ცოდნით, როდესაც ასეთი ჩარევის მიზანია საზოგადოებისთვის დაცულ ნაწარმოებებზე წვდომის შესაძლებლობის მიცემა.

82. ამ სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ონლაინ ფაილების გაზიარების პლატფორმის The Pirate Bay-ის ხელმისაწვდომობა და მართვა - რომელიც დაცულ

ნაწარმოებებთან დაკავშირებული მეტამონაცემების ინდექსირებით და საძიებო სისტემის უზრუნველყოფით, ამ პლატფორმის მომხმარებლებს საშუალებას აძლევდა, ეპოვათ ეს ნაწარმოებები და გაეზიარებინათ peer-to-peer ქსელში - წარმოადგენდა საჯარო გადაცემას. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ, inter alia, განაცხადა, რომ The Pirate Bay-ის ოპერატორები, დაცულ ნაწარმოებზე წვდომის უზრუნველსაყოფად, ჩაერივნენ თავიანთი ქცევის შედეგების სრული ცოდნით. პლატფორმაზე ხელმისაწვდომი ბლოგებისა და ფორუმების მეშვეობით მათ ცხადი გახადეს თავიანთი მიზანი, დაცული ნაწარმოებები საჯაროდ ხელმისაწვდომი გაეხადათ პლატფორმის მომხმარებლებისთვის და ახალისებდნენ მათ, გაეკეთებინათ ამ ნაწარმოებების ასლები (იხ. 2017 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება, Stichting Brein, C 610/15, EU:C:2017: 456, პუნქტები 36, 45 და 48).

83. იმისთვის, რომ დადგინდეს, ერევა თუ არა ვიდეოგაზიარების პლატფორმის ოპერატორი ან ფაილების ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმა მისი პლატფორმის მომხმარებლების მიერ დაცული კონტენტის უკანონო გადაცემაში, მისი ქცევის შედეგების სრული ცოდნით, რათა უზრუნველყოს ინტერნეტის სხვა მომხმარებელთა წვდომა ასეთ კონტენტზე, აუცილებელია გავითვალისწინოთ ყველა ის ფაქტორი, რომელიც ახასიათებს განსახილველ სიტუაციას, რაც შესაძლებელს ხდის, პირდაპირ თუ ირიბად გამოვიტანოთ დასკვნები იმის შესახებ, წინასწარ განზრახული იყო თუ არა მისი ჩარევა ამ კონტენტის უკანონო გადაცემაში.

84. ამასთან დაკავშირებით, შესაბამისი ფაქტორები მოიცავს, inter alia, გარემოებას, რომ ასეთმა ოპერატორმა, მიუხედავად იმისა, რომ მან იცის ან უნდა იცოდეს, ზოგადი გაგებით, რომ მისი პლატფორმის მომხმარებლები არალეგალურად ეცნობიან დაცულ კონტენტს, მისი პლატფორმა თავს იკავებს შესაბამისი ტექნოლოგიური ზომების განხორციელებისგან, რაც შეიძლება მოსალოდნელი იყოს გონივრულად კეთილსინდისიერი ოპერატორისგან მის სიტუაციაში, რათა დამაჯერებლად და ეფექტიანად დაუპირისპირდეს საავტორო უფლებების დარღვევას ამ პლატფორმაზე და იმ გარემოებას, რომ ეს ოპერატორი მონაწილეობს უკანონოდ საჯაროდ გადაცემული დაცული კონტენტის შერჩევაში. რომ ის თავის პლატფორმაზე აწვდის ინსტრუმენტებს, რომლებიც სპეციალურად არის განკუთვნილი ასეთი კონტენტის უკანონო გაზიარებისთვის, ან რომ იგი შეგნებულად ხელს უწყობს ამ გაზიარებას, რაც შეიძლება დადასტურდეს იმით, რომ ამ ოპერატორმა შემოიღო ფინანსური მოდელი, რომელიც წაახალისებს მისი პლატფორმის მომხმარებლებს, ამ პლატფორმის მეშვეობით განახორციელონ დაცული კონტენტის უკანონო საჯარო გადაცემა.

85. მეორე მხრივ, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ოპერატორმა იცის, ზოგადად, რომ დაცული კონტენტი მის პლატფორმაზე არალეგალურადაა ხელმისაწვდომი, არ არის საკმარისი საფუძველი დასკვნისთვის, რომ ის ერევა ინტერნეტის მომხმარებლებისთვის ამ კონტენტზე წვდომის მიცემის მიზნით. თუმცა, სიტუაცია განსხვავებულია, როდესაც ეს ოპერატორი, მიუხედავად იმისა, რომ გაფრთხილებულ იქნეს უფლების მფლობელის მიერ, რომ დაცული კონტენტი არალეგალურად მიეწოდება საზოგადოებას მისი პლატფორმის მეშვეობით, თავს იკავებს სასწრაფო ზომების მიღებისგან, რომ ეს კონტენტი მიუწვდომელი გახდეს.

86. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი ინტერვენციის კომერციული ბუნება არ არის არარელევანტური (იხ. 2017 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება, Stichting Brein, C 610/15, EU:C:2017:456, პუნქტი 29 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა), უბრალო ფაქტი, რომ ვიდეოგაზიარების პლატფორმის ან ფაილების ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმის ოპერატორს აქვს მოგების მოპოვების მიზანი, არც ადასტურებს, რომ მისი ჩარევა პლატფორმის ზოგიერთი მომხმარებლის მიერ დაცული კონტენტის უკანონო გადაცემაში მიზანმიმართული იყო, და არც წარმოშობს ამის ვარაუდს. ის ფაქტი, რომ ის აწვდის ინფორმაციული საზოგადოების

მომსახურებას მოგების მიზნით, არ ნიშნავს, რომ ასეთი სერვისების მიმწოდებელი თანხმდება მესამე პირების მიერ მათ გამოყენებაზე საავტორო უფლებების დარღვევისთვის. ამასთან დაკავშირებით აშკარაა, inter alia, საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის მე-8 მუხლის, კერძოდ, მისი მე-3 პუნქტის შინაარსისა და ამ დირექტივის პრეამბულის 27-ე პუნქტის გათვალისწინებით, არ შეიძლება არსებობდეს ვარაუდი, რომ მხოლოდ ფიზიკური საშუალებების მიმწოდებლები, რომლებიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ან განახორციელოს საჯარო გადაცემა, და სხვა შუამავლები, რომელთა მომსახურებას მესამე მხარე იყენებს საავტორო უფლებების დარღვევის მიზნით, თავად ახორციელებენ საჯარო გადაცემას, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წესი, მათ აქვთ მოგების მიღების მიზანი.

87. აღნიშნული პრეზუმფცია არ შეიძლება დადგინდეს 2016 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებიდან, GS Media (C 160/15, EU:C:2016:644).

88. ამ გადაწყვეტილებაში საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის მე-3(1) მუხლის ინტერპრეტაციით, სასამართლომ შეზღუდა იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც აქვეყნებენ ჰიპერბმულებს დაცულ ნაწარმოებებზე, ასეთი ბმულების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო აზრთა და ინფორმაციის გაცვლისთვის და იმ სირთულეების გამო, რომლებიც დაკავშირებულია იმის გარკვევასთან, არის თუ არა ნაწარმოების სხვა ვებგვერდზე გამოქვეყნება კანონიერი. სასამართლომ დაადგინა, რომ ჰიპერბმულების განთავსება, რომლითაც ხორციელდება სხვა ვებგვერდზე საავტორო უფლებების მფლობელის ნებართვის გარეშე თავისუფლად ხელმისაწვდომ ნაწარმოებებზე წვდომა „საჯარო გადაცემა“ ამ დებულების მნიშვნელობით, წარმოადგენს საჯარო გადაცემას მხოლოდ მაშინ, როდესაც ბმული იძლევა იმ შეზღუდვების გვერდის ავლის საშუალებას, რომელიც გამოიყენება ვებგვერდის მიერ, რომელზეც განთავსებულია დაცული ნაწარმოები, ან როდესაც ამ ბმულის გამოქვეყნება მოხდა მოგების მიღების მიზნით, რა დროსაც პირს, რომელმაც გამოაქვეყნა ბმული, უნდა შეემოწმებინა, რომ ნაწარმოები კანონიერად იყო ინტერნეტში განთავსებული (იხ. 2016 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება, GS Media, C 160/15, EU:C:2016 :644, პუნქტები 44-დან 55-მდე).

89. თუმცა, იმ პირის მდგომარეობა, რომელიც აქვეყნებს ჰიპერბმულს, რომელიც მოქმედებს საკუთარი ინიციატივით და რომელმაც გამოქვეყნების მომენტში იცის კონტენტი, რომელზეც ამ ბმულს მივყავართ, არ შეიძლება შედარდეს ვიდეოს გაზიარების პლატფორმის ან ფაილების ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმის ოპერატორების მდგომარეობასთან, სადაც ამ ოპერატორმა არ იცის, კონკრეტულად რა დაცული კონტენტი აიტვირთება ამ პლატფორმაზე მომხმარებლების მიერ და არ უწყობს ხელს უფლებების დარღვევით კონტენტის საჯარო გადაცემას ამ პლატფორმის შეთავაზების მიღმა. შესაბამისად, სასამართლოს მიერ ამ გადაწყვეტილებაში ასახული ინტერპრეტაცია არ შეიძლება პირდაპირ შეეფარდოს ასეთ ოპერატორს, რომ დადგინდეს საავტორო უფლებების დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით დაცული ნაწარმოების უკანონო საჯარო გადაცემაში მისი ჩარევის ხასიათი.

90. რაც შეეხება ძირითად დავაში განსახილველი ორ პლატფორმის ოპერატორს, მომმართველმა სასამართლომ უნდა განსაზღვროს, inter alia, წინამდებარე გადაწყვეტილების 84-ე პუნქტში მოცემული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ახორციელებენ თუ არა თავად ეს ოპერატორები საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით იმ დაცული კონტენტის საჯარო გადაცემას, რომელიც ატვირთულია მათი მომხმარებლების მიერ.

91. თუმცა სასამართლოს შეუძლია მისცეს მომმართველ სასამართლოს გარკვეული განმარტებები, კერძოდ, კითხვებში მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით.

92. საქმეში C 682/18, მიმართვის ბრძანებიდან ირკვევა, რომ YouTube არ ერევა პლატფორმის მომხმარებლების მიერ მის პლატფორმაზე ატვირთული კონტენტის შექმნაში ან შერჩევაში, და რომ ის არ ნახულობს და არ აკონტროლებს ამ კონტენტს მის ატვირთვამდე და კონტენტი ავტომატურად აიტვირთება ამ პლატფორმაზე.

93. ასევე აშკარაა, რომ YouTube ნათლად ატყობინებს თავის მომხმარებლებს, მომსახურების პირობებში და ყოველ ჯერზე ფაილის ატვირთვისას, რომ აკრძალულია ამ პლატფორმაზე დაცული კონტენტის საავტორო უფლებების დარღვევით გამოყენება. ის ასევე მოუწოდებს თავის მომხმარებლებს, „საზოგადოების სახელმძღვანელოში“ პატივი სცენ საავტორო უფლებებს. გარდა ამისა, როდესაც ვიდეო დაბლოკილია უფლებების მფლობელის შეტყობინების გამო, მომხმარებელი, რომელმაც ის ატვირთა, გაფრთხილებულია, რომ განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში მისი ანგარიში დაიბლოკება.

94. გარდა ამისა, YouTube-მა დანერგა სხვადასხვა ტექნოლოგიური ზომები, რათა თავიდან აიცილოს და აღკვეთოს საავტორო უფლებების დარღვევები მის პლატფორმაზე, როგორიცაა, inter alia, შეტყობინების ღილაკი და სპეციალური გაფრთხილების პროცედურა არალეგალური კონტენტის წაშლის შესახებ, ისევე როგორც კონტენტის გადამოწმების პროგრამა კონტენტის შესამოწმებლად და კონტენტის ამოცნობის პროგრამული უზრუნველყოფა ასეთი კონტენტის იდენტიფიკაციის გაადვილებისთვის. ამდენად, აშკარაა, რომ ამ ოპერატორმა მიიღო ტექნოლოგიური ზომები მის პლატფორმაზე საავტორო უფლებების დარღვევისთვის დამაჯერებლად და ეფექტიანად წინააღმდეგობის გასაწევად.

95. გარდა ამისა, მომმართველი სასამართლოს თქმით, მიუხედავად იმისა, რომ YouTube, ჯერ ერთი, ამუშავებს ძიების შედეგებს თავის პლატფორმაზე რეიტინგებისა და კონტენტის კატეგორიების სახით და, მეორეც, რეგისტრირებულ მომხმარებლებს სთავაზობს რეკომენდებული ვიდეოების მიმოხილვას უკვე ნანახი ვიდეოების საფუძველზე, ეს რეიტინგები, კონტენტის კატეგორიები და რეკომენდებული ვიდეოების მიმოხილვები არ არის გამიზნული დაცული კონტენტის უკანონო გაზიარების გასაადვილებლად ან ამგვარი გაზიარების ხელშეწყობისთვის.

96. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ YouTube იღებს სარეკლამო შემოსავალს თავისი პლატფორმიდან და საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, რომლებმაც ატვირთეს კონტენტი და საავტორო უფლებების მფლობელებს, ისარგებლონ ამ შემოსავლით, არ ჩანს, რომ ამ პლატფორმის ფინანსური მოდელი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მასზე არის უკანონო კონტენტი, ან რომ ამ მოდელის მიზანია მომხმარებლების წახალისება, ატვირთონ ასეთი კონტენტი, ან რომ YouTube-ის მიზანი ან ძირითადი გამოყენების ფორმა არის დაცული კონტენტის უკანონო გაზიარება.

97. C 683/18 საქმეში, მიმართვის ბრძანებიდან ირკვევა, რომ Cyando, ატვირთული ფაილების ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმის ოპერატორი, არ ქმნის, არ ირჩევს, არ ნახულობს და არ ამოწმებს თავის პლატფორმაზე ატვირთულ კონტენტს. გარდა ამისა, ის აცნობებს თავის მომხმარებლებს, მისი პლატფორმის გამოყენების პირობებში, რომ მათ ეკრძალებათ საავტორო უფლებების დარღვევა ამ პლატფორმის მეშვეობით.

98. უფრო მეტიც, როგორც აღინიშნა წინამდებარე გადაწყვეტილების 73-ე პუნქტში, მომხმარებლების მიერ დაცული კონტენტის ატვირთვა პლატფორმაზე არ აძლევს ამ მომხმარებლებს საშუალებას განახორციელონ ამ კონტენტის საჯარო გაცნობა, რადგან ატვირთულ კონტენტზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ჩამოტვირთვის ბმულის მეშვეობით, რომელიც ეგზავნება მხოლოდ იმ მომხმარებელს, რომელმაც ატვირთა კონტენტი. დადგენილია, ასევე, რომ ეს პლატფორმა თავად არ იძლევა ამ ბმულის და, შესაბამისად, ატვირთული კონტენტის სხვა ინტერნეტ მომხმარებლებთან გაზიარების შესაძლებლობას. ამრიგად, Cyando არა მხოლოდ არ იძლევა

ინსტრუმენტებს, რომლებიც სპეციალურად არის გამიზნული პლატფორმაზე განთავსებული დაცული კონტენტის უკანონო გაზიარების ან ამგვარი გაზიარების ხელშეწყობისთვის, არამედ, ზოგადად, პლატფორმა არ შეიცავს ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას აძლევს ინტერნეტის სხვა მომხმარებლებს იცოდნენ, რა კონტენტი ინახება ამ პლატფორმაზე. გარდა ამისა, Cyando არ მონაწილეობს ჩამოტვირთვის ბმულების გამოქვეყნებაში მესამე წყაროებზე, როგორიცაა ბლოგები, ფორუმები ან „ბმულების კოლექციები“. გარდა ამისა, არსებობს სხვადასხვა გზა, რომლითაც ფაილების ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმა, როგორიცაა Uploaded, შეიძლება ლეგალურად იყოს გამოყენებული.

99. თუმცა, Elsevier ამტკიცებს, რომ არალეგალური კონტენტის შემცველი ფაილები მთლიანად ფაილების 90-96%-ია, რომელთა წვდომა შესაძლებელია Uploaded-ზე, რასაც სადავოდ ხდის Cyando, რომელიც ამტკიცებს, რომ რეალურად განთავსებული ფაილების მხოლოდ 1.1% არის საავტორო უფლებებით დაცული კონტენტი, რაც შეესაბამება შენახული მონაცემების მთლიანი მოცულობის 0.3%-ს.

100. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ, როგორც აღინიშნა წინამდებარე გადაწყვეტილების 75-ე პუნქტში, მხოლოდ მაშინ, როდესაც პლატფორმის მომხმარებელი გადაწყვეტს ატვირთული კონტენტი ხელმისაწვდომი გახადოს „საზოგადოებისთვის“, შესაძლებელი ხდება, რომ მომხმარებელმა ან პლატფორმის ოპერატორმა, რომელიც გამოიყენება როორც შუამავალი, განახორციელოს საჯარო გადაცემა საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით. მეორე, უნდა აღინიშნოს, რომ, თუ გაირკვა, რომ Cyando-ს მიერ ოპერირებადი პლატფორმის ძირითადი ან უპირატესი გამოყენება დაცული კონტენტის საჯაროდ არალეგალურად გადაცემაა, ეს გარემოება იქნება ერთ-ერთი რელევანტური ფაქტორი იმის დასადგენად, განზრახ ჩაერია თუ არა ეს ოპერატორი. ასეთი გარემოების აქტუალობა მით უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუ ოპერატორი ვერ უზრუნველყოფდა შესაბამის ტექნოლოგიურ ზომებს, რაც შეიძლება მოსალოდნელი იყოს გონივრულად კეთილსინდისიერი ოპერატორისგან ასეთ ვითარებაში, რათა სანდოდ და ეფექტიანად შეეწინააღმდეგოს თავის პლატფორმაზე საავტორო უფლებების დარღვევას.

101. დაბოლოს, იმის მიუხედავად, არის თუ არა Elsevier-ის პრეტენზია პლატფორმის მეშვეობით დაცული კონტენტის უკანონოდ საჯარო გადაცემის მაღალი პროპორციის შესახებ, საფუძვლიანი, პლატფორმის ოპერატორის ჩარევის მიზანმიმართული ხასიათი შეიძლება დადგინდეს იმ გარმოებით - რომლის გადამოწმება უნდა განახორციელოს მომმართველმა სასამართლომ - რომ ამ ოპერატორის მიერ შემოღებული ფინანსური მოდელი ეფუძნება მის პლატფორმაზე უკანონო კონტენტის ხელმისაწვდომობას და შექმნილია იმისთვის, რომ წაახალისოს მისი მომხმარებლები, გააზიარონ ასეთი კონტენტი პლატფორმის მეშვეობით.

102. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პასუხი პირველ კითხვაზე, რომელიც მითითებულია ორივე შემთხვევაში, არის ის, რომ საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის 3(1) მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ ვიდეოგაზიარების პლატფორმის ან ფაილის ჰოსტინგის და გაზიარების პლატფორმის ოპერატორი, რომელზეც მომხმარებლებს შეუძლიათ დაცული კონტენტის არალეგალურად საჯარო გადაცემა, არ ახდენს ამ კონტენტის „საჯარო გადაცემას“ ამ დებულების მნიშვნელობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ამ პლატფორმის შეთავაზების მიღმა, ხელს უწყობს ამ კონტენტზე საჯარო წვდომას საავტორო უფლებების დარღვევით. ეს არის შემთხვევა, inter alia, როდესაც ამ ოპერატორს აქვს კონკრეტული ცოდნა, რომ დაცული კონტენტი მის პლატფორმაზე არალეგალურად არის ხელმისაწვდომი და თავს იკავებს მისი დაჩქარებულად წაშლისგან ან მასზე წვდომის დაბლოკვისგან, ან როდესაც ოპერატორმა, მიუხედავად იმისა, რომ იცის, ან უნდა იცოდეს ზოგადი გაგებით, რომ მისი პლატფორმის მომხმარებლები არალეგალურად

დაცული კონტენტის საჯარო გადაცემას ახორციელებენ მისი პლატფორმის მეშვეობით, თავს იკავებს შესაბამისი ტექნოლოგიური ზომების გატარებისგან, რაც შეიძლება მოსალოდნელი იყოს გონივრულად კეთილსინდისიერი ოპერატორისგან მის სიტუაციაში, რათა დამაჯერებელი და ეფექტიანი წინააღმდეგობა გაუწიოს საავტორო უფლებების დარღვევას ამ პლატფორმაზე, ან როდესაც ეს ოპერატორი მონაწილეობს უკანონოდ საჯაროდ გადაცემული კონტენტის არჩევაში, თავის პლატფორმაზე უზრუნველყოფს ინსტრუმენტებს, რომლებიც სპეციალურად არის განკუთვნილი ასეთი კონტენტის უკანონო გაზიარებისთვის ან შეგნებულად ხელს უწყობს ასეთ გაზიარებას, რაც შეიძლება დადასტურდეს იმ გარემოებით, რომ ამ ოპერატორმა შემოიღო ფინანსური მოდელი, რომელიც ახალისებს მისი პლატფორმის მომხმარებლებს, განახორციელონ დაცული კონტენტის უკანონო საჯარო გადაცემა.

მეორე და მესამე შეკითხვა მითითებულ საქმეებში C 682/18 და C 683/18

103. მეორე და მესამე კითხვით, რომლებიც მითითებულია ორივე საქმეში, რომელთა განხილვაც მიზანშეწონილია ერთად, მომმართველი სასამართლო სვამს კითხვას, ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1) მუხლი უნდა განიმარტოს თუ არა იმგვარად, რომ ვიდეოს გაზიარების პლატფორმის ან ფაილების ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმის ოპერატორების საქმიანობა ხვდება ამ დებულების ფარგლებში, იმდენად, რამდენადაც ეს აქტივობა მოიცავს პლატფორმის მომხმარებლების მიერ მის პლატფორმაზე ატვირთულ კონტენტს. თუ ეს ასეა, სასამართლოს სურს იცოდეს, არსებითად, უნდა იყოს თუ არა ამ დირექტივის მე-14(1)(ა) მუხლის ინტერპრეტაცია ისეთი, რომ 14(1) მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამორიცხვისთვის, მან იცოდეს მისი მომხმარებლების მიერ ჩადენილი კონკრეტული უკანონო ქმედებების შესახებ მის პლატფორმაზე ატვირთულ დაცულ კონტენტთან დაკავშირებით.

104. ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, როდესაც ხდება ინფორმაციული საზოგადოების სერვისის მიწოდება, რომელიც მოიცავს სერვისის მიმღების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შენახვას, წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ მომსახურების მიმწოდებელი არ იყოს პასუხისმგებელი სერვისის მიმღების მოთხოვნით შენახულ ინფორმაციაზე, იმ პირობით, რომ პროვაიდერს არ აქვს რეალური ცოდნა ან ინფორმაცია უკანონო საქმიანობის შესახებ. რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს, არ იცის ფაქტები ან გარემოებები, საიდანაც ჩანს უკანონო საქმიანობა ან ინფორმაცია ან პროვაიდერი, ასეთი ცოდნის ან ინფორმაციის მიღებისთანავე მოქმედებს დაჩქარებულად, რომ ამოიღოს ან გააუქმოს ინფორ-მაციაზე წვდომა.

105. დადგენილი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ეს დებულება უნდა იქნეს განმარტებული არა მხოლოდ მისი ფორმულირების, არამედ მისი კონტექსტისა და კანონმდებლობის მიზნების გათვალისწინებით, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს (2021 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება, Szpital Kliniczny im. dra). J. Babińskiego Samodzielny Publiczny Zakład Opieki Zdrowotnej Krakowie, C 16/19, EU:C:2021:64, პუნქტი 26 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა). იმისთვის, რომ ინტერნეტში მომსახურების მიმწოდებელი მოხვდეს ამ დებულების მოქმედების ფარგლებში, აუცილებელია, რომ ის იყოს „შუამავალი სერვისის მიმწოდებელი“ კანონმდებლის მიერ გათვალის-წინებული მნიშვნელობით ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის II თავის მე-4 ნაწილის კონტექსტში. ამასთან დაკავშირებით, ამ დირექტივის პრეამბულის 42-ე პუნქტიდან გამომდინარეობს, რომ მასში დადგენილი პასუხისმგებლობისგან გამონაკლისები მოიცავს მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც ინფორმაციული საზოგადოების მომსახურების მიმწოდებლის საქმი-ანობა მხოლოდ ტექნიკური, ავტომატური და პასიური ხასიათისაა, რაც ნიშნავს, რომ ამ

მომსახურების მიმწოდებელს არ აქვს არც ცოდნა და არც კონტროლი ინფორმაციის შესახებ, რომელიც გადაცემული ან შენახულია (იხ., ამასთან დაკავშირებით, 2010 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება, Google France and Google, C 236/08 to C 238/08, EU:C:2010:159, პუნქტები 112 და 113).

106. ამდენად, იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ, შეიძლება თუ არა ვიდეოგაზიარების პლატფორმის ოპერატორი ან ფაილების ჰოსტინგის და გაზიარების პლატფორმის ოპერატორი გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1) მუხლის შესაბამისად, იმ დაცული კონტენტის უკანონო საჯარო გადაცემისთვის, რომელსაც მომხმარებლები ახორციელებენ მისი პლატფორმის საშუალებით, აუცილებელია შემოწმდეს, არის თუ არა ამ ოპერატორის როლი ნეიტრალური, ანუ არის თუ არა მისი ქცევა მხოლოდ ტექნიკური, ავტომატური და პასიური, რაც ნიშნავს, რომ მას არ აქვს ცოდნა ან კონტროლი კონტენტზე, რომელსაც ის ინახავს, ან პირიქით, თამაშობს თუ არა ეს ოპერატორი აქტიურ როლს, რომელიც აძლევს მას ცოდნას ან აკონტროლებს კონტენტს (იხილეთ, ანალოგიით, 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება, L'Oréal და სხვები, C 324/ 09, EU:C:2011:474, პუნქტი 113 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

107. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ თუ მომმართველი სასამართლო საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის 3(1) მუხლის განხილვისას აღმოაჩენდა, რომ YouTube-ს ან Cyando-ს, მხოლოდ მისი პლატფორმის შეთავაზების გარდა, შეაქვს წვლილი დაცული კონტენტის საავტორო უფლებების დარღვევით საჯარო გადაცემაში, შესაბამისი ოპერატორი ვერ შეძლებს დაეყრდნოს ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1) მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ნორმას.

108. მართალია, რომ, როგორც გენერალურმა ადვოკატმა აღნიშნა თავისი მოსაზრების 138-140-ე პუნქტებში, კითხვა, ახორციელებს თუ არა ასეთი ოპერატორი „საჯარო გადაცემას“ საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით, არ არის თავისთავად გადამწყვეტი ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მისადაგების შესაფასებლად. თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ როდესაც ასეთი ოპერატორი, პლატფორმის შეთავაზების მიღმა, ხელს უწყობს ამ კონტენტის საავტორო უფლებების დარღვევით საჯარო გადაცემას, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი აკმაყოფილებს ამ დებულების გამოყენებისთვის გათვალისწინებულ პირობებს, როგორც ეს აღნიშნულია წინამდებარე გადაწყვეტილების 105-ე და 106-ე პუნქტებში.

109. იმ შემთხვევაში, თუ მომმართველი სასამართლო დაადგენს 107-ე პუნქტში მითითებულის საწინააღმდეგოს, წინამდებარე გადაწყვეტილების 92-ე და 97-ე პუნქტებში აღნიშნულ გარემოებაზე დამატებით – რომ ძირითად დავაში განსახილველი პლატფორმის ოპერატორები არ ქმნიან, არ ირჩევენ, არ ნახულობენ და არ აკონტროლებენ მათ პლატფორმებზე ატვირთულ კონტენტს - ამ სასამართლოს მიერ მოხსენიებული ფაქტი, რომ ვიდეოგაზიარების პლატფორმის ოპერატორი, როგორიცაა YouTube, ახორციელებს ტექნოლოგიურ ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავს აღმოაჩინოს მისი პლატფორმის საშუალებით საჯაროდ გადაცემული ვიდეოები, რომელიც შეიძლება არღვევდეს საავტორო უფლებებს, არ ნიშნავს, რომ ამით ოპერატორი ასრულებს აქტიურ როლს, ან ეს აძლევს მას ცოდნას და აკონტროლებს ამ ვიდეოების შინაარსს, თუ განზრახული არ არის, რომ ინფორმაციული საზოგადოების სერვის პროვაიდერებზე, რომლებიც იღებენ სპეციალურ ზომებს, რომ ებრძოლონ დარღვევებს, არ გავრცელდეს ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1) მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამორიცხვის პირობა.

110. აუცილებელია, რომ განსახილველი ოპერატორი შეესაბამებოდეს ამ დებულებით დადგენილ პირობებს, რომლებიც არეგულირებს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას.

111. რაც შეეხება ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1)(ა) მუხლით დადგენილ პირობას, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს დაკმაყოფილებულად მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ამ ოპერატორმა იცის, ზოგადი გაგებით, ფაქტი, რომ მისი პლატფორმა ასევე გამოიყენება კონტენტის გასაზიარებლად, რომელიც შეიძლება არღვევდეს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს და, შესაბამისად, მას აქვს აბსტრაქტული ცოდნა, რომ დაცული კონტენტი მის პლატფორმაზე უკანონოდ ხდება ხელმისაწვდომი.

112. როგორც გენერალურმა ადვოკატმა აღნიშნა თავისი დასკვნის 172–190-ე პუნქტებში და 196-ე პუნქტში, ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1) მუხლის ფორმულირებიდან, მიზნებიდან და სქემიდან და მთლიანი კონტექსტიდან, რომელშიც ის გვხდება, აშკარაა, რომ 14(1)(ა) მუხლში აღნიშნული სიტუაციები – კერძოდ, სიტუაცია, როდესაც მომსახურების მიმწოდებელს აქვს „ფაქტობრივი ცოდნა უკანონო საქმიანობის ან ინფორმაციის შესახებ“ და სიტუაცია, როდესაც ასეთმა პროვაიდერმა „იცოდა ფაქტები ან გარემოებები, რომლებიდანაც უკანონო აქტივობა ან ინფორმაცია აშკარაა“ – გულისხმობს კონკრეტულ არალეგალურ ქმედებას და ინფორმაციას.

113. ამასთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1)(ა) მუხლის ფორმულირების თანახმად, საქმიანობის ან ინფორმაციის უკანონობა უნდა იყოს ფაქტობრივი ცოდნის საკითხი, ან უნდა იყოს აშკარა, ანუ, ის კონკრეტულად უნდა იყოს დადგენილი ან ადვილად იდენტიფიცირებადი, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ამ დირექტივის პრეამბულის 41-ე და 46-ე პუნქტებიდან ირკვევა, 14(1) მუხლი ასახავს ბალანსს, რომლის დამყარებასაც დირექტივა ცდილობს სხვადასხვა ინტერესებს შორის, რომლებიც მოიცავს გამოხატვის თავისუფლების დაცვას, რომელიც გარანტირებულია ქარტიის მე-11 მუხლით. ამრიგად, პირველ რიგში, ამ დირექტივის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი სერვისების მიმწოდებლები არ შეიძლება დაექვემდებარონ ზოგად ვალდებულებას, გააკონტროლონ ინფორმაცია, რომელსაც ისინი გადასცემენ ან ინახავენ, ან ზოგად ვალდებულებას, აქტიურად მოიძიონ უკანონო ქმედების დამადასტურებელი ფაქტები ან გარემოებები. მეორე, ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1)(ბ) მუხლის შესაბამისად, ამ პროვაიდერებმა, როგორც კი ისინი რეალურად მიიღებენ ცოდნას უკანონო ინფორმაციის შესახებ, უნდა იმოქმედონ დაჩქარებულად და წაშალონ ან გააუქმონ ამ ინფორმაციაზე წვდომა გამოხატვის თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით. როგორც მომმართველმა სასამართლომაც აღნიშნა, პროვაიდერს ასეთი ვალდებულების შესრულება შეუძლია მხოლოდ კონკრეტულ კონტენტთან მიმართებაში.

114. ამასთან დაკავშირებით, ის ფაქტი, რომ ონლაინ კონტენტის გაზიარების პლატფორმის ოპერატორი ავტომატურად ახდენს ამ პლატფორმაზე ატვირთული კონტენტის ინდექსირებას, და რომ ამ პლატფორმას აქვს ძიების ფუნქცია და რომ ის რეკომენდაციას უწევს ვიდეოებს მომხმარებლის პროფილების ან პრეფერენციების საფუძველზე, არ არის საკმარისი დასკვნის საფუძველი, რომ ამ ოპერატორს აქვს „სპეციფიკური“ ცოდნა ამ პლატფორმაზე განხორციელებული უკანონო ქმედებების ან მასზე შენახული უკანონო ინფორმაციის შესახებ.

115. რაც შეეხება უფრო კონკრეტულად ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1)(ა) მუხლით გათვალისწინებულ მეორე სიტუაციებს, კერძოდ, სიტუაციას, რომელიც ეხება „ფაქტების ან გარემოებების შესახებ [ცოდნას], საიდანაც უკანონო საქმიანობა ან ინფორმაცია აშკარაა“, სასამართლომ დაადგინა: საკმარისია, რომ მომსახურების მიმწოდებელს ამა თუ იმ გზით გაეგო ფაქტები ან გარემოებები, რომელთა საფუძველზეც კეთილსინდისიერ ეკონომიკურ ოპერატორს უნდა გამოევლინა აღნიშნული უკანონობა და ემოქმედა 14(1)(ბ) მუხლის შესაბამისად. ეს მოიცავს, inter alia, სიტუაციას, როდესაც ასეთი პროვაიდერი საკუთარი ინიციატივით ჩატარებული გამოძიების შედეგად აღმოაჩენს უკანონო ქმედებას ან უკანონო ინფორმაციას, ასევე სიტუაციას, როდესაც ოპერატორს ეცნობება ასეთი ქმედების ან ინფორმაციის არსებობის შესახებ. მეორე

შემთხვევაში, მართალია, ასეთი შეტყობინება ავტომატურად არ გამორიცხავს მე-14 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, რადგან სავარაუდო უკანონო ქმედების ან ინფორმაციის შესახებ შეტყობინებები შეიძლება აღმოჩნდეს არასაკმარისად ზუსტი ან არაადეკვატურად დასაბუთებული, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ასეთი შეტყობინება, როგორც წესი, არის ფაქტორი, რომელიც ეროვნულმა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, როდესაც აფასებს, გადაცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, იცოდა თუ არა ამ პროვაიდერმა ფაქტები ან გარემოებები, რომლებზე დაყრდნობით კეთილსინდისიერ ეკონომიკურ ოპერატორს უნდა გამოევლინა უკანონობა (2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება, L'Oréal and Others, C 324/09, EU:C:2011:474, გვერდი 122).

116. ამ კონტექსტში, უნდა აღინიშნოს, რომ შეტყობინება იმის შესახებ, რომ მოხდა დაცული კონტენტის უკანონო საჯარო გადაცემა ვიდეოგაზიარების პლატფორმის ან ფაილების ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმის მეშვეობით, უნდა შეიცავდეს საკმარის ინფორმაციას, რათა ამ პლატფორმის ოპერატორს შეეძლოს, დეტალური სამართლებრივი შემოწმების გარეშე დარწმუნდეს, რომ ეს საჯარო გადაცემა უკანონოა და რომ ამ კონტენტის წაშლა შეესაბამება გამოხატვის თავისუფლებას.

117. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პასუხი მეორე და მესამე კითხვაზე, რომლებიც მითითებულია ორივე შემთხვევაში, არის ის, რომ ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1) მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ ვიდეოს გაზიარების პლატფორმის ან ფაილების ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმის ოპერატორის ქმედება ექცევა ამ დებულების ფარგლებში, იმ პირობით, რომ ეს ოპერატორი არ თამაშობს ისეთ აქტიურ როლს, რომ გააჩნდეს ცოდნა ან ჰქონდეს კონტროლი მის პლატფორმაზე ატვირთულ კონტენტზე.

118. ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1)(ა) მუხლი ასე უნდა განიმარტოს: იმისთვის, რომ ოპერატორი არ გათავისუფლდეს 14(1) მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან, მას უნდა ჰქონდეს ცოდნა ან ინფორმაცია მომხმარებლების მიერ ჩადენილი კონკრეტული უკანონო ქმედებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მის პლატფორმაზე ატვირთულ დაცულ კონტენტთან.

მეოთხე შეკითხვა C 682/18 და C 683/18 საქმეებში

119. ორივე საქმეში მითითებული მეოთხე კითხვით, მომხსენებელი სასამართლო სვამს კითხვას, უნდა იქნეს თუ არა განმარტებული საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის 8(3) მუხლი ისე, რომ ის გამორიცხავს შემთხვევას, როდესაც უფლების მფლობელს სერვისის პროვაიდერის წინააღმდეგ, რომლის სერვისს წარმოადგენს მომსახურების მიმღების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შენახვა და რომლის სერვისი სერვისის მიმღებმა გამოიყენა საავტორო ან მომიჯნავე უფლებების დარღვევისთვის, არ შეუძლია გამოიყენოს აკრძალვა, თუ ასეთი დარღვევა არ განმეორდა აშკარა დარღვევის შესახებ შეტყობინების მიწოდების შემდეგ.

120. მითითების შესახებ ბრძანებებიდან ირკვევა, რომ ამ კითხვით მომმართველი სასამართლო ითხოვს გარკვევას, შეესაბამება თუ არა საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის 8(3) მუხლს, ძირითად დავაში არსებულ გარემოებებში გერმანული კანონმდებლობით გათვალისწინებული „ჩარევის პასუხისმგებლობის შესახებ“ (Störerhaftung) წესების გამოყენება, თუ აღმოჩნდება, რომ YouTube და Cyando თავად არ ახორციელებენ თავიანთ პლატფორმებზე მომხმარებლების მიერ ატვირთული უკანონო კონტენტის საჯარო გადაცემას და რომ მათზე ვრცელდება ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1) მუხლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების წესები.

121. მომმართველი სასამართლო აცხადებს, რომ, მის მიერ დადგენილი სასამართლო პრაქტიკით, შუამავლებს, როგორც „ჩარევის განმახორციელებლებს“, რომელთა მომსახურებასაც მესამე მხარე იყენებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დასარღვევად, შეიძლება მოეთხოვოთ დამრღვევი ქმედების აღკვეთა. ამრიგად, ასეთი დარღვევის შემთხვევაში, პირის მიმართ, რომელიც - არ არის ამ დარღვევის ჩამდენი ან მონაწილე - განზრახ რაიმე სახით და ადეკვატური მიზეზობრივი კავშირით ხელს უწყობს დარღვევას, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულად და ფინანსურად იმყოფება ისეთ პოზიციაში, რომ შეუძლია აღკვეთოს დარღვევა, შეიძლება აღიძრას სარჩელი, როგორც „ჩარევის განმახორციელებლის“ წინააღმდეგ. იმისთვის, რომ წარმოიშვას „ჩარევის“ პასუხისმგებლობა, უნდა არსებობდეს ქცევის ვალდებულებების დარღვევა, რომლის ფარგლები დამოკიდებულია იმაზე, შეიძლება თუ არა და რა მოცულობით შეიძლება მოეთხოვოს „ჩარევის განმახორციელებელს“ მესამე პირების შემოწმება ან მონიტორინგი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევები.

122. მომმართველი სასამართლო აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ „ჩარევის განმახორციელებელი“ არის სერვისის მიმწოდებელი, რომლის სერვისი მოიცავს მომხმარებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შენახვას, პრინციპში, სერვისის პროვაიდერი შეიძლება იყოს აკრძალვის მოთხოვნის ადრესატი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინტელექტუალური საკუთრების უფლების აშკარა დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ, ეს უფლება ხელახლა ირღვევა ან გრძელდება დარღვევა იმის გამო, რომ სერვისის პროვაიდერი ამ შეტყობინების შემდეგ არ ჩაერია სასწრაფოდ, რათა ამოეღო სადავო კონტენტი ან დაებლოკა მასზე წვდომა და უზრუნველეყო, რომ ასეთი დარღვევები არ განმეორდეს.

123. უფრო მეტიც, მიმართვის შესახებ ბრძანებებიდან ჩანს, რომ ეს წესი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც, ასეთი დარღვევის შესახებ შეტყობინების თარიღამდე, მომსახურების მიმწოდებელს არ ჰქონდა „ცოდნა“ ან „ინფორმაცია“ ამ დარღვევის შესახებ ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მნიშვნელობით.

124. აქედან გამომდინარეობს, რომ ორივე საქმეში დასმული მეოთხე კითხვით, მომმართველი სასამართლო, არსებითად, ცდილობს გაარკვიოს, უნდა განიმარტოს თუ არა საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის 8(3) მუხლი ისე, რომ ის გამორიცხავს ეროვნული კანონმდებლობით ისეთი შემთხვევის გათვალისწინებას, რომლის დროსაც უფლების მფლობელს სერვისის პროვაიდერის წინააღმდეგ, რომლის სერვისს წარმოადგენს მომსახურების მიმღების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შენახვა და რომლის სერვისი სერვისის მიმღებმა გამოიყენა საავტორო ან მომიჯნავე უფლებების დარღვევისთვის, ისე, რომ სერვისის პროვაიდერმა არ იცოდა ან არ ჰქონდა ინფორმაცია ამ დარღვევის შესახებ დირექტივის 14(1)(ა) მუხლის მნიშვნელობით, შეუძლია გამოიყენოს აკრძალვის ღონისძიება მხოლოდ მაშინ, როცა სამართლებრივი პროცედურების დაწყებამდე პროვაიდერს ეცნობა ამ დარღვევის შესახებ და ამ უკანასკნელმა არ იმოქმედა სწრაფად, რათა წაეშალა სადავო კონტენტი ან დაებლოკა მასზე წვდომა, რათა უზრუნველეყო, რომ ასეთი დარღვევები აღარ განმეორდეს.

125. საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ „წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ უფლებების მფლობელთა უფლებას, მოითხოვონ შუამავლებისგან, რომელთა მომსახურებას მესამე მხარე იყენებს საავტორო ან მომიჯნავე უფლებების დასარღვევად, დამრღვევი ქმედების აკრძალვა“.

126. სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ეროვნულ სასამართლოებს, ამ დებულების შესაბამისად მინიჭებული უფლებამოსილება უნდა აძლევდეს უფლებას, დაავალონ ასეთ შუამავლებს მიიღონ ზომები, რომლებიც მიმართულია არა მხოლოდ მათი სერვისების

გამოყენებით უკვე ჩადენილი საავტორო ან მომიჯნავე უფლებების დარღვევის დასასრულებლად, არამედ შემდგომი დარღვევების თავიდან ასაცილებლად (იხ. 2012 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება, SABAM, C 360/10, EU:C:2012:85, პუნქტი 29 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

127. როგორც საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის პრეამბულის 59-ე პუნქტიდან ირკვევა, აკრძალვის გამოყენების წესები, როგორიცაა გამოყენებისთვის საჭირო პირობები და პროცედურები, რომლებიც წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ამ დირექტივის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ეროვნული კანონმდებლობის საკითხია (იხ. 2012 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილება, SABAM, C 360/10, EU:C:2012:85, პუნქტი 30 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

128. წევრი სახელმწიფოების მიერ დადგენილი წესები და მათი გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ უნდა შეესაბამებოდეს საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის მიზნებს (იხ. ანალოგიით, 2016 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, Tommy Hilfiger Licensing and Others, C 494/15, EU:C:2016:528, პარაგრაფი 33 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა) და ამ დირექტივიდან გამომდინარე შეზღუდვებს, ისევე როგორც სამართლის წყაროებს, რომლებზეც ეს დირექტივა მიუთითებს. ამრიგად, ამ დირექტივის პრეამბულის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ეს წესები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის პასუხის-მგებლობასთან დაკავშირებულ დებულებებს და, კონკრეტულად, მის მე-12-მე-15 მუხლებს (იხ. C360/10, EU:C:2012:85, პუნქტები 31 და 32, და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

129. მომმართველი სასამართლო აღნიშნავს, რომ გერმანიის კანონმდებლობით დადგენილი პირობა, რომ უფლების მფლობელმა, რომელიც თვლის, რომ მისი საავტორო ან მომიჯნავე უფლება დაირღვა მისი ნაწარმოების საჯარო გადაცემით, რომელიც განხორციელდა სერვისის პროვაიდერის შენახვის სივრცის საშუალებით, ამ ფაქტის შესახებ, პირველ რიგში უნდა აცნობოს სერვისის პროვაიდერს რათა მას საშუალება მისცეს სწრაფად აღკვეთოს ეს დარღვევა და თავიდან აიცილოს მისი განმეორება, ისე, რომ პროვაიდერი არ იყოს პასუხისმგებელი, inter alia, სასამართლო ხარჯებზე, მიზნად ისახავს, გაითვალისწინოს ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1) მუხლის ლოგიკა და ამ დირექტივის 15(1) მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა ამ სერვისის მიმწოდებელს, დაეკისროს ინფორმაციის მონიტორინგისა და დარღვევის დამადასტურებელი ფაქტებისა და გარემოებების აქტიურად მოძიების ზოგადი ვალდებულება.

130. ამასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის მე-14 მუხლი არ ითხოვს წევრი სახელმწიფოებისგან ასეთი პირობის დაწესებას.

131. ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტიდან ირკვევა, მისი პრეამბულის 45-ე პუნქტის გათვალისწინებით, 14(1) მუხლით გათვალისწინებული პასუხის-მგებლობისგან გათავისუფლება არ აუქმებს ეროვნული სასამართლოების ან ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილებას მოსთხოვონ შესაბამის პროვაიდერს აღკვეთოს ან თავიდან აიცილოს დარღვევა, მათ შორის უკანონო ინფორმაციის წაშლით ან მასზე წვდომის გამორთვით. აქედან გამომდინარეობს, რომ სერვისის პროვაიდერს შეიძლება დაეკისროს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა მაშინაც კი, თუ ის აკმაყოფილებს ამ დირექტივის 14(1) მუხლით განსაზღვრულ ერთ-ერთ ალტერნატიულ პირობას, ე.ი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი არ ითვლება პასუხისმგებლად (2019 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება, Glawischnig-Piesczek, C 18/18, EU:C:2019:821, პუნქტები 24 და 25).

132. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი წევრ სახელმწიფოებს ასევე აძლევს უფლებას დააწესონ პროცედურები, რომლებიც არეგულირებს უკანონო ინფორმაციის წაშლას ან ასეთ ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვას. ამრიგად, მაშინ, როცა წევრ სახელმწიფოებს, საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის 8(3) მუხლის თანახმად, მოეთხოვებათ უზრუნველყონ ამ დირექტივით დაფარული უფლებების მფლობელებისთვის სამართლებრივი დაცვის საშუალება იმ პროვაიდერების წინააღმდეგ, რომელთა მომსახურებასაც იყენებენ მესამე მხარეები ამ უფლებების დასარღვევად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, განსაზღვრონ პროცედურა, რომელიც წინ უსწრებს ამ სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენებას, რომელიც ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ, ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 14(1) მუხლის შესაბამისად, მომსახურების მიმწოდებელი პასუხისმგებელი არ არის განსახილველ დარღვევაზე.

133. ასეთი წინასწარი პროცედურის კონტექსტში, წევრ სახელმწიფოს შეუძლია დააწესოს ისეთი პირობა, როგორიც მოცემულია წინამდებარე გადაწყვეტილების 129-ე პუნქტში. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პირობა იძლევა უკანონო ინფორმაციის წაშლის ან დაბლოკვის საშუალებას, ის ასევე მიზნად ისახავს უფლების მფლობელს მოსთხოვოს, უპირველეს ყოვლისა, მისცეს სერვისის მიმწოდებელს შესაძლებლობა სწრაფად აღკვეთოს შესაბამისი დარღვევა და თავიდან აიცილოს მისი განმეორება, ისე რომ სერვის პროვაიდერი, რომელიც არ არის პასუხისმგებელი დარღვევაზე ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, არ დაექვემდებაროს სასამართლო ხარჯების ანაზღაურებას. ამასთან, უფლების მფლობელს არ ერთმევა უფლება, გამოიყენოს ამავე სერვისის პროვაიდერის წინააღმდეგ გამოტანილი აკრძალვა, თუ ეს პროვაიდერი არ ასრულებს საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის 8(3) მუხლს.

134. შემდეგი, ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 15(1) მუხლი უკრძალავს წევრ სახელმწიფოებს, დაავალდებულონ სერვისის პროვაიდერი, განახორციელოს მის მიერ შენახული ინფორმაციის მონიტორინგი ან აქტიურად მოიძიოს დარღვევის დამადასტურებელი ფაქტები და გარემოებები.

135. სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ ზომები, რომლებიც მოიცავს სერვისის მიმწოდებლის ვალდებულებას, ექსკლუზიურად საკუთარი ხარჯებით დანერგოს სკრინინგის სისტემა, რომელიც გულისხმობს ზოგად და მუდმივ მონიტორინგს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შემდგომი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, შეუსაბამოა ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 15(1) მუხლთან (იხ., ამასთან დაკავშირებით, 2011 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებები, Scarlet Extended, C 70/10, EU:C:2011:771, პუნქტები 36-დან 40-მდე და 2012 წლის 16 თებერვალი, SABAM, C 360/10, EU:C:2012:85, პუნქტები 34-დან 38-მდე).

136. გერმანიის კანონმდებლობით, აკრძალვის გამოყენებისთვის დადგენილ პირობას აქვს კონკრეტული ეფექტი და გამორიცხავს შემთხვევას, როდესაც სერვისის პროვაიდერი, როგორიცაა ონლაინ კონტენტის გაზიარების პლატფორმის ოპერატორი, ექვემდებარება აკრძალვას და სასამართლო ხარჯების ანაზღაურებას, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესის დაწყებამდე იგი არ იყო ინფორმირებული ამ პლატფორმის მომხმარებლის მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის თაობაზე და, შესაბამისად, არ ჰქონდა შესაძლებლობა გამოესწორებინა ასეთი დარღვევა და მიეღო საჭირო ზომები ასეთი დარღვევის განმეორების თავიდან ასაცილებლად. ასეთი პირობის არარსებობის შემთხვევაში, ასეთი ოპერატორი ვალდებული იქნებოდა, აქტიურად ეკონტროლებინა მომხმარებლების მიერ ატვირთული კონტენტი, რათა თავიდან აეცილებინა ამ ტიპის დარღვევები და არ დაქვემდებარებოდა აკრძალვას და სასამართლო ხარჯების ანაზღაურებას.

137. ამ გარემოებებში უნდა დადგინდეს, რომ ძირითად დავაში ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული პირობა შესაბამისობაშია ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 15(1) მუხლთან.

138. დაბოლოს, რაც შეეხება ძირითად დავაში ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული პირობის საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის მიზნებთან თავსებადობას, უნდა გვახსოვდეს, რომ წინამდებარე გადაწყვეტილების 63-ე და 64-ე პუნქტებიდან და სასამართლოს დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ ეროვნული ორგანოებისა და სასამართლოების ფუნქციაა, უფლებათა მფლობელების დასაცავად მიღებული ზომების კონტექსტში, დაამყარონ სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, ინტელექტუალური საკუთრების უფლების, რომლითაც სარგებლობენ ამ უფლებების მფლობელები ქარტიის მე-17(2) მუხლის მიხედვით, დაცვასა და, მეორე მხრივ, ქარტიის მე-16 მუხლით გარანტირებულ ბიზნესის თავისუფლებასა და მომსახურების მიმწოდებლებისთვის ქარტიის მე-11 მუხლით გარანტირებულ გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებას შორის (იხ., ამასთან დაკავშირებით, 2011 წლის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებები, Scarlet Extended, C 70/10, EU:C:2011:771, პუნქტები 45 და 46, და 2012 წლის 16 თებერვალი, SABAM, C 360/10, EU :C:2012:85, პუნქტები 43 და 44).

139. ისეთი პირობა, როგორიც გერმანიის კანონმდებლობით არის დადგენილი აკრძალვის გამოყენებისთვის, არ არის შეუთავსებელი ამ ბალანსთან.

140. კერძოდ, ასეთი პირობა მომსახურების მიმწოდებელს იცავს წინამდებარე გადაწყვეტილების 136-ე პუნქტში ჩამოყალიბებული შედეგებისგან, არ ართმევს უფლებას უფლების მფლობელს ეფექტიანად აღკვეთოს მესამე პირის მიერ შესაბამისი სერვისის მეშვეობით საავტორო ან მომიჯნავე უფლებების დარღვევა და შემდგომი დარღვევების თავიდან აცილება. ამრიგად, საკმარისია უფლების მფლობელმა შეატყობინოს მომსახურების მიმწოდებელს დარღვევის შესახებ, რათა ამ უკანასკნელს დაევალოს, დაჩქარებულად წაშალოს სადავო კონტენტი ან დაბლოკოს მასზე წვდომა და მიიღოს შესაბამისი ზომები შემდგომი დარღვევების თავიდან ასაცილებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში უფლების მფლობელს უფლება ექნება მიმართოს სასამართლოს აკრძალვის მოთხოვნით.

141. თუმცა, ეროვნულმა სასამართლოებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ ამ პირობის გამოყენებისას და, კერძოდ, ტერმინის „დაჩქარებული“ ინტერპრეტაციისას, რომ ამ პირობამ არ გამოიწვიოს საავტორო ან მომიჯნავე უფლების დარღვევის აღკვეთის დაყოვნება ისე, რომ არაპროპორციული ზიანი მიაყენოს უფლების მფლობელს, იმის გათვალისწინებით, თუ რა სისწრაფით შეიძლება დადგეს ასეთი ზიანი. ასევე, გასათვალისწინებელია ასეთი დარღვევის გეოგრაფიული მასშტაბები ინფორმაციული საზოგადოების სერვისების კონტექსტში, როგორც ეს აღნიშნულია ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის პრეამბულის 52-ე პუნქტში.

142. ამ კონტექსტში, ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ელექტრონული კომერციის შესახებ დირექტივის 18(1) მუხლის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ინფორმაციული საზოგადოების მომსახურების აქტივობებთან დაკავშირებით ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი საშუალებები საშუალებას მისცემს უფლების მფლობელებს, სწრაფად მიიღონ ზომები, მათ შორის დროებითი ზომები, რომელთა მიზანია აღიკვეთოს ყველა სავარაუდო დარღვევა.

143. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პასუხი მეოთხე კითხვაზე, რომელიც მითითებულია ორივე საქმეში, არის, რომ საავტორო უფლებების შესახებ დირექტივის 8(3) მუხლი ისე უნდა იქნეს განმარტებული, რომ არ გამორიცხავს ეროვნული კანონმდებლობით ისეთი შემთხვევის გათვალისწინებას, რომლის დროსაც უფლების მფლობელს სერვისის პროვაიდერის წინააღმდეგ, რომლის სერვისს წარმოადგენს მომსახურების მიმღების მიერ მოწოდებული

ინფორმაციის შენახვა და რომლის სერვისი სერვისის მიმღებმა გამოიყენა საავტორო ან მომიჯნავე უფლებების დარღვევისთვის, ისე, რომ სერვისის პროვაიდერმა არ იცოდა ან არ ჰქონდა ინფორმაცია ამ დარღვევის შესახებ დირექტივის 14(1)(ა) მუხლის მნიშვნელობით, შეუძლია გამოიყენოს აკრძალვის ღონისძიება მხოლოდ მაშინ, როცა სამართლებრივი პროცედურების დაწყებამდე პროვაიდერს ეცნობა ამ დარღვევის შესახებ და ამ უკანასკნელმა არ იმოქმედა სწრაფად, რათა წაეშალა სადავო კონტენტი ან დაებლოკა მასზე წვდომა, რათა უზრუნველეყო, რომ ამგვარი დარღვევები აღარ განმეორდეს. თუმცა, ეროვნული სასამართლოები უნდა დარწმუნდნენ, რომ ასეთი პირობის გამოყენება არ გამოიწვევს დარღვევის აღკვეთის გახანგრძლივებას ისე, რომ არაპროპორციული ზიანი მიაყენოს უფლების მფლობელს.

მეხუთე და მეექვსე შეკითხვა საქმეებში C 682/18 და C 683/18

144. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ არის საჭირო, ვინაიდან ეს კითხვები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისმებოდა, თუ პირველ და მეორე კითხვებს უარყოფითი პასუხი გაეცემოდა.

ხარჯები

145. ვინაიდან ეს პროცესი ძირითადი დავის მხარეებისთვის ეროვნული სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოების ნაწილია, ხარჯებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ამ სასამართლოს ეკუთვნის. სასამართლოსთვის შენიშვნების წარდგენისას გაწეული ხარჯები, გარდა ამ მხარეების ხარჯებისა, არ ანაზღაურდება.

ამ საფუძვლებიდან გამომდინარე, სასამართლო (დიდი პალატა) ადგენს:

1. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების ზოგიერთი ასპექტის ჰარმონიზაციის შესახებ 2001/29/EC დირექტივის 3(1) მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ ვიდეოგაზიარების პლატფორმის ან ფაილის ჰოსტინგის და გაზიარების პლატფორმის ოპერატორი, რომელზეც მომხმარებლებს შეუძლიათ დაცული კონტენტის არალეგალურად საჯარო გადაცემა, არ ახდენს ამ კონტენტის „საჯარო გადაცემას“ ამ დებულების მნიშვნელობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ამ პლატფორმის შეთავაზების მიღმა, ხელს უწყობს ამ კონტენტზე საჯარო წვდომას საავტორო უფლებების დარღვევით. ეს არის შემთხვევა, inter alia, როდესაც ამ ოპერატორს აქვს კონკრეტული ცოდნა, რომ დაცული კონტენტი მის პლატფორმაზე არალეგალურად არის ხელმისაწვდომი და თავს იკავებს მისი დაჩქარებული წაშლისგან ან მასზე წვდომის დაბლოკვისგან, ან როდესაც ოპერატორმა, მიუხედავად იმისა, რომ იცის, ან უნდა იცოდეს ზოგადი გაგებით, რომ მისი პლატფორმის მომხმარებლები არალეგალურად ახდენენ დაცული კონტენტის საჯარო გადაცემას მისი პლატფორმის მეშვეობით, თავს იკავებს შესაბამისი ტექნოლოგიური ზომების გატარებისგან, რაც შეიძლება მოსალოდნელი იყოს გონივრულად კეთილსინდისიერი ოპერატორისგან მის სიტუაციაში, რათა დამაჯერებელი და ეფექტიანი წინააღმდეგობა გაუწიოს საავტორო უფლებების დარღვევას ამ პლატფორმაზე, ან როდესაც ეს ოპერატორი მონაწილეობს უკანონოდ საჯაროდ გადაცემული კონტენტის არჩევაში, თავის პლატფორმაზე უზრუნველყოფს ინსტრუმენტებს, რომლებიც სპეციალურად არის განკუთვნილი ასეთი კონტენტის უკანონო გაზიარებისთვის, ან შეგნებულად ხელს უწყობს ასეთ გაზიარებას, რაც შეიძლება დადასტურდეს იმ გარემოებით, რომ ამ ოპერატორმა შემოიღო ფინანსური მოდელი, რომელიც ახალისებს მისი პლატფორმის მომხმარებლებს, განახორციელონ დაცული კონტენტის უკანონო საჯარო გადაცემა.

2. 2000/31 დირექტივის 14(1) მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ ვიდეოს გაზიარების პლატფორმის ან ფაილების ჰოსტინგისა და გაზიარების პლატფორმის ოპერატორის ქმედება ექცევა ამ დებულების ფარგლებში, იმ პირობით, რომ ეს ოპერატორი არ ასრულებს ისეთ აქტიურ როლს, რომ ჰქონდეს ცოდნა ან კონტროლი მის პლატფორმაზე ატვირთულ კონტენტზე.

2000/31 დირექტივის 14(1)(ა) მუხლი უნდა განიმარტოს ასე: იმისთვის, რომ ოპერატორი არ გათავისუფლდეს 14(1) მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან, მას უნდა ჰქონდეს ცოდნა ან ინფორმაცია მომხმარებლების მიერ ჩადენილი კონკრეტული უკანონო ქმედებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მის პლატფორმაზე ატვირთულ დაცულ კონტენტთან.

3. 2001/29 დირექტივის 8(3) მუხლი ასე უნდა იქნეს განმარტებული: ის არ გამორიცხავს ეროვნული კანონმდებლობით ისეთი შემთხვევის გათვალისწინებას, რომლის დროსაც უფლების მფლობელს სერვისის პროვაიდერის წინააღმდეგ, რომლის სერვისს წარმოადგენს მომსახურების მიმღების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შენახვა და რომლის სერვისი სერვისის მიმღებმა გამოიყენა საავტორო ან მომიჯნავე უფლებების დარღვევისთვის, ისე, რომ სერვისის პროვაიდერმა არ იცოდა ან არ ჰქონდა ინფორმაცია ამ დარღვევის შესახებ დირექტივის 14(1)(ა) მუხლის მნიშვნელობით, აკრძალვის ღონისძიება შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ მაშინ, როცა სამართლებრივი პროცედურების დაწყებამდე პროვაიდერს ეცნობა ამ დარღვევის შესახებ და ამ უკანასკნელმა არ იმოქმედა სწრაფად, რათა წაეშალა სადავო კონტენტი, ან დაებლოკა მასზე წვდომა, რათა უზრუნველეყო, რომ ასეთი დარღვევები აღარ განმეორებულიყო. თუმცა, ეროვნული სასამართლოები უნდა დარწმუნდნენ, რომ ასეთი პირობის გამოყენება არ გამოიწვევს დარღვევის აღკვეთის გახანგრძლივებას ისე, რომ არაპროპორციული ზიანი მიაყენოს უფლების მფლობელს.

C-160/15 GS Media

სასამართლოს გადაწყვეტილება (მეორე პალატა)

2016 წლის 8 სექტემბერი

მიმართვა წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად – საავტორო მომიჯნავე უფლებები – დირექტივა 2001/29/EC – ინფორმაციული საზოგადოება – საავტორო და მომიჯნავე უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაცია – მუხლი 3(1) – საჯარო გადაცემა – განმარტება – ინტერნეტი – დაცულ ნაწარმოებზე წვდომის ჰიპერბმულები, რომლებიც ხელმისაწვდომია სხვა ვებგვერდზე უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე – ნაწარმოებები, რომლებიც ჯერ არ არის გამოქვეყნებული უფლების მფლობელის მიერ – ასეთი ბმულების განთავსება მოგების მიზნით

საქმეში C 160/15,

მოთხოვნა წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანისთვის TFEU-ს 267-ე მუხლით Hoge Raad der Nederlanden-ისგან (ნიდერლანდების უმაღლესი სასამართლო), მიღებული 2015 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილებით, წარდგენილი სასამართლოში 2015 წლის 7 აპრილს.

GS Media BV

v

Sanoma Media Netherlands BV,

Playboy Enterprises International Inc.,

ბრიტ გერტრუიდა დეკერი,

სასამართლო (მეორე პალატა),

შემადგენლობა: მ. ილეშიჩი (მომხსენებელი), პალატის პრეზიდენტი, კ. ტოადერი, ა. როსასი, ა. პრეჩალი და ე. იარაშიუნასი, მოსამართლეები,

გენერალური ადვოკატი: მ. ვატელეტი,

რეგისტრატორი: მ. ფერეირა, მთავარი ადმინისტრატორი,

წერილობითი პროცედურისა და შემდგომ 2016 წლის 3 თებერვლის მოსმენის გათვალისწინებით,

შემდეგი პირების სახელით წარმოდგენილი პოზიციების განხილვის შემდეგ:

- GS Media BV, წარმომადგენლები: რ. ცჰავანნესი და დ. ფერლუსტი, ადვოკატები,
- Sanoma Media Netherlands BV, Playboy Enterprises International Inc. და ქალბატონი დეკერი, წარმომადგენლები: კ. ალბერდინგკ ტიიმი და კ. დე ვრიესი, ადვოკატები,
- გერმანიის მთავრობა, წარმოდგენილი ტ. ჰენზესა და დ. კუონის მიერ, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები,
- საფრანგეთის მთავრობა, წარმოდგენილი დ. სეგოინის, დ. კოლას და გ. დე ბერგეს მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ აგენტებად,
- პორტუგალიის მთავრობა, წარმოდგენილი ლ. ინეზ ფერნანდესისა და ტ. რენდასის მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ აგენტებად,

– სლოვაკეთის მთავრობა, წარმოდგენილი ბ. რიცსიოვას მიერ, რომელიც მოქმედებს როგორც აგენტი,
– ევროკომისია, წარმოდგენილი ფ. ვილმანის და ტ. შარფის და ჯ. სამნადას მიერ, აგენტების როლში,
– 2016 წლის 7 აპრილს გამართულ სხდომაზე გენერალური ადვოკატის აზრის მოსმენის შემდეგ, იღებს შემდეგ

გადაწყვეტილებას

1. წინასწარი გადაწყვეტილების გამოტანის ეს მოთხოვნა ეხება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების ზოგიერთი ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ 2001/29/EC დირექტივის (OJ 2001 L 167, გვ. 10) 3(1) მუხლის ინტერპრეტაციას.

2. მოთხოვნა წარდგენილ იქნეს GS Media BV-სა და Sanoma Media Netherlands BV-ს („Sanoma“), Playboy Enterprises International Inc.-სა და ქალბატონ ბრიტ გეერტრუიდა დეკერს (ერთად „სანომა და სხვები“) შორის მიმდინარე დავაში, რომელიც ეხება inter alia, GeenStijl.nl ვებგვერდზე („GeenStijl ვებგვერდი“), რომელსაც მართავს GS Media, სხვა ვებგვერდების ჰიპერბმულების განთავსებას, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქალბატონი დეკერის ფოტოების ნახვას, რომლებიც გადაღებულია ჟურნალისთვის Playboy („სადავო ფოტოები“).

სამართლებრივი კონტექსტი

2001/29 დირექტივის პრეამბულის მე-3, მე-4, მე-9, მე-10, 23-ე და 31-ე პუნქტებში აღნიშნულია:

(3) შემოთავაზებული ჰარმონიზაცია ხელს შეუწყობს შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლების პრინციპის განხორციელებას და ეხება კანონის ფუნდამენტურ პრინციპებთან და განსაკუთრებით საკუთრების, მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების, გამოხატვის თავისუფლებისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას.

(4) საავტორო და მომიჯნავე უფლებების ჰარმონიზებული საკანონმდებლო ბაზა, გაზრდილი სამართლებრივი სიცხადისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მაღალი დონის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს არსებით ინვესტიციებს შემოქმედებით სფეროსა და ინოვაციებში, მათ შორის ქსელის ინფრასტრუქტურაში და, თავის მხრივ, გამოიწვევს ევროპული მრეწველობის კონკურენტუნარიანობის ზრდას როგორც კონტენტის მიწოდებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, ისე ზოგადად ინდუსტრიული და კულტურული სექტორების ფართო სპექტრში…

…

(9) საავტორო და მომიჯნავე უფლებების ნებისმიერ ჰარმონიზაციას საფუძვლად უნდა ჰქონდეს დაცვის მაღალი დონე, ვინაიდან ასეთი უფლებები გადამწყვეტია ინტელექტუალური შემოქმედებისთვის. მათი დაცვა ხელს უწყობს კრეატიულობის შენარჩუნებას და განვითარებას, რაც შედის ავტორების, შემსრულებლების, მწარმოებლების, მომხმარებლების, კულტურის, ინდუსტრიის და ზოგადად საზოგადოების ინტერესებში…

(10) თუ ავტორებმა ან შემსრულებლებმა უნდა გააგრძელონ თავიანთი შემოქმედებითი და სახელოვნებო მოღვაწეობა, მათ უნდა მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება თავიანთი ნაწარმოების გამოყენებისთვის, ისევე როგორც მწარმოებლებმა, რათა შეძლონ ამ ნაწარმოებების დაფინანსება… საჭიროა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ადეკვატური სამართლებრივი დაცვა, რათა გარანტირებული იყოს ასეთი ანაზღაურების ხელმისაწვდომობა და ამ ინვესტიციის დამაკმაყოფილებელი ოდენობით დაბრუნების შესაძლებლობა.

…

(23) წინამდებარე დირექტივამ შემდგომში უნდა მოახდინოს ავტორის საჯარო გადაცემის უფლების ჰარმონიზაცია. ეს უფლება აღქმული უნდა იქნეს ფართო გაგებით, რომელიც მოიცავს ნებისმიერი სახის საჯარო გადაცემას საზოგადოებისთვის, რომელიც არ იმყოფება იმ ადგილას, საიდანაც ხდება გადაცემა...

…

(31) დაცული უნდა იყოს უფლებებისა და ინტერესების სამართლიანი ბალანსი უფლებათა სხვადასხვა კატეგორიის მფლობელებს შორის, ასევე სხვადასხვა კატეგორიის უფლებათა მფლობელებსა და დაცული ობიექტების მოსარგებლეებს შორის. წევრი სახელმწიფოების მიერ დადგენილი უფლებების არსებული გამონაკლისები და შეზღუდვები ხელახლა უნდა შეფასდეს ახალი ელექტრონული გარემოს ფონზე…“

4. ამ დირექტივის მე-3 მუხლი ადგენს:

„1. წევრი სახელმწიფოები ანიჭებენ ავტორებს განსაკუთრებულ უფლებას ნება დართონ ან აკრძალონ თავიანთი ნაწარმოებების ნებისმიერი საჯარო გდაცემა სადენიანი ან უსადენო საშუალებებით, მათ შორის მათი ნაწარმოებების საჯარო ხელმისაწვდომობა ისე, რომ საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ მათზე წვდომა მათ მიერ ინდივიდუალურად არჩეული ადგილიდან და მათთვის სასურველ დროს.

…

3. პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული უფლებები არ ამოიწურება საჯარო გადაცემის ან საჯარო გაცნობის ნებისმიერი აქტით, როგორც ეს მითითებულია ამ მუხლით“.

5. ამ დირექტივის მე-5 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების თანახმად:

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ გამონაკლისი ან შეზღუდვა მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების მიმართ შემდეგ შემთხვევებში:

…

გ) მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ ან რელიგიულ თემებზე გამოქვეყნებული სტატიების ან იმავე თემატიკის სამაუწყებლო ნაწარმოების ან სხვა ობიექტის პრესის მიერ რეპროდუცირება, საჯარო გადაცემა ან საჯარო გაცნობა, იმ შემთხვევებში, როდესაც ასეთი გამოყენება პირდაპირ არ არის აკრძალული, და მითითებულია წყარო, ავტორის სახელის ჩათვლით, ასევე, ან ნაწარმოებების ან სხვა ობიექტების გამოყენება მიმდინარე მოვლენების გაშუქებასთან დაკავშირებით, იმ მოცულობით, რაც გამართლებულია საინფორმაციო მიზნით და ავტორის სახელის ჩათვლით წყაროს მითითების პირობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წყაროს მითითება შეუძლებელია.

…

5. პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისები და შეზღუდვები გამოიყენება მხოლოდ ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ნაწარმოების ან სხვა ობიექტის ჩვეულებრივ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ ლახავს უფლების მფლობელის კანონიერ ინტერესებს“.

ძირითადი დავის საგანი და წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად გადაცემული კითხვები

6. Sanoma-ს მოთხოვნით, რომელიც არის ჟურნალ Playboy-ის გამომცემელი, 2011 წლის 13 და 14 ოქტომბერს ფოტოგრაფმა, ბ-ნმა კ. ჰერმესმა გადაიღო სადავო ფოტოები, რომლებიც უნდა გამოქვეყნებულიყო ამ ჟურნალის 2011 წლის დეკემბრის გამოცემაში. ამ კონტექსტში ბ-ნმა ჰერმესმა სანომას მისცა ექსკლუზიური ნებართვა გამოექვეყნებინა ეს ფოტოები და, ასევე, მიანიჭა უფლება-მოსილება განახორციელოს მისი საავტორო უფლებებიდან გამომდინარე უფლებები.

7. GS Media მართავს ვებგვერდს GeenStijl, რომელიც, ამავე ვებგვერდის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მოიცავს შემდეგს: „ახალი ამბები, სკანდალური განცხადებები და საგამომძიებო ჟურნალისტიკა, სულელური ნივთები და უცნაური სისულელეები“. ეს არის ვებგვერდი, რომელსაც ყოველდღიურად 230000-ზე მეტი ვიზიტორი ათვალიერებს და ის ახალი ამბების სფეროში 10 ყველაზე პოპულარული ვებგვერდიდან ერთ-ერთია ნიდერლანდებში, რომელსაც ყველაზე ხშირად ნახულობენ.

8. 2011 წლის 26 ოქტომბერს GeenStijl-ის ვებგვერდის რედაქტორებმა მიიღეს შეტყობინება ფსევდონიმით მოსარგებლე პირისგან, რომელიც შეიცავდა ჰიპერბმულს ელექტრონულ ფაილზე, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე Filefactory.com („Filefactory ვებგვერდი“), რომელიც მდებარეობს ავსტრალიაში და გამოყენება მონაცემთა შენახვისთვის. ეს ელექტრონული ფაილი შეიცავდა სადავო ფოტოებს.

9. იმავე დღეს Sanoma-მ სთხოვა GS Media-ს მშობელ კომპანიას, აღკვეთილიყო ამ ფოტოების გამოქვეყნება GeenStijl-ის ვებგვერდზე.

10. 2011 წლის 27 ოქტომბერს სტატია, რომელიც ეხებოდა ქალბატონ დეკერის ამ ფოტოებს, სათაურით „…! [ქალბატონი] დეკერის შიშველი ფოტოები გამოქვეყნდა GeenStijl-ის ვებგვერდზე, რომელიც მოიცავდა ერთ-ერთი სადავო ფოტოს ნაწილს და რომელიც მთავრდებოდა სიტყვებით: „ახლა კი ბმული იმ სურათებით, რომლებსაც ელოდით“. ამ ტექსტის თანმხლებ ჰიპერბმულზე დაწკაპუნებით, მომხმარებლები გადადიოდნენ Filefactory ვებგვერდზე, რომელზეც სხვა ჰიპერბმული მათ საშუალებას აძლევდა ჩამოეტვირთათ 11 ელექტრონული ფაილი, რომელთაგან თითოეული შეიცავს ერთ-ერთ სადავო ფოტოს.

11. იმავე დღეს, Sanoma-მ გაუგზავნა GS Media-ს მშობელ კომპანიას ელფოსტა და მოითხოვა დაედასტურებინა, რომ განსახილველი ფოტოების ჰიპერბმული წაშლილია GeenStijl ვებგვერ-დიდან. GS Media-მ არ უპასუხა ამ მოთხოვნას.

12. თუმცა, Sanoma-ს მოთხოვნით, Filefactory ვებგვერდზე განთავსებული სადავო ფოტოები წაიშალა.

13. 2011 წლის 7 ნოემბრის წერილით Sanoma-ს და სხვების ადვოკატმა მოითხოვა GS Media-ს GeenStijl-ის ვებგვერდიდან ამოეღო 2011 წლის 27 ოქტომბრის სტატია, მათ შორის ჰიპერბმული, მასში შემავალი ფოტოები და ამ ვებგვერდის იმავე გვერდზე გამოქვეყნებული მომხმარებლების რეაქციები.

14. იმავე დღეს, GeenStijl-ის ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატია GS Media-სა და Sanoma და სხვებს შორის სადავო ფოტოებთან დაკავშირებით დავის შესახებ. ეს სტატია დასრულდა წინადადებით: „განახლება: ჯერ არ გინახავს [ქალბატონი დეკერის] შიშველი ფოტოები? ისინი აქ არის“. ამ განცხადებას კიდევ ერთხელ ახლდა ჰიპერბმული ვებგვერდზე Imageshack.us შესასვლელად, სადაც შესაძლებელი იყო ერთი ან მეტი შესაბამისი ფოტოს ნახვა. თუმცა, ამ ვებგვერდის ოპერატორმა ასევე დააკმაყოფილა Sanoma-ს მოთხოვნა მათი წაშლის შესახებ.

15. მესამე სტატია, სახელწოდებით „Bye Bye Wave Wave Playboy“, რომელიც გამოქვეყნდა 2011 წლის 17 ნოემბერს GeenStijl-ის ვებგვერდზე, კვლავ შეიცავდა ჰიპერბმულს სადავო ფოტოებზე. ამ ვებგვერდის ფორუმის მომხმარებლებმა შემდეგ გამოაქვეყნეს ახალი ბმულები სხვა ვებგვერდებზე, სადაც შესაძლებელი იყო სადავო ფოტოების ნახვა.

16. 2011 წლის დეკემბერში განსახილველი ფოტოები გამოქვეყნდა ჟურნალ Playboy-ში.

17. Sanoma-მ და სხვებმა სარჩელი აღძრეს rechtbank Amsterdam-ში (ამსტერდამის რაიონული სასამართლო, ნიდერლანდები), კერძოდ, ამტკიცებდნენ, რომ ჰიპერბმულების და ერთ-ერთი სადავო ფოტოს ნაწილის GeenStijl ვებგვერდზე გამოქვეყნებით, GS Media-მ დაარღვია ბ-ნი ჰერმესის საავტორო უფლებები და უკანონოდ მოიქცა სანომასა და სხვების მიმართ. Rechtbank Amsterdam-მა (ამსტერდამის რაიონულმა სასამართლომ) დიდწილად დააკმაყოფილა ეს სარჩელი.

18. Gerechtshof Amsterdam-მა (ამსტერდამის სააპელაციო სასამართლო, ნიდერლანდები) გააუქმა ეს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ GeenStijl ვებგვერდზე ჰიპერბმულების გამოქვეყნებით GS Media-ს არ დაურღვევია ბ-ნი ჰერმესის საავტორო უფლებები, რადგან სადავო ფოტოები უკვე ხელმისაწვდომი იყო, როცა ისინი განთავსდა Filefactory-ს ვებგვერდზე. ამის საპირისპიროდ, მან დაადგინა, რომ ამ ბმულების გამოქვეყნებით, GS Media არალეგალურად მოქმედებდა Sanoma-სა და სხვების მიმართ, რადგან ამ ვებგვერდის სტუმრები შესაბამისად წახალისებულნი იყვნენ, ენახათ სადავო ფოტოები, რომლებიც უკანონოდ იყო განთავსებული Filefactory-ის ვებგვერდზე. ამ ჰიპერბმულების გარეშე, ამ ფოტოების პოვნა ადვილი არ იქნებოდა. გარდა ამისა, Gerechtshof Amsterdam-მა (ამსტერდამის სააპელაციო სასამართლომ) დაადგინა, რომ GeenStijl-ის ვებგვერდზე განსახილველი ფოტოს ერთ-ერთი ფრაგმენტის გამოქვეყნებით, GS Media-მ დაარღვია ბ-ნი ჰერმესის საავტორო უფლებები.

19. GS Media-მ გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება მომმართველი სასამართლოს, Hoge Raad der Nederlanden-ის (ნიდერლანდების უმაღლესი სასამართლო) წინაშე.

20. Sanoma-მ და სხვებმა შეიტანეს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, რომელშიც ისინი მიუთითებენ 2014 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებაზე, Svensson and Others (C 466/12, EU:C:2014:76), იმის მტკიცებით, რომ ინტერნეტის მომხმარებლებისთვის იმ ვებგვერდის წვდომის ჰიპერბმულის ხელმისაწვდომად გახდომა, რომელზეც საავტორო უფლების თანხმობის გარეშე განთავსებულია ნაწარმოები, წარმოადგენს ამ ნაწარმოების საჯარო გადაცემას. უფრო მეტიც, Sanoma და სხვები ამტკიცებენ, რომ Filefactory ვებგვერდზე განსახილველ ფოტოებზე წვდომა ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ექცეოდა აკრძალვების ფარგლებში, რომლის გვერდის ავლაც ინტერნეტის მომხმარებლებს შეეძლოთ GS Media-ისა და მისი GeenStijl ვებგვერდის მეშვეობით. ამის შედეგად ფოტოები ხელმისაწვდომი გახდა უფრო ფართო საზოგადოებისთვის, ვიდრე ჩვეულებრივ იქნებოდა წვდომა ამ ფოტოებზე Filefactory ვებგვერდის მეშვეობით.

21. ამ შეგებებული სააპელაციო საჩივრის შესწავლის კონტექსტში, მომმართველი სასამართლო მიიჩნევს, რომ არც 2014 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებიდან, Svensson and Others, (C 466/12, EU:C:2014:76) და არც 2014 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებიდან, BestWater, (C 348/13, არ არის

გამოქვეყნებული, EU:C:2014:2315) არ შეიძლება საკმარისი სიცხადით დადგინდეს, არის თუ არა „საჯარო გადაცემა“, როდესაც ნაწარმოები ფაქტობრივად ადრე იყო გამოქვეყნებული, მაგრამ საავტორო უფლების ნებართვის გარეშე.

22. ერთი მხრივ, დადგენილი სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ უნდა დადგინდეს, იძლევა თუ არა განსახილველი ტექნიკური ჩარევა მოიცვას ისეთი საზოგადოება, რომელსაც ვერ ექნებოდა ნაწარმოებზე წვდომა იმ ფარგლებში, რისთვისაც უფლების მფლობელმა ადრე გასცა გამოყენების თანხმობა. მეორე მხრივ, თუ ნაწარმოები უკვე ხელმისაწვდომია ინტერნეტში ფართო საზოგადოებისთვის, ვებგვერდის ჰიპერბმულის განთავსება, რომელზეც ნაწარმოები უკვე განთავსებულია, პრაქტიკულად არ იწვევს ახალი საზოგადოებისთვის წვდომას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ინტერნეტში არის ბევრი ნაწარმოები, რომელიც უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. ვებგვერდის ოპერატო-რისთვის ყოველთვის ადვილი არ იქნება, თუ ის აპირებს ჰიპერბმულის გამოქვეყნებას ვებგვერდზე, რომელზეც განთავსებულია ნაწარმოები, შეამოწმოს, რომ უფლების მფლობელს გაცემული აქვს თანხმობა ნაწარმოების განთავსებაზე.

23. გარდა ამისა, მომმართველი სასამართლო აღნიშნავს, რომ შეგებებული სააპელაციო საჩივარი ასევე სვამს საკითხს იმ პირობების განმარტების შესახებ, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს იმისთვის, რომ მოექცნენ „შეზღუდვების“ ფარგლებში 2014 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილების მნიშვნელობით, Svensson and Others, (C. 466/12, EU:C:2014:76). სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ფოტოების მოძიება ინტერნეტში შეუძლებელი არ იყო არც GS Media-ს მიერ GeenStijl-ის ვებგვერდზე ჰიპერბმულის გამოქვეყნებამდე, მათი პოვნა ადვილი არ იყო და გამოქვეყნებულმა ბმულმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სადავო ფოტოებზე წვდომას.

24. ამ გარემოებებში, Hoge Raad der Nederlanden-მა (ნიდერლანდების უზენაესმა სასამართლომ) გადაწყვიტა შეეჩერებინა საქმის წარმოება და შემდეგი კითხვებით მიემართა მართლმსაჯულების სასამართლოსთვის წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად:

1. (ა) თუ ვინმე, გარდა საავტორო უფლებების მფლობელისა, მის მიერ კონტროლირებად ვებგვერდზე განათავსებს ჰიპერბმულს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია წვდომა მესამე პირის ვებგვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომია ფართო ინტერნეტ საზოგადოებისთვის, რომელზეც განთავსებულია ნაწარმოები უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე, არის თუ არა „საჯარო გადაცემა“ 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით?

(ბ) აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა, თუ ადრე უფლების მფლობელის თანხმობით არცერთი ფორმით არ მომხდარა ნაწარმოების საჯარო გაცნობა?

(გ) მნიშვნელოვანია თუ არა, რომ „ჰიპერლინკერმა“ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა, რომ მესამე პირის ვებგვერდზე ნაწარმოები განთავსებულია უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე, როგორც აღნიშნულია 1(ა)-ში ზემოთ, და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ ადრე ავტორის თანხმობით არ მომხდარა ნაწარმოების საჯარო გაცნობა?

2. (ა) თუ პირველ კითხვაზე პასუხი უარყოფითია: ამ შემთხვევაში შეიძლება თუ არა, რომ ჰიპერბმული ჩაითვალოს საჯარო გადაცემად, თუ ვებგვერდი, რომელსაც ჰიპერბმული ეხება და, შესაბამისად, ნაწარმოები, ნამდვილად ხელმისაწვდომია ფართო ინტერნეტ-საზოგადოებისთვის, მაგრამ არც ისე მარტივად, და ჰიპერბმული მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ნაწარმოებზე წვდომას?

(ბ) კითხვაზე 2(ა) პასუხის გაცემისას მნიშვნელოვანია, თუ არა „ჰიპერლინკერი“-ს ცოდნა ან ვალდებულება სცოდნოდა, რომ ვებგვერდი, რომელსაც ჰიპერბმული ეხება, ადვილად არ იძებნება ფართო ინტერნეტ საზოგადოების მიერ?

3. არის თუ არა სხვა გარემოებები, რომლებიც გასათვალისწინებელია კითხვაზე - ითვლება თუ არა საჯარო გადაცემად, როცა ჰიპერბმულის საშუალებით ხდება წვდომა ნაწარმოებზე, რომელიც არ არის უფლების მფლობელის თანხმობით საჯაროდ ხელმისაწვდომი - პასუხის გაცემისას?

მიმართული კითხვების განხილვა

25. თავისი სამი კითხვით, რომლებიც ერთად უნდა განიხილებოდეს, მომმართველი სასამართლო არსებითად სვამს კითხვას, შეიძლება თუ არა და, რა შესაძლო გარემოებებში, ჩაითვალოს საჯარო გადაცემად ვებგვერდზე ჰიპერბმულის განთავსება, რომლითაც ხდება წვდომა სხვა ვებგვერდზე უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე განთავსებულ ნაწარმოებებზე 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით.

26. ამ კონტექსტში ის სვამს საკითხს იმ გარემოების რელევანტურობასთან დაკავშირებით, რომ მოცემული ნაწარმოებები ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული სხვა გზით ამ უფლებების მფლობელის თანხმობით, და რომ ამ ჰიპერბმულების განთავსება ბევრად აადვილებს ამ ნაწარმოებების პოვნას, იმის გათვალისწინებით, რომ ვებგვერდი, რომელზეც განსახილველი ნაწარმოებები ხელმისაწვდომია, ადვილად არ იძებნება მომხმარებლის მიერ, და რომ ვინც ამ ბმულებს აქვეყნებს, იცოდა ან უნდა სცოდნოდა იმ გარემოების შესახებ, რომ ამ ვებგვერდზე ნაწარმოები გამოქვეყნებული იყო უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე.

27. 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლიდან გამომდინარეობს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიანიჭონ ავტორებს განსაკუთრებული უფლება, ნება დართონ ან აკრძალონ თავიანთი ნაწარმოებების ნებისმიერი საჯარო გადაცემა სადენიანი ან უსადენო საშუალებებით, მათ შორის, საჯარო გაცნობის გზით, ისე რომ საზოგადოების წევრებს შეეძლოთ მათზე წვდომა მათ მიერ ინდივიდუალურად არჩეული ადგილიდან და მათთვის სასურველ დროს.

28. ამ დებულების თანახმად, ავტორებს აქვთ უფლება, რომელიც პრევენციული ხასიათისაა და საშუალებას აძლევს მათ ჩაერიონ თავიანთი ნაწარმოების შესაძლო მოსარგებლეებსა და საჯარო გადაცემაში, რომლის განხორციელებასაც ისინი შესაძლოა აპირებდნენ, რათა აიკრძალოს ასეთი გამოყენება (იხ. 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება, SCF, C 135/10, EU:C:2012:140, 75-ე პუნქტი და 2016 წლის 31 მაისი, Reha Training, C 117/15, EU:C:2016:379, პუნქტი 30).

29. ვინაიდან 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლი არ განსაზღვრავს „საჯარო გადაცემის“ ცნებას, მისი მნიშვნელობა და ფარგლები უნდა განისაზღვროს ამ დირექტივის მიერ დასახული მიზნებისა და იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც ეს დებულებაა მოცემული (იხ. 2006 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებები, SGAE, C 306/05, EU:C:2006:764, პარაგრაფები 33 და 34, და 2011 წლის 4 ოქტომბერი, ფეხბურთის ასოციაციის პრემიერ ლიგა და სხვა, C 403/08 და C 429/08, EU:C:2011:631, პუნქტები 184 და 185).

30. ამასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ 2001/29 დირექტივის პრეამბულის მე-9 და მე-10 პუნქტებიდან გამომდინარეობს, რომ აღნიშნულის მიზანია შექმნას ავტორების დაცვის მაღალი დონე, რათა მათ საშუალებას მიეცეთ მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება მათი ნაწარმოების გამოყენებისთვის, მათ შორის ნაწარმოებების საჯარო გადაცემისთვის. აქედან გამომდინარეობს, რომ „საჯარო გადაცემა“ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ფართოდ, როგორც ეს პირდაპირ წერია

დირექტივის პრეამბულის 23-ე პუნქტში (იხ. ამ თვალსაზრისით 2011 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილებები, ფეხბურთის ასოციაციის პრემიერ ლიგა და სხვა, C 403/08 და C 429 /08, EU:C:2011:631, პარაგრაფი 186, და 7 მარტი 2013, ITV Broadcasting და სხვა, C 607/11, EU:C:2013:147, პუნქტი 20).

31. ამავდროულად, 2001/29 დირექტივის პრეამბულის მე-3 და 31-ე პუნქტებიდან გამომდინარეობს, რომ დირექტივის მიერ განხორციელებული ჰარმონიზაცია მიზნად ისახავს, განსაკუთრებით ელექტრონულ გარემოში, სამართლიანი ბალანსის შენარჩუნებას, ერთი მხრივ, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა ინტერესებს, რომელიც გარანტირებულია ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებათა ქარტიის („ქარტია“) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით და, მეორე მხრივ, დაცული ობიექტების მოსარგებლეების ინტერესებსა და ფუნდამენტურ უფლებებს, კერძოდ, ქარტიის მე-11 მუხლით გარანტირებული ინფორმაციის მიღების უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის.

32. როგორც სასამართლომ ადრე დაადგინა, „საჯარო გადაცემის“ კონცეფცია მოიცავს ორ კუმულაციურ კრიტერიუმს, კერძოდ, ნაწარმოების „გადაცემის აქტს“ და ამ ნაწარმოების „საზოგადოებისთვის“ ხელმისაწვდომად გახდომას (2014 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებები), სვენსონი და სხვები, C 466/12, EU:C:2014:76, პუნქტი 16; 19 ნოემბერი 2015, SBS Belgium, C 325/14, EU:C:2015:764, პუნქტი 15; და 31 მაისი 2016, Reha ტრენინგი, C 117/15, EU:C:2016:379, პარაგრაფი 37).

33. გარდა ამისა, სასამართლომ დააკონკრეტა, რომ „საჯარო გადაცემის“ კონცეფცია მოითხოვს ინდივიდუალურ შეფასებას (იხ. გადაწყვეტილება 2012 წლის 15 მარტის, ფონოგრამული შესრულება (ირლანდია), C 162/10, EU:C:2012:141, პუნქტი. 29 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ეხება „საჯარო გადაცემის“ კონცეფციას, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 12 დეკემბრის გაქირავების, თხოვებისა და საავტორო და მომიჯნავე უფლებების გარკვეული უფლებების შესახებ დირექტივის 2006/115/EC (OJ 2006 L 376, გვ. 28), მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ინტერპრეტაციას, რომელსაც აქვს იგივე ფარგლები ამ დირექტივაში, როგორც 2001/29 დირექტივაში (იხ., შესაბამისად, გადაწყვეტილება: 2016 წლის 31 მაისი, Reha Training, C 117/15, EU:C:2016:379, პარაგრაფი 33)).

34. ასეთი შეფასების მიზნებისთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რამდენიმე დამატებითი კრიტერიუმი, რომლებიც არ არის ავტონომიური და ურთიერთდამოკიდებულნი არიან. ვინაიდან ეს კრიტერიუმები, სხვადასხვა სიტუაციებში, შეიძლება იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა ხარისხით, ისინი უნდა იქნეს გამოყენებული როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთმანეთთან კავშირში (2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება, SCF, C 135/10, EU:C:2012:140), პარაგრაფი 79; 2012 წლის 15 მარტი, ფონოგრამული შესრულება (ირლანდია), C 162/10, EU:C:2012:141, პარაგრაფი 30; და 31 მაისი 2016, Reha Training, C 117/15, EU:C:2016:379, პუნქტი 35).

35. ამ კრიტერიუმებიდან სასამართლომ, პირველ რიგში, ხაზი გაუსვა მოსარგებლის შეუცვლელ როლს და მისი ჩარევის მიზანმიმართულ ხასიათს. მოსარგებლე ახორციელებს გადაცემის აქტს, როდესაც ის ერევა თავისი მოქმედების შედეგების სრული ცოდნით, რათა მომხმარებელს მისცეს წვდომა დაცულ ნაწარმოებზე, განსაკუთრებით, როდესაც, ამ ჩარევის არარსებობის შემთხვევაში, მისი მომხმარებლები, პრინციპში, ვერ შეძლებდნენ გადაცემული ნაწარმოების ნახვას (იხ. 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებები, SCF, C 135/10, EU:C:2012:140, პუნქტი 82 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა, და 2012 წლის 15 მარტი, ფონოგრამული შესრულება (ირლანდია), C 162/10, EU:C:2012:141, პარაგრაფი 31).

36. მეორე, მან დააკონკრეტა, რომ ცნება „საზოგადოება“ ეხება პოტენციურ მაყურებელთა განუსაზღვრელ რაოდენობას და, უფრო მეტიც, საკმაოდ დიდ რაოდენობას გულისხმობს (იხ. C 135/10,

EU:C:2012:140, პარაგრაფი 84 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა, და 2012 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება, ფონოგრამული შესრულება (ირლანდია), C 162/10, EU:C:2012:141, პუნქტი 33).

37. გარდა ამისა, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკაა, რომ „საჯარო გადაცემად“ კვალიფიცირებისთვის, დაცული ნაწარმოების კომუნიკაცია უნდა მოხდეს კონკრეტული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რომლებიც განსხვავდება ადრე გამოყენებულისგან ან, თუ ამას არ აქვს ადგილი, „ახალი საზოგადოებისთვის“, ანუ საზოგადოებისთვის, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საავტორო უფლებების მფლობელების მიერ, როდესაც მათ გასცეს თანხმობა, ნაწარმოები გაეცნოთ საზოგადოებისთვის (2014 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება, Svensson and Others, C 466/12 , ECLI:EU:C:2014:76, პუნქტი 24 და ბრძანება 2014 წლის 21 ოქტომბერი, BestWater International, C 348/13, არ არის გამოქვეყნებული, EU:C:2014:2315, პუნქტი 14 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა).

38. მესამე, სასამართლომ დაადგინა, რომ მნიშვნელოვანია, რომ „გადაცემა“, 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით, არის კომერციული ხასიათის (იხ. ამის შესახებ, გადაწყვეტილებები 2011 წლის 4 ოქტომბრის, ფეხბურთის ასოციაციის პრემიერ ლიგა და სხვა, C 403/08 და C 429/08, EU:C:2011:631, 204 პუნქტი; 15 მარტი 2012, SCF, C 135/10, EU:C:2012: 140, პარაგრაფი 88 და 15 მარტი 2012, ფონოგრამული შესრულება (ირლანდია), C 162/10, EU:C:2012:141, პუნქტი 36).

39. კერძოდ, ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს ძირითად დავაში განსახილველი, ვებგვერდზე ჰიპერბმულის განთავსების ფაქტი, რომელიც უზრუნველყოფს სხვა ვებგვერდზე უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე განთავსებულ ნაწარმოებზე წვდომას, არის თუ არა „საჯარო გადაცემა“ 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით.

40. ამასთან დაკავშირებით, უნდა გვახსოვდეს, რომ 2014 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებაში, Svensson and Others, (C 466/12, EU:C:2014:76), სასამართლომ განმარტა, რომ 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლი გულისხმობს, რომ ვებგვერდზე ჰიპერბმულების განთავსება, რომლითაც ხორციელდება წვდომა სხვა ვებგვერდზე თავისუფლად განთავსებულ ნაწარმოებზე, არ წარმოადგენს „საჯარო გადაცემას“ ამ დებულების მიზნებისთვის. ეს ინტერპრეტაცია ასევე გაზიარებულ იქნეს 2014 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებით, BestWater International (C348/13, არ არის გამოქვეყნებული, EU:C:2014:2315) ასეთი ბმულების შესახებ, რომლებიც იყენებენ ტექნიკას, რომელიც ცნობილია როგორც „ტრანსკლუზია“ („framing“).

41. თუმცა, ამ გადაწყვეტილებების დასაბუთებიდან გამომდინარეობს, რომ ასეთი გადაწყვეტილება სასამართლომ მიიღო იმ საფუძვლით, რომ ნაწარმოებები, რომელზე წვდომასაც უზრუნველყოფდა ჰიპერლინკი, სხვა ვებგვერდზე საჯაროდ ხელმისაწვდომი იყო უფლების მფლობელის თანხმობით და განსახილველი ქმედება (ჰიპერლინკი) არ ახდენდა საზოგადოების ახალი წრისთვის ნაწარმოების კომუნიკაციას.

42. ამ კონტექსტში მან აღნიშნა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ ჰიპერბმული და ვებგვერდი, რომელსაც იგი ეხება, იძლევა წვდომას დაცულ ნაწარმოებზე იმავე ტექნიკური საშუალებების, კერძოდ, ინტერნეტის გამოყენებით, ასეთი ბმული უნდა იყოს მიმართული საზოგადოების ახალ ნაწილზე. თუ ეს ასე არ არის, კერძოდ, იმის გამო, რომ ნაწარმოები უკვე თავისუფლად არის ხელმისაწვდომი ინტერნეტის ყველა მომხმარებლისთვის სხვა ვებგვერდზე საავტორო უფლებების მფლობელების თანხმობის საფუძველზე, ეს აქტი არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც „საჯარო გადაცემა“ 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით. მართლაც, როგორც კი და სანამ ეს ნაწარმოები თავისუფლად იქნება ხელმისაწვდომი ვებგვერდზე, რომელზეც ჰიპერბმული წვდომას იძლევა, უნდა ჩაითვალოს, რომ თუ ამ ნაწარმოების საავტორო უფლებების მფლობელებმა გასცეს თანხმობა ნაწარმოების ასეთ გადაცემაზე, მათ საზოგადოებად მოიაზრეს ინტერნეტის ყველა

მომხმარებელი (იხილეთ, ამ თვალსაზრისით, 2014 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება, Svensson and Others, EU:C:2014:76, პუნქტები 24-დან 28-მდე და 2014 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება, BestWater International, C 348/13, არ არის გამოქვეყნებული, EU:C:2014:2315, პუნქტები 15, 16 და 18).

43. შესაბამისად, არც 2014 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებიდან, Svensson and Others, (C 466/12, EU:C:2014:76) და არც 2014 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებიდან, BestWater International, (C 348/). 13, არ არის გამოქვეყნებული, EU:C:2014:2315) არ შეიძლება დადგინდეს, რომ ვებგვერდზე ჰიპერბმულების განთავსება, რომლითაც ხდება წვდომა სხვა ვებგვერდზე უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე თავისუფლად ხელმისაწვდომ დაცულ ნაწარმოებებზე, გამოირიცხება „საჯარო გადაცემის“ კონცეფციიდან 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით. პირიქით, ეს გადაწყვეტილებები ადასტურებს ამ დებულების მიხედვით ასეთი თანხმობის მნიშვნელობას, რადგან ეს უკანასკნელი კონკრეტულად ითვალისწინებს, რომ ნაწარმოების საჯაროდ გადაცემის ყოველი აქტი საჭიროებს უფლების მფლობელის თანხმობას.

44. GS Media, გერმანიის, პორტუგალიისა და სლოვაკეთის მთავრობები და ევროკომისია ამტკიცებენ, რომ სხვა ვებგვერდებზე გამოქვეყნებულ ნაწარმოებებზე მიმმართველი ასეთი ბმულების ავტომატურად „საჯარო გადაცემად“ კვალიფიცირებას იმის გამო, რომ უფლების მფლობელებს არ გაუცია თანხმობა ამ ნაწარმოებების ინტერნეტში გამოქვეყნებაზე, ექნება ძალზე შემზღუდველი შედეგები ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით და შეუსაბამო იქნება 2001/29 დირექტივის მიზნებისთვის, რომელიც არის, ერთი მხრივ, ზემოაღნიშნულ უფლებებსა და საზოგადოებრივ ინტერესებსა და საავტორო უფლებების მფლობელთა ინტერესებს შორის ბალანსის პოვნა.

45. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტს ფაქტობრივად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებისთვის, რომელიც დაცულია ქარტიის მე-11 მუხლით, და რომ ჰიპერბმულები ხელს უწყობს მის გამართულ მუშაობას და, ასევე, აზრთა გაცვლას, და ინფორმაცია ამ ქსელში ხასიათდება ინფორმაციის უზარმაზარი რაოდენობის ხელმისაწვდომობით.

46. გარდა ამისა, განსაკუთრებით იმ პირებისთვის, რომლებსაც სურთ ასეთი ბმულების გამოქვეყნება, შეიძლება რთული იყოს იმის დადგენა, არის თუ არა ვებგვერდზე, რომელზეც, სავარაუდოდ, ამ ბმულებს მივყავართ, განთავსებული ობიექტები საავტორო უფლებებით დაცული და, საჭიროების შემთხვევაში, არის თუ არა ამ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების მფლობელთა მიერ გაცემული თანხმობა ინტერნეტში მათ განთავსებაზე. ასეთი გარემოებების დადგენა მით უფრო რთულია, როდესაც ეს უფლებები იყო ქველიცენზიების საგანი. უფრო მეტიც, ვებგვერდის შინაარსი, მათ შორის დაცული ნაწარმოებებიც, რომელზეც ჰიპერბმული წვდომას იძლევა, შეიძლება შეიცვალოს ამ ბმულის შექმნის შემდეგ ისე, რომ ამ ბმულის შემქმნელმა არ იცოდეს ამის შესახებ.

47. 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით „საჯარო გადაცემის“ არსებობის ინდივიდუალური შეფასების მიზნებისთვის, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ პირი, რომელიც ათავსებს ჰიპერლინკს, რომლითაც ხდება სხვა ვებგვერდზე განთავსებულ ნაწარმოებებზე წვდომა, ამ ქმედებას ახორციელებს კომერციული მიზნების გარეშე და რომ მან არ იცოდა და არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ნაწარმოები ინტერნეტში გამოქვეყნებულ იქნეს საავტორო უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე.

48. მართლაც, ასეთი პირი, ინტერნეტ მომხმარებლებისთვის ნაწარმოებზე პირდაპირი წვდომის მიწოდებით (იხ. ამ თვალსაზრისით, 2014 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება, Svensson and Others, C 466/12, EU:C. :2014:76, პუნქტები 18-დან 23-მდე), როგორც წესი, არ ერევა თავისი ქცევის

შედეგების სრული ცოდნით, რომ მომხმარებელს განზრახ მისცეს წვდომა ინტერნეტში არალეგალურად განთავსებულ ნაწარმოებზე. გარდა ამისა, სადაც მოცემული ნაწარმოები უკვე შეუზღუდავად ხელმისაწვდომი იყო ვებგვერდზე, რომელზეც ჰიპერბმული უზრუნველყოფს წვდომას, ინტერნეტის ყველა მომხმარებელს, პრინციპში, უკვე შეეძლო მასზე წვდომა, თუნდაც ამ ჩარევის არარსებობის შემთხვევაში.

49. ამის საპირისპიროდ, როდესაც დადგინდა, რომ ასეთმა პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მის მიერ გამოქვეყნებული ჰიპერბმული უზრუნველყოფს ინტერნეტში არალეგალურად განთავსებულ ნაწარმოებზე წვდომას, მაგალითად, იმის გამო, რომ მას ამის შესახებ აცნობეს საავტორო უფლებების მფლობელებმა, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ასეთ შემთხვევაში ამ ბმულის განთავსება „საჯარო გადაცემაა“ 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით.

50. იგივე ეხება შემთხვევას, როცა ეს ბმული საშუალებას აძლევს იმ ვებგვერდის მომხმარებლებს, რომელზეც ის განთავსებულია, გვერდი აუარონ სხვა ვებგვერდის, სადაც განთავსებულია დაცული ნაწარმოები, მიერ დაწესებულ შეზღუდვებს, რომლის მეშვეობითაც ნაწარმოებზე წვდომა აქვთ მხოლოდ ამ ვებგვერდის აბონენტებს. ასეთ შემთხვევაში ბმული მიზანმიმართული ინტერვენციაა, რომლის გარეშეც მომხმარებლები ვერ ისარგებლებდნენ ნაწარმოებზე წვდომით (იხ. 2014 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება, Svensson and Others, C 466/12, EU:C:2014:76, პუნქტები 27 და 31).

51. გარდა ამისა, როდესაც ჰიპერბმულების განთავსება ხდება მოგების მიზნით, მოსალოდნელია, რომ პირი, რომელმაც ასეთი ბმული გამოაქვეყნა, აუცილებლად შეამოწმებს, რომ განსახილველი ნაწარმოები არ არის უკანონოდ გამოქვეყნებული ვებგვერდზე, რომელსაც ეს ჰიპერბმულები მიმართავს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ შემთხვევაში ჰიპერბმული განათავსეს იმის სრული ცოდნით, რომ ნაწარმოები იყო დაცული და ინტერნეტში მისი გამოქვეყნება, სავარაუდოდ, მოხდა უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე. ასეთ ვითარებაში, და თუ ეს ვარაუდი არ გაქარწყლდება, ჩაითვლება, რომ ინტერნეტში არალეგალურად განთავსებულ ნაწარმოებზე წვდომის ჰიპერბმულის განთავსების აქტი „საჯარო გადაცემაა“ 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით.

52. თუმცა, თუ არ ხდება ნაწარმოების საზოგადოების ახალი ნაწილისთვის კომუნიკაცია, როგორც ეს აღინიშნა წინამდებარე გადაწყვეტილების 40-42 პუნქტებში, სხვა ვებგვერდზე განთავსებულ ნაწარმოებზე წვდომის ჰიპერლინკის განთავსება არ ჩაითვლება „საჯარო გადაცემად“ ამ დებულების მნიშვნელობით, თუ ეს ნაწარმოებები ინტერნეტში გამოქვეყნებულია საავტორო უფლებების მფლობელის თანხმობით.

53. 2001/29 დირექტივის მე-3(1) მუხლის ასეთი ინტერპრეტაცია უზრუნველყოფს ავტორების დაცვის მაღალ დონეს, რომელსაც ეს დირექტივა ესწრაფვის. მართლაც, ამ დირექტივის თანახმად, და მისი მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ფარგლებში, საავტორო უფლებების მფლობელებს შეუძლიათ აკრძალონ არა მხოლოდ ვებგვერდზე მათი ნაწარმოების თავდაპირველი გამოქვეყნება, არამედ ნებისმიერი პირის მიერ, მოგების მიზნით, ვებგვერდზე უკანონოდ გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე წვდომის ჰიპერლინკის განთავსებაც. და ასევე, მათ შეუძლიათ მიიღონ ზომები წინამდებარე გადაწყვეტილების 49-ე და 50-ე პუნქტებში მოცემული პირობებით, იმ პირების წინააღმდეგ, რომლებმაც განათავსეს ასეთი ბმულები ფინანსური სარგებლის მიღების გარეშე. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ უფლების მფლობელებს, ყველა შემთხვევაში, აქვთ შესაძლებლობა აცნობონ ასეთ პირებს მათი ნაწარმოების ინტერნეტში გამოქვეყნების უკანონო ხასიათის შესახებ და მიიღონ ზომები მათ წინააღმდეგ, თუ ისინი უარს იტყვიან ბმულის წაშლაზე. და ამ პირებს არ შეუძლიათ დაეყრდნონ მე-5(3) მუხლში ჩამოთვლილ რომელიმე გამონაკლისს.

54. რაც შეეხება ძირითადი დავის საგანს, უდავოა, რომ GS Media მართავს GeenStijl ვებგვერდს, და რომ მან მოგების მიზნით განათავსა ჰიპერბმულები სადავო ფოტოების შემცველ ფაილებზე, რომლებიც განთავსებულია Filefactory ვებგვერდზე. ასევე, უდავოა, რომ Sanoma-ს არ გაუცია თანხმობა ამ ფოტოების ინტერნეტში გამოქვეყნებაზე. უფრო მეტიც, როგორც ფაქტობრივი გარემოებიდან ჩანს, GS Media-მ იცოდა ამ უკანასკნელი გარემოების შესახებ, ამიტომ მას არ შეუძლია უარყოს ვარაუდი, რომ ეს ბმულები განთავსდა იმის ცოდნით, რომ ნაწარმოებების ინტერნეტში გამოქვეყნება იყო უკანონო. ამ გარემოებებში, როგორც ჩანს, მომმართველი სასამართლოს მიერ განხორციელებული შემოწმების გათვალისწინებით, ამ ბმულების გამოქვეყნებით, GS Media-მ დაარღვია „საჯარო გადაცემის“ უფლება 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით. და ზედმეტია ამ კონტექსტში სასამართლოს მიერ მითითებული სხვა გარემოებების შეფასება, რომლებიც მითითებულია წინამდებარე გადაწყვეტილების 26-ე პუნქტში.

55. ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, დასმულ კითხვებზე პასუხი არის, რომ 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლი ისე უნდა იქნეს განმარტებული, რომ იმის დასადგენად, არის თუ არა ვებგვერდზე ჰიპერბმულების განთავსება, რომლითაც ხორციელდება სხვა ვებგვერდზე საავტორო უფლებების მფლობელის ნებართვის გარეშე თავისუფლად ხელმისაწვდომ ნაწარმოებებზე წვდომა „საჯარო გადაცემა“ ამ დებულების მნიშვნელობით, უნდა შეფასდეს იყო თუ არა ეს ბმულები განთავსებული მოგების მიღების მიზნის გარეშე პირის მიერ, რომელმაც არ იცოდა და არ შეიძლებოდა სცოდნოდა სხვა ვებგვერდზე ნაწარმოებების უკანონოდ განთავსების შესახებ, ან პირიქით, თუ ეს ბმულები განთავსებულია მოგების მიღების მიზნით, ივარაუდება, რომ პირმა იცოდა ნაწარმოებების უკანონოდ განთავსების ფაქტის შესახებ.

ხარჯები

56. ვინაიდან ეს პროცესი ძირითადი დავის მხარეებისთვის ეროვნული სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოების ნაწილია, ხარჯებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ამ სასა-მართლოს ეკუთვნის. სასამართლოსთვის შენიშვნების წარდგენისას გაწეული ხარჯები, გარდა ამ მხარეების ხარჯებისა, არ ანაზღაურდება.

ამ საფუძვლებიდან გამომდინარე, სასამართლო (მეორე პალატა) ადგენს:

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების ზოგიერთი ასპექტის ჰარმონიზაციის შესახებ 2001/29/EC დირექტივის 3(1) მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ იმის დასადგენად, არის თუ არა ვებგვერდზე ჰიპერბმულების განთავსება, რომლითაც ხორციელდება სხვა ვებგვერდზე საავტორო უფლებების მფლობელის ნებართვის გარეშე თავისუფლად ხელმისაწვდომ ნაწარმოებებზე წვდომა „საჯარო გადაცემა“ ამ დებულების მნიშვნელობით, უნდა შეფასდეს იყო თუ არა ეს ბმულები განთავსებული მოგების მიღების მიზნის გარეშე პირის მიერ, რომელმაც არ იცოდა და არ შეიძლებოდა სცოდნოდა სხვა ვებგვერდზე ნაწარმოებების უკანონოდ განთავსების შესახებ, ან პირიქით, თუ ეს ბმულები განთავსებულია მოგების მიღების მიზნით, ივარაუდება, რომ პირმა იცოდა ნაწარმოებების უკანონოდ განთავსების ფაქტის შესახებ.

ევროკავშირი საქართველოსთვის

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.gov.ge

EUIPO
EUROPEAN UNION INTELLECTUAL PROPERTY OFFICE

ეს პუბლიკაცია ეკუთვნის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - "საქპატენტს", როგორც EUGIPP პროექტის მთავარ ბენეფიციარს. დასაშვებია მომხმარებლის მიერ ამ პუბლიკაციის რეპროდუცირება, გავრცელება, ადაპტირება, თარგმნა და საჯარო შესრულება, მათ შორის, კომერციული მიზნებით, წერილობითი ნებართვის გარეშე, იმ პირობით, რომ გამოყენებულ შინაარსს თან დაერთვება საქპატენტის, როგორც წყაროს, მითითება, რაც გარკვევით იქნება აღნიშნული, ასევე, მიეთითება, თუ თავდაპირველ შინაარსში შეტანილი იქნება ცვლილებები.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით.
მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.